რევაზ ნიკოლაიშვილი

# გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა

კაცად კაცი

ფოთი
2006

წინამდებარე ნაშრომში გადმოცემულია ის დიდი პატივისცემა, სიყვარული და მოკრძალება, რომლითაც გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და დავით კლდიაშვილი იყვნენ გამსჭვალული ცნობილი სასულიერო და საზოგადო მიღვაწის, პედაგოგის, ფსიქოლოგის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლისა და საპატიო წევრის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა პროფესორის წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის (გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძის) მიმართ.

ნაშრომში ასევე განხილულია ადამიანისა და ბუნების ურთიერთობისა და ადამიანის სრულყოფის საკითხები „საქართველოს ოქროპირად" აღიარებული მღვდელმთავრის ქადაგებებში. ხაზგასმულია ის დიდი ღვაწლი, რომელიც ამ დიდ მამულიშვილს მიუძღვის მშობლიური სოფლის ბახვის წინაშე.

რედაქტორი: პროფესორი ზურაბ არქანია

რეცენზენტები: საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი ჯანსუღ ტალიკაძე
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ალექსანდრე ხურციძე
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
მანანა სანაია
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
ზურაბ სულაბერიძე

სარჩევი

1. წინასიტყვაობა ....................................................................................5

2. ილია და ბახველი ქიქოძეები ....................................................................6

3. აკაკი და გაბრიელ ეპისკოპოსი ..............................................................23

4. ჭეშმარიტი მოძღვარი და სახელოვანი შეგირდი......................................31

5. ფრაგმენტები ნიკო ნიკოლაძისა და გაბრიელ ერისკოპოსის
ურთიერთობიდან ....................................................................................44

6. დავით კლდიაშვილი და გაბრიელ ქიქოძე ................................................49

7. ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის, ადამიანის სრულყოფის
საკითხები წმიდა გაბრიელ მღვდელმთავრის ქადაგებებში ......................54

8. ქვეყნის წყლული უჩნდა წყლულად .........................................................96

ავტორი მადლობას უხდის ფოთისა და ხობის ეპარქიის მთავარეპისკოპოსს მეუფე გრიგოლს (ბერბიჭაშვილს) წიგნის გამოცემის საქმეში გაწეული დახმარებისათვის

# წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი - გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძე, ცნობილი ქართველი მოაზროვნე, პედაგოგი, ფსიქოლოგი, ქართველთა შორის წერა -კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთერთი დამფუძნებელი და საპატიო წევრი, ფიზიკა მათემატიკის პროფესორი, რუსეთის იმპერიაში ცდისეული ფსიქოლოგიის პირველი სახელმძღვანელოს შემქმნელი, საქართველოში, კერძოდ თბილისის სასულიერო სემინარიაში ფიზიკის პირველი კაბინეტის დამაარსებელი, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთეთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია.

გაბრიელ ქიქოძე თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მტკიცედ იდგა ქართველთა სულიერებისა და ყოველგვარი ეროვნულობის სადარაჯოზე. იგი თავისი მოწამეობრივი ცხოვრებითა და სანიმუშო ღვაწლით წვრთნიდა და აკეთილშობილებდა ქართველ ერს. გულმხურვალე მამულიშვილი მზრუნველობას არ აკლებდა საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხებს- აფხაზებს, ოსებს, სომხებს, რუსებს, ებრაელებს,აზერბაიჯანლებს... ამიტომაც იგი ყველა ერისათვის ძვირფასი და მახლობელი ადამიანი იყო. ქართველები კი პირდაპირ აღმერთებდნენ მოძღვარს.

გაბრიელის ქადაგებები მე-19 საუკუნის სამოციან წლებში გამოიცა ოქსფორდში და ის იყო ერთერთი პირველი ქართული ნაშრომი გამოცემული უცხოეთში ინგლისურ ენაზე.

გაბრიელის მეცნიერულ და სასულიერო მოღვაწეობას იცნობდნენ და დიდად აფასებდნენ რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის იმპერიებში, ბულგარეთში, გერმანიაში... მისი მრავალმხრივი საქმიანობა ასახულია სხვადასხვა მაღალი დონის ენციკლოპედიებში.

აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ურთიერთობა გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ილიასთან, აკაკისთან, იაკობ გოგებაშვილთან, ნიკო ნიკოლაძესთნ, დავით კლდიაშვილთან. ხაზგასმულია ის სანიმუშო ღვაწლი, რომელიც ამ დიდ მამულიშვილს მიუძღვის სოფელ - ბახვის (ოზურგეთის რაიონი) წინაშე. პირველად როგორც ცალკე საკითხი შესწავლილია ადამიანისა და ბუნების ურთიერთობისა და ადამიანის სრულყოფის საკითხები) დიდებული მღვდელმთავრის ქადაგებებში.

შესრულდა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის დაბადებიდან 180 და 110 წელი გარდაცვალებიდან. წმიდა ილია მართალი იმედოვნებდა, რომ შთამომავლობა კიდევ უფრო შეძლებდა ღვთიითმოვლენილი მწყემსმთავრის, რომელიც სარწმუნოებას

ამეცნიერებდა და მეცნიერებას ახარწმუნოებდა, ღვაწლის აღიარებას. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს იმ შეუფასებელი ამაგისადმი მადლიერების გამოხატვის კიდევ ერთ ცდას, რომელიც წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მიუძღვის ქართველი ერის განსაკუთრებით კი მშობელი სოფლის წინაშე.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ გახარებულ სიბრძნისა და სათნოების ნერგზე ამოიზარდნენ დიმიტრი შევარდნაძე, შალვა ქიქოძე, გერონტი ქიქოძე, ნინო ნაკაშიძე, ვახტანგ ჭელიძე, დავით ანდღულაძე, რომ არაფერი ვთქვათ და ჩვენს ქვეყანაში მის გარეთ ცნობილ ხელოვნების, კულტურის, განათლების, მეცნიერების, სხვადასხვა დარგების ასეულობით ბახველ მოღვაწეზე.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ზეციური ლოცვა-კურთხევა ნუ მოაკლებოდეს სრულიად საქართველოს.

ღმერთმა დალოცოს მშობელი ერი წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსისა.

## ილია და ბახველი ქიქოძეები

„როცა რომელსამე ერის სიკეთე გნებავთ
დაანახვოთ ვისმე, ერის აღმატებულება
დააჯეროთ ამისთანა კაცებს დაასახელებენ
ხოლმე, ამისთანა კაცების ჩამოთვლით,
ერის ღირსებას ზომავენ''

წმიდა ილია მართალი წმიდა
გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ.

გამოჩენილი ქართველი მოაზროვნის, პედაგოგის, ფსიქოლოგის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთერთი დამაარსებლისა

და საპატიო წევრის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძის ( წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი, დიდი ღვაწლი მშობელი ერის წინაშე ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე სათანადოდ იქნა შეფასებული. მის სახელს მოწიწებით წარმოსთქვამდნენ აკაკი, პეტრე მელიქიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, შალვა დადიანი, დავით კლდიაშვილი, ანტონ ფურცელაძე და სხვები.

გ. ქიქოძის მემკვიდრეობას სწავლობდნენ შ. ნუცუბიძე, ა.ბოქორიშვილი, გ. მეგრელიშვილი, ავთ. ნიკოლეიშვილი, დ. გეგეშიძე, ს.სხირტლაძე, მ. კელენჯერიძე, გრ. მარგიანი, ს.ხუნდაძე და სხვები.

გაბრიელის მეცნიერულ და სასულიერო მოღვაწეობას იცნობდნენ და აფასებდნენ რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის იმპერიებში, ბულგარეთში, გერმანიაში. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ასახულია სხვადასხვა მაღალი დონის ენციკლოპედიებში.

მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაბრიელის დიდ ეროვნულ-პატრიოტულ, სამეცნიერო-საზოგადოებრივ და სასულიერო საქმიანობას არც ჰყოლია და არცა ჰ ყავს გოგებაშვილთან ერთად ისეთი თავგამოდებული დამცველი და დამფასებელი, როგორც ილია ჭავჭავაძე იყო.

პეტერბურგის სასულიერო აკადემიის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1849 წელს სამშობლოში დაბრუნებული ფიზიკა-მათემატიკის მაგისტრის ხარისხში მყოფი გერასიმე ქიქოძე თბილისის სასულიერო სემინარიაში დიდი გულმოდგინებით შეუდგა პედაგოგიურ საქმიანობას. 1856 წელს გერასიმეს მოკლე დროში ზედიზედ გარდაეცვალა მეუღლე და 5-შვილი, ოჯახურმა ტრაგედიამ იგი აიძულა დაეტოვებინა საერო ცხოვრება და გაბრიელის სახელით ბერად შემდგარიყო. 1860 წლიდან სიკვდილამდე (1896წ) გაბრიელი იმერეთის ეპისკოპოსის ხარისხში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა მას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე საერო საქმიანობა. ცნობილია, რომ აღნიშნული ეპოქის ეროვნული მოძრაობის სულის ჩამდგმელი და მეთაური ილია ჭავჭავაძე ბრძანდებოდა. ამიტომაც ამ უკანასკნელს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსთან.

გაბრიელ ეპისკოპოსი დიდი გულმოდგინებით ცდილობდა იმერეთის ეპარქიაში არსებული აღვირახსნილობისა და უმსგავსოების აღმოფხვრას. ამ მიზნით იგი ეპარქიის თანამშრომლებად წესიერ, ეროვნულ პოზიციებზე მდგომ პირებს არჩევდა. ერთ-ერთ ასეთს წარმოადგენდა ეპარქიის მდივნის თანამდებობაზე ცნობილი პუბლიცისტი ესტატე მჭედლიძის (ბოსლეველი) დანიშვნა.

ბოსლეველი დიდი გულმოდგინებით შეუდგა სიბილწისა და უწესრიგობის აღმოფხვრას. იგი ზუსტ ინფორმაციას აწვდიდა მღვდელმთავარს. შედეგმაც არ დააყოვნა, დაიწყო დაბეზღებები. გაბრიელ ეპისკოპოსმა გააბათილა ყველა საჩივარი და

ბოსლეველი დარჩა კანცელარიის მდივნად. აქვე უნდა ვთქვათ, რომ თვით ბოსლეველიც აღტაცებული იყო გაბრიელ ეპისკოპოსის პიროვნებით: — ,,ეპისკოპოსი რომ ასეთი კაცი არ იყოს შეუძლებელი იქნებოდა აქ გაძლება'' — წერდა იგი.

სამღვდელოების (და არა მარტო სამღვდელოების) რეაქციულად განწყობილმა ნაწილმა გადაწყვიტა ბოსლეეელის ფიზიკური განადგურება, რათა საიმედო დასაყრდენი მოესპოთ გაბრიელ ეპსიკოპოსისათვის. 1885 წლის 20 მაისს მოსყიდულმა ქელბაქიანმა მოკლა სამსახურში მიმავალი ბოსლეველი. ქართველმა საზოგადოებამ გულით დაიტირა ცნობილი საზოგადო მოღვაწე. მისი დაკრძალვა რეაქციის საწინააღმდეგო მანიფესტაციად იქცა. განსვენებულს გულწრფელი სიტყვით მიმართა გაბრიელ ეპისკოპოსმაც.

ამავე დროს მუქარის წერილები მოუვიდა თვით გაბრიელს, სადაც მას სიკვდილით ემუქრებოდნენ და ეპისკოპოსის ხარისხის დატოვებას სთხოვდნენ. იმის შიშმა რომ მისი მკვლელობა ქართველებს სამარცხვინო ჩირქს მოსცხებდა, მხცოვან მოძღვარს საქართველოს დატოვება გადააწყვეტინა. საქართველოს მღელვარებისა და შეშფოთების ტალღამ გადაუარა. სასიქადულო მღვდელმთავარს გვერდით ილიას ,,ივერია'' დაუდგა. ,,ვინც იცის რა ღვაწლი მიუძღვის გაბრიელს ჩვენი ქვეყნის წინაშე, მას ამ ამბავმა თავზარი დასცა. როგორ გაბრიელი ეს ჩვენი სასიქადულო კაცი, ჩვენი ერის გულმტკივნეული მქადაგებელი, მაღალი ზნეობისა, მაღალი განათლების მქონე, რომლის სახელითაც თავს უნდა ვიწონებდეთ ყველანი ქართველნი ქვეყნის წინაშე, ჩვენგან მიდის, ჩვენ გვცილდება, ჩვენს სიავეს, უმადურებას ვერ უძლებს, მოდი და თავზარი ნუ დაგეცემა.'' ილიას მხარდაჭერამ, სხვებთან ერთად, ძლიერი გავლენა მოახდინა გაბრიელზე. გაამხნევა და საზღვარგარეთ წასვლა გადააფიქრებინა. მან გაზეთ ,,დროების'' კორესპონდენტს ასეთი განმარტება მისცა ,,როცა მჭედლიძე მოკლეს, იმ საათშივე მომივიდა წერილი, რომ მეც ამასვე უნდა ველოდო, ჩემი სულის სიმდაბლე იყო რომ შევშინდი, მაგრამ მთელი ჩემი თავისათვისაც არ შევშინებულვარ. მე ერთი ხნიერი კაცი ვარ და დიდი ხნის სიცოცხლე მაინც არა მაქვს, მაგრამ რომ მართლა მოვეკალი, რა ჩირქი დაედებოდა მთელ ხალხს, რომელმაც თავისი მოძღვარი ასე სასტიკად გაიმეტაო, ამან მაფიქრებინა ქვეყნის დატოვება, მაგრამ რადგან ვხედავ მართლა სწუხს საზოგადოება და არ სურს ჩემი მოშორება, რომ კიდეც გადაწყვეტილი მქონდეს წასვლა, მაინც აღარ წავალ და ვეცდები გადავიხადო მცირედ ეს დაუმსახურებელი პატივისცემა.

ი. გოგებაშვილის წინადადებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საერთო კრებამ ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით, 1890 წლის 21 ნოემბერს გაბრიელ ეპისკოპოსი საზოგადოების საპატიო წევრად აირჩია. ეს

მოვლენა ილიამ მღვდელმათვარს ასე სიტყვებით მიულოცა ,,თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, მოწყალეო ბატონო მამათმავარო გაბრიელ! ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგალოების საერთო წევრთა კრებამ!'' 21 ნოემბერს ერთხმად აღიარა ულრმესის პატივისცემით და გულითადის მადლობით თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადოდ და ქართული მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად და ერთხმადვე დაადგინა უმორჩილესად გთხოვოთ მიიღოთ ამ საზოგადოების საპატო წევრობა, რათა თქვენი ბრწყინვალე სახელი ჩაერთვას მისთა საქმეთა და თქვენმა მონაწილეობამ გაუადვილოს საზოგადოებას გზა მისაღწევად მისდა დანიშნულებისა.

უმორჩილესად მოგახსენებთ, რა თქვენს ყოვლადუსამღვდელოესობას ამ განაჩენს ჩვენი საზოგადოებისას, ვალად ვრაცხ ზედ დავძინო, რომ საზოგადოების გულწრფელი ნატვრაა ინებოდ მისი საპატიო წევრობა მისდა სასიქადულოდ და თავმოსაწონებლად. თქვენის ყოვლადუსამღვდელოესობის ულრმესი და უგულითადესი პატივისმცემელი თავმჯდომარე საზოგადოებისა ილია ჭავჭავაძე.''

ასეთივე ამაღელვებელი და გულწრფელი პატივისცემით იყო განმსჭვალული გაბრიელის პასუხი:,,თქვენო ბრწყინვალებავ, მოწყალეო ხელმწიფევ, თავადო ილია გრიგოლის ძევ! უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ ჩემგნით ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებას, რომ დიდ პატივად და ჯილდოდ ვრაცხ ჩემს მათგან საპატიო წევრად აღრჩევისა, ამისთვის მზადა ვარ მივილო ჯეროვანი მონაწილეობა მაგა საზოგადოებაში, რომელსაც ამისთანა მოწოდებისათვის შევწირავ უგულითადეს მადლობას. ხოლო თქვენს ბრწყინვალებას გთხოვთ მიიღოთ ჩემგან ულრმესი და უწრფელესი მადლობა თქვენს წერილში გამოთქმული პატივისცემისათვის. მე არ ვრაცხ ჩემს თავს ღირსად ამ ქებისა, რომელიც ამოვიკითხე თქვენს წერილში და ვგონებ ერთმა მხოლოდ თქვენმა მეგობრულმა ჩემდამი განწყობილებამ შეგანონათ თქვენ ამოდენა ჩემი ქება. თქვენი ერთგული და გულწრფელი პატივისმცემელი მდაბალი გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა''.

1895 წლის შემოდგომაზე ქართველ ხალხს ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის ხელმძღვანელობით საზეიმოდ უნდა აღენიშნა გაბრიელ ეპისკოპოსის დაბადებიდან 70 წელი. იუბილარის მძიმე ავადმყოფობამ ჩაშალა ეს ეროვნულ-პატრიოტული ღონისძიება. სხვა მამულიშვილების მსგავსად ილიამ გაბრიელს დეპეშით მიულოცა იუბილე: ,,გამსჭვალული გულწრფელი პატივისცემით თქვენი მოღვაწეობისადმი 35 წლის განმავლობაში ეპისკოპოსის ხარისხში ღრმა პატივისცემით მოგილოცავთ დღევანდელ დღეს''.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია და 1896 წლის 25 იანვარს იგი გარდაიცვალა. ქართველი ერი 46 დღეს გლოვობდა, როგორც ი. გოგებაშვილი უწოდებდა ,,ღვთით მოვლინებულ დიდ მწყემსმთავარს'' დ. კლდიაშვილმა, ე. თაყაიშვილმა, შ. დადიანმა და სხვებმა აღწერეს საქართველოს ,,ერთი მანათობელი ვარსკვლავის'' დაკრძალვის ცერემონიალი. ლამის მთელი საქართველო დაიძრა გელათისაკენ. დაკრძალვის დღეს ხალხი მჭიდროდ იყო შემორტყმული კუბოზე. მომსვენელები ერთმანეთს ცვლიდნენ. მსურველები იმდენად მრავალი იყო, რომ თვით ილიასაც დაუგვიანდა ცხედართან მიახლოება.

როგორ ე. თაყაიშვილი იგონებდა ,,გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედარი გელათის ეკლესიაში იყო დასვენებული, საკურთხევლის წინ ხალხი მოდიოდა, მჭიდროდ ერთტყმოდა კუბოს გარშემო და იყო გაუთავებელი სიტყვები. ამ მდგომარეობაში ვიყავით, რომ საღამო შემოგვესწრო და ილიამ გვითხრა:,, ჩემი სიტყვის თქმა აღარ ღირს, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ დაველოდით და მერე წავიდეთო''. ბოლოს ისევ მანვე გვითხრა:,,მივიდეთ და გამოვეთხოვოთ მიცვალებულსაო. მე წინდაწინ მივედი კუბოს ირგვლივ შემორტყმულ ხალხთან, რამდენჯერმე გავთიშე იგი და ხმამაღლა დავიძახე - ,,ბატონებო ცოტა ჩამოდექით და გზა მოგვეცით, ბატონ ილია ჭავჭავაძეს აქვს სიტყვა-მეთქი''. ერთი სიტყვით პროვოკაცია მოვუწყვე ილიას, ხალხი მაშინვე გაიშალა, ილია წამოდგა და წარმოთქვა სიტყვა, მას დიდი პატივისცემითა და აღტაცებით მოუსმინა ხალხმა, რომელსაც ეკლესია გაეჭედა. შალვა დადიანი გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაში ილიას მონაწილეობას შემდეგნაირად აღწერს: ,,კიდევ შევხვდი დიდ ილიას ქუთაისში, გაბრიელ ეპისკოპოსს მარხავდნენ, ეკლესიაში ვართ გელათში, უკვე მოთავდა სიტყვები სასულიერო პირებისა, რუსი ეგზარქოსისა, ეპისკოპოსებისა და სხვა. ხალხში გაისმა ილია, ილია სად არის?

ჯერ არ იწყებს სიტყვას, მესმის მისი გულის ბაგა-ბუგი, მკერდი ადის და ჩადის, ეს რა არის? შკრთა? რა სათქმელია! ეს ის არის, რომ შინაგანი მოზღვავებული სათქმელი ბობოქრობს და ეძებს თავის მხატვრულ გამოსავალსა.
დაიწყო. გარეგან თითქოს დამშვიდდა. მაგრამ გვერდი მაინც ადის და ჩადის. ისე ახლოს ვდგევარ, რომ თვალნათლივ ვხედავ. მესმის მისი გულისძგერა, ამ მკერდიდან ამომხტარი ხმები. და დაუვიწყარია ჩემთვის ეს წუთი. მე–19 საუკუნის საქართველოს ბუმბერაზის გულისძგერა მომისმენია. ესე ახლოს თითქოს შევჭრილვარ მის ლაბორატორიაში, სადაც ითხზვებოდა ჩემი თანდასწრებით ილიას ნაჭედი სიტყვები. მან დაახლოებით ასე დაიწყო ,,დიდბუნებოვანი კაცი იმითაც არის შესამჩნევი, რომ რომელი მხრიდანაც არ უნდა მოუარო, ლამაზი სანახავია''.

როგორც ვხედავთ, თვითმხილველთა მოგონებებით დაკრძალვის ცერემონიალის გვირგვინად მასში ილიას მონაწილეობა და სიტყვაც იქცა, რომელშიც დიდ მწუხარებასთან ერთად ილიასეული სიბრძნითაა გაშუქებული გაბრიელის დიდი ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე.

,,თითოეული წამი მისი ცხოვრებისა მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის, ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალსათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა. მე ამაზე ბევრს არას ვიტყვი, რადგან ბევრი უკვე ითქვა და ბევრსაც კიდევ იტყვის შთამომავლობა, რომელიც ამ საისტორიო კაცს განიკითხავს თავისი სამართლიანის განკითხვისთა''.

ახასიათებს რა გაბრიელის პიროვნებას ილია ჭავჭავაძე, მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თვისებად საერო და სამღვდელო საქმის მეცნიერებისა და სარწმუნოების ჰარმონიულ შეთავსებასა და მშვიდობის ყოფით გულში დაბინავებას მიიჩნევს— ,,განსვენებული ღრმად მიწვენილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად მორწმუნეც. აქ არის ჩემი ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა, არამც თუ მარტო ჩემთვის, სხვისთვისაც, რადგან ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიან. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა''. ილია გაბრიელის ასეთ მრავალმხრივობას ისააკ ნიუტონისა და მისებრ გენიოსების თვისებას ადარებს: ,,ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორიც ნიუტონი და სხვანი მისებრნი ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი''.

ილიას თქმით, სიბრძნესთან ერთად გაბრიელ ეპისკოპოსს ჰქონდა ღვთისაგან მომადლებული კიდევ ორი სიკეთე, რამაც იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ერის მსახურად აქცია. პირველი ის რომ იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი თავისი ერისა და მეორე, იგი სამაგალითოდ ფლობდა და იცავდა მშობლიურ ენას. ,,ღმერთმაც ვერ გაგზავნა მოციქული სხვა ქვეყნად, ვიდრე არ მოუვლინა ცოდნა იმ ქვეყნის ენისაო— ამბობდა განსვენებული— და ამიტომაც ქრისტეს ჯვარით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენი ენის მწედ და მფარველად და მისის ბაგით თვით ღმერთი მეტყველებდა და ვაი, რომ დადუმდნენ იგი ბაგენი და ვინ იცის, როდისღა გვაღირსებს ღმერთი იმისთანა კაცს, როგორიც დღეს წაგვართვა''.

ილია ხაზს უსვამს იმ დიდ სიყვარულს, რომლითაც ქართველი ერი პასუხობდა მღვდელმთავარს:,,დღეს ერი ცრემლს აფრქვევს მისთვის, ვინც მთელი სიცოცხლე იმის სამსახურში იყო, რომ თვით მოწმინდოს ერს თვალთაგან ცრემლი ნუგეშისცემითა და მადლის ფენითა''.

გაბრიელის ქართველი ერის მრავალმხრივ ინტერესებთან სისხლხორცეულად დაკავშირება ილიას საკმაოდ ძნელად შესაფასებლად მიუჩნევია- „სათქმელი ზღვაა და ან ულონოდ ვგრძნობთ თავს მის თვალუწვდენელ კიდეებს ერთბაშად თვალი გადავავლოთ მთლად და უკლებლივ, ან არ ვიცით, რომელ მხრიდან დავუწყოთ ყურება, რადგან ყოველმხრიდან დიდებულად სანახავია''.

გაბრიელის გარდაცვალებისთანავე ქართველი ერის არაკეთილმოსურნეებმა ახალი ძალით დაიწყეს გაბრიელის სპეტაკი სახელის შეურაცხყოფა. მთელმა რიგმა გაზეთებმა, მათ შორის, ,,კავკაზმა' აუგად მოიხსენიეს გაბრიელი და ნეგატიურად გააშუქეს მისი მოღვაწეობის ზოგიერთი მხარე.

გაბრიელის წმიდა სახელის შებღალვას შეეცადა თვით ისეთი ცნობილი ჟურნალისტი, როგორიც ილია ხონელი (ბასტაძე) იყო.

გაბრიელის წმიდა სახელის დასაცავად სხვა მამულიშვილებთან ერთად ხმა გაზეთმა „ივერიამ'' და პირადად ილია ჭავჭავაძემ აღიმაღლა. მოგვყავს რამდენიმე ნაწყვეტი მისი წერილიდან:,,ვაი რომ ჯერ როცა ამისთანა კაცი საფლავში არ ჩაგვისვენებია, როცა მისი წმიდა გვამი თითქოს არც გაცივებულა. ჩვენი რუსული გაზეთი ,,კავკაზი'' გვიგინებს მიცვალებულსა, მთელი საქართველოს წმიდა ცრემლში ურევს უწმინდურ დორბლს ილია ხონელისას და ზედ აყრის ჯერ არ გაცივებულს გვამსა''.

,,სტირის და გლოვობს მთელი საქართველო. მართლაც უნდა იტიროს და იგლოვოს, დაკარგვაც არის და დაკარგვაც. დღეს საქართველომ დაკარგა ერთი იმისთანა დიდებული კაცი, რომელიც არამცთუ ჩვენში, საცა ასე იშვიათია კაცურ კაცობა, სხვაგან ყველგანაც, საცა დიდბუნოვანება ადამიანისა ხშირია, იქაც კი ამისთანა კაცი სასახელოა და თავმომწონებელი მთელი ერისათვის''.

„აღარა გვყავს ჩვენი სასიქადულო, სახელგათნთქმული და სამართლიანად სადიდებელი მღვდელმთავარი, ყოვლადბრწყინვალე და პატიოსანი ეპისკოპოსი გაბრიელი''.

„როცა რომელსამე ერის სიკეთე გნებავთ დაანახოთ ვისმე, ერის აღმატებულობა დააჯეროდ სწორედ, ამისთანა კაცებს დაასახელებენ ხოლმე, აი ამ ერს ამისითანა კაცები ჰყავსო, ამისთანა კაცების ჩამოთვლით ერის ღირსებას ზომავენ''.

„ეგ კაცი ჩვენი სახელი იყო და არის. ჩვენი ღირსება იყო, არის და იქნება კიდეც, ვიდრე ქვეყანაზე სიტყვა სამართალი არ გაუქმდება''.

„თუ დიდება სანატრელი, აჰა, ისწავლეთ გზანნი დიდების შოვნისანი, ამისი მართალი გზა და ცხადი მაგალითი მთელი ცხოვრებაა ამ დიდებული და მადლიანი კაცისა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი - ვინც კარგად ემსახურება

სამშობლო ქვეყანას იგი უდიდგვაროდაც დიდიაო და აჰა იგი დიდი კაცი, პირველი ქართველი ამა ქვეყნისა".

„გაბრიელი იყო შვილი, სისხლი და ხორცი ერისა. და მაშასადამე იცოდა რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოსო, იგი მოციქულობდა ჩვენი სამშობლოს სიტყვითა. იმ ენითა, რომლითაც დღესაც ვპატრონობთ ქვეყანასა და სულსა და გულს ვაწვდენთ ერთმანეთსა საუკუნიდან საუკუნემდე. დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენდა საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელისა ხსენება მისი ჩვენდა საწვრთნელად. ყოველივე ეს დიდხანს კიდევ ისაქმებს ჩვენში და დიდხანს და დიდხანს ქართველს საბუთი ექნება თქვას, რაც მარტო დიდბუნებოვან კაცზეა თქმული: მოკვდა და თვისი ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარიო".

## იოსებ და ისიდორე ქიქოძეები

გაბრიელ ეპისკოპოსის სიბრძნე და მადლი უპირველესად მის ახლობლებსა და ნათესავებს გადაწვდა, მათ შორის, ვინც დიდი მოძღვრის მიერ ნაჩვენებ ეროვნულ-დემოკრატიულ გზას დაადგა იყვნენ საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის ცნობილი მოღვაწეები იოსებ ათანასეს ძე და ისიდორე გიორგის ძე ქიქოძეები. საქართველოს ისტორიაში ისინი ცნობილნი არიან როგორც პირველი ხალხოსნები, რომლებმაც ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილთან, მიხეილ ყიფიანთან, ნიკო ხუდადოვთან, ივანე მაჩაბელთან და სხვებთან ერთად პეტერბურგში ჩამოაყალიბეს ქართველ რევოლუციონერ ხალხოსანთა ჯგუფი. ეს ჯგუფი, პეტერბურგის რევოლუციური ქართველი სტუდენტობა, ილია ჭავჭავაძეს აღიარებდა თავის ბელადად და იდეურ ხელმძღვანელად. თავიანთი საზოგადოებრივი საქმიანობის საკვანძო საკითხებს ისინი ილიას უთანხმებდნენ და ასპარეზზე მისი ცნობილი ლექსიდან „პასუხის პასუხი" აღებული „ჩვენ უჩინონი"-ს ფსევდონიმით გამოდიოდნენ. ილიასა და აღნიშნული ჯგუფის ურთიერთობის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია მათი წერილი ნიკო ნიკოლაძესთან.

ნიკო ნიკოლაძე -გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ისევე როგორც მე–19 საუკუნის თითქმის ყველა პროგრესული მოღვაწე, განიცდიდა მეფის მოხელეებისა და რეაქციონერი ქართველების დევნას. ამ ვითარებამ ნიკო ნიკოლაძეს მე–19 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში უცხოეთში წასვლა გადააწყვეტინა. ამის თაობაზე ნიკო ნიკოლაძემ გაზეთ „დროებაში" 1873 წლის 10 ნოემბერს კორესპონდენცია „მშვიდობით, მშვიდობით" გამოაქვეყნა:

„ხვალ-ზეგ მე ხელახლად ვტოვებ დროების ნიადაგი თანამშრომლობის უმადურ და მომაბეზრებელ ღვაწლს. მკითხველს თავს როდღა მოაწყენს ჩემი ნაწერის კითხვა და მსმენელს ჩემს პიროვნებაზე, ნაწერებზე, ხასიათზე სჯის სმენა. სხვა უფრო ახალგაზრდა და გულმოდგინე მწერლები ახალ საგნებზე და მოვლენებზე წერა-კითხვასა და ბაას გამართავენ და ყველაფერს, რაც კი ალაშფოთა ან შეარყია ჩემმა ნაწერმა მიყრუების და დავიწყების მალამო წაეცხება.

როგორც მკვდრისთვის, ჩემთვისაც დადგება ჯერ მოსვენებული და პირუთვნელი სჯის, შემდეგ მალე ძლიერ მალე სრული მივიწყების დრო. დალალული, დაქანცული, ილაჯგაწყვეტილი ვტოვებ მე ჩვენი მწერლობის ასპარეზს და ჩვენი სამშობლოს ჰაერს. სრული ბედნიერებით ვეთხოვები ყველას ვინც მებრალება და მიყვარს და მტერ-მეგობრებს ნეტარებით ვეუბნები— „მშვიდობით, მშვიდობით''.

იქ ჩემს მოსვენებულ ოთახში აღმტაცი ცხოვრებით და პატიოსანი ბრძოლით გართული მე ხანდახან უსიამოვნო სიზმარივით მოგაგონებთ თქვენ ყველას ვინც ხეირიან და დაუზოგავ ბრძოლაში გამოსვლის მაგიერად ხმარობდით უსუსური ცილისწამების იარაღს, ვინც გულწრფელი ბრალის დადების წინააღმდეგ დედაბრულ შეწამებას ხელს აკლებდით, ვინც ვერ ბედავდით თქვენი სარწმუნოების საქმის, მიზნისა და მოქმედების პირდაპირ მამაცურ დაცვას და პასუხის გაცემის მაგივრად იმ ტალახით გათქერა მოინდომეთ, რომელშიაც კისრამდე ჩაფლული იყავით, ხართ და იქნებით უკუნითი უკუნისამდე. იქ ვიმეორებ, გავიხსენებ თქვენს უძლურ გამწარებას, თქვენს საბრალო მახეებს და გულდამამშვიდებელ შენდობას და მიტევებას გამოვატან მაშინ თქვენ ყველასათვის დასავლეთის მშვიდობიან და ნათელ ნიავს''.

შემდეგ ნიკო ნიკოლაძე ამტკიცეს, რომ ევროპაში ცხოვრება საქართველოსთან შედარებით გაცილებით სასიკეთო და მომხიბლავია: „ვისაც ოდესმე ჩვენში ხმა ამოუღია, ჩვენი მიძინებული საზოგადოების ფეხზე წამოსაყენებლად, ან ჩვენი გალატაკებული ხალხის სარგებლობის დასაცავად, ყველას გზაზე დახვედრია ამ კაცების ქვეშქვეშა, ჩუმი, მომწავლელი და მომხიბლავი წინააღმდეგობა და მტრობა. იმათ თავიანთ მიზნად და იარაღად არა სთვლის ჩვენი მიყრუებული ქვეყნის ამაღლებისათვის იმის მაგიერ ესენი ჩურჩულს, ცილისწამებას და დაბეზღებას ხმარობენ, რომ ამით სახელი გაუტეხონ და ფეხი მოიტეხონ. ყოველ მიმართულებას, რომელსაც მათი ჩურჩული არა სწამს და რომელიც ჩურჩულის მაგიერ საქმეს და შრომას თხოულობს.

ბინძურ მიზნებს გვაწერენ. თავიანთ სურვილს და მოქმედებას ჩვენ თავზე გვახვევენ, უსირცხვილოდ, შეუპოვრად, აშკარად მთელი საზოგადოების წინ. კაცი, რომელმაც ღვიძლი ძმა გაძარცვა, ჩვენ მძარცველს გვეძახის, ვინც ბანქოში შულერობით

ფული მოიგო, ჩვენ გაიძვერას გეიწოდებს, ვინც მკითხველისთვის ძუძუმწოვარი და უნახავი ქალი შეირთო, ჩვენი პირადი სარგებლობის ძიებას გვწამებს, ვინც უფროსის ლოცვით ადგილი დაიმსახურა. ჩვენ უფროსების მორიდებას გვაწერს, ვინც თავისი მარწმუნებელი გასცა, ჩვენზე ამბობს, სანდო კაცები არ არიანო. და ვინც ქურდობს – ჩვენ ქურდის სახელს გვარქმევს.

მაშ, გტოვებთ გულდამშვიდებული, გულმობიერად შევინდობთ ყველაფერს რაც თქვენ ჩემს წინააღმდეგ გიბაიყუშნიათ და გესალმებით თუ სამუდამოდ არა, გვარიანი ვადით მაინც, მშვიდობით ნახვამდის".

პეტერბურგში მყოფი ილია ჭავჭავაძე როგორც კი ხსენებულ წერილს გაეცნო იმავე წლის 6 დეკემბერს ნიკო ნიკოლაძეს წერილი გამოუგზავნა: „ძმაო ნიკო! წავიკითხე შენი გამოსალმება, წავიკითხე, მაგრამ წაკითხულის აქამდისაც არა მჯერა. ნუთუ მართლა შენ დასწერე ის, რასაც შენი გვარი სახელად აწერია ქვეშ? ნუთუ მართლა შეუშინდი ქია-ქუებს და იმათ ბზუილზე დაფრთხი? მე იმოდენად პატივსა გცემ, რომ იმის დაჯერება არ მინდა, რასაც შენ ეგრე გაცხარებით გვაჯერებ. არ დავიჯერებ, რომ შენისთანა საიმედო კაცი მაგისთანა სულმოკლეობამ დაიბრიყვოს. მე მგონია, რომ ეგ ფელეტონი წუთიერის მღელვარების შედეგია და არა დამჯდარი გონების დასკვნა. წუთიერი მღელვარებით გატაცება შენისთანა მდუღარე კაცის თვისებაა. მარტო ამით თუ გაამართლებ შენს ფელეტონს, თორემ სხვა გასამართლებელი არა მაქვს რა.

ვის ესალმები და რას ესალმები? სად მისვალ, სად? იქაო ამბობს შენი ფელეტონი, საცა უკეთესი ცხოვრებააო. არაერთი მითხარი მაგას ლუარსაბ თათქარიძეც კი ვერ იზამდა. ვითომ რა არის მანდ საკვირველი, არაფერი გარდა ერთისა: მანდ საკვირველი ის არის, რომ შენისთანა კაცი ბრძოლას ექცევა და თბილ ოთახში აპირებს გადაგორ-გადმოგორებასა. მერე იცი, რა კბილი ჩავარდება იმ რაზმს, რომელშიც შენ ფალავნად ვევგულებოდი, ყველას ვინც კი შენი თანაზიარი იყო. ჯერ რიგიანი ბრძოლაც არ გამართულა და შენ ახლავე გინდა თავს უშველო. ეგ ვერაფერი ძალგულოვნებაა. განა წინათვე არ იცოდი, რომ იმ გზაზედ, რომელსაც შენ დაადექ, ათასი ვაი-ვაიგლახი, ბეზღი, ცილი, ლანძღვა და თრევა დაგხვდებოდა, ჯილდო შენი შრომისა და მოღვაწეობისა? ეგ ამბავი არ ახალია, ძველია. ვითომ რად გიკვირს, რომ მოსალოდნელი მოვიდა და რად არ გიხარიან, რომ იმოდენა ძალი გქონია, რომ მკვდრებიც კი ააყენე. მეტი რა გინდა? ძალიან ჰყარსო ჩივი შენ. მძოვრი ყოველთვის ყარს და მაშინ როცა სადგისს ჩასჩხვლეტ. დავიჯეროთ, რომ ესე ყოველი შენ წინადვე არ გცოდნოდეს? და თუ იცოდი ესეთი მოულოდნელი რა დაგვხდა მაგ უმადურს ველიან გზაზედ, რომ

როგორც მხდალი ისე დაგაფრთხო? ექცევი რას და ვისა? შენს ქვეყანას, შენს შრომას, შენს მეგობრებასა და თანა მოწიარეთა. ნუთუ კაცობა იყოს ეგე? რას შვრები რასა? შენ მაგით ისეთ სირცხვილს იღებ თავზე, რომ ვერაფრით ჩამოირეცხავ შემდეგში. პირმოთნეობაში ნუ ჩამომართმევ და მე შენ პატივსა გცემდი, როგორც ნიჭიანს, რიგიანს, გამბედავს და დაუშრომელს მოღვაწესა, როგორც კაცსა, რომელზედაც კაცური კაცის თვალი იმედით შეჩერდებოდა და რომელთანაც დამეგობრება და ერთად ულელში შებმა სახარბიელოა.

თუმცა ჩვენ „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა" ერთმანეთი ისე არ გაგვიცვნია, რომ სული სულში გაგვეყაროს, მაგრამ იმოდენად კი გიცნობ, რომ არ დავიჯერო იგი ცილი, რასაც შენს თავს ეგრე მოურიდებლად და წინდაუხედავად შენვე სწამებ. ვითომ შენ ეგ იყო, რასაც შენი ფელეტონი, შენდა საუბედუროდ ამბობ! არა და ათასჯერ არა!

შენ ჩემს თვალში ისეთი კაცი ხარ, რომლის გულშიაც კაცი თუ მონახავს მადანს, ის იპოვის,— ამის გამო აი რას გთხოვ: თუ მართლა გიყვარს ის რისთვისცა ეგრე თამამად და უშიშრად იღვწოდი, თუ ის ყოველიფერი, რითაც შენ მოსაწონი ხარ, ქარმოტანილი არ არის, ნუ აღასრულებ მას, რასაც გვიქადი დარჩი მაგ უბედურს ქვეყანაში, მაგრე სამარცხვინოდ ბოლოს ნუ მოუღებ მას, რაც ეგრე რიგიანად შენ თვითონვე დაიწყე. დარჩი და იშრომე — და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვნაში, რომ მარტო უბედურთ უნდა შველა და არავის სხვასა. კვლავ მოჰკიდე ხელი შენს პატიოსანს საქმეს და შენ, ჩვენ მოძმეს, ცოტაოდნად წაბარბაცებულს გაპატიებთ წუთიერ სისუსტეს და სულმოკლეობას და თვით შენს შეურაცხმყოფელს ფელეტონს დავიწყებას მივცემთ. თუ ამას არ იქმ, მაშინ გეტყვით; ეჰ, ქარის მოტანილი ყოფილხარ და დე ქარმავე წაგიღოს, გეტყვით ამას და გულში ერთი ძარღვი ჩაგვწყდება.

თუ შენ ის სკანდელი ხარ, როგორიც იყავი, მაშინ მიხვდები, რა სურვილი და რა გრძნობა მაწერინებს ამ წერილსა. დასასრულ ამას გეტყვი, რომ ქართველი გამოსალმების დროსაც ერთ მშვენიერ სიტყვას ხმარობს– „გამარჯვებითო". მაგრამ ვინც ბრძოლიდან გარბის: იმას „მშვიდობითო" ეტყვიან. მსურს რომ შენ ისე მოიქცე, რომ შეგვეძლოს შენთვის თქმა: „გამარჯვებით" და არა „მშვიდობით"— ილია ჭავჭავაძე.

1873 წლის 28 დეკემბერს გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნდა წერილი „წიგნი რედაქტორთან", რომელიც ნიკო ნიკოლაძის გადაწყვეტილების კიდევ ერთ გამოხმაურებას წარმოადგენდა: „დროების" 45-ე ნომერში ჩვენ წავიკითხეთ ფელეტონი უფ. სკანდელისა, რომლითაც ის სამუდამოდად თუ არა გვარიანი ვადით მაინც ეთხოვება ჩვენს სამშობლოს და ჩვენს ლიტერატურას. ის თავს ანებებს თავის

ნამცეცა მტრებს, თავის პაწაწა წინააღმდეგობებს და მიეშურება იქით, სადაც შეიძლება ხელახლავ თავის ძველ ამხანაგებში გაბმა, სადაც სულს მოიბრუნებს ახალს უფრო რიგიანს და უფრო განათლებულ საზოგადოებაში და სადაც გულიდან გადაიყრის ჩვენს ქვეყანაზედ ზრუნვასა და ფიქრს.

ყოველი პირი ვისაც ჩვენი ახლანდელი ლიტერატურისათვის თვალყური უდევნებია და ვისაც უფ. სკანდელის სტატიები უკითხავს, ის შეამჩნევდა, რომ სკანდელმა დიდი ღვაწლი და შრომა დასდვა ჩვენს ლიტერატურას და ცდილობდა გაეღვიძებინა ჩვენი მიძინებული საზოგადოება, სცდილობდა მიექცია მისი ყურადღება საზოგადო საქმეებზედ. ყოველი ამგვარი პირი ამ ფელეტონის წაკითხვის შემდეგ კითხულობს: რა არის მიზეზი, რომ უფ. სკანდელი ასე უცბათ თავს ანებებს თავის ამდენ სასარგებლო შრომას. როგორც ამ ფელეტონიდან სჩანს, აი ეს მიზეზი. უფ. სკანდელს სწყენია, რომ ზოგიერთნი მისი ნაცარქექია მოპირდაპირენი აშკარა და პირდაპირი ბრძოლის მაგიერ მოპოყლიან ცილისწამებას, საზოგადოებაში ყაყანს, რომ სკანდელი და მისი თანამოაზრენი გაიძვერანი, მტაცებელნი და თავის სარგებლობის მაძიებელნი არიანო.

მართლა რომ გასაშტერებელია. ნუთუ უფ. სკანდელი ლიტერატურის ასპარეზზეც როცა გამოდიოდა, ნუთუ როცა ის საზოგადო საქმეს ხელსა ჰკიდებდა,– ამისთანა წინააღმდეგობას არ მოელოდა? როდის ან რომელ ქვეყანაში მომხდარა, რომ საზოგადო საქმეში გართულ კაცს, საზოგადოების რიგიან გზაზედ დაყენების მოცადინეს მრავალი სულმდაბალი მტერი არ გამოსჩენოდეს? ვისაც პატიოსანი საქმის სამსახური ძვალ–რბილში გასჯდომია, ის უექველა ამგვარ პირთ ცილისწამებას ყურსაც არ ათხოვებს და თავის საკეთილო აზრს უფრო მტკიცედ დაადგება. საზოგადოების მომეტებული ნაწილი სწორედ რომ ამ უსინდისო გვამთაგან, რომელთაც სკანდელი იხსენებს, მაინც იმავე საზოგადოებაში ისეთი პირნიც მოიპოვებიან, რომელთაც შეეძლებათ თანაუგრძნონ ხეირიანს და საზოგადოებისათვის სასარგებლო განზრახვასა. უფ. სკანდელი უარს ვერ იტყვის, რომ ჩვენში ამგვარნი პატიოსანნი პირნი არ არიან.

მაშ რა გვეთქმის იმისთანა კაცზე, რომელიც კარგ აზრებს ავრცელებდა ხალხში და მერე კი უცებ ჰკრა ფეხი და თავი მიანება ყოლისფერს, რისთვისაც უწინ შრომობდა. ცხადია, რომ ეს ადამიანი ან სულმოკლე უნდა იყოს, ან უწინდელი მისი შრომა მხოლოდ თავის გამოსაჩენი ბაქი-ბუქობა ყოფილა.

უფ. სკანდელი ამბობს, რომ ჩემს სამშობლოს თავს ვანებებო და მივდივარ იქ სადაც ჩემს უწინდელ მეგობრებს შევებრები, ახალ წრეში გავებმებით და ზნეობით და ჭკუით განვითარებულ საზოგადოებაში ფეხს ჩავდგამო. იქ ჩვენებურს იქ მყოფს ახალგაზრდობას დავუხატავო, რა რიგად საზღვარგარეთელი საზოგადოება საქართველოს საზოგადოებაზედ მაღლა დგასო. ისტატი მაშინ არის ხაქირო,

როცა სწავლა გჭირდება რისამე. მაშ რა საჭიროა უფ. სკანდელის ქადაგება ჩვენი და საზღვარგარეთელი საზოგადოების შუა განსხვავებად? დარწმუნებული უნდა იყოს უფ. სკანდელი, რომ ყოველმა მოსწავლე-ახალგაზრდამ კარგად იცის ისა, რისაც სწავლებას ის უპირებს. მაგრამ ისიც ყველამ კარგად იცის, რომ პატიოსანი აზრის და მიმართულების პირნი ჩვენში უფრო საჭირონი არიან, ვიდრე საზღვარგარეთ.

თუ ეს უგვარო საქციელი და ასე წინდაუხედავად საქმისათვის თავის დანებება უფ. სკანდელს გულდაჯერებით განუზრახავს და გულის აფეთქება არ არის. მაშინ ჩვენდა სამწუხაროდ პირდაპირ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თავიდანვე იგი სულით და გულით არ ჩასჭიდებია ამ საქმეს, რომლისთვისაც ის ისე გაცხარებული იბრძოდა და რიგიანადაც იბრძოდა.

თუ ხსენებული ფელეტონი დამჯდარი გონებით მოსაზრულია, მაშინ ჩვენც გულუმტკივნელად გამოვეთხოვებით უფ. სკანდელს და ვეტყვით: „მაშ თუ ეგრეა, მშვიდობით და მშვიდობით!" ჩვენ უჩინონი პეტერბურღი 8 დეკემბერი. 1873 წელი.

ქართველ საზოგადოებას ეს წერილი რადგანაც იგი „ჩვენ უჩინონის" ხელმოწერით დაიბეჭდა, ილია ჭავჭავაძის ნააზრევად მიუჩნევია. ასე ფიქრობდა თვით ნიკო ნიკოლაძეც. რადგანაც შავი ნაწერი, რომელიც გადასცეს მას, ილია ჭავჭავაძის მიერ იყო შესწორებული. მხოლოდ კარგად ხნის შემდეგ პავლე ინგოროყვამ დაადგინა „ჩვენ უჩინოთა" ნამდვილი ვინაობა. ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში დაცულ კირილე ლორთქიფანიძის არქივში პავლე ინგოროყვამ მიაკვლია წერილს, რომელიც ნათელს ჰფენს საიდუმლოებას: „რედაქციასა ვთხოვთ ეს შენიშვნა (წიგნი რედაქტორთან) შეუცვლელად დატოვოს. ჩვენ თავს ჩამოვთვლით: ე. იოსელიანი, ლ. ჩერქეზიშვილი, ნ. ხუდადოვი, კ. ნაცვლიშვილი, გ. ზდანოვიჩი, რ. ფავლენიშვილი, ვ. ვართანოვი, ის. ქიქოძე, იოს. ქიქოძე. ი. კოპაძე. მ. ყიფიანი, ქ. ფურცელაძე. დ. ფურცელაძე. დ. ნაზარიშვილი, ს. კანდელაკი. ა. გამყრელიძე. ი. წეროძე. ა. მირზაშვილი და ივ. მაჩაბელი. თუ ცენზორი ამ სტატიის ავტორს მოიკითხავს, რომელიც გსურდეთ ამ ჩამოთვლილებში ის წარუდგინეთ."

„ამრიგად დასტურდება—დაასკვნის პ.ინგოროყვა—რომ სტატია კოლექტიურია. სტატიის ავტორები არიან პეტერბურღელი სტუდენტები, ხოლო დიდად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ავტორები შეადგენენ ერთ გარკვეულ ჯგუფს სტუდენტებისას,—ისინი არიან რევოლუციური სტუდენტობა, ხალხოსნები. თითქმის ყველანი პროფესიონალი რევოლუციონერები იყვნენ. ამიტომ გასაგებია ამის შემდეგ შეურიგებლობის ის სული, რომლითაც აღბეჭდილია მათი წერილი".

„ჩვენთა უჩინოთა" დაწვრილებით დახასიათებას არ შევუდგებით მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ მათი უმრავლესობა ფართოდ ცნობილი პიროვნებები იყვნენ. აღვნიშნავთ

მხოლოდ, რომ გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილი იყო სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი ხელმძღვანელი. ამავე ორგანიზაციის აქტიური წევრები იყვნენ ევნატე იოსელიანი და ანთიმოზ გამყრელიძე. ცნობილი საზოგადო მოღვაწე გახდა ექიმი ნიკო ხუდადოვი, რომელმაც თბილისში შექმნა ტუბსაავადმყოფო და იქვე გააშენა ტყე, რომელიც დღესაც მის სახელს ატარებს. ივანე მაჩაბლის წარდგენა საზოგადოებას არ სჭირდება.

იოსებ ათანასეს ძე ქიქოძე გახლდათ გაბრიელ ეპისკოპოსის ძმისშვილი, რომელმაც 1875 წელს დაამთავრა პეტერბურგის სატყეო აკადემია, ხოლო ისიდორე გიორგის ძე ქიქოძე, ასევე გაბრიელის ახლო ნათესავი, იმავე პერიოდში რევოლუციური საქმიანობისათვის გაირიცხა პეტერბურგის სამედიცინო აკადემიიდან.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისიდორემ და იოსებმა გააგრძელეს რევოლუციური საქმიანობა. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ისიდორემ. მან 1875 წელს მიხეილ ყიფიანთან ერთად ქუთაისში ჩამოაყალიბა საქართველოში ხალხოსანთა პირველი რევოლუციური ორგანიზაცია.

შემდგომში ხალხოსნობა სწრაფად გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მათ შორის განსაკუთრებით ოზურგეთის მაზრა გამოირჩეოდა, რაშიაც დიდი წვლილი იოსებ ქიქოძეს მიუძღოდა, რომელიც იმჟამად გურიის მეტყევედ მუშაობდა. შვეიცარიაში დაბეჭდილ ბათუმიდან შემოტანილ რევოლუციურ ლიტერატურას ნასაკირალის ტყეში ჩაფლულ ქვევრებში მალავდნენ. შემდეგ ნაგომრის გზით სამტრედიაში მიჰქონდათ და რუსეთის სხვადასხვა მხარეში აგზავნიდნენ. ისიდორე ქიქოძეზე ძებნა გამოცხადდა. მისი ნათესავების ოჯახებს თვეში რამდენჯერმე ჩხრეკდნენ.

როგორც ქართველი ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი იგონებს, ევნატე იოსელიანის მახლობელმა იაგორ იოსელიანმა გასცა ხალხოსნური მოძრაობა. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები. დაიჭირეს ვასილ სამადაშვილი, ვასო დეკანოზიშვილი, ევნატე იოსელიანი, მიხეილ ყიფიანი, რომან ფავლენიშვილი ( იგი გადასახლებაში ჭლექით გარდაიცვალა). დაიჭირეს დავით ფურცელაძეც, რომელსაც ბრალად პეტერბურგში ხალხოსნურ ორგანიზაციაში მონაწილეობა და ქიქოძესთან ურთიერთობა წაუყენეს. პოლიცია განსაკუთრებული გულმოდგინებით ისიდორე ქიქოძეს დაეძებდა. იგი რევოლუციურ მოძრაობაში ცნობილი იყო „მეტრუკის" ფსევდონიმით. იოსებ ქიქოძის სიმამრის პოლკოვნიკ პლატონ მიქელაძის ხელშეწყობით იგი თურქეთში გადავიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ პლატონ მიქელაძე გახლდათ მარიამ მიქელაძე-ორახელაშვილის მამა და მამია ორახელაშვილის სიმამრი. ასე რომ, ეს ცნობილი ადამიანები სოფელ ბახვთან ნათესაურად იყვნენ დაკავშირებულნი. ისიდორე ქიქოძე რუსეთ-თურქეთის ომის დროს თურქეთის ჯარში სანიტარულ

ნაწილში მსახურობდა. შემდგომში იგი რევოლუციურ მოძრაობას თანდათან ჩამოშორდა და სოფელ ბახვში დამკვიდრდა.

რაც შეეხება იოსებ ქიქოძეს, მან მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს ტყეების დაცვის საქმეს შესწირა და ღრმა კვალიც დატოვა.

ი. ქიქოძის მოღვაწეობაში შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი მიმართულება:

1. დასავლეთ საქართველოს ტყეების ტაქსაციური აღწერა და ერთიან სისტემაში მოყვანა.

2. კერძო მფლობელთათვის ტყეების პირწმინდა გაჩეხვის აკრძალვა ან მაქსიმალურად შემცირება.

3. კერძო მფლობელთა მიერ უკანონოდ მიტაცებული და სადაო ტყეების სახელმწიფო მფლობელობაში გადაყვანა.

უკანასკნელი პუნქტის განხორციელებას ისიდორე ქიქოძე ისეთი გულმოდგინებით შეუდგა, რომ მან არა თუ კერძო მფლობელებსა და ბიუროკრატ სახელმწიფო მოხელეებს შორის, არამედ კოლეგებშიაც კი მტრები გაიჩინა. ქიქოძის შეურაცხმყოფელი წერილები ქვეყნდებოდა პრესაშიც.

ისიდორე ქიქოძე მრავალმხრივ სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა. 1890 წელს მან გაბრიელ ეპისკოპოსის მატერიალური შემწეობითა და სოფელ ბახვის საზოგადოების უშუალო მონაწილეობით გამოიყვანა წყლის არხი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ოზურგეთის მაზრის 24 სოფლის კეთილდღეობა.

მან მეუღლესთან, ნატალია მიქელაძე-ქიქოძესთან ერთად სოფელ ბახვში მოაწყო აბრეშუმის გამოსაკვები, პარკის გადამამუშავებელი და მზა პროდუქციის დამამზადებელი საამქრო, რომელიც იმდენად მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებდა, რომ სხვადასხვა გამოფენებზე მრავალი მედალი და სიგელი აქვს მიღებული.

1894-95 წლებში, შედიოდა რა სოხუმის ოკრუგის სამიწათმოქმედო კომისიაში, მან სასარგებლო მუშაობა ჩაატარა აფხაზეთში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჭაობების ამოშრობასა და ამოშრობილი მიწების ათვისებაში.

თითქმის 30-წლიანი ბრძოლა დაჭირდა იოსებ ქიქოძეს სახელმწიფო მოხელეებთან და ჩოხატაურელ ტყის მფლობელებთან, რათა კურორტ ბახმაროს ტყეები გადაერჩინა პირწმინდა გაჩეხვისაგან. განაწყენებულმა ტყის მეპატრონეებმა იოსებს ტერორი მოუწყვეს. იგი ტყის მცველების თალაკვაძისა და ჯაბუას ერთგულებამ გადაარჩინა.

გარდა საქართველოს ტყეების თავგამოდებული დამცველისა, იოსებ ქიქოძე ყურადღებას იმსახურებს როგორც პოეტ ვლადიმერ მაიაკოვსკის ოჯახის მეგობარი. ვლადიმერ მაიაკოვსკის მამა ვლადიმერ კონსტანტინეს ძე და ბიძა მიხეილ

კონსტანტინეს ძე მეტყევეები იყვნენ და მთელი თავიანთი ცხოვრება საქართველოს ბუნების დაცვას მოახმარეს.

პოეტის მამამ, რომელიც თითქმის ორი ათეული წელი ბაღდადის მეტყევედ მუშაობდა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქუთაისისა და ბაღდადის მოწინავე საზოგადოებასთან. ერთ-ერთი მათგანი ვისაც მაიაკოვსკებთან სამსახურეობრივი მდგომარეობა და პროგრესული აზრები აკავშირებდა, იყო ქუთაისის გუბერნიის სატყეო რევიზორი იოსებ ქიქოძე. მამა-ვლადიმერ მაიაკოვსკი და იოსებ ქიქოძე ოჯახებითაც ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. მამა-ვლადიმერს მთელი არსებით უყვარდა საქართველო. მთელმა ოჯახმა ჩინებული ქართული იცოდა. იგი იმდენად კარგად იცნობდა ქართულ ადათ-წესებს, რომ წვეულებებზე ხშირად თამადადაც კი ირჩევდნენ. რაც შეეხება პოეტის სიყვარულს საქართველოსადმი იგი საყოველთაოდ ცნობილია და მასზე აქ საუბარი უხერხულად მიგვაჩნია.

ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა დიდი პოეტის მომავალი. იქნებ იგი მთლიანად საქართველოსთან ყოფილიყო დაკავშირებული, რომ მეტად სამწუხარო მოვლენას არ შეეცვალა მაიაკოვსკების ცხოვრების გზა. 1906 წლის 19 თებერვალს მოულოდნელად გარდაიცვალა ოჯახის უფროსი, ბაღდადის მეტყევე ვლადიმერ მაიაკოვსკი. ერთად-ერთი მარჩენალის გარდაცვალების შემდეგ ოჯახი მძიმე ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა. ცარიზმის რეაქციონერ მოხელეებს სიცოცხლეშიაც არ მოსწონდათ დემოკრატიულად მოაზროვნე ვლადიმერ მაიაკოვსკი. ოჯახს მხოლოდ ათი მანეთის პენსია დაუნიშნეს, რასაც ოდნავადაც არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნა. ვლადიმერ მაიაკოვსკის მეუღლე ალექსანდრა ალექსის ასული პავლენკო-მაიაკოვსკაია სამ შვილთან ერთად იძულებული გახდა საცხოვრებლად მოსკოვში გადასულიყო.

მძიმე განსაცდელის ჟამს იოსებ ქიქოძემ არ გაივიწყა მეგობრის ოჯახი. იგი მას შესაძლებელ ეკონომიკურ და მორალურ დახმარებას უწევდა. ქიქოძემ დახასიათება-პატაკით მიმართა ქუთაისის გუბერნიის მიწათსარგებლობისა და ქონებათა სამმართველოს უფროსს პაკვალენს მაიაკოვსკის ოჯახისათვის გაძლიერებული პენსიის დანიშვნის შესახებ. აი, ეს წერილიც:

„ბაღდადის მეტყევე მაიაკოვსკი, გარდაცვლილი ამა წლის 19 თებერვალს. 16 წელი უმწიკვლოდ ემსახურა სატყეო საქმეს, დატოვა სიკვდილის შემდეგ სამი შვილი და ცოლი ცხოვრებისათვის საჭირო ყოველგვარი სახსრების გარეშე.

გამოირჩეოდა რა სამსახურეობრივი შემსრულებლობით, სიმარდით ტყეების შემოვლისას, განსაკუთრებული ფიზიკური ძალითა და ჯანმრთელობით, იგი მუდამ მზად იყო ყოველგვარ სიტუაციაში გამგზავრებულიყო უბანში, რაშიაც მე ხშირად დავრწმუნებულვარ. ამიტომ ის ყოველთვის თავის დროზე უსწრებდა ტყის ხანძრებსა და უნებართვო ჭრებს.

უდიდესი ამაგი და შრომა ჩააქსოვა მან ბაღდადის სატყეოში ტყესაზიდი გზების მოწყობაში. არ ზოგავდა თავის ჯანმრთელობას სამსახურეობრივი მოვალეობის გულმოდგინედ შესრულებისათვის. ის თვითონვე ზიანს აყენებდა და არყევდა საკუთარ ჯანმრთელობას და სწორედ ეს გახდა მიზეზი მისი უდროოდ გარდაცვალებისა. ის გარდაიცვალა 48 წლის ასაკში. თუმცა ზოგიერთები ამბობენ, რომ მისი სიკვდილის მიზეზი იყო სისხლის მოწამვლა, გამოწვეული ნემსის ჩხვლეტით, მიღებული ფოსტით გასაგზავნი წერილების შეკვრისას. ზოგიერთები კი ამ ნაადრევ სიკვდილს მიაწერენ ზნეობრივსა და მორალურ სასჯელს, რომელსაც იგი განიცდიდა არეულობისა და სახელმწიფო მოხელეთა დევნის შედეგად.

განსვენებული სათნო გულის გამო ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა გლეხობას და ითვლებოდა ხალხის რჩეულ პირად. ამიტომ იყო, რომ მას ირჩევნენ ბაღდადის სანიტარულ კომისიაში და სკოლების მომწყობი კომისიის წევრად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მე უმორჩილესად ვთხოვ სამმართველოს დროულად აღძრას შუამდგომლობა, მაიაკოვსკის ოჯახისათვის გაძლიერებული პენსიის დანიშვნის შესახებ, რადგანაც. როგორც ჩემთვის ცნობილია მათ, ვ.კ. მაიაკოვსკის გარდაცვალების შემდეგ, ცხოვრების არავითარი სახსარი არ დარჩენიათ. უფროსი ქალიშვილი სწავლობს მოსკოვის სტროგონოვის ტექნიკური ხატვის სასწავლებელში. უმცროსი ქალიშვილი  ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში. უმცროსი ვაჟი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მეორე კლასში. ყველა ისინი სწავლობენ საუცხოოდ და ბრწყინვალე იმედებს იძლევიან. მაგრამ თუ კი მათ დროზე არ ექნათ აღმოჩენილი მატერიალური დახმარება, მაშინ ბავშვები იძულებულნი იქნებიან მიატოვონ სასწავლებელი და გადაეშვნენ სამოწყალო ცხოვრების მორევში.  სატყეო რევიზორი ი. ქიქოძე"

როგორ ვხედავთ, პატაკში ი. ქიქოძე იძლევა გარდაცვლილის შესანიშნავ დახასიათებას. მოკლედ, მაგრამ ამომწურავად გადმოგვცემს იმ მნიშვნელოვან დამსახურებას, რომელიც ვლადიმერ კონსტანტინეს ძე მაიაკოვსკის  მიუძღვის საქართველოს ტყეების დაცვაში. იგი თვალნათლივ გვიხატავს იმ დიდ ტრაგედიას, რომელიც მისი მეგობრის ოჯახმა განიცადა. იოსებ ქიქოძის ამ წერილში ირეკლება იმ ღვთიური სიკეთის კვალი, რომელიც მასში დიდმა ბიძამ გაბრიელ ეპისკოპოსმა გაავლო.

## ტიტე ქიქოძე

ილიასთან მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა კიდევ ერთი ბაჩველი ქიქოძე– კავკასიის საოლქო მთავარი სამხედრო ექიმი და საკმაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე გაბრიელის ძმისშვილი ტიტე სიმონის ძე ქიქოძე. ტიტე იყო პირველი ქართველი ექიმი, რომელმაც მოსკოვში დაიცვა დისერტაცია თემაზე „სისხლის ანატომია ჰნევმონიის დროს." იგი ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა მე-19 საუკუნის ქართველ მოწინავე საზოგადოებასთან. საკმარისია ითქვას, რომ იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა თხოვნით მძიმე ავადმყოფ ეგნატე ნინოშვილს ტიტე ქიქოძე სრულიად უსასყიდლოდ მკურნალობდა. იგი იყო ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარი და პირადი ექიმი. მათ ახლო ურთიერთობაზე მეტყველებს ილიას მიერ უცხოეთიდან მისთვის ჩამოტანილი საჩუქრები, რომელიც ინახება მის მემკვიდრეთა ბინაზე, ქ. თბილისში. მის სახლში ცხოვრობდა არტურ ლაისტი, გერმანელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც ასევე ახლო ურთიერთობაში იყო ილია ჭავჭავაძესთან.

საყოველთაოდ ცნობილია კიდევ ერთი ბაჩველი ქიქოძის გამოჩენილი მწერლის, კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის გერონტი ქიქოძის დიდი წვლილი ილიას ლიტერატურული მემკვიდრეობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შეფასებაში და მასზე აქ ჩვენ შეგნებულად არას ვიტყვით.

## აკაკი და გაბრიელ ეპისკოპოსი

დიდი ქართველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, ქართველების ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისათვის თავდადებული მებრძოლი აკაკი წერეთელი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ფაქიზი გრძნობებითა და სიყვარულით თაყვანს ევლებოდა ყველა იმ მამულიშვილს, ვინც ამ საშვილიშვილო საქმეს ემსახურებოდა. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლდათ წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი.

აკაკი ჭაბუკობიდანვე ეზიარა გაბრიელის სიბრძნეს.

გაბრიელის თავგამოდებულმა მოღვაწეობამ ღვარძლით აღავსო და აღაშფოთა მოშურნეები, რომლებიც ცდილობდნენ შეებღალათ მისი უმწიკლო სახელი. ამან ახალგაზრდა აკაკის ყურადღებაც მიიქცია ამ გარემოებამ ისე მომწყვიტა წელი, რომ

ჩემი იდეალი შეიცვალა. შორს გაიტყორცნა და რაც კი ჭორი გამეგონა მის შესახებ სუყველა დავიჯერე. დავსწერე გასაკიცხი წერილი და ვაპირებდი „დროების" რედაქციაში გაგზავნას დასაბეჭდათ!

აკაკის მართლაც დაუწერია გაბრიელის საწინააღმდეგო წერილი, მაგრამ ამ დიდი ადამიანისადმი სიყვარული და მოწიწება მაინც იმდენად დიდი ყოფილა ვერ გაუბედნია მისი რედაქციაში გაგზავნა გაბრიელ ეპისკოპოსისათვის გაცნობის გარეშე.

როგორც თვით აკაკი იგონებს, მას ბრაზმორეული საყვედურებით მიუმართავს გაბრიელისათვის, გაბრიელს ჩვეული სიმშვიდით მოუსმენია, შემდეგ კი ღიმილით უთქვამს:

"ძალიან მომწონს ეს შენი აღელვება და მიხარია, რომ საზოგადო საქმის ტრფიალმა და არა საპირადომ იქამდის მიგიყვანა, რომ მოთმინებიდან გამოგიყვანა– ღმერთმა ქნას, საზოგადო საქმეების გამო თავგამოდება ზნედ გადაგცეოდეს! ეგ აჩქარება, თავშეუკავლობა, ცოტა წინდაუხედაობა და ამგვარი რამ შეცდომები ქერ-წილია რომელსაც დრო გააცლის და გამოცდილება დახვეწავს შენს ხანში სწორედ მეც მაგრე ვიყავი, მაგრამ დღეს კი ისე რომ მოვიქცე არ შემშვენის."

შემდეგ გაბრიელს მოთმინებით აუხსნია თუ რატომ სდევდნენ ბოროტი და რეაქციული ძალები ბრალს მის მოქმედებას, როგორ იგებდა ამას მოსახლეობის სხვადასხვა ფენები და სათანადო არგუმენტებითა და ფაქტებით დაუმტკიცებია თავისი მოქმედების სისწორე და თანაც დაუძენია: „აი ეს არის ჩემი აზრი და შეხედულებანი შენ როგორც გინდოდეს ისე მოიქეცი, გინდ გააგზავნე სტატია დასაბეჭდად და გინდ არაო."

ქვეყნის სამსახურში ახლადჩამდგარ აკაკიზე გაბრიელის საუბარს დიდი გავლენა მოუხდენია. რა თქმა უნდა აკაკიმ წერილი „დროებაში" არ გააგზავნა.

ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელ საქმეში აკაკიმ უმთავრეს ყურადღებას ერის სულიერი მდგომარეობისა და თვითშეგნების ჩამოყალიბებას უთმობდა. ამიტომ დაბეჯითებით მოითხოვდა სასულიერო და საერო სასწავლებლების ქსელით საქართველოს დაფარვას და ეკლესიებიდან ურწმუნო, მექრთამე, გაიძვერა მღვდელმთავრების განდევნას.

აკაკის მხედველობიდან არ გამორჩენია, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარება „ყოვლად სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსმა მოინდომა და ისეთის საოცარის მხნეობითაც ეჭიდება! ეს ისეთი მოვლენებია, რომ ყველა ალტაცებით უნდა მივეგებოთ ვინ არ ხედავს, რომ ჩვენი ხალხი სწავლასა თხოულობს, მაგრამ სასწავლებლების უქონლობის გამო სამი წილი უპატრონოთა რჩება! ვის არ უნახავს ის საზარელი და გულის გამხეთქი სურათი, როდესაც ყმაწვილები ტირილითა და მოთქმით ბრუნდებიან

უკანვე თავიანთ სახლებში? ან სულ მტკნარი გიჟი უნდა იყოს კაცი, ან ყოვლად ბოროტი, რომ ჩვენში სასწავლებლების გამრავლება არ ისურვოს! მაგრამ ჰოი საკვირველებავ, გამოჩნდნენ დღეს მისთანა პირები, რომლებიც ხელს უშლიან ეპისკოპოსის ჩატარებულ განზრახვას და ეს პირები არიან დღეს თვითონ სამღვდელოებანი! რაღა გვეთქმის აქ? არის ბევრი მისთანა სიტყვები, რომლის გაგონებაც საზარელია!"

აკაკი ეკონომიკურად შემძლე პირებისაგან, საქმოსნებისაგან მოითხოვდა უმაღლეს სასწავლებლებსა და გიმნაზიებში სახელობითი სტიპენდიების დანიშვნას. „ძველი ქართველები – აკაკის თქმით – ამას კარგად აკეთებდნენ ნიჭიერ ქართველებს ზრდიდნენ არა საკუთრივ საქართველოში არამედ სხვადასხვა ქვეყნებში. მაგალითად იერუსალიმში, ანტიოქიაში, შავ მთაზე და კიდევ მრავალგან მცირე აზიაში. აქ ცხოვრობდნენ ქართველი ბერები, ჰქონდათ სკოლები, საიდანაც უკეთესი ქართველი მამულიშვილები გამოდიოდნენ. „ჩვენი ძველები ჩვენ არ გვგავდნენ და საქვეყნო ანდერძიც იცოდნენ. დღეს კი სადღა არის ეს წმიდა მოვალეობა და შეგნება? სასულიერო წოდებაში იმერეთში მხოლოდ ნეტარხსენებული გაბრიელ ეპისკოპოსი იყო და ამერეთში ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე, რომ უკანასკნელ თავის შეძლებასაც კი საზოგადო საქმეს ახმარდნენ."

აკაკის მოჰყავს შემთხვევა გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებიდან იმის დასადასტურებლად თუ როგორ ცდილობდა ღვთივკურთხეული მღვდელმთავარი მრევლთან დაახლოებას, მათი ჭირისა და ლხინის გაზიარებას. საჩხერის მახლობლად სოფელ ჭალატყეში მსახურობდა მღვდელი გოგაური. მან ძლიერ შეაყვარა თავი მრევლს. ხალხი მღვდელს რჩევას ეკითხებოდა და უჯერებდა. მრევლში მშვიდობა და თანხმობა ჩამოვარდა. „სოფლის ბობოლებმა, რომლებიც ქვეყანას აწყავებდნენ" იფიქრეს, სანამ ეს მღვდელი იქნება ხალხი ჩვენსას აღარას დაიჯერებს და ულუკმაპუროდ დავრჩებითო. „გავზავნეს დანოსი ეპისკოპოსთან – „ეს გოგაური ისე ვერ იქცევა, როგორც შეფერის სამღვდელო პირსო: ჩაუჯდება გლეხებს შუაში და მათთან ერთად ლხინობსო"– „ეს მართალი იყო განაგრძობს აკაკი - თუ ასე არ მოქცეულიყო სახელს გარდა მღვდელი ვერც ხალხის გულს მოიგებდა და დამჯერეც არავინ ეყოლებოდა."

ნეტარ-ხსენებულმა გაბრიელ ეპისკოპოსმა „დანოსს" ყურადღება არ მიაქცია, პირიქით, კიდევაც დაუმადლა ახალგაზრდა მღვდელს „კარგად იქცევიო" ეს რომ გაიგეს მაბეზღრებმა სხვა რომ ველარა მოახერხეს რა, ჩუმად გადაწვეს მამა გოგაური და კინაღამ ცოლ-შვილიანად გამობუგეს. ისიც იძულებული შეიქნა ქუთაისში გადასულიყო და მას უკან იქ არისო" – დასძენს აკაკი.

1895 წლის შემოდგომაზე ქართველი ერი ი. ჭავჭავაძისა და ი. გოგებაშვილის ხელმძღვანელობით ემზადებოდა ზეიმით აღენიშნა გაბრიელ ეპისკოპოსის დაბადებიდან

70 წლისთავი, მაგრამ მძიმედ დაავადებული მხცოვანი მოძღვარი ლოგინს მიეჯაჭვა და სულ მალე 1896 წლის ზამთარში გარდაიცვალა. საქართველომ ცხარე ცრემლებით დაიტირა ვალმოხდილი მამულიშვილი. აკაკი გაბრიელის დაკრძალვას ვერ დაესწრო. იგი სამკურნალოდ იმყოფებოდა. სამაგიეროდ, წლისთავზე გამართულ პანაშვიდზე მან ასეთი სიტყვებით მიმართა განსვენებულს:

„უძლურებამ და არა გზის სიშორემ, შემიშალა ხელი, რომ შარშან ამ დროს მეც სხვებთან ერთად თაყვანი მეცა დიდებული ცხედრისათვის! დღეს მძიმე ტვირთი ეშვება ჩემს გულს, რომ შევძლო ნაკლის შევსება და ვასრულებ მოვალეობას, როგორც საზოგადოს, ისე პირადსაც. მოვედი და თაყვანსა ვცემ მის ჯერ კიდევ გაუხრწნელ გვამს! იმ გვამს რომელიც ხალხის წარმოდგენით არც არაოდეს უნდა გაიხრწნას! თუმცა თვით დიდებული მოძღვარი კი იმას გვაუწყებდა, რომ ეს სოფელი სიზმარია, ამქვეყნიური ყოველთვის წარმავალი და სიკვდილთან ერთად ყოველივე ხორციელი ქრებაო! ეს საზოგადო ჭეშმარიტება არ შეეხება კერძოდ, მაღლით ცხებულთა და უპირველესად მასვე, რომელმაც სიკვდილით სიცოცხლეზე გაიორკეცა! სიცოცხლე მისი სიხარული იყო ქვეყნისათვის და სიკვდილი სიქადულად გადაიქცა, როგორც მნათობი, რაც უფრო დიდ სიმაღლეზეა, უფრო თვალსაჩინოა ყველასათვის და უფრო შორსაც აწვდენს სხივებს. ისე ეს დაუვიწყარი მოძღვარიც, დღეს სიკვდილით ამაღლებული, ყველასთვის საერთოდ სათვალთვალოა და ყოველი მხრით თანასწორად ფენს სხივებს, რომლითაც გვინათებს ბნელ აწმყოში და იმავე დროს ჩვენს წარსულს მომავალთან აკავშირებს! კურთხეულ იყავ უკუნისამდე, დაუვიწყარო მღვდელმთავარო! გადმოგვსახე მაღლით ჯვარი და სამკურნალოდ მოგვფინე ნათელი და ჩვენგანაც ძღვნად შეიწირე, ვითარცა წვლილი ქვრივისა გულწრფელი თაყვანი და მხურვალე ანბორება! გვაკურთხენ მეუფეო!

გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ ქართველი ერის ეროვნული მოძრაობის მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან გაისმა მისი შეურაცხმყოფელი სიტყვები. სხვათა შორის, მათ აკაკისა და გაბრიელს შორის ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი მცირე გაუგებრობა გადააკეთეს და გაბრიელის საწინააღმდეგოდ გამოიყენეს, რასაც აკაკი გულისტკივილით გამოეხმაურა და აღნიშნა „ჩემს სიტყვებს ხშირად ამახინჯებენო"

ერთ-ერთ თავის მოგონებაში აკაკი აღწერს, თუ რა დიდი სიყვარულითა და სიხარულით ეგებებოდა მრევლი გაბრიელ ეპისკოპოსის წირვას. „გათენდა დიდი ხუთშაბათი სან გამოშვეულმა ზარის რეკვამ აუწყა ქუთაისლებს, მღვდელმთავარი ბრძანდება დღეს მწირველიო. დიდი და პატარა ყველა ეშურებოდა გორასაკენ, საიდანაც ბაგრატის ტაძრის ნაშთები მწუხარედ გადაჰყურებდნენ არემარეს– ახალი საყდარი მლოცველებით აივსო: ტევა აღარსად იყო, გალავანიც ხალხით გაიჭედა. ზარების დახშირებულმა რეკამ სადგომიდან გამოიწვია მღვდელმთავარი და ისიც

გამობრძანდა. აიაზმითა და საკმელ-საცეცხლურით მიეგება კრებული, ორი მხრით მგალობლები წამოუძღვნენ ეკლესიისაკენ. შებრძანდა მღვდელმთავარი ტაძარში და ჩამოჯდა ტახტზე. დიაკვნებმა ლანგრებით მიართვეს შესამოსელი. შეიმოსა მღვდელმთავარი, დაიწყო წირვა ლა ჩვეულებრივად გათავდა– შეუდგნენ ფეხის ბანას. გამოვიდნენ საკურთხევლიდან მღვდლები, ჩამოჯდნენ, ჩამოეწკრივნენ მწყობრად და გაიხადეს ფეხს– მოვიდა მღვდელმთავარი, და სიმდაბლით მოიარა მუხლი მათ წინ– ხალხმა მეტი ველარ აიტანა და საქალებოდან მოისმა უეცარი ქვითინი! ქალები ტიროდნენ! კაცები კი გაქვავებულივით იდგნენ და გაფითრებულ ლოყებზე ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამოდიოდათ. მეც გული ამომიჯდა. მღვდელმთავარმა აკურთხა ერი და ნელ-ნელა დაიმალა, წავიდ-წამოვიდნენ თავის სახლისაკენ. ყველა მოხიბლული იყო, ყველა გამსჭვალული. თვალწინ დიდებული სახე ეხატებოდათ.”

აკაკის შეურაცხყოფა არც გაბრიელის ძმისშვილის მოსე ქიქოძისაგან აცდა. მოსე ქიქოძემ 1897 წელს ამოსცა წიგნი „გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა.”

მოსე ქიქოძე აღნიშნავდა აკაკის გარკვეულ უპატივცემულობას განსხვავებული მღვდელმთავრის მიმართ, უფრო მეტიც, მოსე ქიქოძეს აკაკი ქვეყნისთვის მავნებელ კაცადაც კი მიუჩნევია! აკაკიმ წერილით უპასუხა მოსე ქიქოძის ბრალდებებს: „ბატონო მოსე ათანასეს ძევ! გადავიკითხე თქვენი ბიოგრაფია გაბრიელის შესახებ და გამიკვირდა! მას შემდეგ რაც თქვენ „ძველ აღთქმას” ზურგი შეაქციეთ და საპირადო გზას დაადექით, ჩვენს შორის მეგობრული კავშირი გაწყდა და მეც ჩვეულებისამებრ ისა ვთქვი, რასაც სხვებზე ვამბობდი: „მიუტევე რათა არ იციან და სხვანი.” მაგრამ დღეს კი ვხედავ, რომ ეს შენდობაც ვერ გაგამართლებთ, როგორც შეგნებულს, საზოგადოზე ჯერ არას გეტყვი და მხოლოდ საპირადოს მოემართავ. რადგანაც არ მინდა გულში ჩავირჩინო თქვენს შესახებ რაიმე ძვირი! როდესაც საზოგადო კრებამ საზრდო გამიჩინა (ლაპარაკია ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის მიერ პენსიის დანიშვნაზე ზოგიერთ ინტელიგენტებს, დღეს რომ სათავეში უდგანან საქმეს, ისრად მოხვდათ გულში და ყოველგვარი საძაგლობა ჩაიდინეს, რომ ეს საზოგადოების სურვილი როგორმე გაექარწყლებინათ, მაგრამ რომ ველარ მოახერხეს, მერე სხვა გზას დაადგნენ: თვითმნებლობით მომისპეს და მათ სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, როდესაც გაიგეს რომ აკაკი თურმე დასნეულდა და თუ საზღვარს გარეთ არ გავიდა, დღე დაუმოკლდებაო და ახლა გვაქვს დრო მოუჭირეთ ხელსო! ამის საბუთები ხელში მიჭირავს, ის უეჭველი საბუთები, რომელიც საშვილიშვილო ტაბლად დაედგმის თვითეულ მათგანს, თქვენც მათ ფერხულში იყავით ჩაბმული მე მჯერა, რომ თქვენი განზრახვა გულწრფელი იყო, პირადობა კი არ გქონდათ, რომ ჩემთან, მხოლოდ მდევნიდით, როგორც ქვეყნისათვის თქვენი აზრით მავნებელ კაცს. ქვეყნის

ერთგულების პრინციპს ველარ ვუღალატეთ თუმცა სხვა დროს კი ის პრინციპი სულ სხვანაირად შეგითამაშებიათ ხოლმე, როგორც თქვენივე ამხანაგები ამტკიცებენ. დიახ! ძნელია პრინციპის ღალატი და ამიტომაც ჩემს შესახებ აღარას გეტყვი, მაგრამ რადგანაც შეიძლება უკანასკნელიც იყოს ჩემი თქვენთან გამოლაპარაკება. საზოგადოების შესახებ კი მოგაგონებთ, რომ მოიხედოთ უკანვე და ხანდახ საზოგადოებისათვისაც იფიქროთ ხოლმე, ნუ დაივიწყეთ, რომ ამ სტატიის (გაბრიელის ბიოგრაფია) დაშწერს ბევრი მოეთხოვება და ცოტა შენდობა. - თქვენი პატივისმცემელი აკაკი."

გარდაცვლილი გაბრიელ ეპისკოპოსის ადგილი ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ დაიკავა. 1902 წელს „ივერიაში" გამოქვეყნდა წერილი „ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის რევიზიის შესახებ." როგორც აკაკი აღნიშნავს, წერილის ავტორი სიყვარულითა და სიმართლით ამკობს ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოციქულებრივ მოღვაწეობას, მაგრამ ამავე დროს აღწერილია თითქოსდა ის მძიმე მდგომარეობა, რომელიც ეპარქიაში იყო შექმნილი გაბრიელ ეპისკოპოსის არასწორი მოღვაწეობის შედეგად და რომ მხოლოდ ლეონიდის წყალობით მოხდა ამ მხარეში მღვდელმსახურების აღორძინება. აკაკი მყისვე გამოეხმაურა ამ წარმოუდგენელ ბრალდებას და სათანადო პასუხი გასცა წერილის ავტორს: „ნუთუ შეუძლებელია ერთის ქება ისე, რომ მეორე არ გაილანძღოს და ერთის ამაღლება, მეორის დაუმდაბლებლად? დავბერდი და დღემდი რომ არათუ არ მინახავს, ამბადაც არ გამიგონია!! აღარც ეკლესიები ყოფილან! აღარც მღვდლები და აღარც ქრისტეს მორწმუნეები! ყოლისფერი მივიწყებული ყოფილა! ამ ორმოცი წლის განმავლობაში ყოველიფერი დამხობილა და ახლა, მხოლოდ დღეს მოუქცევიათ ყურადღება? ამაზე მეტი რაღა უნდა თქვას მტერმა!? რომ ეს ყველაფერი ცილისწამებაა_ ამის დამტკიცებას ჩვენ არ შევუდგებით და მოვაგონებთ მხოლოდ მკითხველებს, რომ ყოვლად სამღვდლო ლეონიდის მოადგილედ ამ ორმოცი წლის განმავლობაში გაბრიელ ეპისკოპოსი ბრძანდებოდა, რომლის მართლაცდა მოციქულებრივი მოღვაწეობა ცამდისაც კი ღაღადებდა. ამ დიდებულმა სჯულის მოძღვარმა ნათელი საკმაოდ მოაფინა საშწყოს და დღეს რომ ძველს ნათელს კიდევ ახალ სხივებს მოაფენს ყოვლად სამღვდელო ლეონიდი."

„1896 წლის ზაფხულში აკაკიმ რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურა. მოსახლეობა ზარ-ზეიმით შეხვდა საყვარელ მგოსანს. ისტორიამ შემოგვინახა სიტყვა-კაზმულობის ნიმუშები, წარმოთქმული სათაყვანო მამულიშვილის სადიდებლად. გამოსვლელები იხსენებდნენ იმ მძიმე დღეებსა და ვითარებას, რომელიც წინ უძღოდა აკაკის აღნიშნულ მოგზაურობას. ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა დამსახურებული პედაგოგის ნიკო

გიორგობიანის მიერ ომში წარმოთქმული სიტყვა. რომელშიც ნიკო გიორგობიანი აღნიშნავს, რომ ბოლო ათწლეულებში ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას სასიხარულო დღეები სანატრელი გაუხდა მათი ადგილი სამგლოვიარო დღეებმა დაიჭირა."

„1896 წლის სუსხიან ზამთარში შეიკრიბნენ აურაცხელნი ქართველნი ქუთაისში, რათა სამუდამოდ გამოსთხოვებოდნენ ყოვლადსამღვდელო გაბრიელს, რომლის მაღალზნეობრივი პიროვნება ასე აშუქებს და აბრწყინვალებს ჩვენს ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას."

„1907 წელს წიწამურის გზაზე მტარვალის ხელიდან გასროლილმა ტყვიამ ხომ სულ ერთიანად აატირა მთელი საქართველო, ქართველ ერს მზე დაუბნელდა. სამშობლოს მოღალატემ ილიას ტყვიით გული განუგმირა. დაობლებულმა ქართველებმა კიდევ მიეცათ საბედისწერო შემთხვევა შეკრებილიყვნენ ერთად, რომ დედაქალაქ თბილისის ქუჩები და მამა დავითის გორა ცხარე ცრემლებით მოეწყოთ.

„ან გაიხედეთ დიდუბისაკენ გლოვის ზარია. მოზღვავებული გულჩათუთქული ქართველი შავ მიწას აბარებს საუკეთესო მამულიშვილს! - იაკობ გოგებაშვილს და ეს ზარის ხმა ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა, ჯერ ჩვენს თვალზე მდუღარე ცრემლი არ გამშრალა, აი ამ ეროვნულ მოთქმა-გოდების დღეს თქვენი აქ მობრძანება ჭეშმარიტად იგივეა, რაც მესიის ქვეყნად გამოცხადება!"

ფაქტია, რომ ნ. გიორგობიანის მიერ გაბრიელ ეპისკოპოსის ილიას, აკაკისა და იაკობის გვერდით მოხსენიება ამ დიდი მამულიშვილის განსაკუთრებული ამაგისა და მოღვაწეობის ცოდნისა და ჯეროვან შეთავსებაზე მიუთითებს.

უფრო მეტიც, რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა გაბრიელ ეპისკოპოსს დავით აღმაშენებლის, თამარისა და შოთას გვერდითაც კი მოიხსენიებდა. „ბარბაროსი მტრებისაგან მრავალგზის შეწუხებული ჩვენი სამშობლო სიკვდილის კარამდე ვერ მიიყვანეს. როგორ შეიძლება მოსპობა იმ ერისა, რომელმაც წარმოშვა ისეთი მსოფლიო მნათობნი, როგორიც არიან დავით აღმაშენებელი! თამარი! შოთა რუსთაველი! გაბრიელი! ილია ჭავჭავაძე და თქვენ ძვირფასო აკაკი!"

რაჭა-ლეჩხუმის ქართველობის სიყვარული გაბრიელისადმი მარტო ამ ერთი მომენტით არ შემოიფარგლება. შემდგომშიაც ისინი დიდი სითბოთი და სიყვარულით აღნიშნავდნენ ამ დიდი მამულიშვილის ღვაწლს. არ შეიძლება არ აღინიშნოს პედაგოგ სიმონ (სიმონიკა სხირტლაძის სიყვარული წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსისადმი. გაბრიელის შემოქმედებას მან რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. თვითონაც გულმხურვალე მამულიშვილსა და სახელოვან პედაგოგს ი. გოგებაშვილის მსგავსად სამუშაო ოთახში გაბრიელის სურათი ეკიდა. მძიმე ავადმყოფი გრძნობდა რა სიკვდილის მოახლოებას მხოლოდ ის აწუხებდა, რომ წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ხსოვნას ღირსეული პატივი ვერ მიაგო. )

სიცოცხლის ბოლო წლებში აკაკიმ გადაწყვიტა საერთო სათაურით „ჩემი თავგადასავალი" მრავალტომეულის გამოცემა, სადაც სხვა გამოჩენილ ადამიანებთან ერთად საპატიო ადგილს გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობა დაიჭერდა. სამწუხაროდ, აკაკიმ თავისი განზრახვა სრულად ვერ განახორციელა.

გაბრიელ ქიქოძისადმი სიყვარულმა, მისმა სიბრძნემ და მამა-შვილურმა დარიგებებმა აკაკი წერეთელს ცხოვრებისეული დასკვნა გამოატანინა: „ქვეყანა ჭადრაკის ფიცარია და მასზე მსვლელობა და ცხოვრება ჭადრაკის თამაში გამოუცდელმა და ჯერ კიდევ სუსტმა მოჭადრაკემ უნდა თავყური ადევნოს ცნობილს, კარგ მოთამაშეს, დაუკვირდეს, იფიქროს და შეისწავლოს მისი ხელობა!– თორემ წარა-მარა რომ იძახოს, რატომ წინ წასწია ლაზიერი მხედარი რად გაცვალა კუში? პაიკი რად არ მოკლაო და სხვა –ეს ყოლიფერი მისი მხრივ თავხედობა და კუდაბზიკობა იქნება."

აკაკი გაბრიელს მთელი ცხოვრების მანძილზე მასწავლებლად და მოძღვრად აღიარებდა: „გაბრიელისთანა მოძღვარი რომ ჩვენს ახალგაზრდებსაც გამოუჩნდეს-ხოლმე, მადლია! – მაშინ ისინი ბევრ შეცდომას აიცდენდნენ თავიდან და იმას აღარ გაიმეორებდნენ რასაც ზოგიერთი მეცელ-ღმერთა ქაღარა ინტელიგენტები გაიძახიან."

აქვე უნდა დავსძინოთ რომ აკაკი ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის დამაარსებელ გაბრიელის ახლო ნათესავ ისიდორე ქიქოძესთან. მან ისიდორეს მეგობრული ხასიათის ლექსი მიუძღნა:

„ისიდორე ქიქოძეო,
ცოტა ჭკუა გვიბოძეო,
გამვლელ-გამომვლელისათვის
გამოვაკრათ დიდ ბოძზეო."

# ჭეშმარიტი მოძღვარი და სახელოვანი შეგირდი

„არა მგონია, რომ რომელიმე მწყემსმთავრის მოქმედებას, არამცთუ ჩვენში და რუსეთში, არამედ ევროპაშიაც მოეტანოს სამწყსოსათვის ამაზე უნაყოფიერესი შედეგი, რომელიც განსვენებულის ოცდათხუთმეტი წლის თავდადებულმა მოღვაწეობამ"

იაკობ გოგებაშვილი

ერთ-ერთი იმ გამოჩენილ ქართველთაგანი, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსს მოღვაწეობის პირველი დღიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, როგორც პირადი ისე საზოგადოებრივი საქმიანობით გვერდით ედგა გახლდათ იაკობ გოგებაშვილი.

იაკობ გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში გაბრიელის მოსწავლე, განიმსჭვალა რა ამ უკეთილშობილესი ადამიანისადმი სიყვარულითა და ულრმესი პატივისცემით, ეს გრძნობა მან სამარეში თან ჩაიტანა.

სემინარიის დამთავრების შემდეგ იაკობმა გადაწყვიტა სწავლა კიევის სასულიერო აკადემიაში გაეგრძელებინა. კიევში გამგზავრების წინ მან რჩევისათვის გაბრიელს მიმართა და ამ მიზნით ალმშრდელი ქუთაისში მოინახულა.

შემდგომში, როგორც კი ოდნავი საშუალება ეძლეოდა, გოგებაშვილი ყველგან გაბრიელის წმიდა სახელს მოიხსენიებდა. მაგალითად სახელმძღვანელოში „ბუნების კარი" ახასიათებდა რა გურიას, წერდა რომ აქ მდებარეობს შესანიშნავი სოფელი ბახვი, სადაც არსებობს ორკლასიანი სასოფლო სასწავლებელი. დაარსებული ამ სოფლის შვილის, საქართველოს ეკლესიის მნათობის, განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის ხარჯით."

ი. გოგებაშვილი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ გაბრიელი პეტერბურგის სასულიერო აკადემიის წარმატებით პირველი მაგისტრის ხარისხით_ დამთავრების შემდეგ დანიშნულ იქნა თბილისის სასულიერო აკადემიის ინსპექტორად. გაბრიელი სამშობლოში დაბრუნდა ახალგაზრდა ცოლით, _ პეტერბურგის მაშინდელი მთავარეპისკოპოსის ვლადიკინის ქალიშვილთან ერთად.

გაბრიელის იაკობისეული დახასიათება გვიჩვენებს, რომ წმიდა სასულიერო მოღვაწეობა არ ყოფილა ამ დიდი მამულიშვილის მოწოდება, იგი უფრო პედაგოგიური მოღვაწეობისკენ იხრებოდა. „შეუდგა თუ არა იგი ინსპექტორის თანამდებობის შესრულებას, გააუქმა დისციპლინის ყველა წვრილმანი წესი უფრო ნათლად, მკვეთრად და კატეგორიულად განსაზღვრა კეთილგონივრული ყოფაქცევის მნიშვნელოვანი და არსებითი წესები, რომელთა შესრულებას ის მთელი მგზნებარებით მოითხოვდა. კეთილი, ჯანსაღი და ზნეობრივი ცხოვრების საუკეთესო საშუალებად გაბრიელი თვლიდა გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთმანეთთან შენაცვლებას. ამ წესს იგი თვითონაც მკაცრად იცავდა. მოსწავლეები ბაძავდნენ თავიანთ საყვარელ პედაგოგს; აქტიურად მონაწილეობდნენ სემინარიის სამეურნეო საშიანობაში."

გაბრიელ ქიქოძის პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყებამდე სემინარიაში მოსწავლეების მშვიდი და უწყინარი ყოფაქცევა სამაგალითოდ ითვლებოდა. გაბრიელმა სასწავლებელში პირველმა დანერგა შესვენების ჟამს მხიარული თამაშები. იგი იქვე მახლობლად ფიზიკურ შრომას ეწეოდა და თანაც ბავშვების თამაშობას თვალყურს ადევნებდა. თამაშობაში მოხერხებულსა და საზრიანს გამოყოფდა და ახალისებდა. სწავლა, გართობა და შრომა ერთმანეთს ენაცვლებოდა. ავსებდა და მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და ცოდნის დონის ამაღლებას ემსახურებოდა.

გაბრიელმა სემინარიაში შეცვალა მანამდე გაბატონებული სწავლის პროცესი გამომაყრჩებელი ზეპირობა, გაუთვითცნობიერებელი ზუთხვა. მოსწავლეები, რომლებსაც იშვიათად ესმოდათ გაკვეთილის შინაარსი,12_14 წლის სწავლების შემდეგ სემინარიიდან ცოდნის გარეშე გადიოდნენ. გაბრიელმა კლასები ჯგუფებად დაყო და ჯგუფს სათავეში მოწინავე მოსწავლეები ჩაუყენა. დაზუთხვის ნაცვლად ცოცხალმა, შემოქმედებითმა გაკვეთილებმა გააადვილა მოსწავლეთა მიერ მასალის შეთვისება.

გაბრიელმა პირველმა საქართველოში, სემინარიაში ჩამოაყალიბა ფიზიკის კაბინეტი, რომლითაც საერო სასწავლებლებიც სარგებლობდნენ. მან საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ასტრონომიული დაკვირვების ჩატარება.

აღვნიშნავთ რამდენიმე ძირითად სიახლეს რომელიც გაბრიელმა გოგებაშვილის თვალთახედვით სემინარიაში გაატარა:

1. კეთილი, ჯანსაღი, ზნეობრივი ცხვორებისა და შემეცნების საუკეთესო საშუალებად იგი ბუნებრივი და ფიზიკური შრომის შეთავსებას თვლიდა.

2. თამაშობა მიაჩნდა უცილობლად სასარგებლო ღონისძიებად არა მარტო სხეულისთვის, სულისთვისაც.

3. მექანიკური გაზუთხვითი სწავლების ნაცელად შემოიღო შემოქმედებითი სწავლება.

4. დიდი ყურადღება დაუთმო სასწავლო პროგრამის დასვეწასა და მისი მოცულობის კონდიციამდე დაყვანას.

5. სავალდებულო გახადა კლასგარეშე სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის, ახალი პერიოდული, სამეცნიერო და სხვა დარგის პრესის კითხვა და განხილვა. სემინარების მოწყობა.

6. გაბრიელი სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პედაგოგის პირად მაგალითს, სიტყვისა და საქმის ერთიანობას.

7. სწავლაში მთავარისა და არსებითის წინ წამოწევა და წვრილმანების უკუგდება.

8. სწავლების პროცესის თვალსაჩინოებითა და საჭირო ხელსაწყოებით აღჭურვა.

გაბრიელმა დიდი გავლენა მოახდინა იაკობ გოგებაშვილის, როგორც პედაგოგის ჩამოყალიბებაზე. სემინარიაში გაბრიელის მიერ დანერგილი რეფორმები იაკობმა შემდგომში გადაამუშავა და სკოლებში სწავლების მისეულ მეთოდიკას დაუდო საფუძვლად.

იაკობის ჭეშმარიტ დამოკიდებულებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ იგი არ მალავს საყვარელი აღმზრდელის ნაკლსაც: „პირადად ის სარგებლობდა ყველა აღსაზრდელის მოწიწებითა და პატივისცემით მიუხედავად მისი დიდი ნაკლისა, გურული სიფიცხის გამო, ის ხანდახან დამნაშავე მოსწავლეს პირადად სასტიკად უსწორდებოდა და სჯიდა, რასაც ის სხვას არავის აპატიებდა."

გაბრიელი ასევე დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა პედაგოგებს შორის. მიუხედავად ეროვნებისა (გარდა ერთი გადაგვარებული შურიანი ქართველისა, რომლის გვარსაც ი. გოგებაშვილი სამწუხაროდ არ ასახელებს.

ასევე ექცეოდა გაბრიელს სემინარიის რექტორიც გაბრიელის ყოველ ნაბიჯს, მოქმედებასა და სიტყვას გულწრფელობა და სამართლიანობა ასულდგმულებდა. ერთხელ ერთმა მოსწავლემ იცრუა სემინარიის რექტორ არქიმანდრიტ იზრაელის წინაშე. რექტორმა მოსწავლე, როგორც ი. გოგებაშვილი იგონებს, ასეთი სიტყვებით დატუქსა: „როგორ არა გრცხვენიათ ასე რომ ცრუობთ, აიღეთ მაგალითი თქვენი ინსპექტორისაგან, რომელშიაც არავითარი სიყალბე არ არის."

კიდევ უფრო დიდი ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა გ. ქიქოძემ მაშინდელი ეგზარქოსის ისიდორეს წინაშე, რომლის უახლოესი მრჩეველიც ის იყო.

გერასიმე ქიქოძის პედაგოგიური მოღვაწეობა სემინარიასა და საქალებო სასწავლებელში, სადაც ის პარალელურად ასწავლიდა, მხოლოდ 6 წელიწადს გაგრძელდა. 1856 წელს გაბრიელს უმოკლეს დროში გარდაეცვალა საყვარელი ცოლი და 5 შვილი. ი. გოგებაშვილი, რომელიც იმჟამად სემინარიაში სწავლობდა საკუთარი თვალით ხედავდა მახლობელი ადამიანის მწუხარებას. „ადვილი

წარმოსადგენია თუ რა დიდი იყო ქიქოძის მწუხარება, რომელმაც დაასამარა თავისი ოჯახის ბედნიერება ახალგაზრდობის წლებში. შეუძლებელია დავიწყება იმ უსიტყვო და ღრმა მწუხარების გამოხატვისა რომელსაც წარმოადგენდა ქიქოძე, როცა იგი სასომიხდილი და მკვდარი იდგა სემინარიის ეკლესიაში ახალგაზრდა მეუღლის კუბოსთან. შეუძლებელია ასეთი სურათის დავიწყება – მისმა უფროსმა შვილმა 5 წლის პეტიამ დედის, ძმისა და დის სიკვდილის შემდეგ მთელი თავისი სიყვარული მამაზე გადაიტანა და მისთვის წუხდა. როცა მამა გაკვეთილებზე იყო პეტია მოდიოდა სახლიდან, მიირბენდა სემინარიაში, წყნარად შედიოდა კლასში და თვალს არ აშორებდა მამას. მაგრამ მამამ ეს უკანასკნელი თავისი იმედიც დამარხა და საბოლოოდ დაობლდა." – იგონებდა ი. გოგებაშვილი. პირად ტრაგედიაში გაბრიელ ქიქოძემ ღვთის განგების ხელი დაინახა, რომელსაც იგი უფრო ნაყოფიერი გზისკენ მიჰყავდა. პედაგოგიური ასპარეზი მიატოვა და ბერად აღიკვეცა.

გაბრიელი დაახლოებით სამი წელი დავით გარეჯის, შემდგომ კი გორის ეპისკოპოსის ხარისხში იმყოფებოდა. 1860 წელს კი იმერეთ-სამეგრელო-გურია-სვანეთის ეპისკოპოსად დანიშნეს, რომელსაც მალე აფხაზეთიც შემოუერთეს.

ეპისკოპოსის ხარისხში მყოფმა გაბრიელმა ასეთი დიდი სამოღვაწეო ასპარეზის მიუხედავად მეცნიერული მუშაობა განაგრძო და 33 წლის ასაკში გამოაქვეყნა ფუნდამენტალური ნაშრომი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები."

სწორედ ამ დროს რუსეთში ჟურნალ „სოვრემენიკის" ფურცლებზე მიმდინარეობდა მწვავე კამათი იდეალისტებსა და მატერიალისტებს შორის. მატერიალისტურ მიმდინარეობებს ხელმძღვანელობდნენ ცნობილი რუსი მოაზროვნეები ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი. ფაქტია, რომ მღვდელმთავრის ნაშრომმა უფრო დიდი შეფასება დაიმსახურა მატერიალისტებში ვიდრე იდეალისტებში. გაბრიელ ეპისკოპოსის ეს წიგნი ათეული წლების განმავლობაში წარმოადგენდა ერთადერთ სახელმძღვანელოს ზოგად ფსიქოლოგიაში.

ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა იმდროინდელი რუსეთის საუკეთესო კრიტიკოსმა დობროლიუბოვმა გამოიჩინა სრული გულწრფელობა, პატივისცემა და უსურვა ავტორს შემდგომი წარმატება ფილოსოფიური საკითხების დამუშავების სარბიელზე.

„რატომ დაუშვა „სოვრემენიკმა" ასეთი გამონაკლისი ჩვენი ავტორის სასარგებლოდ?" კითხულობს გოგებაშვილი და თვითონვე პასუხობს „იმიტომ რომ მის ნაშრომში დაინახა არა შაბლონურობა, არამედ სრული დამაჯერებლობა და გულწრფელობა, უშწიკვლო მეცნიერული კეთილსინდისიერება, აზროვნების ხერხთა თავისებურება, გადმოცემის კლასიკური სიმარტივე, საფუძვლიანი ცოდნა ფიზიოლოგიისა, რომლის მონაცემებს ავტორი საფუძვლად უდებდა თავის ფსიქოლოგიურ დასკვნებს."

„სოვრემენიკის" კარგმა დახასიათებამ და არქიმანდრიტ გაბრიელის თხზულებების ღირსებებმა დააინტერესა მეცნიერული საზოგადოება მათ დიდი ინტერესი გამოიჩინეს გაბრიელ ეპისკოპოსის პიროვნების მიმართ. განსაკუთრებით დიდი იყო სასულიერო აკადემიებისა და უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა სურვილი რაც შეიძლება მეტი გაეგოთ მათთვის უცნობი ქართველი მეცნიერის შესახებ.

იმჟამად ი. გოგებაშვილი კიევის სასულიერო აკადემიის ერთადერთი ქართველი სტუდენტი აღმოჩნდა. ბუნებრივია, იაკობი თავს მოიწონებდა ასეთი მაღალი დონის მეცნიერის შეგირდობითა და ახლო ნაცნობობით.

აღტაცებას განსაკუთრებით ვერ ფარავდა სასულიერო აკადემიის პროფესორი იურიკევიჩი, რადგანაც მკვლევარში ხედავდა შორეული საქართველოდან მოვლენილ მოკავშირეს. როგორც კი იურკევიჩმა გაიგო რომ იაკობი გაბრიელ ქიქოძის მოწაფე იყო და თხოვა მას ახლო გაეცნო ფილოსოფიური თხზულების ავტორის პიროვნება.

იაკობი რამდენიმე დღის გულმოდგინე მომზადების შემდეგ იურკევიჩთან ბინაზე გამოცხადდა. იქ მას არა მარტო იურკევიჩი, არამედ კიევის სასულიერო აკადემიის რამდენიმე პროფესორი დახვდა. როდესაც პროფესორებმა მოისმინეს ი. გოგებაშვილის ვრცელი ნაამბობი გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ. „აი რა აზრი გამოთქვეს: „როგორც ყველაფრიდან ჩანს არქიმანდრიტი ქიქოძე ერთსა და იმავე დროს შემკულია ღრმა სარწმუნოებით და საფუძვლიანი მრავალმხრივანი აწინდელი განათლებით. და ეს ღირსება კი ყველგან ძლიერ იშვიათია და ბევრისათვის შეადგენს იდეალს, მიუწვდომელს საგანს ნატვრისაო" ამასთან „ისინი განსაკუთრებით განაცვიფრა ღრმა სარწმუნოების შეთავსებამ მრავალმხრივ მეცნიერულ განათლებასთან. რაც ასე იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. მათ გადაწყვიტეს დაეწყოთ მასთან მიწერ-მოწერა ერთ-ერთი თავისიანის საშუალებით და სხვათა შორის შესთავაზეს დახმარება უცხო ენებზე დაწერილი საჭირო წიგნების მიწოდებით. (გაბრიელ ეპისკოპოსი თავისუფლად ფლობდა ფრანგულ და გერმანულ ენებს იგონებდა იაკობი.

„სასულიერო მოღვაწეობა - როგორც გოგებაშვილი აღნიშნავდა გაბრიელმა მთელი რიგი რეფორმების გატარებით დაიწყო. იგი დანიშნულ იქნა სამღვდელო და სადიაკვნო ადგილების მაძიებელთა გამომცდელად, რაც გამოიყენა ქართველი სამღვდელოების გონებრივი დონის ასამაღლებლად. „მანამდე გამოცდები არც კი იყო - წერს იაკობი, არამედ იყო მხოლოდ ძღვენი, რომელიც განაპირობებდა გამოსაცდელთა ნიშნებს. ადგილს იღებდა არა ის, ვინც მეტი იცოდა, არამედ ის, ვისაც საჩუქრები ნებას აძლევდა მოეგო გამომცდელის გული."

ეს მოვლენა ხრწნიდა სამღვდელოებას, სადაც მრავალი უღირსი იმკვიდრებდა ადგილს.

გაბრიელმა შეიმუშავა მარტივი, მაგრამ ზუსტად განსაზღვრული საგამოცდო პროგრამა, რომელიც შეიცავდა მხოლოდ არსებით შინაარს, იგი მკაცრად მოითხოვდა ამ პროგრამის სრულსა და შეგნებულ ცოდნას. ნაცვლად ძღვენისა და ქრთამისა გაბრიელმა დანერგა მოხერხებული და პრაქტიკული გზა გამოცდებისათვის მოსამზადებლად. სემინარიის უფროსი კლასის საუკეთესო მოსწავლეები მცირეოდენი გასამრჯელოს საფასურად მედავითნეობისა და დიაკვნების ადგილის მაძიებლებს უტარებდნენ გაკვეთილებს. გასამრჯელო გაცილებით ნაკლები იყო ვიდრე ძღვენის ღირებულება. ამ ღონისიებას ორმხრივი მნიშნელობა ჰქონდა. იგი გარკვეულ ცოდნას აძლევდა დაბალი ფენის სამღვდლოებას, რაც დადებითად მოქმედებდა მრევლზე. ამასთან გოგებაშვილის შეფასებით ეს ღონისძიება სასარგებლო იყო სემინარიელებისათვის, არა მარტო გონებრივი, არამედ მატერიალური მხრივაც იგი აჩვევდა მათ საეკლესიო ამბების უბრალოდ და გასაგებად გადმოცემას და წარმოადგენდა საუკეთესო მოსამზადებელ სკოლას მომავალი სამრევლო მოღვაწეობისათვის. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ვერც ერთი უღირსი ველარ იღებდა ადგილს.

ყოველივე ამის შესახებ გოგებაშვილი კიევში სწავლის პერიოდში უამბობდა თავის პროფესორებს. მათზე იაკობის ნაამბობმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და „გაბრიელში დაინახეს მრავალმხრივი ცოდნის მოყვარე გონებით დაჯილდოებული, ჰუმანური გულისა და ძლიერ აქტიური ყოფაქცევის პიროვნება, აღჭურვილი ყველა მონაცემით ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის."

ერთ-ერთი პირველი ქართული წიგნი, რომელიც ევროპაში ინგლისურ ენაზე გამოიცა გახლდათ „გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი". იაკობ გოგებაშვილი დიდი სიხარულით გამოეხმაურა საყვარელი პედაგოგის მსოფლიო აღიარებას. „ეს ქადაგებანი ევროპაში ღირსეულად დააფასეს. არ გასულა ორი წელიწადი მათი დაბეჭდვის შემდეგ, რომ ლონდონში გამოვიდა ცალკე ლაზათიან წიგნად მათი თარგმანი. ინგლისელებს ტყუილ უბრალოდ გარჯა და ხარჯი არ უყვართ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ყოვლადსამღვდელო გაბრიელის ქადაგებანი არამც თუ თვითონ ინგლისში წარმოქმნიან აქაური პასტორების პირით, მრავალ კოლონიებშიაც უთუოდ ხშირად დაამშვენებენ საეკლესიო კათედრას."

ქართველ მღვდელმსახურთა უმეტესი ნაწილი გაუსაძლისი პირობების შედეგად დაკნინდა. სულიერ მწყემსთა წმიდა დანიშნულება იმდენად დაქვეითდა,

რომ ათეული წლების განმავლობაში საქართველოს ეკლესია-მონასტრებში სახარების სწავლებაც კი შეწყდა. ასეთი მძიმე ვითარების გასამტკიცებლად იაკობ გოგებაშვილს შემდეგი არგუმენტი მოჰყავს - „ქართულ ენაზედ კარგა ხანია დაიბეჭდა მშვენიერნი ქადაგებანი ყოვლადსამღვდელო გაბრიელისა. ყოველი სამღვდელოება, რომელშიაც კი ცოტაოდენად მაინც ღვივის ღვთის ნაპერწკალი, სიხარულით მიეგებებოდა ამგვარ ქადაგებათა მოვლენას, შეიძენდა მათ და გამოიყენებდა საეკლესიო კათედრის გაცოცხლებისათვის; მაგრამ ჩვენმა სამღვდელოებამ იმდენად უყურადღებოდ დაავდო ეს ქადაგებანი, რომ ათი წლის განმავლობაში ერთი გამოცემაც ვერ გაიყიდა."

იაკობ გოგებაშვილი კიდევ ერთხელ უბრუნდებოდა აღნიშნულ პრობლემას „როგორ ჯავრით არ ევსება ქართველს გული, როდესაც წარმოიდგენს რომ ჩვენი ქვეყნის შვილის (წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი-რ.ნ.) გონების ნაწარმოები უნდა უნათლებდეს გონებას და უმაღლებდეს ზნეობას ავსტრალიის და დიდი ოკეანის კუნძულების მცხოვრებლებს და ესევე ნაწარმოები სრულიად გაუცნობელი და უნაყოფო უნდა რჩებოდეს ჩვენის ხალხისათვის, იმ გარემოების მეოხებით, რომ ჩვენი სამღვდელოება სისტემატურად აღზრდილი გადაგვარების გზაზედ იჩენს საშინელს დაუდევრობას, უხეირობასა და უკუღმართობას თავისი წმიდა მოვალეობის აღსრულებაში."

იაკობმა სათანადოდ შეაფასა ის დიდი აღმზრდელობითი ძალა, რომელიც გაბრიელის ქადაგებებში ქარბად იყო გაბნეული, მისი თაოსნობით „თვითეულს კეთილად მოწყობილ სკოლის ბიბლიოთეკას საქართველოში ამშვენებდა ქართული კლასიკური ქადაგებანი ეპისკოპოსის გაბრიელისა, მაღალნიჭიერის ქართველისა, რომელსაც ღვთისმეტყველების ღრმა ცოდნასთან შეერთებული ჰქონდა ვრცელი ფილოსოფიურ და ფართო სამეცნიერო განათლება, რის წყალობითაც რუსული ფილოსოფიური ლიტერატურა გაამდიდრა შესანიშნავი შრომით „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები."

გაბრიელის დიდ ავტორიტეტს იაკობ გოგებაშვილი იყენებდა ყველაგან და ყოველთვის როდესაც კი ამისი აუცილებლობა იქმნებოდა, რადგანაც იაკობს სწამდა, რომ „მღვდელმთავარი თავის მოქმედებაში არასოდეს არ ხელმძღვანელობდა მთავრობის შეხედულებებით, არასოდეს არ ცდილობდა ეამებინა თავისი უფროსებისათვის და მუდმივად გულწრფელად და დამოუკიდებლად იქცეოდა."

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში მონარქისტმა გ. მუხრანსკიმ გამოსცა ბროშურა, სადაც ამტკიცებდა მცირე ერებისა და ენების დიდ ერებთან და ენებთან ასიმილაციის უცილებელ კანონზომიერებას. დიდ ქართველ მამულიშვილებთან, ილიასთან, აკაკისთან, იაკობ გოგებაშვილთან და სხვებთან ერთად გაბრიელმა ერთ-ერთმა პირველმა გასცა მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი ქართველი და საერთოდ მცირე ერების

მოძულე ვაი-ქართველს. „რით ამტკიცებ შენ, რომ ის მოვლენა (მცირე ერების გაქრობა არის ბუნების წესი? პირიქით, ხალხი უნდა ეცადოს ენის გავრცელებას, გამდიდრებასა და არა დამარხვასა და დაკარგვას.")

გ. ქიქოძე თვლიდა, რომ „ხალხის იდივიდუალურობის უმთავრესი ელემენტი არის ენა" და ამიტომ „ენის გაქრობა ერის გაქრობის ტოლფასია."

მეცნიერ მღვდელმთავარს მტკიცედ სწამდა, რომ დიდი და პატარა ერების დაახლოებისათვის არ იყო აუცილებელი მცირე ერების ენების გაქრობა: „ყოველივფრით შეიძლება შეერთდეს მცირე ხალხი დიდთან სულით, გულით, აზრით, ინტერესებით, მაგრამ მისი ენის მოსპობა არ შეიძლება. მცირე ხალხი, მოკლებული თავის ენას, მოკლებული იქნება ყოველ ინდივიდუალური ხასიათის თვისებათა და უსარგებლო იქნება თავისთვის და სხვებისთვისაც. თუ სიყვარული, ნდობა, ინტერესების ერთობა არ შეაკავშირებენ კაცს კაცთან, ხალხს ხალხთან, ენა იქ ვერაფერს იქმს."

წმიდა გაბრიელი გ. მუხრანსკისთან პოლემიკაში ქართულ ენასთან ერთად იცავს სომხურ ენასაც, როგორც მცირე ხალხის, მაგრამ დიდი წარსულისა და მნიშვნელობის ენას „ქართველის და სომხების ენანი, თუ მცირე ხალხის ენანი არიან, მაგრამ არა ღარიბნი. ამ ენებს აქვთ მწიგნობრობა, ლიტერატურა, სამღვთო წერილი, წმიდა მამათა წერილნი ნათარგმნი. ამ ორ ენაზე ყოველი მეცნიერება  და აზრი გამოითქმით. მათ აქვთ ორი ათასი წლის ისტორია. ისინი იყვნენ ოდესმე თვითმდგომნი სახელმწიფონი. ერთი სიტყვით, მათ აქვთ ყოველნი ელემენტნი არსებობისა და სიცოცხლისა, ამისათვის მათი ენის განქარვება, ძნელად საფიქრებელია, შეუძლებელია."

იაკობ გოგებაშვილმა 1902 წელს სტატიაში „გადაგვარების შესახებ"  კიდევ ერთხელ გაიხსენა გ. მუხრანსკის ურწმუნო თეორიის წინააღმდეგ გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ მეცნიერულად დასაბუთებული პოლემიკური სტატიის დიდი მნიშვნელობა: „თვით მშვიდობიანი და მოწყალე მწყემსმთავარი გაბრიელ ეპისკოპოსი აალელვა, შეაძრწუნა, ამ ულმერთობამ და მიაწერინა ავტორისადმი წერილი, რომელშიაც იგი აბრალებდა მას ულმობელობას, ურიერობას ეს ღვაწლით შემოსილი სამღვდელო გვამი უმტკიცებდა უკულმართი წიგნაკის ავტორს, რომ როგორც ქრისტიანობა უფალმა გაავრცელა ერთა შორის, მხოლოდ დედაენის საშუალებით და ამ მიზნით სასწაულებრივ მიანიჭა მოციქულებს სხვადასხვა ხალხის ენის ცოდნა, ისე განათლება და ყოველი პროგრესიული მიმართულება ჩვენს ხალხში შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ ქართულის ენის შეოხებითაო. ამის გამო, ამ ენის შევიწროება, შესუსტება და გაქრობა აუცილებლად დაჰბადებს ჩვენი ერის შეჩერებას, უკან უკან წასვლას, გადაშენებას და მიწასთან გასწორებასაო."

ერთი სიტყვით, ჩვენმა სასიქადულო მღვდელმთავარმა ქრისტიანული შეხედულების თანახმად გამოსთქვა სწორედ იგივე აზრი, რომელიც დიდმა პედაგოგმა

რუსეთისა უშინსკიმ პედაგოგიური მოსაზრებით გამოხატა შემდეგი მოკლე ფრაზით „მოკვდა ენა? მოკვდა ხალხიც!"

1880 წელს გაბრიელ ეპისკოპოსი დაესწრო ქუთაისის მასწავლებელთა კრებას და იქ კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობის შესახებ: „თუ სწავლა სკოლაში მშობლიურ ენაზე არ წარმოებს, ფუჭია ყოველი შრომა და მეცადინეობა. არათუ დაბალ სკოლებში, გიმნაზიაში სწავლებაც სამშობლო ენაზე უნდა იყოს. რა დიდი შეცდომაა, როცა ზოგიერთების აზრით, არათუ სხვა საგნები, ასე გასინჯეთ სალვთო სჯულიც უცხო ენაზე უნდა ისწავლებოდეს."

წმიდა გარიელ ეპისკოპოსი ილიასთან, აკაკისთან, იაკობთან, სერგეი მესხთან და სხვა მამულიშვილებთან ერთად აღიარებდა რუსული ენის შესწავლის აუცილებლობას, მაგრამ სწავლება უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ მშობლიურ ენაზე „რუსული ენა კი, უნდა ისწავლებოდეს როგორც ცალკე საგანი და მხოლოდ სწავლების მესამე წლიდგან."

გაბრიელ ეპისკოპოსი მშობლიური ენის შესწავლაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ქალის როლს. იგი ილვწოდა მათ შორის მშობლიური ენის სიყვარულის გაღვივებისა და ღრმა შესწავლისათვის, როგორც ი. გოგებაშვილი წერს, გაბრიელი და მისი თანამოაზრე პედაგოგები, ხშირად ესაუბრებოდნენ ქართველ ქალწულებს დედაენაზე და ურჩევდნენ დედაენაზე წიგნების კითხვას.

ამასთან გაბრიელ ეპისკოპოსს აუცილებლად მიაჩნდა ქართულ სკოლებში რუსეთი ენის საფუძვლიანი სწავლება, როგორც ი. გორგებაშვილი იგონებს:1884 წელს საქართველოში ეგზარქოსი პავლე დაეკითხა გაბრიელს, საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა რუსული ენა სამრევლო სკოლებისათვისო, პასუხად მიიღო, რომ თუ რუსული მთლად გამოტოვებულ იქნა ახალი სკოლების პროგრამიდან, ხალხი უკმაყოფილო დარჩებაო."

გაბრიელის ეს მოსაზრება შემდგომში იაკობმა თავის სასკოლო პროგრამაში განავითარა. „ჩვენს ხალხს სურს იცოდეს რუსული ენაც, ეს სურვილი უნდა მართალი ვთქვათ, იმდენად საგრძნობია, რომ სახალხო სკოლა, რომელშიაც რუსულ ენას ადგილი არ ექნება, ვერ მოიპოვებს ჩვენი ხალხის სრულ სიმპათიასა."

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი არა მარტო ქართული ენის, არამედ საქართველოში შემავალი მცირე ერების ინტერესების დამცველად გვევლინებოდა. მან დიდი როლი შეასრულა აფხაზთა და ოსთა მოქცევაში. გაბრიელის საგანგებო დადგენილებით ოსეთში ოსი მღვდლები დაინიშნა და მღვდელმსახურება ოსურ

ენაზე განაწესა- „მე ვუბრძანებ მღვდელსა, ოსურ ენაზედ წაიკითხონ ყოველ წირვაზედ."

როგორც ვთქვით, ეგზარქოსი ისიდორე გაბრიელ ეპისკოპოსს უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით ექცეოდა რაც შეეხება ეგზარქოსს ევსევს, მან გაბრიელისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. სიამოვნებით იღებდა ცილისმწამებლურ დაბეზღებებს, რომელიც თავდადებულ ერისკაცს არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდგომ დაჰკლებია. ევსევი ხშირად აგზავნიდა კომისიებს გაბრიელის საქმეთა შესამოწმებლად, მაგრამ ყოველივე ამაო იყო."

ი. გოგებაშვილი ანალიზს უკეთებს გაბრიელისადმი ეგზარქოს ევსევის მტრულ დამოკიდებულებას- „ეპისკოპოს გაბრიელისადმი ეგზარქოსის მტრობის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ყოველმხრივ განათლებასთან ერთად დიდი მცოდნე იყო ღვთისმეტყველებისა და ეწეოდა მკაცრ, უმწიკვლო ცხოვრებას, რის გამო მთელი საზოგადოების თვალში პირველ სასულიერო პირად იყო მიჩნეული საეგზარქოსოში. რუსული პრესა კვლავ ქებით იხსენიებდა გაბრიელის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებს." თბილისში გამოცემული გაბრიელის ქადაგებები მალე ითარგმნა ინგლისურ ენაზე და მას ინგლისშიაც დიდი შეფასება მიეცა.

ყოველივე ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, თუ მთელი საზოგადოება არათუ პატივს სცემდა ეპისკოპოს გაბრიელს და სიყვარულით იყო განმსჭვალული მისდამი, არამედ პირდაპირ ეთაყვანებოდა მას. ეს კი, სამწუხაროდ აბოროტებდა ეგზარქოსს." (ი. გოგებაშვილი)

მთავარმმართებელთან და ეგზარქოსთან გაბრიელის საწინააღდეგო დაბეზღებები დაბეზღებებზევე შედიოდა, სადაც მოითხოვდნენ ქართველი ეპისკოპოსის გადაყენებას, რომელიც ხმალამოღებული ებრძოდა ეკლესიისა და სასწავლებლების რუსიფიკაციას, ამასვე აკეთებდა ი. გოგებაშვილი სხვა მოწინავე ერისკაცებთან ერთად. ი. გოგებაშვილი აიძულეს მასწავლებლობა მიეტოვებინა საყვარელ მოსწავლეს გაბრიელი გამოესარჩლა წერილით ეგზარქოს ევსევისადმი.

იცავდა რა ქართულ ენას, არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ბრმად ანიჭებდა ყოველივე ქართველურს უპირატესობას. გაბრიელის პატრიოტული ქმედება არასოდეს გადასულა შოვინისტურში, ამის ნათელი დადასტურებაა დიდი მღვდელმთავრის აზრი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის არჩევის შესახებ: „დიდი ფიქრი და სიფრთხილე გმართებთ, რომ შეცდომა არ მოგივიდეთ, სასწავლებლის ზედამხედველი უნდა იყოს ჭკვიანი, მცოდნე, გამოცდილი და კარგი ხასიათის კაცი. მთელ სასწავლებელს ისეთი მიმართულება და ხასიათი ექნება, როგორიც მის ზედამხედველს. ამჟამად ბევრია კანდიდატი რუსებიც და აქაურებიც. ზემოურს-ქვემოურს ნუ მიაქცევთ ყურადღებას, აგრეთვე ნურც იმას, ეს რუსია და ეს ქართველიო,

განხეთქილებას ნუ ჩამოაგდებთ ერთმანეთში, ეს სამაგლობაა, კაცი სულ ერთია ვინც უნდა იყოს და საიდანაც იყოს, ოღონდ კი, შეეფერებოდეს თავის ადგილს, დანიშნულებას."

ი. გოგებაშვილი ისევე როგორც წმიდა გაბრიელი ღრმა ზღვარს ავლებდა რუს მოწინავე ადამიანებსა და ცარიზმის ველიკორუსულ რუსიფიკატორულ პოლიტიკას შორის, პირველთ იწონებდა და პოპულარიზაციას უწევდა, მეორეს აკრიტიკებდა და ებრძოდა. იაკობი განიცდიდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას და საეგზარქოსოს დაარსებას, ამასთან იაკობს გულს ისიც უკლავდა, რომ საქართველოს ეგზარქოსებად რუსი მოხელეები ინიშნებოდნენ. „1819 წლიდან დაწყებული წერს იაკობი, მთელი საუკუნის განმაელობაში საქართველოს ეგზარხოსად ერთჯერაც არ ყოფილა დანიშნული ქართველი, თუმცა ქართველ სასულიერო პირთა შორის იყვნენ ისეთი მაღალი განათლებული და ფრიად ღირსეული იერარქები, როგორიც მაგალითად იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი პეტერბურგის აკადემიის მაგისტრი, ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი."

საქართველოს სკოლებში, სემინარიებსა და ეკლესიებში შექმნილი რუსიფიკატორული რეჟიმი რომ ქართველ ერს კარგს არაფერს უქადდა, ეს იაკობმა კარგად იცოდა მაგრამ ვინ არის დამნაშავე ამაში? კითხულობს იაკობი და თვითონვე პასუხობს: „თუ არა ის წესები, რომელნიც შემოიღეს... აწინდელი სემინარიელებისაგან ვერ გამოვლენ ვერც დიმიტრი ბაქრაძეები, ვერც გერასიმე ქიქოძეები, ვერც პეტრიაშვილები, ვერც ცაგარელები."

გაბრიელ ეპისკოპოსი გახლავთ საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, უფრო მეტიც, საზოგადოების დაარსებამდე (1879 წელი) იგი ამ სფეროში ნაყოფიერ თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდა. იაკობ გოგებაშვილს მხედველობიდან არ გამორჩენია წმიდა მღვდელმთავრის საქმიანობის ეს სფეროც.

მან 1890_ წლის 21 ნოემბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წარუდგინა მოხსენება წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის საზოგადოების საპატიო წევრად არჩევის თაობაზე:

„გაბრიელმან ეპისკოპოსმან იმერეთისამ, ფრიად დიდი სამსახური გაუწია ხალხის განათლებას საქართველოში.

პირველად: ორკლასიანი, კეთილმოწყობილი სკოლის დაარსებით გურიაში სოფელ ბახვში თავისი საკუთარი ხარჯით.

მეორედ: მრავალი სამრევლო სკოლების დაარსებით თავის ეპარქიაში და სხვა ღონისძიებებითაც, რომელთა წყალობით წერა-კითვა ახლაც ძლიერ გავრცელებულია იმერეთის მხარეში.

მესამედ: თავისი ფრიად შესანიშნავი ქადაგებებით, ხალხისთვის გასაგები ენით დაწერილნით, რომელნიც ორ ტომად დაიბეჭდნენ რამდენიმე გამოცემად და რომელნიც ინგლისურ ენაზედაც კი ითარგმნენ.

და მეოთხედ იმით, რომ გაბრიელმა ნამდვილი თანაგრძნობა გამოუჩინა ჩვენს საზოგადოებას, წეს-დებულებას ხელი მოაწერა, როგორც დამფუძნებელმა წევრმა და იმთავითვე შემოიტანა 30 თუმანი ფული ხვედრი დამფუძნებელ-წევრობისა და ყოველ წლივ შემოაქვს საწევრო ფული."

რა თქმა უნდა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოების გამგეობამ ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით გაბრიელი ერთხმად აირჩია საპატიო წევრად და სათანადო წერილითაც მიმართა (იხ. აქვე ილია და ბახველი ქიქოძეები.)

1895 წელს მთელი საქართველო ემზადებოდა გაბრიელის დაბადების 70-წლისთავის აღსანიშნავად. მღვდელმთავრის მძიმე ავადმყოფობამ ჩაშალა ეს დიდი ეროვნული დღესასწაული. იაკობი იუბილარს დეპეშით მიესალმა: „მიბოძეთ ნება, მეუფეო, მოგიძღვნათ თქვენ უპატივცემულესი და უგულწრფელესი მილოცვა თქვენი ოცდათხუთმეტი წლის დიდებული და უნაყოფიერესი მსახურების იუბილისა და გისურვოთ მთელი გულით განახლება თქვენი უძვირფასესი ჯანმრთელობისა საკეთილდღეოდ ეკლესიისა და მამულისა, რომელიც ღრმად შეწუხებულია თქვენი უძლურებისა გამო."

მოკლე ხანში, 1896 წლის 25 იანვარს გაბრიელი გარდაიცვალა. მთელმა საქართველომ მიუხედავად ეროვნებისა ცხარე ცრემლებით დაიტირა სახელოვანი მღვდელმთავარი. იაკობ გოგებაშვილმა წერილები მიუძღვნა დიდი მასწავლებლის ხსოვნას: „არა მგონია, რომ რომელიმე მწემსმთავრის მოქმედებას არამც თუ ჩვენში და რუსეთში, არამედ ევროპაშიაც მოეტანოს სამწყსოსათვის იმაზე უნაყოფიერესი შედეგი, რომელიც შესძლვნა იმერთა ერსა განსვენებულის 35 წლის თავდადებულმა მოღვაწეობამ."

იაკობ გოგებაშვილმა გულწრფელად დაიტირა საყვარელი პედაგოგი მის ხსოვნას იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარებდა. კაბინეტში იაკობს დიდი მასწავლებლის სურათი ეკიდა.

არ უნდა დავივიწყოთ გაბრიელის მოღვაწეობის იაკობისეული სიყვარულით აღსავსე დახასიათება: „მის მეოხებით, რომ განსვენებული მწყემსმთავარი 35 წლის დამოუკიდებელი საეპისკოპოსო მოღვაწობის მანძილზე უხვად თესდა დასავლეთ საქართველოს მრავალრიცხოვან სამწყსოში მართლმორწმუნეობის, სახარების მაღალი ზნეობის, სასიცოცხლო ცოდნის თესლს, აგრეთვე მის მიერვე დაარსებული კონტროლირებული მრავალრიცხოვანი სკოლების საშუალებით. დაუღალავი

სამოციქულო ქადაგებებით ქალაქებში, კიდევ უფრო ხშირად სოფლად, იმით რომ იგი თავისი უმწიკვლო ცხოვრებით იძლეოდა სახარების ნამდვილი ზნეობის მაღალ მაგალითს, მისი სამწყსო ამაღლდა ზნეობრივ-რელიგიურად, გონებრივად და ეკონომიკურად, რასაც ნათლად ადასტურებს ქუთაისის გუბერნიის გლეხთა მიერ რამდენიმე მილიონი მანეთის სანადელო მიწების შესყიდვა საკუთარი სახსრებით, მთავრობის დაუხმარებლად. ამ ფაქტს, სხვათაშორის ბარონი ნიკოლაი თავის თხზულებაში თითქმის უმაგალითო მოვლენად აღიარებდა მსოფლიო ისტორიაში. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც ამჟამად იმდენად ჩამორჩა ყოველმხრივ დასავლეთ საქართველოს, რამდენადაც ის მასზედ მაღლა იდგა 30_40 წლის წინათ.

ეს ნაყოფიერი მოღვაწეობა მიზეზი განსვენებულის იმ გაღმერთებისა, რასაც ასე მჭერმეტყველურად გამოხატავს დღეს დაობლებული სამწყსო და რასაც ასე ერთხმად ადასტურებენ ყველა გაზეთის, მათ შორის „კავკაზის" კორესპონდენტები."

დიახ, სამწყსო ფეხზე დადგა მაგრამ თავგანწირულ მწყემსმთავარს, რომელმაც თავისი სამოციქულო მოღვაწეობის თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში არ იცოდა რა იყო მოსვენება, ძვირად დაუჯდა ეს. იგი ისე იწვოდა ღვთისა და მოყვასის სიყვარულით, რომ არ შეიძლებოდა ნაადრევად არ დაფერფლილიყო. ასეც მოხდა, ცნობილია, რომ მწყემსმთავარმა გაბრიელმა მიუხედავად თავისი ძლიერი ჯანმრთელობისა სრულიად დაკარგა ძილი, გადაიქცა ჩონჩხად და გარდაიცვალა საშინლად გადაღლილი.

ამგვარად მან ზუსტად შეასრულა მხსნელის რჩევა, რომელიც მოითხოვს, რომ კეთილმა მწყემსმთავარმა თავი დასდოს მისდამი რწმუნებული სამწყსოსათვის.

განსვენებული მღვდელმთავრის დევიზმა „ყველაფერი სამწყსოსათვის და არაფერი საკუთარი თავისათვის, მშვენიერი გამოხატულება ჰპოვა მის სულიერ ანდერძშიაც, რომლითაც მან მთელი ქონება დაუტოვა სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებს და გვერდი აუარა თავის მრავალრიცხოვან ნათესავებს, მიუხედავად მათდამი მამობრივი დამოკიდებულებისა და ეს თავისი ამაღლებული საქციელობა დაასაბუთა ამაღლევებელი თავმდაბლობით, რომლითაც გამოირჩეოდა მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა. „მე არა მეკუთვნის რა, ყველაფერი ღვთისაა"_ წარუმძღვარა წინ თავის სულიერ ანდერძს ჩვენმა სამაგალითო მღვდელმთავარმა.

დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის გაბრიელ ქიქოძის გარდაცვალებით გამოწვეული ქართველი ერის დიდი მწუხარების შემსუბუქებას იაკობი შემდეგი სიტყვებით ცდილობდა: „დიახ, საქართველომ დაჰკარგა უკეთილშობილესი შვილი, რომელიც ფლობდა სულის იშვიათ სიდიადეს, მაგრამ მას შეუძლია თავი ინუგეშოს

იმით, რომ მის წრეში ასეთი უაღრესად დაჯილდოებულ პიროვნებათა გამოვლინება მისი მომავლის უტყუარი საწინდარია."

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსისა და იაკობ გოგებაშვილის ურთიერთობა ნათელი დადასტურებაა ერთის მხრივ იმისა, თუ როგორი სიყვარული უნდა არსებობდეს ჭეშმარიტ მოძღვარსა და სახელოვან შეგირდს შორის და მეორეს მხრივ, მაჩვენებელია ეროვნულ პოზიციებზე მდგომი საზოგადო მოღვაწეების უანგარო პატივისცემისა და ღვაწლის დაფასებისა.

## ფრაგმენტები ნიკო ნიკოლაძისა და გაბრიელ ეპისკოპოსის ურთიერთობიდან

ნიკო ნიკოლაძე ერთერთია იმ მრავალ ქართველ მამულიშვილთა შორის, ვინც ღირსეულად დააფასა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის მარად დაუვიწყარი ღვაწლი მშობელი ერის წინაშე.

1868 წელს ინგლისელი ღვთისმსახურის სოლომონ მალანის მიერ ინგლისურად ითარგმნა და ინგლისში გამოიცა „გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებები" ქართველი საზოგადოება დიდი სიხარულით შეეგება ქართველი ერის ისტორიაში ამ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს. მათ შორის ასეთი იყო ჟურნალი „მნათობი" სადაც დაიბეჭდა გაბრიელის ძმიშვილის, საკმაოდ ცნობილი პიროვნების, იურისტ მოსე ქიქოძის სტატია. ნიკო ნიკოლაძემ რეცენზია მიუძღვნა ხსენებულ სტატიას და იგი მიიჩნია გარკვეულწილად ცალმხრივად და გადაჭარბებულად. შემდგომში გამოითქვა მოსაზრება, რომ ნიკო ნიკოლაძე არასრულფასოვნად აფასებდა გაბრიელ ეპისკოროსის შემოქმედებას. თუ ჩვენ ღრმად ჩავიხედავთ ნ. ნიკოლაძის რეცენზიაში, დავინახავთ, რომ იგი უფრო მეტად ეკამათება წერილის ავტორს მ. ქიქოძეს და არა თვით მღვდელმთავარს. ჩვენ სრულებით მისაღებად მიგვაჩნია ნიკო ნიკოლაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვანი რომ გამოვიდა წრეულს, „მნათობმა" ამ წიგნს გადაჭარბებული ქება შეასხა და იმნაირად გამოხატა მისი მნიშვნელობა თითქოს მისი დაბეჭდვისთანავე, ნაყოფი მისი ის იქნება, რომ კაცის ცხოვრება გაუკეთდება და სისრულამდის მიაღწევს." აქ გაბრიელის ქადაგებათა ნამცეცი უარყოფაც არ გვაქვს, რადგანაც თავისთავად რაგინდ მნიშვნელოვანი ნაშრომიც არ უნდა იყოს თაროზე შემოდებული, თუკი მას მასები არ დაეუფლა, თუ იგი საზოგადოების

სულიერ საკვებად არ გადაიქცა, თავისთავად არავერ პრაქტიკულ შედეგს არ გამოიღებს. თუმც ნიკო ნიკოლაძეს გაბრიელის ქადაგებათა ჭეშმარიტ ღირებულებაში ეჭვი არ ეპარება- „გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებას ძლიერ ხშირად მშვენიერი და უსათუო ჭეშმარიტებანი უძევს საფუძვლად. ამ ჭეშმარიტების გასავრცელებლად მქადაგებელი შესანიშნავ ბუნებით ნიჭს ხმარობს ხოლმე. ეს ყველაფერი უეჭველია. აგრეთვე უეჭველი ისიც არის, რომ ამ ქადაგებას სასულიერო ლიტერატურაში მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს."

გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ თითქოს ნიკო ნიკოლაძე თვლის, რომ ხალხის ზნეობრივი სახის გაჯანსაღების ის გზა, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსს აურჩევია მცდარია და ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ სოციალური წყობილების შეცვლითაა შესაძლებელი. ჩვენ კი ვფიქრობთ რომ ნიკო ნიკოლაძე სრულიად მართებულად მიიჩნევს ქადაგებებით ანუ საზოგადოების სულიერი მომზადებით შეუძლებელია ქვეყნის სოციალური მდგომარეობის ამაღლება თუ მას ქვეყნის მოწყობის სამართლიანი წესები არ დაემატა. „გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვებში ბევრი ჭეშმარიტი დარიგებაა, მაგრამ თუ საზოგადოებას ჰსურს, რომ ეს სიტყვები მღაღადებლის ხმათ არ დარჩეს უდაბნოში ის თავის წევრებს უნდა უადვილებდეს მათში გამოთქმული ჭეშმარიტების ასრულებას, სამართლიანის წესის გამართვით."

ნიკო ნიკოლაძე კი არ უარყოფს გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებს, არამედ მიაჩნია, რომ მხოლოდ ქადაგებებით საზოგადოების ყოფიერების გაუმჯობესება „შეუძლებელია, თუ კი მას მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება არ სდევს. ხალხის ზნისა და ჩვეულების შეცვლაში ან გაუმჯობესებაში უმთავრესი გავლენა იმ ხალხის მდგომარეობას და წყობილებას აქვს, იმას არ უნდა დავიწყნოდა, რომ ხალხის ზნეობის აღზრდისათვის ქადაგებების გარდა სხვა რამეცაა საჭირო– ზნეობის კანონი დამყარებული უნდა იყოს ადამიანის ბუნების თავისებურებებზე, რომ მას მიზნად ამ ბუნების დაკმაყოფილება ჰქონდეს."

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსიც დაახლოებით ამავე თვალსაზრისზე იდგა. ერთ-ერთ თავის ქადაგებაში იგი ამბობს- „ჩვენ ცუდად ვლოცულობთ და ამიტომ ცუდად ვცხოვრობთ, ცუდად ვცხოვრობთ და ამიტომ ცუდად ვლოცულობთ."

„საზოგადოების ზნეობითი აღზრდა საზოგადოების წყობილების და მდგომარეობის გაუმჯობესებას მოსდევს, უიმისოდ კი სრულიად შეუძლებელია" –განაგრძობს მ. ქიქოძესთან კამათს ნიკო ნიკოლაძე. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიათ მისი და გაბრიელ ეპისკოპოსის აზრი იდენტურია და თვით ნიკო ნიკოლაძემაც კარგად იცის. იგი მხოლოდ მ. ქიქოძეს ეკამათება ცალმხრივი რეცენზიის გამო, რაზედაც ნათლად მიგვითითებს ქვემოთ მოყვანილი სიტყვები: „მართალია გაბრიელ

ეპისკოპოსის წიგნს სასულიერო ლიტერატურაში მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და მაშასადამე ინგლისურ ენაზე მისი გადათარგმნა კარგი საქმეა. მაგრამ მარტო გადათარგმნა წიგნის ღირსებას ვერ ამტკიცებს" და აქვე მოჰყავს საკმაოდ ზუსტი არგუმენტი: „ინგლისელები გონიერი და დამჯდარი ხალხია, იმათში მაინც ბევრი ახირებული და უგონო მწერლები ურევია."

ნიკო ნიკოლაძის სიყვარული და პატივისცემა დიდი მღვდელმთავრისადმი რომ გულწრფელი და უანგარო იყო ეს შემდგომში მრავალჯერ იქნა დამტკიცებული.

როგორც ცნობილია, უწიგნურობის აღმოფხვრის მიზნით გაბრიელ ეპისკოპოსის წახალისებით დასავლეთ საქართველო დაიფარა სამრევლო სკოლების ქსელით. მიუხედავად მთელი რიგი ნაკლოვანებებისა, სკოლები წარმატებით ასრულებდნენ თავიანთ მთავარ დანიშნულებას, _ მოსახლეობის ღარიბ ფენებში წერა კითხვის გავრცელებას. ბუნებრივია, მეფის მოხელეები წინ აღუდგნენ პროგრესულ ეროვნულ ღონისძიებას. ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორმა გაბრიელ ეპისკოპოსს მოსთხოვა სამრევლო სკოლების დახურვა. როგორც ნიკოლაძე აღნიშნავს, გაბრიელი წინ აღუდგა გუბერნატორის ანტიქართულ მოთხოვნას: „გუბერნატორმა წინადადება მისცა იმერეთის ეპისკოპოსს, დაეხურა ყველა სამრევლო სკოლა იმერეთის ეპარქიაში, ამავე დროს გუბერნატორმა წერილობითი მითითება მისცა ყველა მაზრის უფროსს მისი თანხმობის გარეშე არავის გაებედა სკოლის გახსნა. „იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა- წერს ნიკო ნიკოლაძე - რომელიც მუდამ სამრევლო სკოლების რიცხვის გაზრდას ცდილობდა, გუბერნატორის განკარგულების შესრულებაზე უარი თქვა. ამის შემდეგ მაზრის უფროსებს უბრძანეს დაეხურათ სამრევლო სკოლები. გუბერნატორსა და ეპისკოპოსს შორის ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ საქმე მოგვარდა და სამრევლო სკოლები დახურვას გადაურჩა."

1856 წელს გაბრიელ ქიქოძეს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილ პედაგოგსა და მეცნიერს უმოკლეს დროში თითქმის ერთდროულად გარდაეცვალა ცოლი და შვილები. გაბრიელი ლამის ჭკუიდან შეიშალა. ბრძენკაცმა ისევ თვითონვე შინაგან ძალებს მოუხმო და შვება სასულიერო მოღვაწეობაში ჰპოვა. ეს მოვლენა ნიკო ნიკოლაძემ სრული ლოგიკურობით შეაფასა _ „გაბრიელის ცხოვრებაში ძირფესვიანი გარდატეხა მოხდა."

1888 წელს ნიკო ნიკოლაძემ „ნოვოე ობოზრენიაში" გაბრიელ ეპისკოპოსისადმი მიძღვნილი სტატია გამოაქვეყნა, სადაც მღვდელმთავარი დაახასიათა როგორც ერთერთი ღირსეული ფიგურა, მთლიანი და უნაკლო, რომელიც ჩვენ დღეებში თავისი სახით, ქადაგებითა და საქმეებით ცოცხლად განასახიერებს საეკლესიო ეპოქების წმიდა სახეებს."

1893 წელს ნიკო ნიკოლაძემ ისევ „ნოვოე ობოზრენიეს" ფურცლებზე შეაფასა გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ რუსულ ენაზე გამოცემული ქადაგებები და მას უმაღლესი შეფასება მისცა. ხოლო თვით ავტორს- ყოვლადწმიდა მღვდელმთავარს „სამართლიანობის მასწავლებელი" უწოდა. აქვე ნიკო ნიკოლაძე იხსენებს იმ ფაქტსაც, რომ იმავე საუკუნის 60_იან წლებში ინგლისში დაიბეჭდა გაბრიელის ქადაგებები და „ქართულ ნაწარმოებს შორის ეს პატივი მხოლოდ „ვეფხისტყაოსანს" ერგო წილად და ამით ყველაფერია ნათქვამი."

ნიკო ნიკოლაძეს არც წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელმძღვანელო „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" გამორჩენია მხედველობიდან. ნიკოლაძე აღნიშნავს გ. ქიქოძის დიდ დამსახურებას ფილოსოფიურ აზროვნებაში, რომ მან დაამარცხა იურკევიჩის, გოგოცკისა და და სხვათა მეტაფიზიკური სკოლა. ნ. ნიკოლაძისეული ეს შეფასება გამოქვეყნდა 1888 წელს. ნ. ნიკოლაძემ მიუთითა რომ ამ პერიოდში დაახლოებით 30 წელი ფსიქოლოგიამ კოლოსალურ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ ეს ფაქტი სრულებითაც არ ამცირებს გ. ქიქოძის ღირსებებს, რადგანაც იგი წარმოადგენდა რუსეთის იმპერიაში ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯს. გ. ქიქოძის ნაშრომი იყო ცდისეულ მეცნიერებათა მიღწევების საფუძველზე ფსიქოლოგიის განხილვის პირველი ცდა.

1896 წლის იანვარში წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი გარდაიცვალა. იმავე წლის 21 მარტს პეტერბურგში ქართულმა სათვისტომომ გაბრიელს პანაშვიდი გადაუხადა. სხვა ქართველებთან ერთად გაბრიელის ხსოვნას ნიკო ნიკოლაძემაც მიაგო პატივი.

1913 წელს მ. კელენჯერიძემ დაწერა მონოგრაფია გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ და გადაწყვიტა მისი ქადაგებების შედარებით სრულად გამოცემა. საჭირო იყოს სოლიდური თანხა. მ. კელენჯერიძემ დახმარებისათვის სხვადასხვა პირებს და მათ შორის ნ. ნიკოლაძეს მიმართა. ნ. ნიკოლაძე ამ დროს ფოთის თავის თანამდებობიდან გადამდგარი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში და რაც მთავარია დაუმსახურებელ მორალურ წნეხში იმყოფებოდა. როდესაც კელენჯერიძეს საქმის ვითარება გაუცნია, ნიკო ნიკოლაძეს ლამის ტირილი დაუწყია- „ახლა კი ჩამთვალეთ უბედურად, რომ ამის გამოსაცემი ფული არა მაქვს! განა ამის დაუბეჭდაობა შეიძლება? ერთი ნაჭერიც არ უნდა დარჩეს დაუბეჭდავი." ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ უპასუხნია- „კარგი თუ ცოცხალი დავრჩი თქვენ ამ ფულს მიიღებთ." 1913წლის 13 სექტემბერს მ. ნიკოლაძე მ. კელენჯერიძეს წერს „თანახმად თქვენი სურვილისა, გუშინვე ვიმეცადინე და გიშოვნეთ ფული პირველი ტომის გამოსაცემად. ეს ამბავი მომილოცნია თქვენთვის და და უფრო მეტად ქართველი საზოგადოებისათვის. თქვენი მარად ერთგული ნ. ნიკოლაძე ( ავთანდილ ნიკოლეიშვილი5 1990 წელი) დღესაც არავინ იცის სად და როგორ იშოვა ეს ფული ნიკოლაძემ. დაპირებული

საქირო თანხა კელენჯერიძემ დროულად მიიღო. ამით კიდევ ერთხელ ნათლად დადასტურდა ნ. ნიკოლაძის გაბრიელისადმი მისი მოღვაწეობისადმი დიდი პატივისცემა და სიყვარული.

მაშინ როცა გაბრიელ ეპისკოპოსი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო და ნიკო ნიკოლაძე ჯერ კიდევ ცოცხალი და ქვეყნის სამსახურში მყოფი, ამ ორი დიდი მამულიშვილის სახელს ხშირად კვლავ ერთად მოიხსენიებდნენ. მაგ. ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ხომლელი- (რ. ფანცხავა), ლუკა ბახტაძეს 1916 წელს აფრთხილებდა: ერთი სიტყვით, ამ საგანს ძალიან დაუფიქრდი, ყველაზე უფრო წასატეხი გაბრიელზე წერაა. ჩვენს დემოკრატთ ასეთი დიდი შვილი-ნიკო ნიკოლაძე კიდევ ჯერ არ დაუბადებია და მის ასეთ დამცირებას არავინ გეაპატიებს."

ასეთია ის დიდი მოწიწება და რუდუნება, რომელსაც ნიკო ნიკოლაძე განიცდიდა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსისადმი. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „თავისი დროის ერთი ყველაზე ღირსეული და სრულყოფილი ფიგურისადმი."

1887 წლიდან ნ.ნიკოლაძე ჟურნალ ,,ნოვოე ობოზრენიეს'' ხელმძღვანელობდა. გაზეთში თანამშრომლობდა ჟურნალისტი ილია ბახტაძე ხონელი. ი.ხონელის მამა მღვდელი ლუკა ბახტაძე გაბრიელ ეპისკოპოსმა მექრთამეობისათვის ეკლესიიდან გააძევა. შვილი გაბრიელ ეპისკოპოსისადმი შურით აღივსო და შურისძიება გადაწყვიტა. მან ამ უმწიკვლო ადამიანისათვის ჩირქის მოსცხების მიზნით ,,ნოვოე ობოზრენიეში'' სხვადასხვა მონაჩმახების ბეჭდვა დაიწყო. ალბათ ზედმეტი იქნება კიდევ ერთხელ იმის აღნიშვნა, თუ რა უდიდეს პატივს სცემდა გაბრიელს ერი. ი. ხონელის ასეთმა თავხედობამ მოწინავე საზოგადოება აღაშფოთა. მან ნ. ნიკოლაძეს მკაცრად მოთხოვა გაზეთს შეეწყვიტა ი. ხონელის ასეთი გაუგონარი ცილისმწამებლური ფელეტონების ბეჭდვა. რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი აზრის პოზიციებზე იდგა ნ. ნიკოლაძეც. მან ,,ნოვოე ობოზრენიეს'' რედაქციას დაავალა აღარ დაეშვა მსგავსი პასკვილების გამოქვეყნება. ი. ხონელმა, რომელიც სარგებლობდა გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორის მ. უსპენსკის მხარდაჭერით, ისევ განაგრძო გაბრიელ ეპისკოპოსის შეურაცხმყოფელი ფელეტონების ბეჭდვა.

ნ. ნიკოლაძემ უკიდურეს ზომებს მიმართა 1891 წელს მან გაზეთი გაყიდა. ნ. ნიკოლაძემ საგრძნობი ეკონომიკური დანაკლისი განიცადა. გაზეთი მან 4000 მანეთ წლიურ მოგებას აძლევდა, რაც გაზეთის გაყიდვის შემდეგ რა თქმა უნდა დაკარგა. რაც მთავარია ნ. ნიკოლაძემ შემოქმედებითი ტრამვა მიიღო. იგი დიდი ხნით ჩამოშორდა აქტიურ საგამომცემლო მუშაობას. ამ ფაქტით ნ. ნიკოლაძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა გაბრიელისადმი გულრწფელი პატივისცემა და მოწიწება.

საგამომცემლო საქმიანობას ნ. ნიკოლაძე მხოლოდ სიცოცხლის მიმწუხრში, ღრმა სიბერეში, 1925 წელს დაუბრუნდა. ნ. ნიკოლაძე სათავეში ჩაუდგა ბეჭდვით

კოოპერაციულ საზოგადოებას ,,ქართული წიგნი". სხვა გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ნ. ნიკოლაძეს გვერდით გაბრიელ ეპისკოპოსის ახლო ნათესავი გერონტი ქიქოძე ედგა.

## დავით კლდიაშვილი და გაბრიელ ქიქოძე

ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დავით კლდიაშვილის ცხოვრება აღსავსეა მრავალი ისეთი მომენტით, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარული, ერთგულება და სამსახური. ერთ-ერთ ასეთ ფაქტად აღიარებულია შავრაზმულ გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის" რედაქტორის პალმის დუელში გამოწვევა „ქართველთა ეროვნული ღირსების" შეურაცხყოფის გამო. (ჯ. თითმერია, გაზეთი კომუნისტი №237, 16 ოქტომბერი7 1982 წ.

აღსანიშნავია, რომ „ქართველთა ეროვნული ღირსება" რისთვისაც დ.კლიდიაშვილმა საკუთარი სიცოცხლეც კი საფრთხეში ჩაიგდო, გახლდათ წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი.

დ. კლდიაშვილმა მრავალი გულწრფელი სიტყვა დახარჯა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობის შესაფასებლად და როდესაც საჭირო გახდა მღვდელმთავრის წმიდა სახელის დაცვა, მეფის მოხელეთა გამძვინვარებული შემოტევებისაგან, დავითმა ისინი დუელშიც კი გამოიწვია.

დღეს ერთხმად აღიარებულია ის, ვინც პირველმა ყველაზე ღრმა და მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი გასცა რენეგატ მუხრანსკის, რომელმაც ქართულ ენას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და დიდი ილიას თქმით, ქართველ ხალხს „მკვდრის სუდარა გადააფარა" იყო წმიდა გარიელ ეპისკოპოსი.

მონარქისტი მუხრანსკი თავის ნაშრომში ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქართველ ერს მხოლოდ რუსეთთან ასიმილაციით, ქართული ენის უარყოფით შეეძლო გადაერჩინა თავი ფიზიკური განადგურებისაგან და შეენარჩუნებინა ინდივიდუალური ეროვნული სახე. ცარიზმი ყოველნაირად ხელს უწყობდა აღნიშნული თეორიის პრაქტიკულად განხორციელებას და ამ თეორიის ყველა უარმყოფელი სახელმწიფოსა და მეფის ორგულად იყო აღიარებული.

სწორედ ამ დროს გაისმა „ღრმად მიწევნილი მეცნიერის" (ი. ჭავჭავაძის შეფასება) წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ხმა, რომელმაც ერთის მხრივ საგონებელში ჩააგდო მეფის დამქაშები, მეორეს მხრივ კი, ეროვნული და მორალური გამოცოცხლება შეიტანა ქართველთა შორის: „ყველაფრით შეიძლება შეერთდეს მცირე ხალხი დიდთან, სულით, გულით, აზრით, ინტერესებით, მაგრამ მისი ენის მოსპობა არ შეიძლება. მცირე ხალხი მოკლებული იქნება ყოველ ინდივიდუალურ ხასიათის თვისებათა და უსარგებლო იქნება თავისთვისაც და სხვისთვისაც. თუ სიყვარული, ნდობა, ინტერესების ერთობა არ შეაკავშირებენ კაცს კაცთან, ხალხს, ხალხთან ენა აქ ვერაფერს იქმს."

გ. ქიქოძე თვლიდა, რომ ხალხის ინდივიდუალურობის უმთავრესი ელემენტი არის ენა და ამიტომ იგი უნდა ეცადოს მის შეკეთებას, გავრცელებას და არა დაკარგვას. ამასთან წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ამტკიცებს, რომ ქართული და სომხური ენები მიუხედავად იმისა, რომ მცირე ხალხის ენებია, მაინც მდიდარი ხანგრძლივი ისტორიის მქონე მსოფლიო მნიშნელობის ენებია და ასეთი ენების მოსპობა და გადაგვარება შეუძლებელია."

როგორც ჭეშმარიტმა მეცნიერმა, პოლემიკის საფუძვლიანი წარმართვის მიზნით ყოველმხრივ შეისწავლა გ. მუხრანსკის პიროვნება და აღმოაჩინა, რომ მან ეროვნებით ქართველმა (თვითონაც კარგად არ იცის უბედური ქართული ენა! რომელსაც სხვათა შორის უწინასწარმეტყველა მოსპობა და განქარვება!- გ. მუხრანსკი ცარიზმის მეხოტბედა დამცველი, თვლიდა, რომ მცირე ხლხების (ქართული ენა უნდა მოისპოს, დიდი ხალხის (რუსული ენა კი, გავრცელდეს!")

გ. მუხრანსკის დასკვნა ასეთია: აუცილებელია „სუყველა მცირე ენები განქარდეს, ოღონდ სახელმწიფო გაძლიერდეს. გაბრიელი კი მიიჩნევს, რომ ენა ხალხისათვის არის ის, რაც სული ხორცისათვის."

გ. მუხრანსკის რეაქციულ თეორიას დამცველები აღმოუჩნდნენ. ამ მხრივ თავი გამოიჩინა კავკასიის საოლქო განათლების მზრუნველმა იანოვსკიმ, რომელმაც ქართული ენის სრული განდევნის მიზნით, მოითხოვა სკოლებში ე.წ. მუნჯური მეთოდის დანერგვა. გაბრიელ ეპისკოპოსმა აქაც თქვა თავისი სიტყვა და სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად აიძულა იანოვსკის ბოდიში მოეხადა.

როგორც დ. კლდიაშვილის მემუარებიდან ირკვევა იგი თვალს ადევნებდა და კარგად იცნობდა გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობას. დავითი იგონებდა: „ხალხს ღრმად უყვარდა გაბრიელი, ტკბილი მოუბარი, უბრალო, თავმდაბალი, მისი კეთილისმყოფელი, მისი დამცველი და ქომაგი. ყველამ ზედმიწევნით იცოდა რა სასტიკი პასუხი გასცა მან საოლქო განათლების მზრუნველს. ცნობილ იანოვსკის. რა

გაბედულად გადმოუშალა მისი ანტიპედაგოგიური მიმართულება, რომელიც მას შემოჰქონდა ჩვენს სასწავლებელში ერის გადაგვარების წადილით. ყველამ კარგად იცოდა, რა წინააღმდეგობას უწევდა გაბრიელი უმაღლეს სასულიერო მთავრობას, რომელიც ასე რყვნიდა ქართულ ეკლესიას და მის მსახურებს."

მემუარულ ნაწარმოებში „ჩემი ცხოვრების გზაზე" დავით კლდიაშვილს კიდევ რამდენიმე ეპიზოდი მოჰყავს გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებიდან: „იგი იყო ნამდვილი გულწრფელი საზოგადო მოღვაწე, მებრძოლი ბერი, რომელსაც არც ერთ თავის ქადაგებაში ეშმაკი არ უხსენებია,! რომელიც თავის მიმართვაში ხალხისადმი არკვევდა ცხოვრების პირობებს და ქადაგებდა მაღალი ზნეობის პრინციპებს. გაბრიელი იყო, რომელიც ქუთაისის მთავარანგელოზის ტაძარში ქადაგებდა მხურვალე სიტყვებით ბატონყმობის წინააღმდეგ. ამ ქადაგებამ გამოიწვია განრისხება ერთი მდიდარი აზნაურისა გვარად კანდელაკის, რომელმაც წამოიძახა:

„ ამ ლეკურით გავათავებ აქვე ამ ჩვენს დამღუპველს და გავარდა ეკლესიიდან და ხმალზე ხელწავლებული უდარაჯებდა ეპისკოპოსის გამოსვლას. გაბრიელს უთხრეს ეკლესიიდან არ გამოსულიყო, კანდელაკი მოკვლას გიპირებსო. ამის გაგონებაზე იგი გავიდა ეკლესიიდან და გაბედულად, უშიშრად ჩაუარა კანდელაკს. გაბრიელის მოსაკლავად მომზადლებული კანდელაკი სახტრად დარჩა, ხელი ხმალზე შერჩა..."

1896 წლის ზამთარში, დავით კლდიაშვილის სიტყვებით რომ ვთქათ „გარდაიცვალა ყველასაგან დიდად პატივცემული და საყვარელი მოღვაწე გაბრიელ ეპისკოპოსი."

დავით კლდიაშვილმა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა დიდი მამულიშვილის დაკრძალვაში, როგორც თვითმხილველმა დაგვიტოვა ზუსტი აღწერა იმ დიდი მწუხარებისა, რომელმაც მთელი ქართველი ერი მოიცვა: „ზამთარი იყო სასტიკი გარდამეტებული თოვლიანი, ისე რომ ყოველივე მისვლა-მოსვლა შეიკრა და მოისპო. თვეზე მეტი ესვენა გაბრიელი ქუთაისის სობოროში, რადგან გელათში მისი წასვენება ყოვლად შეუძლებელი იყო და სოფლიდანაც ხალხი ითხოვდა, რომ გასვენება გადაედოთ იმ დრომდე, სანამ გზები არ გაიხსნებოდა და ხალხს მიეცემოდა საშუალება დასწრებოდა საყვარელი მოძღვრის გასვენებას. თვენახევრის შემდეგ შესაძლებელი გახდა მიცვალებულის წასვენება გელათის მონასტერში. გასვენებაზე დასასწრებად ყოველი მხრიდან ხალხი მოემართებოდა ქუთაისისკენ. გელათის სადგურთან სოფლებიდან ჩამოსული ზღვა ხალხი ჯარივით იდგა მინდორში. სადგურზე საგანგებო მატარებლები ერთიმეორეზე მოდიოდა ხალხით ავსებული. პირველმა მატარებელმა მოასვენა მიცვალებული. თბილისიდან წინა დღით ჩამოვიდნენ ილია ჭავჭავაძე, ვანო მაჩაბელი და მრავალი წარჩინებული მოღვაწე.

ხალხთმოძულე ცარიზმის მოხელეები ცდილობდნენ გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვა თავიანთი მიზნებისთვის გამოეყენებინათ. კერძოდ, ეგზარხოსი ვლადიმერი შეეცადა ქართველი და სომეხი სამღვდელოების დაპირისპირებას. დავით კლდიაშვილი ამ ფაქტსაც იხსენებს: „მწირველი იყო თბილისიდან ჩამოსული ეგზარხოსი ვლადიმერი, ცნობილი ქართველთა მოძულე. მან ერთი მეტად არასასიამოვნო ინციდენტი გამოიწვია გასვენებაზე. როცა სიტყვებს ამბობდნენ, ჯერი მიდგა ქუთაისის სომეხთა ეკლესიის დეკანოზ ტერ დავითზე. მას უნდა ეთქვა სიტყვა, დეკანოზმა კიდეც დაიწყო და მოასწრო მხოლოდ წარმოთქმა ორიოდ სიტყვისა, როცა საკურთხევლიდან გამოსულმა ეპისკოპოსმა დადიანმა შეაჩერა იგი:

_„მოითმინეთ მამაო   უთხრა მან ტერ დავითს, ეგზარხოსმა გთხოვათ სანამ ის გავა ეკლესიიდან კათედრაზე არ ახვიდეთ, ის ახლავე გავა.

დეკანოზმა იმ წამსვე მიატოვა კათედრა და გაეშურა კარებისაკენ. ამ დროს ეგზარქოსიც გამოვიდა საკურთხევლიდან და მეორე კარებისკენ წავიდა. ეკლესიაში შეიქმნა ერთი ყაყანი, ატყდა ყიჟინა, ყვიროდნენ ყველა მხრიდან, თქვას ტერ დავითმა სიტყვა! თქვას სიტყვა! ნურავინ უშლით! ეგ არ შეილება!

გულმოსულმა ხალხმა მიაყვირა ეპისკოპოსს, რომ მას ნება არა აქვს რომ ასე ირჯებოდეს. ეპისკოპოსი დაიბნა, გაეკიდნენ ტერ დავითს, სთხოვეს დაბრუნებულიყო და წარმოეთქვა თავისი სიტყვა, მაგრამ მან უარი განაცხადა და თქვა:

მე ვერავინ დამიშლის წესიერი პატივი ვცე დიდებულ მიცვალებულს და მომავალ კვირას მე, ჩემს ეკლესიაში ჩემი მრევლით მუხლს მოვიდრეკ მის წინაშე! მან კიდევაც სავსებით და შვენებით აასრულა თავისი სიტვა პირველსავე კვირას.

ამ ინციდენტმა დიდი აღელვება გამოიწვია საზოგადოებაში, მაგრამ რა უნდა ექნა ძლიერი ეგზარქოსისთვის. მისი საქციელი შეურაცხყოფა იყო არა მარტო ამ დიდი ეროვნული მოღვაწის, არამედ მთელი ქართველი ერის. ამგვარი რამ რომ შეხვედროდა სადმე, სიცოცხლეში, მთელი თავისი არსებით წინ აღუდგებოდა და სასტიკად შეაჩვენებდა. ეპისკოპოსი გაბრიელი მეტად დაშორებული იყო ისეთ თვისებებს. რომელიც გამოიჩინა სარწმუნოების უმაღლესმა წარმომადგენელმა."

გაბრიელის წმიდა სახელის შებღალვა და შეურაცხყოფა სვადასხვა კუთხით დაიწყო რეაქციულმა პრესამ. ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდა ბათუმში გამომავალი გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი". მან გამოაქვეყნა ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებლის იურკევსკის კორესპონდენცია გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების შესახებ. კორესპონდენციაში მასხრად იყო აგდებული ქართველი ხალხის გლოვა, დაკრძალვის ცერემონიალი, სიტყვით გამოსვლები. იურკევსკი ირწმუნებოდა, რომ გაბრიელის

დაკრძალვა გადაექციათ სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებად.მაგრამ მთავრობა ფხიზლად იყო. დროზე გაიგო ყველაფერი საჭირო ზომები მიიღო და დროზე აღკვეთა გამოსვლებიო.

დავით კლდიაშვილმა, რომელიც იმ დროს ბათუმში სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა, სტატიის წაკითხვისთანავე დაურეკა გაზეთის რედაქტორს პალმს, მაგრამ გამოლანძღა და მოითხოვა გაზეთის მეშვეობით ბოდიში მოეხადა.

ოფიცერთა ერთმა ნაწილმა დ. კლდიაშვილს მხარი დაუჭირა. პალმმა დავით კლდიაშვილის სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობას დაურეკა და აცნობა, რომ კლდიაშვილი მას დაემუქრა. მეორე დღეს ნაცვლად ბოდიშის მოხდისა, პალმმა დ. კლდიაშვილის გვარის მოუხსენებლად მოათავსა შენიშვნა იმის თაობაზე, რომ გაზეთის რედაქტორს მიაყენეს დაუსაბუთებელი შეურაცხყოფა.

დავით კდიაშვილმა შეარჩია სეკუნდანტები და პალმი დუელში გამოიწვია. იგი საქმის ასე შებრუნებას არ მოელოდა. საქმეში ციხის უფროსი რომელიც იმავდროულად გარნიზონის უფროსიც იყო ჩაერია. მან დავითს სთხოვა, რომ საჯაროდ ბოდიშის მოხდით დაკმაყოფილებულიყო. პალმი ძლიერ შეშინდა, რადგანაც მან როგორც სამოქალაქო პირმა იარაღის გამოყენება საერთოდ არ იცოდა. დავითმა მარტო სიტყვიერი ბოდიშის მოხდა არ იკმარა და პალმს მოსთხოვა ბოდიში გაზეთის მეშვეობითაც მოეხადა. პალმი დაეთანხმა, ოფიცერთა მეორე ნაწილმა, რომელსაც არტილერიის უფროსი გენერალური კლიუჩევსკი ხელმძღვანელობდა პალმს საბოდიშო წერილი არ დააბეჭდინა. გენერალმა კლიუჩევსკიმ გარნიზონის უფროსს თბილისში უჩივლა, რომ იგი რუსეთის მოწინააღმდეგე ელემენტებს მფარველობდა. გარნიზონის უფროსი თბილისში ჩაიყვანეს და ახსნა-განმარტება მოსთხოვეს.

ამ ინციდენტის შემდეგ მთავრობამ დ. კლდიაშვილი აითვალწუნა და ყოველმხრივ ავიწროვებდა. ამას თან მოჰყვა საუკუნის დასაწყისის ბათუმის მძლავრი რევოლუციური გამოსვლები. განსაკუთრებული ორგანიზებულობით გამოირჩეოდა დემონსტრაცია, რომელსაც ახალგაზრდა იოსებ (კობასტალინი) ხელმძღვანელობდა. დემონსტრაციის დაშლა დ. კლდიაშვილის ნაწილს დაევალა. აქ. ირიბად, მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ გადაიკვეთა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსისა და დ. კლდიაშვილის სამყარო. წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვის მკვიდრი იყო. დემონსტრაციის დაშლის მომენტში მორიგე ოფიცერი ესტატე ანთაძე აღმოჩნდა, რომელიც ასევე სოფელ ბახვიდან გაახლდათ. დემონსტრანტებსა და ჯარისკაცებს შორის შეტაკებას მძიმე შედეგი მოჰყვა. ეს მოვლენა იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, რომ იგი ოფიცერ ესტატე ანთაძის პიროვნებასთან ერთად სამუდამოდ აღიბეჭდა სტალინის ბიოგრაფიაში. ეს ფაქტი მ. კალინინსაც კი აქვს მოხსენიებული სტალინის 60_ წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში.

დ. კლდიაშვილი ერთის მხრივ თანაუგრძნობდა დემონსტრანტებს, ხოლო მეორეს მხრივ, ანუგეშებდა ესტატე ანთაძეს, რომელიც მძიმედ განიცდიდა მომხდარს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დემონსტრანტებმა არ აპატიეს ანთაძეს დემონსტრაციის დარბევა. მართალია იგი იქ არა, მაგრამ სოფელ ბახვში საკუთარ სახლში სასტიკად სცემეს. ბახველთა გადმოცემით, ცემის შედეგად ესტატე ანთაძე მძიმედ დაავადდა. იგი სამხედრო სამსახურიდან გადადგა და მთელი სიცოცხლის მანძილზე იტანჯებოდა ავადმყოფობითა და მძიმე განცდებით.

დავით კლდიაშვილის დევნა კიდევ უფრო გაძლიერდა, აგორდა ეჭვი, რომ მან დემონსტრანტების დარბევას თავი შეგნებულად აარიდა და რომ იგი რევოლუციონერებს მფარველობდა. პოლიტპატიმრებს ციხიდან გათავისუფლებაში ხელს უწყობდა. საბოლოოდ დ. კლდიაშვილი იძულებული გახდა სამხედრო სამსახურიდან გადამდგარიყო.

აღნიშნული კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმ დიდი ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებისა, რომლითაც განმსჭვალული იყო დიდი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი. ეს გრძნობა იმდენად გულმხურვალე გახლდათ, რომ როცა საქმე საქართველოსა და ქართველების კანონიერი ინტერესების შებღალვას შეეხებოდა, გულმხურვალე მამულიშვილი არა მხოლოდ სამხედრო კარიერას, თვით სიცოცხლესაც კი საფრთხეში იგდებდა! კონკრეტულ შემთხვევაში კი წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის შეურაცხყოფა აღმოჩნდა დავით კლდიაშვილის ჭეშმარიტად პატრიოტული და მაღალკეთილშობილური გრძნობების გამოვლენის საბაბი.

## ადამიანისა და ბუნების ურთიერთობისა და ადამიანის სრულყოფის საკითხები წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებში

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი თავის ქადაგებებსა და სამეცნიერო ნაშრომებში უდიდეს ყურადღებას უთმობდა ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის საკითხებს, ადამიანის როლს ბუნების შეცნობის, გამოყენებისა და დაცვის პროცესში. გაბრიელ ეპისკოპოსი აღიარებს ადამიანის, როგორც ბუნების გვირგვინის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ადამიანის ბუნებასთან უმთავრესი დამაკავშირებელი შრომაა. შრომის საფუძველი კი სწავლა. წესიერად წარმოებული შრომა თავის მხრივ ადამიანის გამაკეთილშობილებელია. მცონარობა და უზრუნველობა კი დამღუპველია.

რამდენადაც ღვთიური, ზეციურია, იმდენად მიწიერი, ცხოვრებისეულია შეგონება გაბრიელ ეპისკოპოსისა მდიდრებისადმი: „შენ თხოულობ პურსა არსობისასა და ამასთანავე ბოროტად ხმარობ იმასაც, რაც გაქვს, რაც მოგცა კიდეც ღმერთმა, ერთ საღამოს დახარჯავ იმდენს რაიცა ათ სულს გლახაკს მთელი წელიწადი გამოზრდიდა. შენ ყელამდე სავსე ხარ ყოვლითა სიკეთითა და მახლობლად შენი სახლისა ზოგიერთნი შიმშილით კვდებიან. შენ არ შრომობ. უქმად ატარებ შენ დღეს თუმცა შენც მოვალე ხარ მსგავსად სხვათა კაცთა უფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა. თხოვე ღმერთსა პურსა არსობისასა, რომელიც ბრძანებს ვინც არ შრომობს, არც უნდა სჭამდესო."

შრომა და მოღვაწეობა (გონებრივი შრომა აი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი პირუტყვსა და ადამიანს შორის. შრომა მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, უფრო სწორად ობიექტური აუცილებლობა: „ყოველთვის უნდა მუშაობდე. შრომა და მოღვაწეობა არ დასტოვო, მისთვის მოგცა ღმერთმან ხელი და თავი, მისთვის ჩაგაბარა მიწა და წყალი რათა იმუშაო, ისარგებლო."

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი შთააგონებს მრევლს, რომ „სიმდიდრე არის ნაყოფი შრომის, მაშასადამე კაცი უქმად დროის გამტარებელი სხვის ნაშრომს სჭამს. ქვეყანას სიმდიდრეს აკლებს და არაფერს შემატებს. ერთი სიტყვით იგი არის კაცი მავნებელი საზოგადოებისა."

გაბრიელ ეპისკოპოსი თვლის, რომ ადამიანის კეთილშობილება შრომის სიყვარულში გამოიხატება, რომ შრომა და მუშაობა კი არ ამდაბლებს ადამიანს, არამედ უქმად ყოფნა წაახდენს და დაამდაბლებს. უქმად მყოფი ადამიანი ცუდ საქმეზე იწყებს ფიქრს და ხშირად ეშვება სიბილწის მორევში, ხოლო მშრომელი კაცი

მოუკლებელია, დრო არ რჩება ცუდი ფიქრებისათვის და ამიტომაც ადვილად არ აცდება ღმერთისაკენ მიმავალ გზას, რომელიც საკმაოდ ვიწრო და ძნელად სავალია.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ხაზს უსვამს, რომ სულდგმულთაგან მხოლოდ ადამიანს დაუწესა ღმერთმა შრომა და მუშაკობა: „რითღა გავარჩიოთ კაცი პირუტყვისაგან, უკეთუ იგი ჭამისა და სმის მეტს არაფერს აკეთებს" კითხულობს მღვდელმთავარი და თვითონვე პასუხობს. „გიყვარდეს მუშაკობა და შრომა, ეცადე და შენი შრომით შეინახე შენი თავი და შენი ოჯახი. ოდესაც ღმერთი მოგცემს საკმაოდ საზრდოს, ესე იგი საჭმელს, სასმელს, ტანისამოსს, მადლობა შესწირე ღმერთსა და ცოტაოდენი შენი ნაშრომისაგან გაუყავი ობოლსა და გლახაკსა. და ამასთან არასოდეს არ უნდა იფიქროს კაცმა, რომ მას შეუძლიან უქმად იყოს არ იმუშაოს და ღმერთი თვითონ მისცემს საზრდოსა."

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი გვასწავლის რომ „მაცხოვარი მოითხოვს ჩვენგან საქმესა და არა მხოლოდ სიტყვასა, მოძრაობასა და არა მხოლოდ უქმსა გულისიტყვასა და უნაყოფოსა გრძნობასა."

შრომის ფორმებს შორის გაბრიელ ეპისკოპოსი გამოყოფს მიწაზე მუშაობის ღირსებას: „მიწის მუშაობა არავისთვის არ არის სასაცილო და სასირცხო არამედ პატიოსანი ღირსი. მუშაობა კი არ დაგადამბლებს შენ ძმაო ჩემო, ვინც არ გინდა იყო, არამედ უქმად დროების გატარება რომელი არის დედა ყოვლისა ცოდვისა."

ქვეყნის მომავალს წინსვლასა და მომავალს გაბრიელ ეპისკოპოსი ამ ქვეყნის მცხოვრებთა პატიოსნებაში და შრომისადმი სიყვარულში ხედავს: „ბედნიერი არის ქვეყანა რომლის შინა ყოველი მცხოვრებნი, დიდნი და მცირენი, არიან შრომის მოყვარენი, თავის შრომაზედ და მეცადინეობაზედ აქვთ იმედი და მათგან ელიან წარმატებასა. საწყალი და საბრალო არის ის ქვეყანა, სადაცა უმრავლესნი პირნი შერჩებიან და უმზერენ მთავრობასა და ყოველი იმედი ბედნიერებისა და წარმატებისა დაუდვიათ ჩინებზე– ჯამაგირზე– ჯილდოზე– ხოლო შრომასა და მუშაობასა შეურაცხყოფენ და უკადრისობენ."

შრომა არის აუცილებელი ადამიანისათვის, მიუხედავად მისი სიმდიდრისა თუ სოციალური წარმოშობისა: „რომელ თუ მეტად თავის მოიწონე ხარ, დიდი გული გაქვს და დიდი აზრი შენს თავზე, მაცდური ისარგებლებს ამით და შთააგდებს რომელსამე ცოდვასა შინა. სწორედ ამის მსგავსი გამოცდა იქმნება კაცისაგან უკეთუ ერთმან ვინმემ იფიქრა თავის გულში: მე დიდი კაცის შვილი ვარო, ბევრი ყმები მყვანან, ჩემთვის სირცხვილია შრომა და მუშაობა, ანუ ვინმემ თუ იფიქრა მე მდიდარი ვარ, საჭირო არ არის ჩემთვის მუშაობა– ყოველი ესრეთი აზრი აძლევს ეშმაკს მიახლებად და გამოცდად კაცისა."

„ყოველი არსება ბუნებასა შინა მტკიცედ სდგას და ასრულებს თვისსა წესსა, რომელი მისცა მას შემოქმედმან. მხოლოდ ადამიანს მისცა არსთაგამრიგემ ძალა ამ წესის შეცნობისა. არა დასანგრევად, დასამლელად, არამედ შესაცნობად და მის სასარგებლოდ გამოსაყენებლად „მიხედე ბუნებასა გვასწავლის წმიდა მღვდელმთავარი მრთელი ცა, ქვეყანა და ყოველი სავსება მისი, ქმნული ხელითა უფლისათა, არის მასწავლებელი და შემაგონებელი შენი."

ბუნების წესს სხეულის ნაწილებს შორის ურთიერთდამოკიდებულებით განასახიერებს თვით ადამიანი: „როგორადაც კაცის სხეულში არიან მრავალნი ასონი, გარნა ისინი შეადგენენ ერთსა სხეულსა, როდესაც ერთი რომელიმე ასო ატკივდება კაცს, მაშინ მრთელი კაცის სხეული ავად არის. როდესაც რომელიმე ასო არის დიდებული, მაშინ მთელი კაცის სხეული არის გახარებული."

ადამიანი, როგორც უმაღლესი არსება, რომელიც ღმერთმა შექმნა ხატად თვისად დაიპყრობს ბუნებასა, მხეცთა და ფრინველთა და ქვეწარმავალთა და თევზთა!"

ადამიანს შეუძლია სხვა ცხოველთა დასამორჩილებლად თავისი გონებრივი შესაძლებლობების გამოყენება.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მოჰყავს ასეთი შეგონება „გარდარეულ ცხენს, რომელსაც აღვირითაც ვერ დაამშვიდებენ, დაიმორჩილებენ შიმშილობითა და წყურვილითა."

გაბრიელ ეპისკოპოსი ადამიანს, როგორც ყველა ცოცხალ არსებას, განიხილავს ისეთ ორგანიზმად, რომელიც იმყოფება მუდმივ ცვალებადობასა და განახლებაში. საკვების სახით ადამიანი იღებს სხეულისათვის აუცილებელ ნივთიერებებს, საჭმლის მომნელებელი სისტემით გარდაქმნის მას და მიაწოდებს სხეულის სხვადასხვა ნაწილებს, ორგანოებს. ეს კანონზომიერება დამახასიათებელია ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის. ნივთიერებათა ცვლა გარემოსთან ცოცხალი ორგანიზმების არსებობის აუცილებელი ფორმაა: „კაცის გვამი, სხეული იზრდება, ე. ი. იცვლება და განახლდება ყოველთვის. ფორმა ანუ გარეგანი სახე, შენება კაცის გვამისა ერთი და იგივე არის. გარნა მასალა მისი, ძარღვი, ხორცი, სისხლი, ძვალი იცვლება და ახლდება. რაც უვარგისი და მოუხმარებელია, იმას კაცის გვამი სხვადასხვა გზებით და საშუალებით გაიშორებს და ნაცვლად მისა, საზრდო რომელსა მიიღებს კაცი სტომაქიდგან დაიბნევა ასოებში და განაახლებს მას. ესრედ იცვლება და ახლდება კაცის სხეული ვიდრემდის იგი არს მთელი სხეული.

ადამიანის სხეულს არსებობის, განახლების, ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური და სხვა ფუნქციების შესასრულებლად, ენერგიის მისაღებად ესაჭიროება კვება (ორგანული ნაერთები საჭმლის სახით და წყალი და სუნთქვა: „როგორც ხორცი

კაცისა არა ერთხელ მიიღებს საჭმელსა და განახლდება მით, არამედ ყოველდღე და თითქმის ყოველ წამს იზრდება ჰაერით, სასმელით, მსგავსადვე სულიცა ყოველთვის უნდა იზრდებოდეს სულიერითა საზრდოთა."

ნივთიერებათა ცვლის ანუ მეტაბოლიზმის დარღვევა იწვევს სასიცოცხლო პროცესების ცვალებადობას და მძიმე შემთხვევაში სიკვდილსაც კი. „როგორც კაცის ტანში ანუ სხეულში თუ დარჩა რამე მავნებელი მასალა განუშორებლად, მაშინ კაცი დასნეულდება და კიდეც მოკვდება_ ეგრეთვე კაცის სულში თუ დარჩა განუშორებლად ვნება, ცოდვა დაასნეულებს სულსა და სულიერს სიკვდილში ჩააგდებს."

ჯანმრთელი სხეულის თვისებად გაბრიელ ეპისკოპოსი საკვებისა და სასმელის გემრიელად მიღებას თვლის. „როდესაც კაცი მძიმედ ავად გახდება, მაშინ მას სრულიად დაეკარგება სურვილი და გემო საჭმელისა და სასმელისა" ადამიანის განკურნების ერთერთი სიმპტომი საჭმელისა და სასმელის გემოვნებით მიღებაა. „რით შეიტყობს ექიმი, რომ სნეული კაცი მორჩება? სნეულება მას განშორდება მით, როდესაც კაცი იგი მოითხოვს საჭმელს და გემოვნებით მიიღებს და ღონე მოემატება."

სამყაროში ყველაფერი ცვალებადია, იბადება, იზრდება, კვდება და წარმავალია. ერთი ფორმა იცვლება მეორე ფორმით, ერთი სახეობის ინდივიდის ადგილს იკავებს მეორე. მხოლოდ „ღმერთი არის საუკუნო და მარად მყოფი შეუცვლელი, ხოლო სხვა ყველაფერი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა იცვლება და წარმავალია." როგორც ვხედავთ, მთელი სამყარო ერთი მთლიანი კანონით მოქმედებს და ვითარდება.

„და თუ მთლიანად ეს უზარმაზარი სამყარო წარმავალია, ცვალებადი და დროებითი, მით უმეტეს, რომ იგი უპირველესად ვრცელდება ადამიანზე, ღვთის რჩეულ მის ხატად შექმნილ არსებაზე, რომლის ყოფნა დედამიწაზე, წუთისოფელში ხანმოკლეა და წუთიერი. აქედან გამომდინარე, წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი აყალიბებს ადამიანის ქმედების ჩარჩოებს. იგი მოვალეა „არც ერთი მცირედი ზარალი და ვნება არ უნდა მისცეს კაცს, არცა ხორციელი, არცა სულიერი არ დააკლოს რამე, არ წაართვას, არ მოჰპაროს, არ მოატყუოს, არ აგინოს, არ დასწყევლოს, უმართლოდ არ უჩივლოს, არ აცთუნოს არცა სიტყვით, არცა საქმით. ნაცვლად ამისა ეკადოს ყოველივერი. რაც შეუძლია სარგებლობა ხორციელი და სულიერი მისცეს ყოველთა კაცთა. შეეწიოს მეტადრე გაჭირვებულთა, პატივი სცეს, ნუგეში სცეს, ჭკუა ასწავლოს, კეთილი სახე და მაგალითი აჩვენოს." ამასთან ადამიანმა არ უნდა იფიქროს, რომ მას ეს ცხოვრება მიეცა სალხენად, თავის შესაქცევად, არამედ უნდა იცოდეს რომ ცხოვრება ადამიანისა „არის შრომა, მოთმინება, ხშირად ჭირი და მრავალი განსაცდელი." გაბრიელ ეპისკოპოსს საცოდავად მიაჩნდა ის კაცი, რომელიც სიცოცხლეს ხუმრობაში,

სიცილსა და თავის შექცევაში ატარებს. ასეთი ადამიანი ამძიმებს დედამიწას. მღვდელმთავარი შთააგონებს მრევლს, რომ „წმიდა, ჭეშმარიტი და გამაცოცხლებელი სიხარული და მხიარულება არის ნაყოფი შრომისა და მოღვაწეობისა, ხოლო სიხარული ცოდვის მოყვარისა არის ყალბი და წუთიერი."

...წუთისოფელში სიღარიბისა და სნეულებათა უარესად, თვითონ კაცნი ჰ ღუპავენ თავის თავს ერთმანეთის მტერობითა და შურით."

ადამიანს როგორც ცოცხალ არსებას, გააჩნია მემკვიდრეობის გადაცემის თვისება- „ცოდვათა შენთა შენ საკუთარ თავს აფუჭებ და ხშირად შთავარდები სენსა და უბედურებათა შინა. არამედ ის არის აქ საშინელი, რომ წინადვე უმზადებ სენსა და უბედურებასა ყოველთა შვილთა და მომავალთა შენთა. ყოველი კაცის თვისება სულიერიცა და ხორციელიცა გარდადის მისთა შვილთა და მომავალთა ზედა.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი, მიხედავად ასეთი მრავალი უარყოფითი თვისებების განხილვისა, როგორც ჰუმანისტი, ოპტიმისტი მოაზროვნე მეტად მაინც სიკეთეს ხედავს: „ყოველი კაცი ხშირად ცოდავს გარნა, ვგონებ ისეთი ადამიანი არ იპოვება ქვეყანაზედ, რომელსაცა თავის პაზრში და გრძნობაში მაინც სიმართლე და მადლი არ ერჩიოს სიცრუესა და ცოდვასა."

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ქმედებას ძირითადად მისი შინაგანი ხასიათი განაპირობებს, ამასთან მასზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ის გარემო, რომელშიაც ადამიანს უწევს ცხოვრება. ეს სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება თუ თვითონ ადამიანს აქვს სუსტი და ულონო ხასიათი. მაშინ იგი უთუოდ შთავარდება ხელთა შინა ერთისა რომელისამე ბოროტისა კაცისასა, რომელს აქვს იმაზე უმტკიცესი ხასიათი და შეიქმნება მისი სათამაშო." ამიტომ ჭეშმარიტი ადამიანობის გამოხატვას ხასიათის სიმტკიცე, სინდისი და ქვეყნის სასარგებლოდ მოღვაწეობა წარმოადგენს: „გულსა კაცისა, დიდსა და მცირესა, მდიდარსა და ღარიბსა უკეთუ სურს იყოს კაცი, ადამიანი და არა პირუტყვი, თავის თავს და ქვეყნის სასარგებლოდ უნდა ჰქონდეს სიმაგრე და სიმტკიცე ხასიათისა. ესე იგი იქცეოდეს თავისი სინდისით და ჭკუით და არა სხვისი შეგონებით."

ადამიანის ცხოველისაგან წინდახედულება და მომავლის განჭვრეტის უნარი განასხვავებს- „წინდაუხედველი კაცი თვით ამ ქვეყანაში არის ჭირში და განსაცდელში. პირდაპირ ვიტყვი იგი დაემსგავსება პირუტყვს. პირუტყვმა არ იცის რა არის მომავალი და არ ფიქრობს ხვალინდელი დღისათვის. ხოლო კაცს როგორ შეენდობა, თუ არ იფიქრა მომავლისათვის, თუ აქ ამ ქვეყანაზედ ვერ მოიპოვებს მოსვენებას, მით უმეტეს ვერ ეღირსება იგი საუკუნო ცხოვრებას."

ადამიანის ადამიანურობის, მისი ამქვეყნად ცხოვრების უმთავრეს მიზნად წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მიაჩნია ადამიანის ფიქრი და ცდა სულიერ და ხორციელ თვისებათა გაუმჯობესებისათვის. კაცის ბუნებას ორი მთავარი რამ ახასიათებს- აზრი და საქმე, ფიქრი და მოქმედება. მაშინ, როცა ცხოველთა მოქმედება ინსტიქტზეა დამოკიდებული.

კაცობრიობის არსებობას, ცხოველთა სამყაროსაგან განსხვავებით გაბრიელ ეპისკოპოსი დიალექტიკურად განვითარების პროცესში განიხილავს. ადგილზე დგომა არა მარტო დამღუპველი, არამედ შეუძლებელიცაა: „ცხოვრება, ყოფა-ქცევა ეკ-ზნეობა და ჩვეულება მარადჟამს დაუსრულებლად უნდა მაღლდებოდეს, ვრცელდებოდეს; როგორადაც თვითეული კაცი, ეგრეთვე კაცობრიობა თანდათან უნდა წინ მიდიოდეს სათნოებისა, ზნეობისა და პატიოსნებასა შინა." მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი სათნოების მიღწევა კაცობრიობას არ შეუძლია. უმაღლესი და მიუწვდომელი მხოლოდ ღმერთია.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი აღიარებს სულისა და ხორცის ერთიანობას, სულიერ და ფიზიკურ ქმედებათა ურთიერთგავლენას. „ჩვენ ცუდად ვცხოვრობთ მისთვის, რომ ცუდად ვლოცულობთ, გარნა მეორე მხრით, ცუდად ვლოცულობთ მისთვის, რომ ცუდი ცხოვრება გვაქვს."

მღვდელმთავარი თავის ქადაგებებში საუწყსოს, ქართველ ერს მოუწოდებდა: „მიწიერი ცხოვრების უკეთესად მოწყობისათვის და და ღმერთის მიერ მიერ ბოძებული უხვი და ნაყოფიერი, სამოთხის მსგავსი ბუნების უკეთ მოხმარებისაკენ- „უფალმან ღმერთმან არ მოაკლო არცა ერთი ტალანტი, ანუ ნიჭი ამ ჩვენ მხარესა. ქვეყანა ესე ემგავსება სამოთხესა, მშვენიერი მდებარეობით და ნაყოფიერებით, ესრეთ რომელ არცა ერთი მხარე კავკასიის აქეთ არ აჯობებს მას. ხალხსა ჩვენ მადლითა ღვთისათა, აქვთ ყოველი ნიჭიერება, ადვილად მიიღებს განათლებასა; ადვილად შეითვისებს ყოველსა სასარგებლოსა, საქმესა და ცოდნასა. გარნა ჭეშმარიტებასა ვიტყვი; ვიდრე აქამომდე ვერ ვისარგებლეთ. ჩვენ მრავალნი და დიდნი ჩვენნი დავმარხეთ მიწასა შინა, საუნჯე ჩვენი ღვთისაგან მიღებული. ხოლო აწ მადლითა ღვთისათა მოიწია მარჯვე ჟამი, რათა ვისარგებლოთ და განვამრავლოთ ყოველი ნიჭი ჩვენი."

დიდი ილია წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ნიჭის უდიდესი შემფასებელი და დამფასებელი გახლდათ- „მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი საერო თუ სამღვდელო, რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოთ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული მღვდელმთავარი ღრმად მიწევნილი მეცნიერი იყო და იმდენადვე ღრმად მორწმუნეცა. განსვენებული მღვდელმთავარი, ჩემი ფიქრით სხვა არ არის რა, გარდა

მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორგებისა და ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად. ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრნი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნების მეტყველნი."

აღსანიშნავია, რომ ისააკ ნიუტონის შემოქმედებას და მაღალზნეობრიობას კარგად იცნობდა გაბრიელ ეპისკოპოსი. ერთ-ერთ ქადაგებაში ეს დიდი მეცნიერი მას ღვთისადმი მოწიწებისა და პატივისცემის სამაგალითო ნიმუშად მოჰყავს. „დიდი ხანი არ არის რაც ერთ უცხო ქვეყანაში (ინგლისში) იყო ერთი მაღლად მონიჭებული და ღრმა მჭერმეტყველი სწავლული, სახელად ნიუტონი. თანახმად აღიარებენ ყოველნი სწავლულნი კაცნი, რომელ არავინ არ ყოფილა და არ იქნება ისეთი მაღალი ჭკუისა და ნიჭისა, როგორიც იყო ის. იმან წაიყვანა წინ მეცნიერება. სხვათაშორის „მან იპოვნა და განსაზღვრა კანონნი მზის მსვლელობისა და ვარსკვლავთა და ყოველთა მნათობთა, ამას და ესრეთს კაცს ჩვეულება ჰქონდა, როდესაც თვით იგი, ანუ სხვა ვინმე მის წინაშე ახსენებდა ღმერთსა„ მაშინვე ადგებოდა და ქუდს მოიხდიდა, ხოლო შენ ნაცვლად ამისა უშიშრად, უსაჭიროდ, ყოველ წამს ახსენებ ღმერთსა! ცხადია, რომ არ გქონია შიში და მორიდება ღვთისა."

როგორც ვხედავთ, აქ საოცრად ემთხვევა ამ ორი დიდი ქართველის მიერ ისააკ ნიუტონის, როგორც ღვთისმეტყველისა და როგორც ბუნებისმეტყველის შეფასება. ამასთან ირკვევა, რომ წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი სიღრმისეულად იცნობდა ისააკ ნიუტონის მიერ აღმოჩენილ კანონებს. და აღიარებდა იმ უდიდეს მნიშვნელობას, რაც ამ კანონების აღმოჩენამ შესძინა კაცობრიობას.

ადამიანს ახასიათებს დაუკმაყოფილებლობის მუდმივი გრძნობა... უკმარისობის შეგრძნება, ეს თვისება განაპირობებს მკვეთრად განსხვავებულ მიდგომას გარემოსადმი, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისადმი. ამ კანონზომიერებას ვხვდებით წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ერთ-ერთ ქადაგებაში- „ღმერთმა კაცის ბუნებასა შინა დანერგა დაუსრულებელი მისწრაფება უმჯობესისა და უმაღლესისა მდგომარეობისადმი! კაცი ცოცხალი, გონიერი და ცხოველი, ვერაოდეს ვერ დააკმაყოფილებს ვერცა ჭკუასა, ვერცა გულსა თვისსა. რამდენიც გინდა სწავლა და მეცნიერება მიიღოს კაცის ჭკუამა, იგი მაინც არის ხარბი და გაუმაძღარი და მიესწრაფება უმაღლესსა მეცნიერებისა ხარისხისადმი! ეგრეთვე გული ჭეშმარიტისა ღვთისმოყვარისა კაცისა ვერ გაძღება თუ გინდ მრავალი სათნოებანი აღასრულოს."

გაბრიელი მოუწოდებს განწმენდილი გულმხურვალე ლოცვისაკენ. რადგან „თუ ჭეშმარიტი და ნამდვილი ყოფილიყო შენი ლოცვა, ვიდრე კარგ დროზე მოსული წვიმა მიწისაგან ნაყოფს, ეგრეთვე გულისა შენისაგან გამოიხმობდა კეთილსა ჰაზრსა და საქმესა." როგორც ვხედავთ, საქართველოს ოქროპირად შერაცხილი

მღვდელმთავარი ჭეშმარიტ ლოცვას, ღვთისადმი ვედრებას დროულად მოსულ წვიმას ადარებს, რომელიც ისევე მოქმედებს მცენარის ნაყოფიერებაზე, როგორც ჭეშმარიტი ლოცვა ადამიანის აზროვნებასა და საქმიანობაზე!

დღეს მთელი მსოფლიო ლაპარაკობს საკვებისა და ალკოჰოლის ჭარბი მიღების მავნებლობაზე და მათგან გამოწვეულ დაავადებებზე. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ერთ-ერთ ქადაგებაში „სიტყვა კვირიაკესა განრღვეულისა" გვასწავლის: „ნაყროვანება ანუ ნამეტნავის საჭმლის მიღება ხშირად შეიქმნება მიზეზად მრავალთა სნეულებათა... რომელ სიმთვრალე სრულიად დაასნეულებს კაცს და მიიყვანს საფლავამდინ. გარნა ვნება გამომავალი ორთა ამა ხსენებულთა ცოდვათაგან ერთობ ცხად არს და უეჭველ ყოვლისა კაცისათვის.

სიმთვრალე მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, იგი დააბნელებს ჭკუას, წაართმევს თავისუფლებას, დაამსგავსებს პირუტყვს, ერთი სიტყვით წაართმევს მას კაცობრივს ბუნებას."

უარყოფით სულიერ და ფსიქიკურ გავლენასთან ერთად სიმთვრალე ასუსტებს ადამიანის ჯანმრთელობას, არღვევს ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებს- „ხორციელადაც სიმთვრალე ჰლუპავს კაცს. იგი უეჭველად კაცს მოაკლებს სიმრთელეს. მართალია, მემთვრალე თავითგანვე ვერ შეიტყობს, რაზომცა აფუჭებს ღვინო მის სხეულს და სიმრთელეს, გარნა ბოლოს მით უმეტესად შეიტყობს ამას. უზომოდ მიღება, მეტადრე მაგართა სასმელთა, ცოტ-ცოტად გაუფუჭებს სისხლს, წაუხდენს ძარღვებს, აუნთებს ფილტვებს, რომლისგანაც ხშირად უცებად შეემთხვევა სიკვდილი."

მემთვრალეობა ზიანის მომტანია ეკონომიკური თვალსაზრისითაც- „სიმთვრალე ჰრყვნის, ღუპავს, აღარიბებს ურიცხვთა პირთა და ოჯახობათა." გაბრიელ ეპისკოპოსი განსაკუთრებით ხაზს უსვამს არყის მავნებობას: „მეტადრე დანაშაულნი არიან ჩვენს ქვეყანაში იგი რომელნი, ნაცვლად ჩვენი ბუნებითი ღვინისა, ეჩვევიან სხვათა მაგართა სასმელთა ისინი უარესად და უსაშინელესად ჩავარდებიან ყოველთა მათ ვნებათა და უბედურებათა შინა, ჩვენ ფიცხელ და მხურვალე ქვეყანაში არაოდესარ უნდა იხმაროს კაცმა არაყი, თუ მცირე ჭკუა მაინც დაურჩა მას."

რა თქმა უნდა გაბრიელ ეპისკოპოსი იცნობს ღვინისა და ყურძნის საუკეთესო კვებით და სამკურნალო თვისებებს. და ურჩევს მრევლს მის ზომიერ მოხმარებას: ყურძენი და ღვინო ღმერთმა გააჩინა და მოგვცა რომ ვიხმაროთ იგი ჩვენდა სასარგებლოდ და სასიამოვნოდ. ვინც ზომიერად ხმარობს ღვინოს, იგი არის ღვთის ნიჭი და წყალობა, ვინც უზომოდ მიეჩვია მის ხმარებას, ვინც დაემორჩილა მას ისე, რომ ვნებად გარდაექცა ღვინის სმა, ერთი სიტყვით, შეიქმნა მემთვრალე. მას

დაეკარგა კაცის ღირსება და მან დაიმსახურა კაცის მოძაგება და განკიცხვა ყოველთა კაცთაგან! სიმთვრალე ამდაბლებს კაცის ბუნებას, ღმერთმა კაცს მისცა უმთავრესნი და უმშვენიერესნი ნიჭნი! ჭკუა! თავისუფლება! ზეობითი გრძნობა."

ლოთობა ადამიანს ავიწყებს ღმერთს, ამქვეყნიურ მოვალეობას, სულიერ სიმაღლეს! ლოთი კაცი ეწევა რა არაჯანსაღ ცხოვრებას, უმეტესად თვითონვე ხდება ლოთობის მსხვერპლი- „ლოთი კაცის ღმერთი რა არის თუ არა ღვინო, ვინაითგან იგი ზოგჯერ ესოდენ დაემონება ღვინოსა, რომელ ავად გახდება, კვდება ღვინის სმისაგან და მაინც ვერ დაუტოვებია ღვინო. ლოთი კაცი ცხოვრებას ატარებს უქმად, არის წინააღმდეგი ღვთისა და ხდება წინააღმდეგი თვისი ადამიანის ბუნებისა! ეს ცხოვრება ჩვენ მოგვეცა არა შვებისა და ლხინისათვის, არამედ უმეტეს შრომისა! მეცადინეობისა და მოღვაწეობისათვის!" სწორედ შრომითა და მოღვაწეობით განირჩევა ადამიანი პირუტყვისაგან, რომლის მოვალეობა მხოლოდ ჭამა, სმა და შთამომავლობის მოცემაა- „რითღა გავარჩიოთ კაცნი პირუტყვისაგან, უკეთუ იგი ჭამისა და სმის მეტს არაფერს აკეთებს!"

ქადაგებებში გაბრიელ ეპისკოპოსი გმობს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მთელ საქართველოში აგრერიგად გავრცელებულ ღვინის სმას: „ღვინის სმა მძლავრად ფეხმოკიდებულია სოფლებში და უმეტესად ქალაქებში, ქორწილებში, ნათლობებში და რაც მეტად სასირცხვილო იყო ტირილშიაც კი. ყოველივე არყევდა ქართველი კაცის ბუნებას და საფრთხეს უქმნიდა მისი ცხოვრების წესსა და ტრადიციას- „ვისაც თვალი აქვს ხილვად და ყური სმენად, ის თვითონ დაინახავს და გაიგებს რა ხშირად თვრებიან ეხლა სოფლებში და უმეტესად ქალაქებში, მეტადრე დღესასწაულ დღეებში, ქორწილზედ და ნათლობაზედ და რომელიც უფრო საკვირველი და სამწუხაროა და სასირცხვო თვით მიცვალებულის ტირილზედ."

„კაცს ზედმეტი ღვინის სმისაგან- შთააგონებს საქართველოს ოქროპირი მრევლს- „შეიძლება ჭკუა და გონება დაებინდოს, დაჰკარგოს თავის მოქმედების კონტროლი, უკეთურების წუმპეში გადაეშვას და პირუტყვის დონეზეც კი დაეშვას. უგრძნობლად დამთვრალი პირუტყვზეც უარესი არის. მასზედ ალარც კი ღირს ლაპარაკი. მე შენ იმას შეგაგონებ, მომეტებულიც აღარ დაჰლიო, ღვინით არ გაახურო სისხლი. ესეც ბილწება არის და ბილწებაში ჩაგაგდებს."

ნაცვლად ღრეობისა, უთავბოლოთ, წრეგადასული სმა-ჭამისა, გაბრიელ ეპისკოპოსი ურჩევს მამა-პაპურ მხიარულებას. სასმელისა და საჭმელის ზომიერად მიღებას, სუფრის სამხიარულოდ, ნათესავებთან, მოყვრებთან ურთიერთსიყვარულის გამოვლინებისათვის გამოსაყენებლად. ქეიფი ჭეშმარიტი სიხარულისა და კმაყოფილების მიღების წყაროდ გარდაიქცევა, ნაცვლად ბილწებისა და პირუტყვული ყინის

წარმოშობის საშიშროებისა: „სულიერი სიხარული ის იქნება, თუ შენ სუფრაზე დაჯდომილი, საჭმელს და სასმელს ზომიერად მიიღებ და ნაცვლად მრავალი ღვინის სმისა, შენ წარმოსთქვამ სულიერსა გალობასა და იმით გამხიარულდები და აგრეთვე დასტკბები ნახვითა და საუბრითა შენ ნათესავებთან, მოყვრებთან, რომელნიც გეწვიენ შენ.!"

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი, ღრმად მიწევნილი მეცნიერი, ბუნებისმეტყველი, რა თქმა უნდა იცნობს პირუტყვის ზომიერებას ბუნებრივი რესურსების მოხმარებაში, საკვების მიღებაში, მისთვის დამახასიათებელი ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში- ამ მხრივ, პირუტყვის ქცევებას მღვდელმთავარი ადამიანის სამაგალითოდ თვლის: „საღმრთო წერილი ზარმაც კაცს გაგზავნის ჭიანჭველასთან, რომ მისგან ისწავლოს შრომისმოყვარეობა! ხოლო მემთვრალე უნდა გავგზავნოთ ძროხასთან და ცხენთან და სხვა პირუტყვთან, რომ იმათგან ისწავლოს ზომიერად მიღება სასმლისა. პირუტყვი უზომოდ წყალსაც არ დალევს, მემთვრალეს კი არც ზომა აქვს და არც დანიშნული ღვინის სმაში!"

მაგრამ ვინ და უპირველესად წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ხედავს, რომ „გარნა, როდესაც დაგვჭირდება დარიგება კაცისა მემთვრალესი, მაშინ პირუტყვები უნდა წარმოუდგინონ მაგალითად. ამაზე უდიდესი განკიცხვა კაცის ბუნებისა რაღა იქნება."

გაბრიელ ქიქოძე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი მოღვაწე- წეს საქართველოში იმხანად შექმნილი საკმაოდ მძიმე ვითარების გამო, რაც საზოგადოების ზედა ფენების დიდი ნაწილის მიერ მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის ძიებაში გამოიხატებოდა. მათი ძირითადი მოქმედება ამ მიმართულებით წარიმართებოდა დასაზოგადოების უმეტესი ნაწილის თვითმიზანი და მატერიალური, ხორციელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება იყო: „ყოველთვის იყვნენ მრავალნი პირნი და ჩვენს დროში უფრო მომეტებულთა, რომლებიც თავის თავს ნამდვილ ბედნიერ კაცად თვლიან. მაშინ მხოლოდ, როცა შეუძლიათ საკმაოდ დააკმაყოფილონ თავიანთი სხეულის პირუტყვული მოთხოვნილებანი და ამის გარდა სხვაზე აღარას ჰფიქრობენ. მაგრამ ამისთანა ბედნიერება ჩვენი აზრით შეეფერება მხოლოდ პირუტყვთა." გაბრიელ ეპისკოპოსი თავისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით ასკვნის: „უმჯობესია ტყეში იცხოვროს კაცმა პირუტყვთან ვიდრე ამისთანა საზოგადოებაში."

ზომიერი კვება და სასმლის მიღება ადამიანის ორგანიზმის ცხოველმოქმედების აუცილებელი პირობაა. საკვების სიმცირე არღვევს ორგანიზმის ბიოლოგიურ რიტმს და საბოლოოდ სიკვდილს იწვევს- „კაცის სხეულს აქვს თავისი საზრდო-საჭმელი და

სასმელი, თუ ესენი მას მოაკლდა მოკვდება კაცი ხორციელად. სულსა კაცისასა აგრედვე აქვს თავისი საკუთარი საზრდო, რომელიცა თუ მოაკლდა სულსა ჩვენსა იგიცა მოკვდება."

ადამიანი ყველა დანარჩენი სულდგმულისაგან განირჩევა ბუნების ალთქმისა და შეცნობის უნარით: „კაცი ტიტველი და უძლური იშვება ქვეყანაზე, როდესაც გაიზრდება, ქკუა გაეხსნება, სოფლური და ხორციელნი ღონენი, რომელიც მას მისცა ღმერთმა გამოუჩნდება მაშინ. იგი გარემოს თვისსა დაინახავს მშვენიერსა ბუნებასა."

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი გვასწავლის, რომ ბუნების შემადგენელი ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროს წარმომადგენლები თავისთავად სრულყოფილია და გარემოში თავისი ფუნქცია გააჩნიათ. მიუხედავად ამისა ადამიანის სოციალურ-ინტელექტუალური და ბიოლოგიური თვისებებიდან გამომდინარე, მათი უმეტესი ნაწილის პირდაპირი ბუნებაში არსებული სახით გამოყენება გარდა მცირედი გამონაკლისისა მას არ შეუძლია. მხოლოდ შრომის საშუალებითაა შესაძლებელი მათი მოხმარება მხოლოდ ადამიანზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეძლებს იგი ბუნების მოხმარებას და თავისი ცხოვრების მოწყობას: „ბუნებაში თუმცა ყოველნი ნივთნი და არსებანი არიან მშვენიერნი და ბრძნად შექმნილნი, გარნა კაცისათვის არცერთი მათგანი არ არის სახმარი. არამედ ყოველი მათგანი კაცმან უნდა დაიმუშაოს, თავისთვის მოიმზადოს. ბუნება თავისთავად არის ნედლი მასალა, რომელიც მკაცრად უნდა აიღოს და მოამზადოს თავისთვის. მაშასადამე ღმერთმა კაცს ერთი მხრით მისცა ღონე, ანუ ხერხი, რომლითაც მას შეუძლია მუშაობა, მეორეს მხრივ წინვე დაუდვა მრავალი მასალა. დანარჩენი დამოკიდებულია მის მუშაობაზე და შრომაზე, ყოველნი თავისი ბუნების საჭიროებანი, სახმარნი მოთხოვნილებანი, კაცმან უნდა დააკმაყოფილოს თავისი შრომითა და მუშაობითა. მაშასადამე, რა უნდა ვთქვათ იმ კაცზედ, რომელიც სრულიად არაფერს აკეთებს? რით ირჩენს იგი თავს? სხვისი შრომითა და სხვისი ნაჭნარით. მაშასადამე იგი ქვეყნისა და საზოგადოების კეთილდღეობას არათუ ეხმარება, არამედ უშლის: „ქვეყნის ანუ მთელი საზოგადოების სიმდიდრეც, განათლებაც, წარმატებაც შესდგება კერძო პირთა შრომის და მეცადინეობისაგან. ამისთვის ის პირი, რომელიც არაფერს არ აკეთებს საჭმელსაც არ უნდა სჭამდეს."

სიმთვრალე არ არის ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელი. სიმთვლარე უკარგავს ადამიანს მისთვის დამახასითებელ კაცობრივ ბუნებას. „სიმთვრალე დააბნელებს ჭკუას, წაართმევს თავისუფლებას, დაამსგავსებს პირუტყვს" გვასწავლის „საქართველოს ოქროპირი."

სიმთვრალე ამძიმებს ადამიანის ისედაც მძიმე ამქვეყნიურ ცხოვრებას და მას ხშირად მძიმე დანაშაულის ჩადენისაკენ უბიძგებს „ზოგან ღვინით მთვრალნი კაცნი წაეჩხუბებიან და დასჭრიან ერთმანეთსა. ზოგად კიდეც მოკვლენ. საკვირველიც არ არის! ფხიზელი კაციც ზოგჯერ თუ ვერ გაუმაგრდება თავის ცუდ ხასიათსა და წარტაცებული იქნება თვისთა გულფიცხელობითა და ზნეობითა. კაცნი რომლისა ჭკუა და სვინდისი დაბნელებულ არს ღვინითა, როგორღა შეძლებს წინააღმდეგობას განსაცდელისასა."

მრავალფეროვანია დედამიწის ცხოველთა სამყარო. ზოგიერთი სახეობის არსებობა დედამიწაზე რამდენიმე ათეული და ასეული მილიონი წლით განისაზღვრება (მაგალითად ტარაკნები, ჭიანჭველები და სხვა. ისიც დადასტურებულია ადამიანი მათ შორის ერთ-ერთი უკანასკნელად წარმოიშვა. ჭიანჭველებს, ტარაკნებს, მგლებს, დათვებს, მერცხლებს და ა.შ. თავისი წარმოქმნის დღიდან ცვლილებები არ განუცდიათ. მაშინ როცა ადამიანმა რომ არაფერი ვთქვათ ბოლო საუკუნეში მიღწეულ უმაგალითო წარმატებებზე, განვითარების სამი ძირითადი საფეხური გაიარა: გამართული ადამიანი, მარჯვე ადამიანი და გონიერი ადამიანი. მანამდე კი ცნობილია დრიოპითეკები, პითეკანთროპები და სხვა, ეს მომენტი, რა თქმა უნდა მხედველობის არედან არ გამოჩრენია ბუნებისმეტყველ მეცნიერ არქიერს: „უმთავრესი განსხვავება კაცისა პირუტყვისაგან, ის არის რომ პირუტყვნი დასაბამისად აქამომდე ერთ მდგომარეობაში არიან. თუმცა პირუტყვს აქვს ცოტაოდენი გაგება, მისთომა, მაგრამ მათი მისთომა არ იზრდება. ერთნაირად არის, თუმცა, მათაც აქვთ რამე ზნე, მაგრამ მათი ზნე ერთ საზღვარშია, ვერ გაუმჯობესდება, წინ ვერ წავა. კაცი სულ სხვანაირად შექმნა ღმერთმა! კაცი მარადის წინ მიდის ჭკუით, გონებით, ყოფაქცევით, ერთის სიტყვით, კაცს აქვს დაუსრულებელი მისწრაფება უმჯობესისადმი."

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი დიდ ყურადღებას უთმობდა ჯანსაღი ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებას. თავად საქართველოს გარეთ სწავლა-განათლება მიღებული ფრთხილად ეკიდებოდა ახალგაზრდობის უცხოეთში სწავლის მიღებისა და სპეციალისტებად ჩამოყალიბების პროცესს. ეს ფაქტორი გაბრიელ ქიქოძის ფაქიზ, საყურადღებო და საპასუხისმგებლო მნიშვნელობის, ქვეყნისათვის მეტად საჭირო ღონისძიებად მიაჩნდა. მაგრამ აქ ბევრია დამოკიდებული თვით საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულ ახალგაზრდებზე, მათ ეროვნულ შეგნებაზე, ინტელექტზე და ჭეშმარიტი სწავლის დაუფლების სურვილზე. „აწინდელნი მაცდურნი გააკვირვებენ ხოლმე უმანკოთა და უბრალოთა კაცთა და ზოგიერთი იქნება კიდეც შეაშინონ. მით რომ ვითომ ისინი არიან ნასწავლნი, განათლებულნი, ზოგიერთნი მათგანი ყოფილან უცხო ქვეყნებში, უნახავს და გაუგონიათ მუნ ლაპარაკი ფრიად სწავლულთა კაცთა და რომელ ყველა მათი აზრი დაფუძნებულია აწინდელსა დიდსა სწავლასა და

განათლებასა ზედა. მაგრამ ადვილად ნუ დაუჯერებ ამას ყოველსა! მათი განათლება დიდად საეჭვო არის, სწავლა მათი ზედაპირი, თხელი და უსაფუძვლოა. საფუძვლიანი სწავლა მოითხოვს დიდსა შრომასა და მოთმინებასა, ხოლო მათ არც პირველი აქვთ და არც მეორე. ზოგიერთა მათგანთა უყვართ მოგზაურობა განათლებულ ქვეყნებში მაგრამ რა უნახავთ მუნ და რა უსწავლიათ? საუბედუროდ, მათი მოგზაურობა განათლებულ ქვეყნებში დაემსგავსება იმას, როგორც ერთი შინაური პირუტყვი, რომელიც არის მდიდარი კაცის უკანა ეზოში, ნახავს ნაგავსა და ნეხვსა მაშინა გორავს და გაიწუწება. და ჰგონია, რომ იმ ეზოში და იმ სახლში იმაზე უკეთესი არარაფერი აღარ არის. განათლებულ ქვეყნებში დიახ მრავალი არის ღირსი ქებისა, სწავლისა და მიბაძვისა, გარნა ნეხვიცა მრავალი მუნ. ხოლო ზოგიერთნი საცოდავნი და საბრალონი ჩვენნი ყმაწვილი კაცნი, როდესაც უცხო ქვეყნებში წავლენ, იმას კი არ უყურებენ და სწავლობენ, რაც არის იქ პატიოსანი და ღირსი ქებისა და ბაძვისა, არამედ გაისვრებიან იქაურსა ნეხვსა შინა. აქაც იმას მოგვიტანენ თითქოს ჩვენში ეს მასალა ნაკლებად იყოს!"

გაბრიელ ეპისკოპოსი განსაკუთრებით საშიშრად მიიჩნევდა ქართველი ქალების მიერ უცხოური წესების შეთვისებას. უმეტესი ნაწილი ქართველი ქალებისა, ყოველთა წოდებათა ასრულებენ, ყოველთა ქრისტიანულ მოვალეობათა, იყვნენ ჭეშმარიტნი დედანი სახლობათა, მეტად უყვარდათ თავიანთი შვილები და ქმარი. ხშირად გასაჭირ საზოგადო საქმეებში იყვნენ მხნენი და კეთილნი თანაშემწენი თავიანთ ქმართა. არაერთხელ ხელში იარაღით, შეხდომიან ქმართა მტერთა და დაუფარავთ სამშობლო, მაგრამ ჩემი აზრით უფრო მათი უბრალო, ზომიერი, ფხიზელი და შრომისმოყვარული ცხოვრება ყველა ახლანდელი ქალისათვის. ამისთანა წინანდელი ქალების ხასიათი შეადგენს უძვირფასესს მაგალითს მისაბაძავად. ყველამ იცის რომ ამ ჩვენი საუკუნის დასაწყისამდის და ახლანდელ განათლებამდის ქართველნი ქალნი თავის ხელის ნაწარმით იცვამდნენ თავის ტანს და მთელ თავიანთ სახლობასაც. ეს მეტად საქები რამ იყო, რადგან ამით დიდშემწეობას აძლევდნენ თავიანთ ქმართა რომელნიც მუდამ ჩხუბში იყვნენ და იცავდნენ თავიანთ ქვეყანასა და სარწმუნოებასა. მართალია ქართველმა ქალებმა არ იცოდნენ ჩაცმა ახალ მოდაზე და ფრანცუზულ ენაზე ლაპარაკი მაგრამ ზრდიდნენ ტანმრთელ შვილებს, რომლებსაც აჩვევდნენ ყოველივე გაჭირვების ატანასა და სარწმუნოების დაცვისათვის თავის გამომეტებას.

ეს იყო აგერ ახლა! რაღა იქმნება ამის შემდეგ, რითი გამოიჩენენ თავს აქაური ქალები აღზრდილნი ევროპიულად? ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის! ბევრნი გარემოებანი ეხლანდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა ვერ გვიქადიან ჩვენ კარგ მომავალს."

დიდი ახსნა - განმარტება არ სჭირდება, თუ რამდენად თანამედროვეა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის შეგონება უცხო ქვეყნებთან ურთიერთობის შესახებ: „ახლა ისეთი დროება დადგა ამ ჩვენს ქვეყანაში რომელს ჩვენ თანდათან ვუახლოვდებით, ვიკითხავთ, ვტყობილობთ უცხო ქვეყნების, მეტადრე ევროპის განახლებულ ხალხთა ამბავსა, მათსა ზნეობასა, ყოფაქცევასა, აზრსა. სამწუხაროდ მათ შორის არა ყოველი ფერი არის კეთილი და მოსაწონი. საუბედუროდ ჩვენდა ცხადად სჩანს რომელ მათგან ესე იგი უცხო, განათლებულის ქვეყნების ჩვეულებათაგან ჩვენ ხშირად მივიღებთ რაიცა არ არის მოსაწონი. არამედ არის წინააღმდეგი ღვთისა და ღირსი მოძაგებისა. ხოლო რაიცა მართლა არის სასარგებლო და რასაც უნდა ვტყობილობდეთ, იმას არ ვტყობილობთ და იმაზედ ყურადღებას არ მივაქცევთ."

უცხოური წეს_ჩვეულებების, განათლებისა და ტრადიციების ქვეყანაში შემოტანასა და ხელ-აღებით ნაჩქარევ დანერგვას შეიძლება ნაცვლად სიკეთისა ცუდი შედეგები მოჰყვეს. ამიტომ ისინი ფრთხილად მრავალჯერადი შეჯერების შედეგად უნდა იქნეს გავრცელებული: „რომელნი იქადიან განათლებასა, ნახვითა და ცნობითა და მოგზაურობითა განათლებულს ქვეყანაში, ნაცვლად ოქროისა და თვალ-მარგალიტისა, იგინი ხშირად ევროპიდან ტალახსა და მყრალსა ბალახსა გვიზიდავენ ჩვენ, რომელიც ჩვენშიაც უხვად არის! ნუ დაუგდებ ძმაო ყურს ამისთანა პირს თუ არ გსურს გაისვარო!"

რატომ ფრთხილობს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი საქართველოში სხვა ქვეყნების, თუნდაც ის ევროპის მოწინავე ქვეყანა იყოს ტრადიციების, ზნე-ჩვეულებებისა და თუნდაც განათლების დანერგვას? რატომ ცდილობს მრევლის ყურადღება მიაპყროს იმ მომენტს, რომ ეს პროცესი შეიძლება მეტად არასასურველი მიმართულებით წარიმართოს?! „ყოველსა ხალხსა და ქვეყანასა ჰქონან თვისნი ჩვეულებანი და თვისი სახე ცხოვრებისა და ყოფაქცევისა. ესეც ვიცით, რომელ ჩვეულებათა უმეტესად ძველთა ჰქონან თავისი მნიშვნელობა და ძალი. ჩვენცა ძველთა მცხოვრებთა ამ ქვეყნისათა გვქონდა და გვქონან რომელნიმე განმასხვავებელნი ჩვეულებანი და განსხვავებული სახე ცხოვრებისა. აწ რა ვიფიქროთა? რომელნი ახალნი ჩვეულებანი მივიღოთ და რომელნი ახალნი ჩვეულებანი მივიღოთ და რომელნი ძველ ჩვეულებათაგანიცა მტკიცედ დავიმარხოთ? ნუთუ ძველნი ჩვეულებანი ისრე ადვილად გამოსაცვლელნია როგორც ძველი ტანსაცმელი. მე ვგონებ რომელ არიან რომელნიმე ჩვეულებანი, თუმცა ძველნი გარნა ადვილად დასავიწყებელნი არიან. სხვანი ჩვეულებანი ძველნი რომელნი არ უნდა დავივიწყოთ არაოდეს."

როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი და ღვთისმეტყველი, წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ამ საკითხის განხილვის დროსაც არ ჰკარგავს ობიექტურობას. და იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებმაც ნებით თუ უნებლიეთ ქართველთა შორის იჩინა თავი საუბრობს:

„სხვათა ქვეყანათა შინა მხოლოდ მას ცდილობენ რომ სამართალმა სამართლობას აჯობოს, იქ ჰაზრი ჰაზრთან იბრძვის და საქმე საქმესთან. აქ კაცი კაცთან, გვარი გვართან. იქ ცილობა მოხდება ჭეშმარიტისა და უმჯობესის წესის ძიებისაგან. აქ თავხედობისა და თავის მოყვარებისაგან; აქ ცილობა და უკმაყოფილება ყოველთვის დაბოლოვდება მხოლოდ სიძულვილითა და ბრძოლითა გამოიწინონ უმჯობესი წესი; აქა მცირე რაიმე უკმაყოფილება და საუკუნოდ განაშორებს კაცს კაცისაგან."

ამიტომაც მიმართავს გაბრიელ ეპისკოპოსი ერს: „გეტყოდი მე თქვენ, რომელ არიან ჩვენ შორის მრავალნი ჩვეულებანი თუმცა ძველნი, გარნა არა პატივდებანი, არამედ ღირსნი მოსპობისა და დავიწყებისა."

ადამიანი ღვთისაგან ბოძებული ნიჭით, გონებითა და შეძლებით დედამიწაზე უმნიშვნელოვანესი და უგონიერესი არსებაა: „კაცს ღმერთმან მისცა უმჯობესი ბუნება და უდიდესი შეძლება! კაცს დაუმორჩილა ღმერთმან სამკვიდრებელად ქვეყანა."

დედამიწის სხვადასხვა ნაწილის ბუნებას შორის წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის თვალთახედვით საქართველოს ბუნება ერთი უმშვენიერესი და უნაყოფიერესია, რომელსაც შეუძლია ადამიანი მდიდრად აცხოვროს, მაგრამ ქართველი კაცის ზოგიერთი მანკიერი თვისების შედეგად ეს არ ხერხდება: „ღვთის მადლით მიწა და მამული გვაქვს ფრიად ნაყოფიერი, გარნა მაინც ღარიბები ვართ, ამ მშვენიერ მამულში, რომ იდგნენ ვინმე უცხო თესლნი, ძლიერ მდიდარნი და გაკეთებულნი იქნებიან. ცხადი არის, რომელ ჩვენმა უთანხმოებამ და განხეთქილებამ არა თუ სულითა წაგვწყმიდა, არამედ აქაც ამ სოფელში გაგვაფუჭა დაგვადამბლა." ადამიანი იმით განსხვავდება დანარჩენი ცოცხალი სამყაროსგან, რომ მას აქვს უმაღლესი ცნობიერება და უმაღლესის შეცნობის უნარი: „მარტო კაცმან იცის სახელი ღვთისა, მარტო კაცსა აქვს გულში დანერგული აზრი ღმერთზედ… სხვა ხილული ქმნილება წყალი, მიწა, ხე, პირუტყვი ვერა-რას იფიქრებენ ღმერთზედ." ღმერთმა ადამიანს მისცა უმაღლესი ბუნება, რომ იგი განუწყვეტლივ უნდა ეძებდეს და პოულობდეს ცხოვრების უმაღლეს ფორმას. სხვა შემთხვევაში ადამიანი თავის არსებობას ვერ გაამართლებს….უმოძრაობა მე-XX_ საუკუნის დაავადებად არის მიჩნეული, რომელიც არღვევს ადამიანის ჯანმრთელობას და იწვევს სხვადასხვა დაავადებებს (დიაბეტს, ჰიპერტონიას, გულსისძარღვთა დაავადებებს და სხვა. ეს მოვლენა ჯერ მე-19 საუკუნის 60-70იან წლებში აღნიშნა გაბრიელ ეპისკოპოსმა: „როგორითაც რომ კაცი, რაც გინდა მრთელის და მაგარის აგებულების სხეული ჰქონდეს, უკეთუ იგი უძრავად ატარებს თვისსა ცხოვრებასა, ერთ ადგილზე ზის, დაეკარგება მას სიმრთელე და შთავარდება სნეულებასა შინა და ბოლოს სიცოცხლეც მოაკლდება." რატომ ვარდება ადამიანი ასეთ მძიმე მდგომარეობაში? მხოლოდ იმიტომ, რომ კაცის ტანი და აგებულება -ბრძანებს მღვდელმთავარი- ყოველთვის მოითხოვს შრომასა

და მოძრაობასა. თუ კაცი დიდხანს დაშთა უძრავად და უსაქმოდ, უთუოდ ავად გახდება. ამასთან უმუშევარი სიღარიბეშიაც ხშირად ვარდება. „ამაზე კიდევ ის დაამატე რომელი მცონარე კაცი მალე შთავარდება სიღარიბეში. არღარას ვიტყვი სხვათა რომელთამე საშინელთა ცოდვათათვის, რომელთა შეუდგებიან უსაშინელესი ვნებანი და უბედურებანი."

ზარმაცი კაცი  არათუ თავის საზრდოს ვერ მოიპოვებს, არამედ წინაპრების მიერ დანატოვარ ქონებასაც კი გაანადგურებს,

„მცონარე კაცი  ვერც შეიძენს საზრდოსა და კიდევაცა დააბნევს და შეჭამს ქონებასა და მამულსა, რომელიც მას მიუღია წინაპართაგან."

სხეულის შინაგანი ცვალებადობა თავისთავად იწვევს  სხეულის შინაგან ცვალებადობასაც, რადგან „გარეგანი მოძრაობა და მოქმედება კაცისა დამოკიდებული არის შინაგანსა თვისებასა და მიდრეკილებასა ზედა."

გაბრიელი ურჩევს მრევლს ბუნებრივი მოვლენებისადმი შემგუებლობას, რადგანაც ბუნების კანონები   და ბუნებრივი მოვლენები მიმდინარეობს კაცის ჩარევის გარეშე, დამოუკიდებლად მისი შეცვლა ადამიანს არ შეუძლია. ბუნების წინააღმდეგ აღდგომა ადამიანის უცოდინარობასა და უგნურებაზე მეტყველებს: „ხშირად მოხდება, რომ  კაცი განრისხდება ცუდ ტაროსზედ, რა წყეული შეჩვენებული დღე არისო. ამით იგი აჩვენებს თავის საკუთარს მოუთმენლობას, უგუნურებასა და სულმოკლეობას."

თავის ქადაგებებში გაბრიელ ეპისკოპოსი დიდ ყურადღებას უთმობს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას, როგორც ჯანმრთელობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას" „სიწმიდე ხორციელი, ანუ გარეგანი ის არის, რომ ადამიანს უყვარს  კარგად ჩაცმა, წმინდად ჭამა და სმა. წმიდად ცხოვრება თავის სახლში." მიუხედავად სიმდიდრის, ქონებისა და შესაძლებლობისა, ადამიანი უნდა ცდილობდეს ადგილსამყოფელის ჰიგიენური პირობების დაცვას-„თუგინდ არაფერი  გქონდეს შენ, მაგრამ რაც გაქვს სუფთად და წმიდად შეინახე"- ბრძანებს გაბრიელი- მით უმეტეს, რომ „სიწმიდის შენახვა არ მოითხოვს სიმდიდრეს. ხორციელი გარეგანი სიწმიდე შინაგან სიწმიდეს განაპირობებს. „ვისაც უყვარს  გარეგანი და ხორციელი სიწმიდე და სისუფთავე იგი სულიერისა სისუფთავისათვის უფრო  ცდილობს."- გვასწავლის „მეცნიერი არქიერი",  უწმიდური ცხოვრება კი ადამიანის ჯანმრთელობას არყევს და სხვადასხვა დაავადებებს იწვევს. „ვინც უწმიდურად ცხოვრობს ის უფრო მალე გახდება ავად  და კარგავს სიმრთელესა."

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი გვასწავლის რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ცუდი საკვებისა და სასმელის მიღება და ამიტომაც მას უნდა მოვერიდოთ.

გაბრიელ ეპისკოპოსი ქადაგებს სულისა და ხორცის ერთიანობას. ეს ორი მხარე არის სრული განხორციელება ორგანიზმის სრულყოფისა. ხორციელი ავადმყოფობა იწვევს სასმელსა და საჭმელზე მოთხოვნილების შემცირებას. ეს კიდევ უფრო ასუსტებს ორგანიზმს და ხორციელი დაავადება სულიერ სისუსტეში გადადის: „როდესაც კაცი ხორციელად მძიმედ  ავად  გახდება- წერს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი- მაშინ მას სრულიად დაეკარგება სურვილი და გემო საჭმლისა და

სასმლისა. თუმცა მას სწყურიან და ხშირად ითხოვს სასმელსა, გარნა ყოველი სასმელი იგი მისთვის უგემური არის და ვერც მოუხელებს წყურვილსა მისსა. გარნა თუ ავადმყოფმა კაცმა მოითხოვა სასმელი და საჭმელი და გემოვნებით მიიღო, მაშინ ვიტყვით, რომელ იგი მორჩებათ- ეგრეთვე არს სულიერიცა მდგომარეობა კაცისა. ჭეშმარიტი საზრდო, საჭმელი და სასმელი სულისა ჩვენისა არის საღმრთო სწავლა და მადლი სულისა წმიდისა."

რამდენად მიწიერი ბუნებისადმი სიყვარულითაა გამსჭვალული წმიდა მოძღვრის მიმართვა მრევლისადმი: „ეცადე და განაგდე გულისა შენისაგან ბოროტნი გულის ზრახვანი, მოამზადე გული შენი, ვითარცა მიწის მოქმედი მოამზადებს ყანასა თვისსა თესვისათვის."

აი რატომ იყო წმიდა და სათაყვანო გაბრიელ ეპისკოპოსი არა მარტო ილიას, აკაკის, ვაჟას, ნიკო ნიკოლაძის, დავით კლდიაშვილისა და სხვა რჩეულთათვის, არამედ მთელი ერისათვის, განსაკუთრებით დაბალი ფენებისათვის, ამიტომაც იყო მისი ქადაგება სრულიად ქართველი ერისათვის მისაღები და სასურველი, სულისა და ხორცის განმკურნებელი.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მარხვის შენახვა, თუ მას თან არ ახლავს სულიერი სიწმიდე, სისპეტაკე, სიმართლე და მოყვასისადმი სიყვარული, არ მიაჩნია ღვთის ჭეშმარიტ სამსახურად. ცოდვა მარხვით არ გამოისყიდება, რამდენიმე დღით საჭმლის შეცვლა ვერ განკურნავს ცოდვილ სულს: „ღმერთი ითხოვს შენგან კეთილსა საქმესა, სიმართლესა და სათნოებასა, შენ მოუძღვნი მას საჭმლის გამოცვლასა. სულითა და ჭეშმარიტებითა უნდა ემსახურებოდე ღმერთსა და შენ ემსახურები მუცლითა შენითა. რა დიდი სათნოება არის და რა დიდი ღვთისმსახურება არის, რომ ნაცვლად ხორცისა შენ სჭამო ერთ ან ორ დღეს ლობიო ანუ სხვა სამარხვო საჭმელი. ეს ფრიად ადვილია, ეს ძნელი არ არის, ამას ყოველი კაცი იქმს! დიდი სათნოება და მოღვაწეობა ის იქნება, როდესაც შენ გასწმენდ გულსა შენსა ცოდვათაგან და ემსახურები ღმერთსა სამართლითა და კეთილითა ყოფაქცევითა. დარწმუნებულ იყავ, რომ ღმერთს უმეტესად ეამება შენი სიმშვიდე და კეთილი ყოფაქცევა, ვიდრე შენი მარხვის შენახვა."

მარხვით არ შეიძლება ცოდვის დაფარვა. წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი გვასწავლის: „ყოველი მსხვერპლი და შესაწირი ჩვენი, ყოველი სამკაული ხატთა და სიმდიდრე ტაძრისა მხოლოდ მაშინ არის სათნო და საყვარელი ღვთისათვის, ოდესცა გული ჩვენი მოქცეულ არს მისდამი, ოდეს გვაქვს კეთილი ყოფაქცევა და სიყვარული, ოდეს განქარდნენ ესენი, გაუქმდებიან იგინიცა."

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა მარხვა არ დაიცვას. სულიერ განცდასთან ღმერთთან მიახლოებასთან შეხამებული ლოცვა ქრისტიანობის აუცილებელი რიტუალია. ასეთ მარხვაში სჩანს ადამიანის ადამიანობა. „ვისაც მარხვა არ უყვარს _ ქადაგებს გაბრიელ ეპისკოპოსი _ „ამით ემსგავსება პირუტყვთა და არა ანგელოზთა. პირუტყვთა არ იციან მარხვა." მაგრამ მარხვა სასარგებლო და ღვთიურია. და მით რომ იგი შეერთებულია „სხვათა კეთილთა საქმეთა თანა, სინანულისა, ლოცვისა, აღსარებისა თანა."

რა დიდი სათნოებაა_ბრძანებს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი, რომ „ნაცვლად ხორცისა შენ სჭამო ერთს ანუ ორ დღეს ლობიო ანუ სხვა სამარხვო საჭმელი!

ეს ფრიად ადვილია, ეს ძნელი არ არის. ამას ყოველი კაცი იქმს! დიდი სათნოება და მოღვაწეობა ის იქნება, როდესაც შენ გაწმენდ გულსა შენს ცოდვათაგან"...

„მარხვა თავისთავად არაფერი არს, უკეთუ არა შეერთებულ_არს სხვათა სათნოებათა თანა. შენ მარხულობ და სიცრუის ლაპარაკს, შურისძიებას არ ერიდები? არაფერი სარგებლობა არ გაქვს, არამედ უარესად ჰსცოდავ! მისთვის, რომ ვითომც მარხვის შენახვით სხვა ცოდვას დაჰფარავ"...

დიდი ფასი აქვს მარხვას, გარნა მაშინ, როდესაც იგი არის ნიშანი შინაგანი მდგომარეობისა, მონანებისა, გლოვისა, მწუხარებისა! ხოლო თუ მარხვა არის ერთი ოდენ საჭმლის გამოცვლა მაშინ მას არ აქვს ფასი."

გაბრიელ ეპისკოპოსი ქურდად ანუ მპარავად არ თვლის მხოლოდ იმ ადამიანს, ვინც მეორე ადამიანს პარავს ანუ მატერიალურ ზარალს აყენებს. ქურდია ყველა, ის ვინც თვითონ არ მუშაობს და სხვის ნამუშაკევს ჭამს.

საკმარისია მხოლოდ ამ მირონცხებული ადამიანის მიერ ჩამოყალიბებული მპარავის კატეგორიები ჩამოვთვალოთ და დავინახავთ თუ რამდენად ღრმად მოაზროვნე და წმიდა ადამიანი მოევლინა ჩვენს ქვეყანას ამ ღმერთკაცის სახით!

„მპარავია, ის ვინც სხვის ნამუშაკევს სჭამს, თვითონ არ მუშაობს!"

„მპარაობა არის ყოველი ისეთი მოქმედება, როდესაც შენ სიტყვით ან რომელიმე ზარალი, ანუ დაბრკოლება მიეცი მოყვასსა შენსა. ანუ თუმცა პირდაპირ ზარალი არ მიგიცია, მაგრამ არც გიჩვენებია სიყვარული და შეეწევნა!"

„მპარავი იქნება ის კაციც, რომელმან არ აღასრულა და პირობა, რომლითა იგი შეიკრა წინაშე მოყვასისა თვისისა და მით ზარალი მისცა მას." რადგანაც, როგორც გაბრიელ ეპისკოპოსი აღნიშნავს, სიტყვის დარღვევით უფრო უდიდესი და უმთავრესი ზარალი შეიძლება დაადგეს ადამიანს ვიდრე უშუალოდ ქურდობით.

„მპარავი შეიძლება სახელმწიფო მოხელეც: „მპარავის მსგავსი შეიქნება ის ხელმწიფის მოსამსახურე, ანუ ჩინოვნიკი, რომელიც დაუდევნელად და არა ერთგულად აღასრულებს თანამდებობასა თვისსა. ჯამაგირი და ჯილდო, რომელსაც იგი იღებს ხელმწიფისაგან, მოპარული აქვს ესრეთსა ჩინოვნიკსა!"

„მპარავია ის ვაჭარიც, „რომელიც იღებს უზომო ფასს თავის საქონელში, ანუ ნაცვლად კარგის საქონლისა, აძლევს ცუდს საქონელს და ფასს სრულს იღებს, ვგონებ პირდაპირ უნდა შეირაცხოს მპარავთა შორის!"

„მპარავი არის შინა მოსამსახურე, რომელიც „მოიღებს სასყიდელსა და არა ერთგულად ემსახურება უფალსა თვისსა!"

გაბრიელ ეპისკოპოსი ადამიანის ადამიანისადმი მიყენებულ წყენას ჰყოფს ორ ნაწილად _ ხორციელად და სულიერად. და განმარტავს, რომ უკანასკნელი უფრო დიდი და საძაგელი ცოდვაა, ვიდრე პირველი. თუ შენ სიტყვით ანუ მაგალითით აცთუნე ვინმე მოყვასთაგანი, ესე იგი ცოდვაასწავლე, საქმეში შეიყვანე, გარყვნილებას მიაჩვიე ეს ასწილ უმწარესი ცოდვა არის, ვიდრე ნივთიერი ზარალი, რომელსა ქურდი მისცემს კაცს. ამისთანა მოქმედება საუკუნოდ წასწყმედს კაცის სულს და საუკუნოდ ზარალში ჩააგდებს!"

ქურდობის უმთავრეს მიზეზად გაბრიელ ეპისკოპოსი, ზარმაცობასა და უსაქმურობას აღიარებს. აქედან გამომდინარე კი მას გამოჰყავს ასეთი დასკვნა: „შრომისმოყვარე, ბეჯითი და მეცადინე ადამიანი არასოდეს გახდება ქურდი. ქურდობით

სიმდიდრის მოხვეჭა ადამიანის ერთერთი უსაშინელესი ცოდვათაგანია! ქურდობით ადამიანი ვერ გაბედნიერდება, უფრო მეტად კი გაუბედურდება. თუ ასეთ კანონზომიერებას ქურდი ანალიზს გაუკეთებს იგი თვის საძაგელ მოქმედებას აღარ გააგრძელებს!"

როგორც წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი გვარწმუნებს ადამიანის ცუდი მიმართულებით სვლას უპირველესად და უმთავრესად საკუთარმა სინდისმა უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა, რადგანაც სინდისი არის „იგი უხილავი მსაჯული, მჯდომარე გულსა შინა ყოვლისა კაცისასა, რომელიც აძაგებს რომელთამე სხვათა ყოფა-ქცევისათვის! ამიტომ ყოველი ადამიანი უნდა ეცადოს, რომ მისი სინდისი იყოს მტკიცე და მახვილი!"

საზოგადოების მწუხარებისა და უბედურების ერთ-ერთი მიზეზი კაცის გულის სიხარბეა.

ადამიანის კიდევ ერთი უარყოფითი თვისება არის შური, რომელიც „კაცს დაუბნელებს გონებასა, ხშირად წააჩხუბებს მოყვასთან და სხვათა მრავალთა ცუდთა საქმეთა შინა შეიყვანს!"

საინტერესოა გაბრიელ ეპისკოპოსისეული შურის განმარტება: „შური არის მწუხარება, რომელსა კაცი ჰგრძნობს გულში ოდეს იგი ჰხედავს სიკეთესა, წარმატებასა და ბედნიერებასა თვისის მოყვასისასა!" გავიხსენოთ სულხან-საბა ორბელიანის შურის განმარტება: „შური არის მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა" ვფიქრობთ ორი ცნების იდენტურობას კომენტარი არ სჭირდება. იგი მხოლოდ ერთს ამტკიცებს – გაბრიელ ეპისკოპოსი იცნობდა სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებას. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო.

გაბრიელ ქიქოძე იძლევა შურის კიდევ ერთ განმარტებას: „შური არის სნეულება სულისა!" შური ადამიანს მრავალ უბედურებას შეჰყრის, დაუბნელებს გონებას, გადაჰკიდებს მოყვარეს და მრავალ ცუდ საქმეებს შეჰყრის.

წმიდა მღვდელმთავარს გამოაქვს ცხოვრებისეული დასკვნა: „მცხოვრებნი ამა ქვეყნისანი ას წილ იქნებოდნენ უბედნიერეს, უკეთუმცა არ იყოს მათ შორის შური და ნაყოფი მისი შურისძიება!

გაბრიელ ეპისკოპოსის ნათელ გონებას არც მექრთამეობა გამორჩენია, როგორც ადამიანის მახინჯი თვისება – ანგაარი კაცი როდესაც იღებს ქრთამს, ფიქრობს, ბედნიერი და დიდი კაცი შევიქმნებიო. გარნა იმასაც მიხედე... ყოველი ცოდვის აღსრულება არის ეშმაკის თაყვანისცემა!"

გაბრიელ ეპისკოპოსი გმობს ისეთ ფარისევლებს რომლებიც უარყოფენ მექრთამეობას, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არა აქვთ ქრთამის აღების საშუალება და თუ მიეცათ სხვა მექრთამეზე უარესად შეიძლება მოიქცნენ: „რამდენი იქნება ჩვენს შორის ისრეთი პირი, რომ როდესაც მიეცა შემთხვევა თვითონ სხვაზედ უარესად იწყებს ქრთამის აღებასა".

სიცრუის თქმა უარესი ცოდვა არის ვიდრე მარხვის არ შენახვა – გვასწავლის საქართველოს ოქროპირი. ამიტომ ადამიანი, სანამ რაიმეს იტყოდეს უნდა დაფიქრდეს და მერე თქვას, რადგანაც თავის ნათქვამს იგი ველარ დაიბრუნებს.

სიმართლის თქმა და სიცრუის უარყოფა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს ადამიანის ადამიანურობის ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტად მოჰყავს: „პატიოსნება ის არის, როდესაც კაცი ყოველთვის სიმართლით და გულწრფელად იტყვის, ყოველსა აღთქმასა და პირობასა მოუცილებლად აღასრულებს. ეშინია და რცხვენია სიცრუის თქმა, მრუდედ და მზაკვრად არ მოიქცევა. რაც არ იცის ბეჯითად იმას არ დაგაჯერებს, რისაც ასრულება არ შეუძლია, იმაზედ პირობას არ მოგცემს: მოკლედ რომლის სიტყვა და საქმე ერთია."

სამწუხაროდ, როგორც წმიდა მღვდელმთავარი გვასწავლის, ადამიანთა ნაწილს სიცრუე ცხოვრების ნორმად აქვს მიჩნეული და არც ცოდვად თვლის – „იმავე დღეს, როდესაც შენ გეშინიან და ძლიერ გახსოვს, რომ ხორცის ჭამა არ შეიძლებაო ადვილად იტყვი სიცრუესა და მოატყუებ შენს მოყვასსა."

მიიჩნევს რა სიცრუის თქმას დიდ ცოდვად გაბრიელ ეპისკოპოსი მოუწოდებს მრევლს არა მარტო არ იცრუოს, არამედ უყვარდეს სიმართლე. იმგვარად, რომ თავიც კი შესწიროს მას. სიცრუეს ენით შეცოდების ფორმად მიიჩნევს „ენით შეცოდება ადვილი არის დიდ შრომას არ მოითხოვს და თუ ენა დაიმორჩილა კაცმა მაშინ სხვა ცოდვასაც ადვილად წინაღუდგება..."

„თავის ნათქვამს სიტყვას კაცი უკან ველარ დააბრუნებს. უნდა მძიმედ იფიქროს და მერმე სთქვას ყოველი სიტყვა." ხშირად კი ხდება პირიქით „ენა ხშირად ესოდენ და დაფარავს და შეამკობს სიცრუესა, რომელ მისცემს მას სახესა ჭეშმარიტებისასა."

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანს მრავალი ცოდვა გააჩნია, რომელიც არცხვენს მის ღვთისაგან ბოძებულ ხატებას და სულიერადაც ამდაბლებს. მაინც უმთავრესი ცოდვა, რომელიც ადამიანში მოქმედებს ფარისევლობაა: „მრავალნი ცოდვანი სტანჯავენ ქვეყანასა ამას შინა დაცემულსა ბუნებასა კაცისასა, გარნა არც ერთი მათგანი არ არის უსაშინლესი ფარისევლობისა, მისთვის რომელ არცა ერთი მათგანი ეგრეთ არ მოეკიდება გულსა კაცისასა, ვითარცა ფარისევლობა. არცა ერთი მათგანი იმ ზომად არ მოინადირებს სულსა მისსა და ისრე ღრმად არ შთაევდება ბუნებასა შინა მისსა. ყოველნი სხვანი ცოდვანი მხოლოდ ერთ დროს და ერთ ჰ ასაკსა შინა მოეკიდებიან კაცისასა. ფარისევლობა სიყრმითგან საფლავამდის მისდევს მას. ყოველი სხვა ცოდვა გაერევა და გამოჩნდება მხოლოდ ზოგიერთთა საქმეთა შინა. ეს კი ყოველ სიტყვაში და ყოველ საქმეში. ფარისევლობა ყოველ მოქმედებას გასვრის და გააუწმინდურებს. ყოველ ჰაზრს და სიტყვას მისცემს რაღაცას ცუდად განსხვავებულ ფერს. გარნა უმაღლესი სიცუდე ფარისევლობისა ის არის, რომელ იგი ატყუებს კაცსა." აქედან დასკვნა „კაცსა არა ჰყავს არც ერთი ფარისევლობაზე უსაშინელესი მტერი." და თუ ფარისევლობა ასეთი ულმობელი და საშიში მტერია საჭიროა მის წინააღმდეგი განუწყვეტელი და მედგარი ბრძოლა" „ნაცვლად ერთისა ენისა ასი ენა, რომ გვქონდეს პირში და თითოეულითა ათასჯერი გვეთქვა ხმასზედა

ვგონებ არ იქნებოდა მომატებული ეგ ოდენ საჭირო არს გაფრთხილება ჩვენი ფარისევლობისაგან."

ფარისეველი კაცის პირისაგან, როგორც გაბრიელ ეპისკოპოსი გვასწავლის, „ხშირად წვეთავს თაფლი, მაგრამ მთელი მისი არსი აღსებულია მტრობითა და მწარე შურით."

ამიტომ წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი გვირჩევს, რომ არ დავენდოთ მხოლოდ სიტყვას, კარგად განვჭვრიტოთ ნათქვამი და სიტუაციიდან გამომდინარე შევაფასოთ იგი: „შენი მოყვასი ის კი არ არის ძმაო, რომელიც გეფერება და გიახლოვდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შენ გეჭირვება მისი შეწევნა, არამედ მას სურს შენგან სარგებლობა. რაოდენი არიან ესრეთნი, რომელნი ოდეს შენ ხარ მისთვის საჭირო და სასარგებლო. მაშინ გემონება, გეფერება და გაქებს! სიყვარულსა და ერთგულებასა მოგაჩვენებს და როდესაც შენ აღარა ხარ მისთვის საჭირო და მეტადრე, უკეთუ თვით არის შენთვის საჭირო, მაშინ იგი აღარ გიცნობს, აღარ შეგხვდავს, ზურგს მოგაქცევს. კეთილი და ქრისტიანული მოყვასი გამოჩნდება ჟამსა უბედურებისასა: მაშინ მოგიახლოვდება იგი, მაშინ გეფერება, მაშინ განუგეშებს!"

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს ფარისევლობა საზოგადოების საერთო სენად მიაჩნია და არა ცალკეულ პირთა დაავადებად. „ვიტყვი პირუთვნელად ჩვენ მცხოვრებთა ამ ქვეყნისათა გვაქვს საკუთარი მიდრეკილება ფარისევლობისადმი. ეს გამოჩნდება მით, რომელ სიტყვანნი ჩვენნი ხშირად არიან წინააღმდეგნი საქმეთა ჩვენთა და გარეშეობა ჩვენი არ ეთანხმება შინაგანსა ჩვენსა."

ფარისევლობა არის უსაშინელესი და უბოროტესი ცოდვა, რომელიც საზოგადოებას ტანჯვას მოუვლენს_ „მრავალნი ცოდვანი სტანჯავენ ქვეყანასა ამას შინა დაცემულსა ბუნებასა კაცისასა, გარნა არცა ერთი მათგანი არ არის უსაშინელესი ფარისევლობისა, მისთვის რომელ არცა ერთი მათგანი ეგრეთ არ მოეკიდება გულს კაცისასა. ფარისევლობა სიყრმითგან საფლავამდის მისდევს მას. ყოველი სხვა ცოდვა გაერევა და გამოჩნდება მხოლოდ ზოგიერთთა საქმეთა შინა ეს კი ყოველ სიტყვაში და ყოველ საქმეში. ფარისევლობა ყოველ მოქმედებაში გასვრის, გააუწმიდურებს ყოველ ჰაზრს და სიტყვას მისცემს რაღაცას ცუდად განსხვავებულ ფერს. გარნა უმაღლესი სიცუდე ის არის ფარისევლობისა რომელ იგი ატყუებს კაცსა!"

ადამიანი უნდა მოერიდოს ფარისეველს და არა თუ საქმეში, არამედ უბრალო ლაპარაკშიაც: „თუ ლაპარაკში იგი გარწმუნებს, რომ არის მეგობარი და კეთილის მსურველი ნუ დაუჯერებთ. როდესაც მწუხარე სახითა გელაპარაკება, რომელსამე ცოდვასა და უსამართლობასა ზედა ნუ დარწმუნდები."

გაბრიელ ეპისკოპოსს არც სახელმწიფო მოხელის მორალური სახის წარმოჩენა გამორჩენია: „ჩინოვნიკი ემსახურება და შრომას სწევს ჯამაგირისათვის

და ჯილდოსათვის, გარნა თუ იგი ემსახურება სიმართლით და პატიოსნებით მსახურება მისი შეირაცხება ვითარცა მსახურება ღვთისა."

„თუ ვინმე კაცი გაანგრძობს გაბრიელ ეპისკოპოსი მთავრობას ანუ ჩინოვნიკობას იძიებს მხოლოდ მისთვის, რათა თავის თავს მისცეს სარგებლობა, გამდიდრდეს, პატივი და დიდება შეიძინოს. თუ მარტო ამას ფიქრობს ვინმე და სხვა არაფერი ახსოვს იგი დიდ ცოდვაში არის! გარნა ვინც მთავრობას ეძიებს მისთვის, რომ მოყვასთა თვისთა მისცეს სარგებლობა, დაიცვას მშვიდობა და მყუდროება სოფელში, სიმართლე და მართლმსაჯულება მიანიჭოს ყოველსა კაცსა, ქვრივი ობოლი და საწყალი უმართლო და მძლავრთა კაცთაგან. ამისთანა კაცი არ არის ცოდვაში არამედ კეთილსა და მაღლიანს საქმე ეძიებს!"

„დიდკაცობა და მთავრობა არა მოსვენება არის განცხრომა"_ გვასწავლის „საქართველოს ოქროპირი" არამედ ტვირთი, შრომა და მოღვაწეობა. არა ქვეყანა უნდა ემსახურებოდეს მთავარსა და დიდკაცობასა, არამედ უკანასკნელი უნდა ზრუნვიდეს და ემსახურებოდეს ქვეყანასა."

„თუ ადამიანის მოქმედების ასპარეზი მთელ ქვეყანას ვერ მისწვდება. იგი თავის მშობლიურ სოფელს მაინც უნდა ერთგულად ემსახურებოდეს. გაბრიელ ეპისკოპოსი დიდკაცად ადამიანს აღიარებს არა გვარიშვილობით, არამედ საზოგადოებისადმი სარგებლობის გამოვლენით. და მის საწინააღმდეგოდ საცოდავია კაცი, რომელიც „ყოველ ღონეს მოიხმარს, თავს არ დაზოგავს, რომ მიიღოს რაიმე ჯილდო, ნიშანი, ჯვარი ჩამოიკიდოს გულზე და მით დააკმაყოფილოს თავისი პატივმოყვარეობა."

ნაცვლად შრომისა, მონდომებისა და ქვეყნისადმი სამსახურისა „ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ უეჭველია, რომელ მრავალი სახელმწიფო მოსამსახურენი დიდ ხარისხში და ჰასაკში მყოფნი, სტირიან ხშირად შურისა გამო მხედველნი მოყვასთა და ამხანაგთა მათთა წინ წასულთა და უმეტესად დაჯილდოებულთა. ცხადია, რომ ამისთანა მწუხარება და სულმოკლეობა გამოაჩენს შურს, ხარბს, ამპარტავანს ხასიათს კაცისას."

პატივი და გავლენა საზოგადოებაში მხოლოდ მაშინ არის კარგი_ გვასწავლის გაბრიელ ეპისკოპოსი _ როდესაც იგი მიეცემა „კაცს მართლა ღირსსა, მონიჭებულსა ჭკუითა და სათნოებითა, რომელსა შეუძლიან ქვეყანას სარგებლობა მისცეს." ამიტომაც „პატივისმოყვარეობა, თავის გამოჩენა სამსახურში შეიქნება სასარგებლო და კანონიერი. პირველად მაშინ, როდესაც კაცი პატივს ეძიებს და მიიღებს პატიოსნითა საშუალებითა. მეორედ მაშინ, როდესაც იგი პატივსა ხმარობს არა მხოლოდ თავისათვის, არამედ უფრო ქვეყნის სასარგებლოდ."

ქვეყნის, ისე როგორც თითოეული ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროს საფუძვლად გაბრიელ ეპისკოპოსი პატიოსნებას აღიარებს „ცხოვრება და ყოფაქცევა ურთიერთშორის მისვლა-მოსვლა, წყობილება, ყოვლის საქმის გაკეთება სრულებით დამოკიდებულია პატიოსნებაზე. საზოგადოების პატიოსნებას ცალკეულ პირთა ყოფა-ქცევა განაპირობებს: „კაცი პატიოსანი არის სასარგებლო და სასიამოვნო ქვეყნისათვის, ხოლო ვინც მოკლებულია პატიოსნებათა. იგი არის ჭირი და შემაწუხებელი მოყვასთა თვისთა."

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი პატიოსნებას განსაკუთრებულად საჭიროდ სასულიერო წოდებისთვის მიიჩნევს. იგი პატიოსნებას სამღვდელო სამკაულს უწოდებს.

„ისრე არაფერი არ მაკვირვებს და მაწუხებს – წერს მღვდელმთავარი როგორც საზოგადო განხეთქილება, მტერობა, შური, შურისძიება და სიძულვილი, რომელი სუფევს ქვეყანასა ჩვენსა. პატიოსნების ერთ-ერთი განმსაზღვრელი სიმართლის მოყვარეობაა, რომელიც ისე უნდა უყვარდეს ადამიანს, როგორც მშიერ კაცს პური."

პატიოსნება სიყვარული ღვთისადმი, სამშობლოსადმი, ქრისტიანობისადმი უდიდესი მოწიწება და თაყვანისცემა, ღრმადმორწმუნეობა მიაჩნია წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს. ქართველი ერის გადარჩენის უმთავრეს ფაქტორად – „განცვიფრდება კაცის გონება, როდესაც წარმოიდგენს რამდენი შური, მტერობა და რამდენი განსაცდელი ეწია ჩვენსა ქვეყანასა განგრძობასა შინა ამოდენთა საუკუნეთასა! უმეტესად განცვიფრდება და იკითხავს თავის გულში კაცი. რამ დაიფარა, როგორ გადაურჩა ეს ერთი მუჭა ერი ამდენსა ჭირსა, მაშინ როდესაც გარემოს მისსა დაეცნენ და განქარდნენ უძლავრესნი მეფობანი და ერნი. მაგალითებრ ძველი დიდი მაკედონიის სამეფო, ძველი და უმთავრესი სპარსეთის სამეფო, არაბეთი და სხვან. რომელნი უწინ აოხრებდნენ და თითქმის ამოწყვიტეს საქართველოს იმიერ და ამიერ ქვეყანა და მერმე კი თვითონ განქარდნენ და კვალიც არ დაუტოვებიათ ქვეყანაზე! რამ დაიცვა ქართველები, როგორ მოხდა რომ ჩვენი ერი არ მოისპო, არ განქარდა და ჩვენი სახსენებელი დარჩა ქვეყანასა ზედა? მიზეზი ამისა არის ის რომ ჩვენი ერი იყო ყოველთვის ერთგული საღმრთოისა სჯულისა და იფარვიდა მას მეოხებითა და ვედრებითა დედისა მისისათა, რომელსა წილად ერგო ივერია და ერი ივერიისა, ეს მცირე ერთი მუჭა ერი გადარჩა, აღორძინდა, განათლდა, ხოლო ურიცხვნი მათნი მტერნი განქარდნენ."

მემთვრალეობა, ჭარბი ჭამა და განცხრომა არა მარტო დაავადებას შეყრის ადამიანს, არამედ მის ფსიქიკაზეც მოქმედებს, თრგუნავს და უსპობს დადებით თვისებებს და პირიქით უბიძგებს და აქეზებს უკეთური საქმისაკენ. ეს კანონზომიერება უფრო მეტად ვლინდება სუსტი და დაუდგრომელი ხასიათის ადამიანებში. მას მოჰყავს იროდი მეფის მიერ იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის მაგალითი. მეფე იროდს უყვარდა იოანე, იცნობდა როგორც წმიდა კაცს და ჯეროვან პატივს მიაგებდა. ბოროტმა იროდიამ შეურჩია იროდის დრო, როდესაც ის ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა და აცდუნა. „მივაქციოთ ყურადღება – გვიხსნის გაბრიელ ეპისკოპოსი „მასზედა რა მდგომარეობასა შინა იყო იროდი, როდესაც მან უბრძანა მოკვეთა იოანეს თავისა. იგი იჯდა დიდსა სუფრასა ზედა, გარემოცული მრავალთა თვისთა მოწვეულთა სტუმართა მიტაცებული სმისა და ჭამისაგან. ეს უეჭველია, როდესაც მან უბრძანა ესრეთ საშინელი საქმე, იგი იყო დამძიმებული ღვინის სმითა. ბილწმა იროდია დედაკაცმა კარგად იცოდა მისი ხასიათი და გამოარჩია მარჯვე დრო. როდესაც მეფე იყო დამძიმებული ღვინითა და მაშინ მოითხოვა მოკვლა იოანესი. მაშასადამე ვისწავლოთ აქეთგან, რა დიდი ცოდვა არის უზომო ჭამა და მეტადრე სმა. საუბედუროდ ჩვენს ქვეყანაშიაც ერთი წელიწადი ისე არ გავა, რომ სადმე ერთი უბედურება არ მოახდინონ კაცთა ღვინით დამძიმებულთა. ზოგან ღვინით მთვრალნი კაცნი წაეჩხუბებიან და დასჭრიან ერთმანეთსა. ზოგან კი კიდეც მოჰკლენ. საკვირველი

არ არის! ფხიზელი კაციც ზოგჯერ თუ ვერ გაუმკლავდება თავის ცუდ ხასიათს და წარტაცებული იქმნება თავისი გულფიცხობითა და ავზნეობითა. კაცი რომლისა ჭკუა და სჳინდისი დაბნელებულ არის ღვინითა, როგორღა შესძლებს წინააღმდეგობას განსაცდელისა!"

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ურჩევს მრევლს განსაკუთრებით კი ღარიბებს ტაძრის დღეობაზე, ქორწილზე, ნათლობაზე, მიცვალებულთა სულის მოსხენებაზე ხარჯებისა და შეწირულობების შემცირებას. „ახლა ერთს გეტყვი რასმე კიდევ, ძმაო მართლ-მადიდებელო და კარგად დამიგდე ყური. შენ ძმაო ხარ ერთი სოფლის ღარიბი კაცი. დიდი ბედნიერება არ იქნება შენთვის, რომ ერთმა ვინმე გამოცდილმა კაცმა ისრეთი ხერხი გასწავლოს, რომ ყოველ წელს ცოტაოდენი მოგემატოს შემოსავალი? მე გიჩვენებ და გასწავლი ესრედსა ხერხსა! თქვენ ყოველთა იცით და მტკიცედ ასრულებთ ერთ ჩვეულებას, რომლისაგან სარგებლობა სულ არ არის და ზარალი კი დიდი. ეს ჩვეულება კი არის ალაპი მიცვალებულზედ. ძველ დროებაში ალაპს სხვა დანიშნულება ჰქონდა. მაშინ მიცვალებულის სულის საოხად მოიყვანებდნენ ღარიბებს, გლახაკებს, დავრდომილებს აჭმევდნენ მათ სამოწყალოს მისცემდნენ. ხარჯი იმოდენი არ მოუვიდოდათ რა და სამადლობელი საქმე დიდი იყო. ახლა კი ღარიბს და გლახაკს არვინ დაპატიჟებს, არამედ მდიდარ მეზობელს მოყვრებს, ნათესავებს, ხარჯი დიდი მოუვათ. რაოდენი უჭკუო და უზომო ხარჯი იცით სოფლის მცხოვრებთა ტაძრის დღეობაზედ, ქორწილზედ, ნათლობაზედ. მიკვირს მე მდაბიურის კაცის ჩვეულებათა უგნურების. ყური რომ დაუგდოს კაცმა ყოველთვის ტირის თავის სიღარიბეს, ყოველთვის ემძიმება გადასახადის მიცემა. ხშირად ქალამანი არ აცვია. ზამთარში თბილი ახალუხი ვერ შეუკერავს და ტაძრის დღეობაზედ, ქორწილზედ ან ალაპზედ ხარჯს უზომოდ გასწევს. ასე რომ იმ ერთ დღეს მრთელის წლის სარჩოს დაჰხარჯავს. მოიშალე ძმაო ეს ჩვეულება, ალაპს ნუ იხდი, ტაძრის დღეობის ხარჯი შეამოკლე და ყოველ წელიწადს გადარჩები შემოსავლისაგან!" უფრო მეტიც „ღარიბმა, უკანასკნელმა კაცმა უნდა დაჰკლას ძროხა ანუ ხარი და სხვაც მრავალი. თუ არა ჰყავს ვალი უნდა აიღოს და იყიდოს. რა სარგებლობა აქვს ამ მიცვალებულს ამ ალაპისაგან? არაფერი!!"

გაბრიელ ეპისკოპოსს ჭეშმარიტ ღვთისმსახურს, ღვთისმეტყველსა და მამულიშვილს აწუხებდა და გულს უკლავდა მრევლის ნაწილის მოჩვენებითობა ღვთის სიყვარულში: „უმრავლესობა ხალხი მოსული რომელსამე სოფელში დღესასწაულის დღეს თითქმის არც კი შევა საყდარში, და თუ შევიდა მცირე ჟამად, ესრეთ რომელი ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებს. დანარჩენ დროებას, დილიდან საღამომდე და თითქმის მთელს მეორე და მესამეს დღესაც მედღესასწაულენი გაატარებენ ჭამაში, სმაში, სიმღერაში, თოფის სროლაში და ცხენის ჭენებაში. ნეტავი ჭამაში მაინც ზომას შეინახავდნენ, არა! ყოველი კაცი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სჭამოს და სვას. ზოგიერთნი უგუნურნი დილიდანვე არიან ავსებულნი ღვინითა და ესრეთ უშიშრად შემოვლენ საყდარში. სხვანი კიდევ ესოდენ არიან უგუნურნი, რომელ ამ ერთს დღესასწაულს დღეს დახარჯავენ ნახევარი წლის საჭმელსა და სასმელსა და მერმე დარჩებიან მწყურვალნი და მშიერნი. ყოველ კაცს უნახავს და

გაუგონია ისიც, რა შეუდგება ესრეთსა დღესასწაულსა დილიდანვე აღესებულნი უზომოთა საჭმელითა და სასმელითა. მედღესასწაულენი ისე არ გაათავებენ, რომ არ მოახდინონ შფოთი, ჩხუბი და თავის მტვრევა!"

არც ხატისადმი მსხვერპლშეწირვას იწონებს გაბრიელ ქიქოძე, თუ იგი მხოლოდ ცოდვის შესანდობლად და სინდისის დასამშვიდებლად არის განკუთვნილი. „როდესაც შენ ცხვარი ან სხვა რაიმე შესწირე ხატსა, ეგრეთ ფიქრობ, რომ ერთი დიდი სამსახური მიეცი ღმერთსა. ამით შენ სინდისს ამშვიდებ და არღარა ზრუნავ სულითა და ჭეშმარიტებითა ემსახურებოდე ღმერთსა!"

და აქვე წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის შეკითხვა „ვის გაუგონია რომ თამაშობა, სიმღერა, ცხენის ჭენება და ბევრის ღვინის სმა მოეწონოს რომელსამე წმიდანს? და შეგონებაც „თუ ნამეტნავად სვამ და ჭამ, თუ უშვერად იმღერი და მთვრალობ, არა თუ არ მოგემატება მადლი არამედ ცოდვაში შთავარდები!"

გაბრიელ ეპისკოპოსი მოუწოდებდა მრევლს განეგდოთ ის ცუდი ჩვეულება, რომელიც მიცვალებულის სულის მოსახსენებლად დიდ წვეულებებთან იყო დაკავშირებული „ცუდი ჩვეულება ის გაქვთ, რომ მიცვალებულის ხსენებასა ზედა არა გაქვთ ზომიერება, ურიცხვ საქონელს დაჰკლავთ, ურიცხვს სტუმარს მოუწოდებთ, დათვრებით. ზოგიერთი კიდეც გაღარიბდა ამ ჩვეულებისაგან. არ არის ძმანო ეს კარგი ქცევა. მოსპეთ ეს ჩვეულება, რომელიც გავნებსთ და სულსაც წარსწყმედს!"

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მიცვალებულზე გლოვა არ არის საჭირო, არამედ იგი აუცილებელიცაა. მაგრამ ეს ტირილი არ უნდა იყოს მოჩვენებითი. გულითა და სულით წარმოთქმული მიცვალებულზე ტირილი არ არის დასაძრახი რაიმე. მაგრამ მაშინ, როდესაც იგი არ არის ბუნებითი, პირუთვნელი, როდესაც ერთი სიტყვით მომდინარეობს ღრმა მწუხარებისაგან." მწუხარება და ცრემლი იმდენად ძვირფასი და სათნოა, რომ ადამიანმა ბოროტად არ უნდა მოიხმაროს და იგი ცოდვად არ უნდა აქციოს."

გადაჭარბებული, ხანგრძლივი, ხშირად მოჩვენებითი ტირილი ოჯახს არა მხოლოდ ეკონომიკურად ასუსტებს, არამედ ხშირად მიცვალებულსაც კი ავიწყებს: „ზოგჯერ მიცვალებული არის დაუმარხავი უმეტეს ორ და სამის კვირისა განმავლობასა შინა. ესოდენსა ჟამისა ყოველთა მისთა ქირისუფალთა არა აქვსთ მოცალება, ხოლო დღესა ტირილისასა ურიცხვი ერი არის უქმად. შორიდგან მომავალნი მონათესავენი და მგრძნობნი მიცვალებულისა, გარემოცულნი მრავალთა მხლებელთაგან, უსაქმოდ და ცუდად ჰკარგავენ რაოდენსამე დღესა."

ნაცვლად დაკრძალვის სხვადასხვა ცერემონიალისა, მათ შორის7 მუსიკის დაკვრისა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი მოითხოვს მიცვალებულის სულის საცხოვნებლად მოწყალების გაცემას გლახაკებისა და ობლების შეწყნარებას!"

ასევე ეწინააღმდეგება გაბრიელ ეპისკოპოსი ხატისადმი ზედმეტ შესაწირავსა და ყალბ თაყვანისცემას „რამდენჯერ იტყვის ზოგი კაცი: მე ამა და ამ ეკლესიაზედ მმართებს ლოცვაო. ანუ მე ამ ხატის შესაწირავი ცხვარი ან სხვა რაიმე მმართებსო. არ ვიცი საიდან იწყო ეს ჩვეულება, საიდან მიხვდა ის კაცი, რომ ცხვარს მოითხოვს მისგან ხატი. მე ესრეთ ვგონებ, რომ ეს წარმოსდგა უგუნურთა და უმეცართა, მკითხავთა და მარჩიელებთაგან, რომელნი ფრიად აბრიყვებენ მრავალთა კაცთა და აბნელებენ სინდისსა მათსა."

უფრო მეტიც, როგორც გაბრიელ ეპისკოპოსი გვასწავლის, როდესაც ადამიანი ხატს ცხვარს სწირავს ამით ფიქრობს, რომ ღმერთს დიდ სამსახურს უწევს, ნამდვილად კი სინდისს იმშვიდებს და ღმერთის ჭეშმარიტ სამსახურზე აღარ ზრუნავს."

ცუდი ჩვეულება ის გვაქვს, რომ მიცვალებულის ხსენებასა ზედა არა გაქვსთ ზომიერება – ურჩევს გაბრიელ ეპისკოპოსი მრევლს – „ურიცხვს საქონელს დაჰკლავთ, ურიცხვს სტუმარს მოუწოდებთ, დათვრებით, წაეჩხუბებით ერთი-მეორესა. ზოგიერთი თითქმის კიდეც გაღარიბდა ამ ჩვეულებისაგან. არ არის ძმანო ეს კარგი ქცუა. მოსპეთ ეს ჩვეულება, რომელიც ხორციელადაც გავნებსთ და სულსაც წარწყმედს."

ვაჭრობას გაბრიელ ეპისკოპოსი ქვეყნისათვის დიდად საჭირო საქმედ მიიჩნევს. ვაჭრობის სამართლიანად წარმართვას ქვეყნისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. თავის მხრივ „ვაჭარმა უნდა დაიმარხოს პატიოსნება, ეკრძალოს მოტყუებასა, სიხარბესა, მისგან რამოდენიმე ნაწილი მონაგებისა მისისა მისცეს გლახაკთა და ეკლესიათა. და მაშინ მიიღებს იგი ღვთისაგან მეორესა საუკუნესა შინა დაუფასებელსა სიმდიდრესა." ვაჭარს სიმდიდრის მოხვეჭას წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ცოდვად არ უთვლის, მხოლოდ ერთი უმთავრესი ვითარების გათვალისწინებით. ვაჭრობა უნდა აწარმოოს სიმართლით, პატიოსნებით და სიმდიდრის მოპოვებაში არ იყოს სულმოკლე და თავშეუკავებელი.

სიმდიდრეს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ღვთისაგან ბოძებულ ნიჭად აღიარებს. ამიტომაც იგი უნდა იქნეს მოხმარებული ღვთის მსახურებისა და მოყვასის ბედნიერებისათვის. მაგრამ „კაცი უნდა ცდილობდეს მოიგოს რამე შრომითა თვისითა. არც იმას ვიტყვი, რომ მეცადინეობა სიმდიდრის მოგებისათვის იყოს ცოდვა, გარნა კაცმან გული თვისი არ უნდა შესწიროს სრულიად სიმდიდრესა"... „ნუ იფიქრებ, რომ სიმდიდრე ჰქონდა, ანუ ღარიბი სცხონდა სიღარიბით. სიმდიდრე თავისთავად ვერც წარსწყმედს კაცსა, არამედ მოხმარება სიმდიდრისა. მსგავსადვე სიღარიბე."

გაბრიელ ეპისკოპოსი მრავალჯერ მოუწოდებს მდიდრებს, რომ არ მოწყდნენ მიწიერ ცხოვრებას, იშრომონ, ილვაწონ უპირველესად საკუთარი ბედნიერებისა და სრულყოფილსათვის. „რაც გინდა მდიდარი იყოს კაცი, მაინც არ უნდა დაუტევოს შრომა. წინააღმდეგ ამისა, თუ მან განისვენა, იგი ზარმაცდება, მიეჩვევა უქნარობასა და უქმობა შთააგდებს მას მრავალთა ცოდვათა შინა და ბოლოს სიმდიდრესაც დაჰკარგავს იგი და ყოველსა სულიერსაცა ღირსებასა"... „არავინ იფიქროს – განაგრძობს გაბრიელ ეპისკოპოსი ცხოვრებისა თვისისა გატარება მხოლოდ ჭამითა და სმით, არამედ შრომით, მოღვაწეობითა, კრძალულებითა შეიძლება თავისი არ მიხმაროს მხოლოდ თავის ნუგეშისა და კმაყოფილებისათვის არამედ აჰხსოვდეს ღარიბნი და საწყალნი კაცნი და შეეწეოდეს მას."

ვაჭარმა თავის მუშაობაში უნდა დაიცვას ზომიერება, იკმაროს მოპოვებული სიმდიდრე და არ აჰყვეს უზომო ანგარებას და მომხვეჭელობას. „ანგარსა და გაუმაძღარს კაცს თუ ყოველდღე არ ემატება სიმდიდრე სწუხს. და თუ ნაცვლად მოგებისა კიდევ მოაკლდა, ანუ ზარალი მიეცა სულ იტანჯება და სტირის. არა მიმხედველი მისა, რომ მაინც მდიდარია, კიდევ ბევრი დარჩა? ასეთ ადამიანს

მხედველობა აქვს დაფარული და სმენა დახშული. და ვერ გრძნობს რამდენი უბედურება სუფევს მათ გარშემო, რამდენი კაცი იჩაგრება, რამდენი არის უსამართლოდ დევნილი. რამდენი კაცაა მშიერი. რამდენი იღუპება უპეცრებით და ცოდვით. ყოველივე ეს უნდა აწუხებდეს მდიდარს იმდაგვარად რომ თითქმის უნდა სტიროდეს და საკუთარი ლუკმა კი არ იამოს."

ადამიანის ღირსებას არა მისი სოციალური მდგომარეობა და მატერიალური შესაძლებლობა, არამედ მისი შინაგანი თვისებები განსაზღვრავენ. „ნუ შეურაცხყოფ ადამიანსა, რაც უნდა ღარიბი იყოს მისი წოდება და მდგომარეობა. იცოდე რომელ ხშირად, ძონძით მოსილს, მშიერს, გასვრილს და ყოველთავე სახითა კაცსა უმეტესი შინაგანი ღირსება და სათნოება აქვს ღვთის წინაშე, ვიდრე იმ კაცს რომელიც არის მოსილი ოქრომკერდით შემკული თვალმარგარიტითა."

ადამიანმა შეიძლება ქონება მოიპოვოს პარვით, მოტყუებით და სხვა უკეთური საქმიანობით. მაგრამ წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის თვალთახედვით „ჭეშმარიტი სიმდიდრე არის ნაყოფი შრომისა." ამიტომ რაც გინდა „მდიდარი იყოს კაცი, მაინც არ უნდა დაუტეოს შრომა. წინააღმდეგ ამისა, თუ მან განისვენა, იგი ზარმაცდება, მიეჩვევა უქნარობასა და უქმობა შთააგდებს მას მრავალთა ცოდვათა შინა და ბოლოს სიმდიდრესაც დაჰკარნავს იგი ყოველსა სულიერსაცა ღირსებასაცა."

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ადამიანის ერთ_ერთ აუცილებელ ღირსებად მიმტევებლობას მიიჩნევს. მიმტევებლობას არა მხოლოდ მოყვასისადმი არამედ მტრისადმიც კი. „თუ მტერი გდევნის შენ, შეგიძლია შენ მიიღო ყოველი ქრისტიანული, სჯულიერნი და კანონიერნი, ზოგნი შენი თავის დასაფარავად, გარნა სიყვარული მაინც გქონდეს მტრისადმი. არაოდეს არ ეძიებდე მისსა დაჩაგვრასა და წახდენასა არამედ გულში კიდეც გებრალებოდეს."

მღვდელმთავარი მოითხოვს ადამიანის მიერ ადამიანის შეყვარებასა და ცოდვის, უსამართლობისა და ბოროტების მოძულებას _ „თუ მოვსპობთ მტრობასა და სიძულვილსა ესენი ყოველნი მოისპობიან და ნაცვლად მათდა განმრავლდება ჩვენს შორის სიყვარული, მშვიდობა, ერთობა, სიწმიდე ბედნიერება სულიერი და ხორციელი."

ჭეშმარიტი ადამიანობის მაძიებელი ადამიანი, ვისაც ღვთიური მოწყალების ნაპერწკალი უღვივის, განუწყვეტლივ საკუთარი ბუნების გასწორებას, გამართვასა და გაუმჯობესებას უნდა ეწეოდეს. გულისაგან განიშოროს ადამიანისათვის შეურაცხმყოფელი ხასიათები. სიძულვილი, მრისხანება, შური, სიცრუე და სხვა ამგვარი. და ნაცვლად ამისა უნდა შეიძინოს კაცთმოყვარეობა და სიყვარული. რაც უმთავრესია მოწყალება და შებრალება. „სხრეთი გულის გრძნობა და კეთილობა უნდა გქონდეს _ გვასწავლის მღვდელმთავარი. „რომელ თუ ნახო კაცი მშიერი, შენ აღარ გეამოს პურის ჭამა, ვიდრე არ გააძღო იგი. თუ ნახო შიშველი და შესწუხდე რომ შენ კარგად გაცვია და ძმა შენი ტიტველია."

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი გმობს წარმართულ დღესასწაულებს, ბუნების მავნე მოვლენების თავიდან აცილების მიზნით გაუთავებელ ღრეობებს: „ნახევარი მაისი ისე გათავდება რომ თითქმის არავინ არ მუშაობს, არამედ მიდის და მოდის სოფლითი სოფლად და ატარებს დროებას ლხინში და სიმთვრალეში. ახლა

ვკითხოთ რა არის ეს კოხინჯრობა? რისთვის კარგავენ სოფლელები ესოდენ დროებასა? იტყვიან როდესმე კოხმა ანუ სეტყვამ წაახდინა ყანები და ერთი დღე შევსწიროთ ღმერთს დღესასწაულადო, რომ სეტყვა აღარ მოვიდესო. ძლიერ უგუნური და უსაფუძვლო შეწირვა არის ეს! რად იამება ღმერთსა, რომ შენ ძმაო მთელი დღე გაატარო ქამაში და ლხინში. იამება კი არა დიდად ეწყინება და დიდად მრისხანე იქმნება შენზედ ამ საქმისათვის. ღმერთს ისა სურს და ის იამება, რომ ყოველთვის შრომაში და მოღვაწეობაში ვიყოთ და არა თუ უქმად ვატარებდეთ დროსა."

გაბრიელ ეპისკოპოსი გმობს მკითხაობას, როგორც საზოგადოების ცბიერ მტერს. მკითხავს განსაკუთრებული მონდომებით დაბალი ფენების გაუნათლებელი ხალხი უჭერს მხარს. უმეცარი და გამოუცდელი ადამიანები ადვილად იჯერებს ცრუ და უცნაურ ამბებს. ასეთი დონის ადამიანები მკითხავს ავადმყოფის დიაგნოზის დასმასა და მკურნალობასაც კი თხოვს. ნაცვლად ექიმთან მისვლისა და წამლის ძიებისა. გაბრიელ ეპისკოპოსი თხოვს მრევლს „მსმენელნო ჩემნო ნუ ატყუებთ თავთა თქვენთა, ნუ ჩააგდებთ თავთა თქვენთა ხელთა შინა მკითხავისასა."

ნივთიერების ნიშან-თვისებებს მისი შედგენილობა განაპირობებს _ „ყოველთა შორის ურიცხვთა ქვეყნიერთა ნივთიერებათა განგებ გამორჩეულ არს წმიდა სანთელი ძღვნად ღვთისა, მისთვის რომელ იგი არის შედგენილი ტკბილისა და კეთილ სუნნელისა მასალისაგან. ესე იგი თაფლისაგან. მაშასადამე იგი არის, ყოველ ნივთთა შორის უმშვენიერესი და უწმიდესი."

სიტყვითა და საქმით წმიდა მღვდელმთავარი რომელიც პირადი ცხოვრებით ღვთიურ მაგალითს აძლევდა მრევლს, უშურველად გასცემდა დახმარებებსა და მოწყალებებს ღარიბ-ღატაკებზე, ქვრივ-ობლებზე, დავრდომილებზე, შექირვებულებსა და მოსწავლე_ახალგაზრდობაზე. აგებდა სკოლებსა და ეკლესიებს. ამ ღვთიური საქმის შესრულებაზე კი ფრთხილობდა _ „მოწყალების გაცემასაც უნდა ჭკუა და სიბრძნე. არა ყოველი გლახაკი არის ღირსი შებრალებისა. ვინც ზარმაცობით და ცუდის ცხოვრებით თავი გაიფუჭა და წაიხდინა იგი არ არის ღირსი შებრალებისა. ზოგიერთ კაცს რომ მოწყალება მისცე, თითქმის ცოდვაც არის. ვინც არა თავის ბრალით, არამედ რომელთამე უბედურითა შემთხვევითა შთავარდა სიღარიბეში, იგი არის ღირსი შებრალებისა და მოწყალებისა."

ძლიერი სახელმწიფოს არსებობის ერთ_ერთი აუცილებელი პირობა კარგი და ერთგული არმიის შექმნაა. „რადგანაც ვერც ერთი ქვეყანა ანუ სახელმწიფო ვერ გაძლებს თუ არ ჰყავს მას კარგი და ერთგული ჯარი, ანუ მხედრობა. არათუ გარეგანი მტრები წაახდენენ ქვეყანას თუ არ ჰყავს მას კარგი მხედრობა, არამედ მარტო შინაური მტრები გაუქირვებენ სიცოცხლეს ყოველთა მცხოვრებთა."

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი თავის ქადაგებებში დიდ ყურადღებას უთმობს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვას, მათ შორის ცხოველთა დაცვის საკითხებს. მან ამ პრობლემას ქადაგებაც კი მიუძღვნა _ „პირუტყვების შებრალებისათვის თქმული."

„კაცი მართალი და კეთილი სწყალობს ცხოვართა ანუ საქონელსა. მას ებრალება იგინი, ხოლო კაცი უკეთური და ბოროტი არის უწყალო პირუტყვთან, ანუ შინაურ ცხოველთან!"

„ძმანო ჩემნო ქრისტიანენო! დღეს მე მსურს მოგელაპარაკო ამ საგანზე. მსურს აღგიხსნა ის ზნეობის სწავლა, როგორც უნდა იქცეოდეს ადამიანი საქონელთან და როგორ უნდა უვლიდეს მას. თუ ვინმემ იფიქრა, ეს საგანი არის მცირე, და არა შესაფერისი ამ წმიდა ადგილისა მე მას ვუპასუხებ: თუ მცირე იყოს იგი და შეუსაბამო, დიდი ბერძენი და წარჩინებული მეფე სოლომონ არ ახსენებდა მას წიგნსა შინა თვისსა. ვინც ჰფიქრობს, რომ ამ საგანზე არა ღირს უბნობა ეკლესიასა შინა, მას არ უნახავს რა უწყალოდ ეპყრობიან ჩვენში პირუტყვთა. ის არ უფიქრია რა დიდი ვნება გამოდის აქიდგან და რა წინააღმდეგია კეთილისა და ქრისტიანულისა ზნეობისა უწყალო მოქცევა საქონელთან.

მართლა ჩვენს ქვეყანაში ღარიბი ხალხი ერთობ უწყალოდ და უგვანოდ ეპყრობა საქონელსა. ვისაც ყურადღება მიუქცევია ამ საგანზედ, იცის რა გამხდარი, ულონო, გაფუჭებული, დაცემული არის ჩვენს ქვეყანაში შინაური პირუტყვი. ეს მისთვის, რომელ ჩვენს ქვეყანაში ყოველგან საქონელს ინახავენ ცუდად, საჭმელს არ აძლევენ საკმაოდ, ეპყრობიან უწყალოდ და სასჯელსა და შრომასა უზომოდ მიაყენებენ. ზამთარში დამშეული და გამხდარი პირუტყვი გაზაფხულში ისრედ არის შეწუხებული, რომ ძლივს დადის, გარნა მაშინვე შეაბამენ უღელში და თუ კარგად არ იმუშავა, უწყალოდ სცემენ. ხშირად ნახავ ქალაქში და სოფელში, როდესაც ულონო და უჭმელი ხარი ვერ ზიდავს ურემსა, მაშინ მისი პატრონი თითქმის გაცოფებული უწყალოდ სცემს და კლავს მას. მერმე დაუკვირდი და შეჰხედე ის უგნურებას. იგი უბედურს პირუტყვს სცემს თავში და თვალებში და ხშირად თვალებს და სხვა ასოებს უხდენს. და როგორც ეპყრობიან აქაურნი მხედარნი თვისთა ცხენთა ამას კაცის ენა ვერ გამოსთქვამს! ზოგიერთი უგუნური აქაური მხედარი ერთს შემოდგომაზე ისე გააფუჭებს კარგ ცხენს, რომ ერთ წელიწადს აღარ გამოადგება, თუ სრულიად არ მოკვდა. რომელსაც გონიერი და ჭკვიანი კაცი ათსა და ოც წელიწადს კარგად იხმარს და ისარგებლებს, იმას ჩვენებური კაცი ერთს წელიწადს გაათავებს. ერთხელ აქაურმა გადარეულმა აზნაურისშვილმა, როდესაც მისმა უჭმელმა და გატანჯულმა ცხენმა ვეღარ შეძლო კარგად გაქენება, აღმართზე ჩამოხტა, სატევარი ჰკრა მუცელში და მოჰკლა. აჰა, რა გონიერი ჩვეულება გვაქვს ჩვენ! ახლაც იტყვი, რომ საჭირო არ იყოს ამ საგანზედ მოძღვარმან მოგვცეს დარიგება? ისწავლე ძმაო ჩემი, რომ უწყალო მოქცევა პირუტყვთან არის ცოდვა. შენ იქნება გაგაკვირვოს ამ სიტყვამ. შენ უთუოდ ისე ფიქრობდი, რომ როგორც გინდა ისე მოიქეცი პირუტყვთან, ცოდვა არ არის. გარნა დაგაჯეროს სიტყვამან სოლომონისამან რომელ უწყალოდ მოქცევა პირუტყვთან ბოროტი კაცის თვისება და საქმე არის. მართლა როდესაც შენი სცემ, აწვალებ, სტანჯავ პირუტყვსა ამით ცხადად გამოაჩენ რომ შენ გაქვს ცუდი ხასიათი, ბოროტი, ფიცხელი და უწყალო გული. თუ ბოროტი კაცი არ იყო, პირუტყვიც შეგეცოდებოდა. იფიქრებდი, რომ ცემა უჭმელობა, ცუდად მოვლა საქონელსაც ისე სტანჯავს, როგორც კაცსა. თუ გინდა, რომ პირუტყვმა კარგად იმუშაოს და ცემა არ დასჭირდეს კარგად შეინახე და მოუარე.

კეთილი და მოწყალე ადამიანი არა თუ მხოლოდ კაცს უნდა წყალობდეს, არამედ პირუტყვსაც. საქონელი და პირუტყვი არის გატანჯული და წამხდარი მხოლოდ იმ ქვეყნებში და იმ ხალხში, სადაც არ არის კეთილი ზნეობა, სწავლა.

გაგვიგონია მოგზაურთაგან, რომელთა უნახავთ განათლებული ევროპის ქვეყნები, რომელ მუნ მარტო შინაური პირუტყვის შეხედვა აჩვენებს კეთილზნეობასა და განათლებასა ადგილის მცხოვრებთა. ვინაითგან მუნ ყოველი საქონელი არის საკვირველად მოშენებული და გაკეთებული.

მაშასადამე რანაირად უნდა ვეპყრობოდეთ ჩვენ პირუტყვთა? ისე, როგორც გვასწავლის ჩვენ სოლომონ ბრძენი. იგინი უნდა გვებრალებოდეს ჩვენ, კარგად უნდა ვუვლიდეთ და კარგად ვინახავდეთ. ღმერთმან პირუტყვნი დაგვიმორჩილნა ჩვენ და მოგვცა ჩვენ მოსამსახურედ, ვითარცა იტყვის საღმრთო წერილი: მთავრობდით თევზთა ზღვათასა და ფრინველთა ცისათა და ყოველთა პირუტყვთა. გარნა ღმერთს ნება არ მიუცია ჩვენთვის, რომ ვტანჯოთ პირუტყვი. შენდა შეგიძლია მოიხმარო პირუტყვი სასარგებლოდ, გარნა როდესაც სტანჯავ, ამით სცოდავ ღვთის წინაშე. შემცდარი ხარ, თუ ფიქრობ, რომ ღმერთს მხოლოდ კაცი უყვარს და სხვათა ქმნილებათა თვისთა კი არ მიხედავს. ღმერთი არის მამა საზოგადოდ ყოველთა თვისთა ქმნილებათა. კაცი ღმერთს უყვარს უმეტესად ყოველთა. კაცის ნათესავის გამოხსნისათვის და განათლებისათვის ღმერთმან მხოლოდშობილი თვისი ძე მოავლინა ქვეყნად, გარნა ღმერთს მაინც არ იამება, რომ უფროსმან და უმჯობესმან მისმან ქმნილებამან ესე იგი კაცმან სტანჯოს და აწვალოს უმცროსნი მისნი ქმნილებანი-პირუტყვნი. შენს სახლში და ოჯახში უფროსმან შენმანი შვილმან, რომ სტანჯოს და აწვალოს უმცროსი შენი შვილი, უთუოდ გეწყინება და დაუშლი. მსგავსად ამისა ღმერთსაც ეწყინება და გიშლის ტანჯვას უმცროსთა თვისთა ქმნილებათა.

ბოლოს თუ სხვა მიზეზი არ შეგაგონებს და არ გასწავლის პირუტყვთა მოწყალებასა, შენმა საკუთარმა სარგებლობამ უნდა გასწავლოს მათი შებრალება. რა სახით? მით რომელ თუ საქონელს ყოველთვის უჯავრდები, სცემ, სტანჯავ, ამით ბოლოს თვით შენ გაგიფუჭდება ხასიათი და ზნე, მიეჩვევი ცოტ-ცოტად გულფიცხობას, მოუთმენლობას, უსამართლობას. ასე რომ ბოლოს პირუტყვისაგან ადამიანზე გადაიტან შენს გულფიცხობას და გახდები ერთი ცუდი, გაუტანელი კაცი. ეს აზრი ჩვენგნით არ არის მოგონებული. ამას ამტკიცებს გამოცდილება. მრავალგზის მომხდარა ისეთი მაგალითი, რომ კაცმა სიყმაწვილითგან გაიფუჭა და წაიხდინა ზნე მით, რომელ უყვარდა ტანჯვა პირველად ფრინველების ბარტყებისა, მერმე წვრილის შინაურის პირუტყვებისა და ბოლოს იწყო ტანჯვა და გვემა კაცებისა! შთავარდა კაცის მკვლელობასა და დიდსა სასჯელსა შინა! მეორედ, როდესაც შენ გებრალება და კარგად უვლი მას, მაშინ იგი დიდ ხანს გაძლებს, კარგად მუშაობს. მაშასადამე, მომატებულის სარგებლობას გაძლევს და თუკი ცუდად უვლი და სტანჯავ, ვერც დიდ ხანს სძლებს, ვერცა კარგა მუშაობს. მაგრამ თვით შენ სარგებლობა გაკლდება, შენ თვითონვე სჯი შენსა თავსა."

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი შემდეგშიაც უბრუნდება შინაური პირუტყვის წესიერი მოპყრობის საკითხს: „ხშირად ვხედავთ, რომ კაცი გაცოფდება და განრისხდება პირუტყვზე. რამდენჯერმე დაინახავ სოფელში რომ გაჯავრებული გლეხი თავის საკუთარი საქონელს ჯოხით სცემს თავში, პირში, თვალებს გაუფუჭებს, უნებლივად

იფიქრებ ამისთანა შემთხვევაში, რომ თვითონ ის კაციც პირუტყვია ჭკუათა და ბუნებით.” ასეთი მხეცური, შეუბრალებელი ქმედებით ადამიანი მხოლოდ თავის უკაირათობას, უგერგილობასა და ცუდ ადამიანურ თვისებებს ავლენს – „უწყალოდ მოქცევა პირუტყვთან ბოროტი კაცის თვისება და საქმე არის. თუ გინდა რომ პირუტყვმა კარგად იმუშაოს და ცემა აღარ დასჭირდეს, კარგად შეინახე და მოუარე.” შინაური ცხოველების კარგად მოვლასა შენახვაში ხედავს გაბრიელ ეპისკოპოსი ადამიანის კეთილზნეობასა და განათლების ერთ-ერთ ნიშანს „მარტო შინაური პირუტყვის შეხედვა აჩვენებს კეთილზნეობასა და განათლებასა ადგილის მცხოვრებთა.”

ოჯახი არის მყარი საძირკველი, რომელზედაც ადამიანის ზნე და ხასიათი უნდა აშენდეს. ადამიანის ჩამოყალიბება გაბრიელ ეპისკოპოსის თვალთახედვით არა თუ ოჯახიდან იწყება, არამედ იგი უმთავრესი პერიოდია ადამიანის განვითარებაში. ოჯახში აღზრდის პროცესში მნიშვნელოვანია მშობლების უფლება_მოვალეობანი. „თუ შენ ხარ მამა, ანუ დედა და გყვანან ძენი, ყოველი ღონისძიება უნდა იხმარო, რომ ისინი გამოვიდნენ კეთილნი და ღვთის მოყვარენი. გახსოვდეს, რომ ივინი ყოველთვის შენ გიყურებენ და შენგან ისწავლიან ყოფაქცევასა. როგორადაც გაზრდი და რასაც მიაჩვევ, ისინი ისეთნი გამოვლენ.”

ოჯახის საფუძვლად მღვდელმთავარი სიყვარულს მიიჩნევს. ამიტომ მშობელი მუდამ უნდა ცდილობდეს შვილის მომავალი წარმართოს არა პირადი სურვილებიდან გამომდინარე, არამედ ხელი შეუწყოს მისი ჯანსაღი მისწრაფებებისა და გრძნობების განვითარებას. „შენ რომ მშობელი ხარ რას უნდა ეძებდე და რა უნდა ისურვო შენისა შვილისათვის? იმას არ უნდა ჰფიქრობდე, რომ შენი შვილი კარგ კაცს მისცე, რომ ბედნიერი იყოს? მაგრამ ბედნიერი მაშინ იქნება, როდესაც გაჰყვება მას რომელიცა უყვარს. ხოლო შენ ამას არ მოიკითხავ, ვინც მეტ ფულს მოგცემს, იმას აძლევ შენს შვილს. შენს შვილს ჰყიდი? შენს სისხლსა და ხორცს აძლევ ფულში.”

მაგალითი მშობლების ქცევისა არის ბავშვის აღზრდისა და ჩამოყალიბების შეუცვლელი ფაქტორი, რომლის შედეგი მთელი ცხოვრების მანძილზე სდევს და ქვეცნობიერად მოქმედებს მასზე_ „მაგალითი და ხედვა თვალში აქვს: რასაც ხედავს იმას მიეჩვევა, რაც ესმის იმას დაიხსომებს მაშასადამე ამით იქმნება სიტყვიერი სწავლა და დარიგება მშობლისა და ეგრდვე მასწავლებლისა. უკეთუ იგი ენით ერთს იტყვის და საქმეს კი სხვას აჩვენებს. აჰა, რისთვის ჩვენ ვთქვით თავითგანვე, რომელ საკუთარი მშობლების სახლი და ოჯახი უნდა გარდაიქცეს საყდრად, აღმზრდელად შვილთა.”

ისეთ ოჯახში, სადაც არის სიყვარული, პატივისცემა და ურთიერთგაგება ღვთის სახლს ემსგავსება და შვილთა აღზრდის საწინდარია. წმიდა ოჯახი კი თავის მხრივ ქვეყნის კეთილზნეობის საფუძველია. „საფუძველი ღვთისა არის იმ სახლში, ანუ ოჯახში სადაცა ჰსუფევს მშვიდობა, ერთობა და სიყვარული. სადაცა მშობელნი აჩვენებენ შვილთა თავისთა კეთილთა მაგალითთა. შვილნი ემორჩილებიან და პატივს სცემენ მშობელთა თვისთა. ერთი სიტყვით, ამ სახლში, რომელიცა სიწმიდითა, სიმართლითა ემსგავსება თვით ეკლესიას. ბოლოს სასუფეველი ღვთისა არის მრთელად სოფლის ანუ ქვეყნის საზოგადოებაში, მაშინ ოდესცა შემხედველი

საზოგადოებისა მას ნახავს, რომელი იქ სუფევს მშვიდობა, სიმართლე და უმეტესად წმიდა კეთილი ზნეობა."

ზნე_ჩვეულებათა ჩამოყალიბებაში გაბრიელ ეპისკოპოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მაგალითს. რადგანაც „მაგალითი წარიტაცებს კაცს: ბოროტი კაცი ხშირად აცდუნებს და აიყოლებს კაცსა სუსტსა." სამწუხაროდ ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ იგი უფრო მეტად ცუდისაკენ არის მიდრეკილი იგი ცუდს უფრო ითვისებს ვიდრე კარგსა და სასარგებლოს.

„ქვეყნის სასარგებლო და გონიერი რაიმე თუ მოიგონა ვინმემ და გვიჩვენა, იმას ძნელად ვისმენთ და მივბაძავთ. ხოლო ფუჭი და ურგები და ამაო თუ ვნახეთ რაიმე, იმას მალე ვისწავლით და მივეჩვევით." ამიტომ როგორც გაბრიელ ეპისკოპოსი გვასწავლის ადამიანი მოვალეა თავის გარშემო შემოიკრიბოს ჭკვიანი და მართალი ადამიანები, რომლებისგანაც იგი მიიღებს დიდ სარგებლობას და კიდევ უკეთესი შეიქმნება. ხოლო თუკი ბოროტ კაცს დაუმეგობრდება თვითონაც გაირყვნება და გაფუჭდება."

ზნეობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში, ეროვნულობის დაცვის პროცესში ქალის მნიშვნელობას გაბრიელ ეპისკოპოსი მრავალგზის აღნიშნავს. რადგანაც ზოგადად „ქალის მნიშვნელობა ის არის, რათა იყოს იგი მცველი, განმამტკიცებელი, განმავრცელებელი სიმტკიცისა, სიწმიდისა, პატიოსანი ზნეობისა დამამყარებელი და აღმაღორძინებელი ქრისტიანულის ცოლ-ქმრობისა, მამა_შვილობისა. ერთი სიტყვით ოჯახის ცხოვრებისა, სიწმიდისა და ზნეობისა. რა დიდი და მაღალი არის ეს მნიშვნელობა, ამას მოკლედ ვერ ახსნის კაცი. მხოლოდ იმას დავუმატებ: ნეტარ არს ის ქვეყანა და ერი, რომელსა შინა ქალნი არიან წმიდისა ზნეობისა, პატიოსნის ცხოვრებისა, ეს ქვეყანა და ერი ყოველთვის იქნება წარმატებასა შინა და ბედნიერებასა. წინააღმდეგ ამისა უბედურ არს და სატირალ ის ქვეყანა და ერი, რომელსა შინა ქალთა დაივიწყეს თვისი მნიშვნელობა, მიიღეს ცუდი ზნეობა, დაიწყეს დაფანტული ქრისტიანულის წინააღმდეგ ცხოვრება, მალე წახდება და დაეცემა ქვეყანა და ერი."

გაბრიელ ეპისკოპოსი ქალებისაგან მოითხოვს მამაკაცზე უმჯობესს ქცევას, ზნეობას, ოჯახის სიყვარულს, შვილებისადმი თავგანწირვას, მორცხვობას, მოკრძალებას, ერთგულებას, ღვთისადმი შიშს და სანიმუშო ყოფაქცევას" „ქალს სხვა ხასიათი უნდა ჰქონდეს, ვიდრე ვაჟს ანუ მამაკაცს. მამაკაცისაგან არ ეძიებს მომეტებულსა მორცხვობასა, კრძალვას. იმას არავინ არ დაძრახავს, რომ არც კი ჰქონდეს მორიდება, კრძალვა სიტყვაში, ქცევაში. ქალის საქმე კი სხვა არის. ვგონებ, იგი უნდა იყოს შემკული სიმდაბლითა, მორიდებითა, კრძალვითა. მისი უდიდესი და უძვირფასესი თვისება ის არის თუ იგი იცავს და სხვასაც ასწავლის, საზოგადოებასა შინა წმიდა ზნეობას, მშვიდს, წყნარსა და მშვენიერს ერთმანეთთან მოქცევასა. ქალებმა რომ ესრეთნი თვისებანი დაივიწყონ და ნაცვლად მისა დაიწყონ ბაძვა მამაკაცთა სენებთა და მოურიდებელი ყოფაქცევათა მაშინ დაეცემა ზნეობა საზოგადოებისა."

ერთხელ გაბრიელ ეპისკოპოსს გელათში უნახავს ახალგაზრდობა რომელთა მოურიდებელ, უტაქტო მოქმედებას იმდენად შეუძრავს მისი არსება, რომ ფაქტს ერთ_ერთი ქადაგება მიუძღვნა: „ქალებს ეცვათ ყველას ახალი მოდის ტანისამოსი,

სუყველანი რუსულად ლაპარაკობდნენ, რომელიც ჩვენში არის ნიშანი განათლებისა. როდესაც გავიხსენებ ამ ამბავს მწუხარებით ვკითხავ ჩემს თავს: რას ეშერებით? სად მივდივართ? რას ვსწავლობთ? საიდან მიიღეს, ვისგან ისწავლეს ამისთანა ზნეობა ახალგაზრდა ყმაწვილთა კაცთა? ნუ თუ მსგავსნი პირნი იმას ჰფიქრობენ, ვითომც განათლება მდგომარეობს იმაში, რომ სირცხვილი უკან გადააგდოს ახალგაზრდა ქალმა, ყმაწვილ_კაცებთან დალიოს, აიროს მათთან და ისე მოურიდებლად და უსირცხვილოდ ეთამაშოს."

გაბრიელ ეპისკოპოსი პოლიგლოტი გახლდათ. მან ბრწყინვალედ იცოდა რამდენიმე ევროპული ენა. რომ არაფერი ვთქვათ რუსულზე რა ენაზედაც მან რუსეთის იმპერიაში ფსიქოლოგიაში პირველი სახელმძღვანელო შექმნა. ასეთი მრავალმხრივ განსწავლული პიროვნება ურჩევდა ქართველ ახალგაზრდობას უცხო ენების, განსაკუთრებით კი რუსული ენის დაუფლებას. მაგრამ ილიასთან, აკაკისთან, იაკობთან და სხვა დიდ მამულიშვილებთან ერთად იბრძოდა და ილვწოდა ქართული ენის ცხოვრებაში დასამკვიდრებლად.

წმიდა მღვდელმთავარი კიდევ უფრო შეაწუხა ყმაწვილების თავშეუკავებელმა ქმედებამ და მითუმეტეს ქალიშვილების ვაჟებთან ზედმეტმა სიახლოვემ, მოურიდებელმა და მოუფიქრებელმა მოქმედებამ. სწორედ ასეთი დაუფიქრებელი მოქმედების შედეგია „უმეტესი ნაწილი იმ უბედურებათა, რომელნიცა შეემთხვევიან ცხოვრებაში ქალთა. წარმოსდგებიან მათი მოუფიქრებლობით და უსაფუძვლო ქკუით. მაშასადამე, ქვეყნიური ჩვენი ცხოვრებისათვისაც და მოქმედებისათვის კეთილგონიერება, წინ გამჭვრეტელობა შეადგენს წივნს მკუდრო ცხოვრებისას."

მთელმა ერმა და მით უმეტეს ქალებმა დიდი სიფრთხილე და ყურადღება უნდა გამოიჩინოს სხვა ქვეყნების ზნე_ჩვეულებათა მიღებაში. რადგანაც „არიან ზოგნი ჩვეულებანი ახალშემოსრულნი, რომელთა უკეთუ მივიღებთ, მოგვეცემა დიდი სარგებლობა და არიანცა სხვანი ჩვეულებანი ახალნი, რომელნი განაშორის ჩვენგან ღმერთმან."

ზნე_ჩვეულების დაცვისა და შენარჩუნების პროცესში სახელმწიფოზე არა_ნაკლები მოვალეობა ოჯახსა და მშობლებს აკისრია. _ „სახლსა შინა მისსა, შვილნი მისნი, ყოველთვის ხედავენ მისსა ცხოვრებასა, იცნობენ მისთა ცუდთა მიდრეკილებათა და ჩვეულებათა. მიეჩვევიან თვითონაც ყოველსა ცუდსა საქმესა და ესრეთ ნუებურად იქმნებიან მემკვიდრენი მისისა ცოდვისა და უბედურებებისა."
... „ყოველი კაცი თავის სახლში და თავის ოჯახში მიიღებს პირველ აზრთა და ჩვეულებათა, თავის ოჯახში ისწავლის ცუდსა ანუ კარგსა ყოფაქცევასა, თავის სახლში შეითვისებს კეთილსა ანუ ბოროტსა ხასიათსა"... „კეთილს ღვთისმოყვარე და წმიდა ოჯახში კაცი თვითონაც კარგი გაიზრდება და კარგი კაცი გამოვა, ხოლო ცუდს, გაფუჭებულს სახლში კაცი გაფუჭდება."

ოჯახის ღირსებასა და ბედნიერებას ქალი განაპირობებს. თუ დედა აღვსებულია გონიერებით, ჭკუით, სასოებითა და სიყვარულით მისი შვილიც კეთილი და ღვთისმოყვარე გაიზრდება. ქალის დანიშნულება ამით არ ამოიწურება. დიდია მისი წვლილი ოჯახის მართვაში. _

„უკეთუ ქალი ესრეთ დაუცხრომლად არის შრომასა და სახლის მართვასა შინა, მით იგი ცხადად გვიმტკიცებს, რომელ მას აქვს თავის უარისყოფა, ვინაითგან იგი არა თავისისა თავისათვის ეძიებს სარგებლობასა! არამედ მისთა მახლობელთა! ამისთანავე აქვს მას განუზომელი სიყვარული ქმრისა, შვილთა და სახლეულთა. მეორედ, ქალი შრომისმყვარე არის პატიოსანი ზნეობითა და ყოფაქცევითა, ვინაითგან ესრეთ გართულსა შრომასა და მოღვაწეობასა შინა არა აქვს თავისუფალი დრო, რომ დაკარგოს იგი უქმად ჭირსა და ბოროტ – სიტყვაობასა შინა, განცხრომასა და სხვათა შეუსაბამოთა საქმეთა შინა. მესამედ იგი აძლევს სარგებლობასა მაგალითსა შვილთა და გარემოს მყოფთა მისთა. იგი ვითარცა სანთელი ნათელსა, ესრეთ განანათლებს გარემოსს მისსა სიწმინდესა, ბედნიერებასა."

ქალს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც მეუღლეს. იგი ქმრის უერთგულესი და ყველაზე უმტკიცესი თანაშემწე უნდა იყოს. ეს კი ოჯახის განმტკიცების, სიწმიდის, პატიოსნებისა და შვილების აღზრდის აუცილებელი პირობაა. „კეთილსა და გონიერსა ქალსა ყოველთვის უნდა ჰქონდეს სახეში რომ მან უნდა გაუადვილოს და შეუმსუბუქეს ცხოვრება მეუღლეს თვისსა. იგი პირველად არს მცველი და განმამტკიცებელი ოჯახის სიწმიდისა, პატიოსნებისა, დიდებისა და სათნოებისა; მეორედ იგი მართავს ოჯახსა, ზრდის შვილთა მისთა დაუცხრომელი შრომითა და მეცადინეობითა შეეწევა ოჯახის რჩენასა და გამოზრდასა." ასეთი მრავალმხრივი ფუნქციის შესრულება მხოლოდ მხოლოდ გონიერებით და მხნეობით შემკულ ქალს შეუძლია და ამიტომაც „მახვილი და ღრმა გონიერება, მხნეობა და სულიერი ხასიათის სიმტკიცე ქალისათვის უმეტესად არის საჭირო ვიდრე მამაკაცისათვის."

ოჯახის ძლიერებისათვის, შვილების აღზრდისათვის ბრძოლა ქალისათვის ბუნების მონიჭებული თვისებაა და მხოლოდ მისი უნაკლო აღსრულება არის ღვთისმსახურების გამოხატვა.

„ყოველი ქალი, ოჯახის დედა, იღწვის, ზრუნავს არის მოთმინებაში. მისთვის · რათა ააშენოს ოჯახი, გაზარდოს შვილნი თვისნი. ამით იგი ასრულებს ბუნებითსა წესსა, გარნა შრომა და მოთმინება შეერაცხება მას, ვითარცა ღვთისმსახურება."

დღესაც არა თუ საზოგადოების ზოგიერთ რიგით წევრს, არამედ თვით მეცნიერ_სოციოლოგთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ქალი არ უნდა მუშაობდეს, იგი მხოლოდ ბავშვების აღზრდითა და ოჯახური საქმეებით უნდა იყოს დაკავებული. წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებაზე დგას.

„დიდად საქები და მადლიანი არის ის ქალი, რომელიც თავისი ხელის ნაშრომით არჩენს თავსა თვისსა და შვილთა თვისთა. მაშინ იგი ასრულებს ჭეშმარიტად თავის დანიშნულებას."

ადამიანის ჩამოყალიბებაში წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი დიდ ყურადღებას განათლებას უთმობს. ურთიერთობა მასწავლებელსა და მოწაფეს შორის ღვთიური, მეტად ფაქიზი პროცესია. ამ პროცესში მთავარი როლი მასწავლებელმა უნდა შეასრულოს:

„უკეთუ შენ ხარ მასწავლებელი, ესე იგი გყვანან მოწაფენი რომელთა შენ ასწავლი ანუ წიგნსა, ანუ რომელსამე ხელობასა, მაშინ უფრო ფიცხელი და პირუთვნელი ანგარიში უნდა შენ სინდისსა! მასწავლებელმა მარტო წიგნი ანუ ხელობა კი არ უნდა ასწავლოს მოწაფესა, არამედ უწინარეს ყოველთა პატიოსნება შრომისმოყვარება!"

საზოგადოების განათლება დამოკიდებულია ქალის ღირსებისა და განათლების დონეზე. „განათლება და კეთილი ზნეობა საზოგადოებისა არა წარემართების უკეთუ ქალნი არ არიან განათლებულნი და წინამძღოლნი ყოველსა კეთილსა შინა ზნეობითსა, ყოველი კეთილგონიერი და ღვთისმოყვარე ქალი განანათლებს და მოაქცევს ყოველთა გარემოსსა მისსა."

და პირიქით „ვითარ საშინელ არს და მავნებელი, ოდეს დედა თვით არის ცუდისა ხასიათისა, არ მიხედავს თვისსა მნიშვნელობასა და ნაცვლად კეთილთა და საყვარელთა თვისებათა გარდაცემს შვილთა ცუდსა ხასიათსა. უმჯობესი არის, რომ თავის ხელით მოკლას მან შვილი თვისი."

აქედან დასკვნა ცუდი მშობელი შვილის მკვლელია – აი წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის დასკვნა.

გაბრიელს რომელიც ილიასეული შეფასება, რომ ვიხმაროთ მთელი ცხოვრება იმის ცდაში იყო, თუ როგორ მოეწმინდა ცრემლი მშობელი ერისათვის. გულს უკლავდა საზოგადოებაში არსებული უწესრიგობა და უკანონობა. ამ ხარვეზის აღმოფხვრის ერთ-ერთ უმთავრეს პირობად მღვდელმთავარი საზოგადოების სწავლასა და განათლებას თვლის:

„რით მოისპობა ეს უწესივრობა? კითხულობს მეცნიერი არქიერი და თვითონვე პასუხობს – ერთიღა მხოლოდ სწავლითა და განათლებითა. მაშასადამე ყოველი კაცი იმას უნდა ცდილობდეს, რომ რაიმე ასწავლოს თვისთა შვილთა"… „კაცი არათუ მხოლოდ გარეგანი ქცევითა უნდა იყოს კარგი, არამედ იმ სახით აღზრდა შვილისა, რომ ყოველთვის იქონიოს კეთილი ხასიათი, არის ფრიად მძიმე და ძნელი საქმე და მოითხოვს დიდსა და განუწყვეტელსა მეცადინეობასა მშობელთაგან. ნუ გგონია, რომელი ცოდვა და მადლი, კეთილი ანუ ბოროტი ზნეობა, კარგნი ანუ ავნი მიდრეკილებანი ადამიანის გულში გაჩნდებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი არის ჰასაკთა შინა. არა თითქმის იმ ყამთაგანვე, ოდეს შვილი არს ჩვილი, შეატყობ მას, რომელმის გულში არის ნერგი ყოველთა მომავალთა თვსებათა. მაშასადამე იქიდგანვე უნდა მიაჩვიო ყოველსა კეთილსა და გადააჩვიო ყოველსა ბოროტისაგან."

გაბრიელ ეპისკოპოსს არ სწამს ზერელე და მერყევი განათლება, რადგანაც მხოლოდ „ჭეშმარიტი და ღრმა სწავლა და განათლება კაცს მიუმატებს სიმდაბლეს. ცრუ და უსაფუძვლო განათლება გაუჩენს გულში ამპარტავნებას."

პირველ ცნობებსა და ჩვეულებებს, რომელსაც მცირეწლოვანი ყრმა თავისი მამის სახლში მიიღებს, აქვს უდიდესი მნიშვნელობა მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე. გაბრიელ ეპისკოპოსი მშობლებისაგან მოითხოვს შვილთა აღზრდის პროცესში შემდეგი ძირითადი ნორმების დაცვას:

1. ეცადე რაც შეგიძლია შენს შვილს შეაყვარო სიმართლე, მიაჩვიო გულწრფელობას. პირველი და უწინარესი ყოველთა დაცვა, რომელიც გაჩნდება მცირეწლოვანის გულში არის სიცრუე, მოტყუება, მზაკვრება. თუ არ ეცადე და არ აღმოფხვერი მისი გულიდან ეს ცოდვა იგი გარდაექცევა მას ჩვეულებად და შეიქმნება წყაროდ ყოველთა მისთა მომავალთა ცოდვათა."

2. ეცადე და ყოველი ღონისძიება იხმარე, რომ შენი შვილი მიეჩვიოს ყოველ საქმეში ბეჯითობასა. ესე იგი ყოველი თვისი საქმე აღასრულოს ხალისით და კეთილ სინდისიერად ბოლომდე მიიყვანოს.

3. მცირეწლოვანნი, ისე სიტყვიერის დარიგებით ვერას ისწავლიან, როგორც მაგალითით. ამისთვის თუ მშობელნი არ აძლევენ მათ კეთილსა სახელსა, ძნელად შეიძლება რომ იგინი კარგნი გამოვიდნენ. ეს უმეტესად უნდა ახსოვდეთ ყოველთა მშობელთა.

ოჯახისა და სკოლის ჰარმონია, მშობლისა და მასწავლებლის მიერ აღსაზრდელისათვის სიტყვისა და საქმის ერთიანობის ჩვენება ჰარმონიული აღზრდის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

„რა გააფუჭებს ანუ როგორ გაფუჭდება ესრეთი მცირეწლოვანი ბავშვი? მაგალითი და ხედვა მშობლის ქცევისა. ბავშვს, როგორადაც იტყვიან ჭკუა თვალში აქვს: რასაც ხედავს იმას მიეჩვევა, რაც ესმის იმას დაიხსომებს. მაშასადამე ამათი იქმნება სიტყვიერი სწავლა და დარიგება მშობლისა. და ეგრეთვე მასწავლებლისა, უკეთუ იგი ენით ერთს იტყვის და საქმეს სხვას აჩვენებს. აჰა რისთვის ჩვენი თავითგანვე, რომელ საკუთარის მშობლების სახლი და ოჯახი უნდა გარდაიქცეს საყდრად, აღმზრდელად შვილთა."

თუ განათლება ადამიანის ძალა და სიკეთეა, უსწავლელობა და უმეცრება ადამიანის უსაშინელესი მტერია, დამღუპველი და წამხდენი.

სრულყოფილი განათლება საეკლესიო, სასულიერო და საერო განათლების ერთობლიობას გულისხმობს. ამ მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მრევლის მიერ ჭეშმარიტი საღვთო სწავლების მიღებას:

„უგუნურება არ იქნება, რომ ეკლესია უმჯობესი აღაშენეთ და თქვენ თვით კი არ შეიქმნეთ უმჯობესნი. რას გარგებს ეკლესია თუ თქვენ თვითონ არ ეცდებით, არ მიიღებთ სწავლასა და მადლსა ეკლესიისას. საღვთო სწავლება, უფრო სწორედ სარწმუნოებრივი ნორმებით ცხოვრება იმიტომ არის აუცილებელი, რომ სწავლა და განათლება არის მხოლოდ ერთი კერძო სულიერისა ცხოვრებისა. მეორე კერძო ჩვენი სულიერის ცხოვრებისა არის ყოველი სულიერი მოქმედება ანუ გრძნობა, სიხარული, ანუ მწუხარება, მწუხარება, მონანება, სასოება, სიყვარული, ერთგულება. ერთი სიტყვით ყოველი სასულიერო ფიქრი და გრძნობა." ამიტომაც – გვირჩევს მებრძოლი არქიერი – ეკლესიის აშენება „უსარგებლო იქნება თუ ეკლესიით კარგად არ ისარგებლეთ."

დიდია მეცნიერების, უფრო სწორად მეცნიერების მიღწევის დანერგვისა და გამოყენების წვლილი საზოგადოების განვითარებაში: „როდესაც ჭკუა, ანუ გონება კაცისა მიიღებს და ეთანხმება რომელსამე ჰაზრსა, რომელსამე სამეცნიერო წინადადებასა. ესრედ მიღებული ჭკუისაგან ჰაზრი, სწავლა შეიქმნება კერძო

მასალა და ქონება საკუთრად გონებისა და შეინახება მეხსიერებასა შინა." სწავლა-განათლება, რომელიც პრაქტიკაში არ მოიხმარება ფუჭია და ყალბი – „რა სარგებელი გვექნება, რომ სწავლა რომელი მოგვეცა ჩვენ ღმერთმან იცოდე, გწამდეს და არ ხმარობდე, არ ასრულებდე მას."

გაბრიელ ეპისკოპოსი მოუწოდებს მოსწავლე ახალგაზრდობას: „ვიდრემდის სასწავლებელში ხართ სხვა საქმე არა გაქვთ. მხოლოდ უნდა ისწავლოთ და გაჰ ნათლდე... ჯიბეში რომ ორი ან სამი ფული გქონდეს, ხომ გეშინია და ფრთხილადაც ხარ, ხშირად სინჯავ ხელით, იმ ჯიბის ქურდმა ასრე არ მოიპაროსო. იგი სწავლა, რომელიც სასწავლებელში გესმის, თუ მიითვისე მრავალ ოქროებზე უძვირფასესია."

მოძღვარი ურჩევს მოსწავლე ახალგაზრდობას არ აჰყვნენ ცდუნებას, გულუბრყვილოდ არ ენდონ ყოველ რჩევას და კარგსა და ცუდს შორის უკეთესი გამოარჩიონ:

„საყვარელნო ყრმანო! თქვენ ჯერ კიდევ არ შეგიძლიათ ავი და კარგი ერთმანეთში გაარჩიოთ. თქვენ ყოველი კაცი კარგი და პატიოსანი გგონიათ, ამისთვის ყოველ ბოროტ განმზრახველს კაცს შეუძლიან თქვენი ცდუნება თუ არ გაფრთხილდებით."

გაბრიელ ეპისკოპოსი სწავლას ორლესულ იარაღად თვლის. „თუ მარტო გონებითს მეცნიერებას მიიღებთ სასწავლებელში, თუ მარტო მრავალ სამეცნიერო საგნებს ისწავლით, მარტო გონებას, მეხსიერებას გაამდიდრებთ, ხოლო გულის თვისების ხასიათს არ გაიკეთებთ. სწავლულნი შეიქმნებით სიმართლეს და წმიდა ქრისტიანულ ზნეობას არ შეიძენთ, მაშინ თქვენ გამოხვალთ უბედურნი და ქვეყნისათვის მავნებელნი და არა სასარგებლონი."

ამიტომ „საქართველოს ოქროპირი" აფრთხილებს ახალგაზრდობას:

„ერთი მხოლოდ განათლება ვერ გიხსნით თქვენ ზნეობითი დაცემისაგან, არამედ იგი გახდება თქვენ დამღუპველად თუ ამასთანავე თქვენი ცხოვრების გზა არ იქნება მუდამ განათლებული სარწმუნოების ლამპარით, ანთებული წმიდა ზეთით, ესე იგი წმიდა ცხოვრებით და კეთილი საქმეებით."

გაბრიელ ეპისკოპოსი განსაკუთრებულად ხაზს უსვამს ღარიბი ადამიანების სწავლის აუცილებლობას: „კიდევ საჭიროა და კარგი, რომ თვითეული პირი სარგებლობდეს თავისი ცოდნითა, სხვათა შორის გაუმჯობესებისა თავისი ცხოვრებისა. და ეს მითუმეტეს საჭიროა, რომ ღარიბი კაცი ყოველთვის გაჭირვებულია და მისთვის არ შეუძლია თავისუფლად ლტოლვა და მიღწევა უმაღლესი ქრისტიანობრივი მიზნისადმი."

„სწავლა_განათლება თავისთავად კარგია და სასარგებლო, რადგან აღამაღლებს და გაამდიდრებს კაცის გონებას. მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ იგი თვით იყოს მიზნად თავისი თავისა. არა მან უნდა მიიყვანოს კაცი მეორე და უმაღლესი მიზნისადმი და ეს უმაღლესი მიზანი არა სხვა რაიმე არის გარნა ზნეობითი განვითარება და გაუმჯობესება კაცისა." ესე იგი თუ სწავლას თან არ სდევს ზნეობითი ამაღლება, ფუჭია იგი და უნაყოფო.

„განათლება მაშინ არის კარგი და მხოლოდ იმისთანა განათლება არის კარგი – აკეთებს დასკვნას გაბრიელ ეპისკოპოსი, რომელიც ამაღლებს და გააკეთილშობილებს კაცსა ყოვლის მხრით და არა მხოლოდ ერთსა, თუ გინდ უმაღლესსა, მისსა ბუნების მხარესა. თვითონ სწავლა არის ორპიროვანი იარაღი. შეიძლება კაცმა მოიხმაროს ის კეთილ საქმედაც და ბოროტზედაც, სასარგებლოდ და საზარალოდაც თავისისა თავისა და სხვათა. საქმე უმაღლესია სიტყვაზე, ცხოვრება უძვირფასესია სწავლაზე. სწავლა–განათლებამ უნდა გააუმჯობესოს ყოველნი საქმენი ჩვენნი. მთელი ჩვენი ცხოვრება რა სასარგებლოა, როდესაც კაცის გონება სავსეა მრავალგვარი ცოდნითა, ხოლო მისი საქმე და ცხოვრება სრულებით არ განსხვავდება უსწავლელ კაცთა საქმისა და ცხოვრებისაგან."

სოფელში დაბადებულსა და აღზრდილს, ბუნების კანონზომიერებათა ღრმად მცოდნე, მეცნიერ ბუნებისმეტყველ გაბრიელ ეპისკოპოსს სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია კავშირი ბუნებასთან, სოფელთან. როგორც საერო ისე სასულიერო საქმით დამძიმებულ მღვდელმთავარს არც სახელმწიფო ჯილდოები აკლდა, რომ არაფერი ვთქვათ ერის საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემაზე. მიუხედავად ამისა იგი რიგითი ქართველის ცხოვრებით ცხოვრობდა და იმდენად იყო შესისხლხორცებული ბუნებასთან, რომ ბუნების მოვლენებსა და კანონზომიერებებს ქადაგებებშიაც ჭარბად იყენებდა, მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს:

„ყოველი ცოდვა არის თესლი, რომელიც თავის დროზე გამოიღებს მწარე ნაყოფსა."

„მცირეა ცეცხლის ნაპერწკალი, მაგრამ ხშირად დიდ ქალაქს დასწვავს."

„თუ კი უფალმა ხე დასაჯა უნაყოფობისათვის, არა უმეტესად დასჯის კაცსა, თუ უნაყოფოა იგი?"

„ნაყოფი კაცისა არის ყოველი კეთილი, მართალი და პატიოსანი საქმე, რომელსაც იგი იქმს ამ ქვეყანაზე."

„როგორც ხე იცნობება ნაყოფთაგან, ეგრეთვე ღირსება კაცთაგან საქმეთგან მისთაგან."

„ვითარცა სანთელი ანთებული და დადგმული მაღალსა ადგილსა ზედა, ჰნათობს გარემო თვისსა და სჩანს შორიდანვე, ეგრევე არს ცხოვრება კეთილისა ეპისკოპოსისა. ხოლო ცხოვრება და ყოფაქცევა უღირსისა მღვდელმთავრისა ემსგავსება საკვამლესა, სახლის სართულსა ზედა ატანილსა, რომელთაგან გამომავალი კვამლი აბნელებს ჰაერსა და სჩანს შორიდგანვე."

„ჭეშმარიტი და ნამდვილი ლოცვა, ვითარცა კარგ დროზე მოსული წვიმა მიწისაგან გულისაგან გამოიხმობს კეთილსა ჰაზრსა და საქმესა."

„თვითეულს ცოდვასა აქვს თვისი წყარო და ფესვი გულსა შინა ჩვენსა. ყოველნი ცოდვანი წარმოსდგებიან და გაჩნდებიან რომელთამე ცუდთა თვისებათა და ბოროტთა მიდრეკილებათაგან ჩვენთა."

„არ გაგიგონია, რომელ ოდესცა მიწის მუშაკი სწმენდს თავისსა ყანიძირსა ცუდთა და მავნებელთა ბალახთაგან, მაშინ იგი ცდილობს, რომ ფესვიანად ამოგლიჯოს იგინი მიწისაგან და თუ მხოლოდ ზეითგან მოსჭრა იგი და

ფესვნი კი მიწაში დასტოვა კვალადვე აღმოცენდებიან იგი და გააფუჭებენ თესლსა. შენც ესრეთ მოიქეცი უკეთუ გსურს კეთილად განსწმიდო გული შენი, ეცადე, რომ ფესვიანად ამოგლიჯო მისგან ყოველნი ცოდვანი შენნი."

„ხასიათი ანუ სოფლის თვისება არის წყარო ანუ ფესვი ყოვლისა საქმისა, თვითარცა კეთილისა ეგრეთვე ბოროტისა."

„ფესვი ყოველთა სულიერთა ადამიანის ცოდვათა და ნაკლულევანებათა არის მისი უგუნური თავის მოყვარება ანუ თავის მოწონება."

„წყარო ყოველთა მაღალთა სათნოებათა და დიდთა საქმეთა არის თავის უარყოფა ანუ თავის გამომეტება."

„როგორადაც გველისა გესლი მოსწამლავს კაცს და მოჰკლავს, ეგრედვე ხშირად მშაკვარისა ენისა შენისა გესლმა მოსწამლა გული კაცისა და მოჰკლა მუნ სიყვარული და მეგობრობა მოყვასისა."

„სოფელი ესე არს ზღვა სიცრუისა და უსამართლობისა. აღელვებულსა ამა ზღვასა შთაინთქმის ქრისტიანე, უკეთუ არ არის იგი შემოსილ სიმართლითა და ჭეშმარიტებითა."

„მცირე ნაკვერჩხალი აღაგზნებს დიდსა ცეცხლსა და დასწვავს დიდთა სახლთა." (აქაც რუსთაველის გავლენა იგრძნობა.)

„სულიერი წარმატება და მეცნიერება სწორედ იმ კაცს უნდა მივაწეროთ, რომელმან თვისი ხასიათი გასწორა, გაიკეთა, დაიმუშავა როგორადაც ბეჯითი მიწის მუშაკი გასწმენდს და გააკეთებს თვისსა ყანასა."

„როგორც სიტფო მზისა დაადნობს თოვლსა და ყინვასა და გაატფობს ჰაერსა, ეგრედვე მხურვალე ლოცვა დაადნობს და გააქრობს ვნებათა ბოროტის გულისას."

„თუ რომელიმე რტო ვენახისა განხმა, მოსჭრიან და განაგდებენ. ხოლო უკეთუ რტო არის ნედლი, ფურცლიანი ნაყოფს გამოიღებს, იგი ახარებს ვენახის პატრონსა. ეგრეთვე ქრისტიანე უკეთუ არის კეთილი და სათნო განახარებს მამაზეციერსა."

„როგორითაც ხეხილებში არის დიდი განსხვავება: ზოგიერთნი ხეხილნი გამოიღებს უფრო ძვირფასს და ტკბილს ნაყოფს, სხვა უფრო დაბალს და უბრალოს, აგრეთვე ქრისტიანეთა შორის ზოგიერთმა დიდი ნაყოფი უნდა გამოიღოს და ზოგიერთმა მცირე. გარნა უნაყოფო არც ერთი ქრისტიანე არ უნდა დარჩეს."

„ყოველი მავნებელი მცენარე ფესვიანად თუ არ ამოთხარე მიწისაგან ისევ აღმოცენდება, უფრო გაღონიერდება."

„მოწყალება და სხვანი კეთილნი საქმენი არიან ნაყოფნი სარწმუნოებისა, როგორც ხე იცნობა ნაყოფთაგან, ეგრედვე ღირსება კაცთა საქმეთა მისთაგან."

„შეუძლებელია რომ წყალში ცეცხლი დაანთოს კაცმა. მსგავსადვე შეუძლებელია სინანული, მწუხარება ცოდვათათვის მხიარულებასა და კმაყოფილებასა შინა."

„ცოდვა ერთნაირად ემსგავსება ეკალს, რომელი შეერჭო კაცს ხორცში. სანამ ეკალს არ გამოიღებს ხორციდან მისი წყლული არ მოჩება."

„თუ მდინარე სათავეში გაშრა, წყლის დინება მოისპობა."

„როგორადაც მზე მთლად წყლის წვეთში გამოიხატება, ეგრეთვე შენი ზნეობის სახე გამოჩნდება უმცირეს საქმეში."

„როგორადაც გაზაფხულის მზე გაათბობს ჰაერსა, განსდევნის ნისლსა ზამთრისასა და გამოიხმობს მიწისგან მცენარეთა, აღაყვავებს ხესილსა. მსგავსადვე სითბო ლოცვისა დაადნობს და განსდევნის კაცის სულისაგან ნისლსა და სიბნელესა ცოდვისასა. გამოიხმობს მისი გულისაგან ყოველსა კეთილსა ჰაზრსა და წმიდასა განზრახვასა."

„საიდუმლო რომელიც თუ სასოებით და ღირსებით იქნა მიღებული გამოსცვლის ბუნებასა კაცისასა და ისე, როგორადაც ველური ტყის ხეხილი მომცემელი მწარისა ნაყოფისა როდესაც დაამყნევ მას შინაურსა ზედა ტკბილსა ნაყოფსა."

„სიმდაბლე ის არის ცხონებისათვის რაიცა ფესვი მცენარისათვის. თუ ფესვი მთელი და მაგარი აქვს მცენარეს იგი არ დაჭკნება. თუ გინდ მრავალგზის მოჭრა, მისი რტონი მაინც ახალთა გამოიღებს."

„მზე მთლად გამოიხატება წყლის ერთ წვეთში; კაცის მოქმედება, ხასიათი მთლად გამოსჩნდება ერთს თვით მცირე მოქმედებაში. თუ მცირე ფასის საქმეში ატყუებ კაცსა, დიდ საქმეში შენ რაღა რწმუნება გექნება!"

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებს წითელ ზოლად გასდევს სწავლა_განათლებისა და შრომის აუცილებლობის მოძღვრება. ეს მომენტი ჯერ კიდევ 1896 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის დღეს გამოიკვეთა წმიდა ილია მართლის სიტყვაში:

„რომ მარტო იგი ქება_დიდება შრომისა დაგვრჩენოდა რომელ მან გვიღაღადა ერთს თავის დაუვიწყარ ქადაგებაში და სხვა არა_რა, ისიც საკმაო იქნებოდა, რომ მისი სახელი ქვეყანას მოჰფენოდა და ჩვენც გვეგრძნო რა დიდებული და ბრძენი მღვდელმთავარი დავკარგეთ. მე თვითონ არ მინახავსო ამბობს იგი, ხოლო გამიგონია სარწმუნო კაცთაგან, რომელ ერთს ძველად_ძველ ეკლესიაში კედელზედ არის დახატული ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მის წინ სდევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ქსოვს მატყლსა. ნეტამც ჩემი თვალით მენახაო!" _ნატრულობს ამ ღვთიური და მიწიერი ქმედებათა საოცარი შერწყმით აღტაცებული წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი _ მაშინ მე გავიცნობდიო წარმოსახვით მეორესა კერძოსა საღმრთოსა მისი ხასიათისასა და უდიდეს პატივსა და კრძალვასა იგრძნობდა გული ჩემი!" რა კარგი რამ იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი, რომ ერთს კერძო მისსა იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულის ღიმილითა ღვთაებრივი მისი ღრმა, ხოლო თვით ხელთ ეპყრას მატყლი და ტარი და სახესა ზედა ღვთაებრივსა გამოყვანილი იყოს ის ღვთაებრივი სიწმიდე, სიმშვიდე და სიყვარული თვალთა მისთა ბრწყინვიდეს ის უფსკრული გონიერებისა და კრძალულებისა, რომელნი წარიტაცებენ კაცის გულსაო. ესრეთი ხატი იქმნებოდა ჭეშმარიტი დროშა, ანუ სიმბოლო. ესე იგი ნიშანი ყოველის ქალის მოვალეობისა ღირსებისა და მნიშვნელობისა."

შრომის უდიდესი მნიშვნელობისა და აუცილებლობის დასამტკიცებლად მღვდელმთავარს მოჰყავს ცხოვრებისეული მაგალითები:

„აქ მე გაგახსენებთ ერთს გასაკვირველს მაგალითს, თუმცა დარწმუნებული ვარ მრავალთა თქვენთაგანთაც გაუგონიათ იგი როდესაც პეტრე პირველი დაჯდა რუსეთის ტახტზე მას ჰყვანდნენ მრავალნი ქვეშევრდომნი და ჰქონდა მრავალი სიმდიდრე. რაცა საჭირო იქნებოდა მისთვის უბრალო მუშაობა, გარნა რადგანაც შეხედა, რომ მის სამკვიდრებელში არ იყო სრულიად სწავლა_განათლება. მან დატოვა სამეფო ტახტი, ჩაიცვა უბრალო მუშა ტანისამოსი, წავიდა განათლებულ ქვეყნებში და იწყო მუნ სწავლება ყოვლისა ხელოვნებისა. მრავალი წლის განმავლობაში იგი მუშაობდა ცულითა და ხერხითა, მან მიითვისა ყოველი მაშინდელი სწავლა და ხელოვნება და მობრუნებულმა თავის სახელმწიფოში გააჩინა ნათელი სწავლისა, რომლითა განადიდა რუსეთი.”

„კიდევ ერთი მაგალითი, რომელიცა დარწმუნებული ვარ გაგაკვირვებს შენ! ჩინეთის ხელმწიფე ანუ იმპერატორი რომელსაც 300 მილიონი ქვეშევრდომი ჰყავს და სიმდიდრე აქვს აურაცხელი და წარმოუდგენელი ყოველ წელიწადს, ერთ დანიშნულ დღეს, გამოვა მინდორში თავისი შვილებით და დიდებულებითურთ. თავის საკუთარის ხელით შეაბამს ხარებსა გუთანში, გაუძღვება მათ წინ, მოხნავს და დასთესს ყანასა. მას უმზერს აურაცხელი ერი, ყოველ მხრიდან შეკრებილი. რისთვის იქმს იგი ამას? მისთვის რათა აჩვენოს, რომ მიწის მუშაობა არავისთვის არ არის სათაკილო და სასირცხვო, არამედ პატიოსანი და ღირსი.”

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი გვირჩევს დროის როგორც ბუნების არსებობისა და განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი განზომილების გეგმაზომიერად გამოყენების აუცილებლობას:

„დრო არის სიმდიდრე და ვინც დროებასა მცონარებით ატარებს, იგი კარგავს ბედსა და სიმდიდრესა. მართალია არაერთგზის მომხდარა, რომ ზოგიერთი კერძო პირი გაკეთებულა და გამდიდრებულა, არა თვისთა მეცადინეობითა, არამედ ერთის უბრალო შემთხვევითა, მაგრამ მთელი ერი და ქვეყანა რომ განათლდეს და გაბედნიერდეს თვინიერ შრომისა, მხნეობისა და მოთმინებისა ეს არ მომხდარა.”

გულმოდგინე სწავლა და შრომა პიროვნებისა და განვითარების მთავარი პირობაა:

„კერძო პირის, ეგრეთვე მთელი ქვეყნის ანუ მთელის საზოგადოების ბედნიერება სწორედ ნამდვილად და უეჭველად არის დაფუძნებული დაუცხრომელ სწავლასა და დაუცხრომელსა მუშაობასა ზედა.”

„ღმერთო განაძე გულისაგან ჩვენისა ყოველი ცრუ აზრი, მოგვეც მხნეობა, დაჰბადე ჩვენს შორის სული შრომისა და მოღვაწეობისა! ამინ!”

და ბოლოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი დიდი მეცნიერი-ბუნებისმეტყველი მოითხოვდა არა ადამიანის მიერ ბუნებაზე ბატონობასა და დაუმორჩილებლობას, არამედ ბუნების კანონების შეცნობასა და ამ კანონების დაცვით საქმიანობას.

ბუნების კანონების შეცვლა შეუძლებელია, შესაძლებელია მხოლოდ მასთან ჰარმონიულობის პირობებში თანაარსებობა. რადგანაც:

„ბუნების წესი, ვით ღვთის წესი, სრულდება ჩვენდა დაუკითხავად. მისთვის სულ ერთია მოგვეწონს თა არა ეს კანონი...”

## ქვეყნის წყლული უნდა წყლულად

ცარიზმის რუსიფიკატორული რეჟიმის უღელქვეშ ყოველგვარი ეროვნული ითელებოდა. შებოჭილი, ხელფეხშეკრული ქართველი მამულიშვილები მიუხედავად დევნისა და შევიწროებისა ცდილობდნენ ერის სულიერი გზების ძიებას. სამწუხაროდ უმეტეს შემთხვევაში მათი ხმა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.” მხოლოდ ერთეულები თუ ახერხებდნენ მეფის მთავრობის ყურადღების მიქცევას, უფრო ცოტანი კი დასმული პრობლემების დადებითად გადაჭრას. აი ასეთ მძიმე პირობებში ილიას სახლში ერთ_ერთ ტრადიციულ ხუთშაბათობაზე როგორც ექვთიმე თაყაიშვილი იგონებდა წამოიჭრა საკითხი: მთავრობა უწევს რაიმე ანგარიშს ქართველ მოღვაწეთა ნათქვამს თუ არაო. ილიას უპასუხნია: „კაცმა იცისო, მაგალითად, რასაც გაბრიელ ეპისკოპოსი იტყვის, იმას დიდ ანგარიშს უწევენო.”

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი უანგარო ქველმოქმედი, საკმაო ქონების მფლობელი პიროვნება ღრმა ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობდა. იგი მხოლოდ სამარხვო საკვებს ჯერდებოდა. საკუთარ კარმიდამოში პირადი შრომით ქირნახულიც მოჰყავდა, საზოგადოებრივი და საღვთო სამსახურით დატვირთულ მღვდელმთავარს ხარჯების შემცირების მიზნით პირადი ეკიპაჟის მომსახურებაზედაც კი უარი თქვა და ეკლესია_მონასტრებში წირვა-ლოცვებზე საზოგადო სამგზავრო ეტლით დაბრძანდებოდა. პირად ცხოვრებაში ასე ხელმოჭერილი გაბრიელი უშურველი იყო საზოგადოებრივ საქმეში_„ნამეტანი შეძლებაც რომ არ გჰქონდეს, შენს თავს უნდა მოაკლო და საზოგადოებას უნდა შეეწიო”_ბრძანებდა ერთ-ერთ ქადაგებაში „ღრმად მიწევნილი მეცნიერი.” (ილია ჭავჭავაძის გამოთქმა,) და თვითონვე იძლეოდა საუკეთესო მაგალითს.

გაბრიელ ეპისკოპოსის თაოსნობით, ხელშეწყობითა და ქველმოქმედებით დასავლეთ საქართველოში 200-ზე მეტი ეკლესია და მონასტერი შეკეთდა. მათ შორის მოწამეთის, ილორის, ბიჭვინთის, ნიკორწმინდისა და სხვა. გაიხსნა 100-ზე მეტი სამრევლო სკოლა და ბიბლიოთეკა.

დეკანოზი დ. ღამბაშიძე წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჟურნალ „მწყემსში” გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავდა იმ დიდ სააღმშენებლო მოღვაწეობას, რომელიც მღვდელმთავარმა გასწია ეპარქიაში_„აღშენდა რამდენიმე ათასი ქვითკირისა ხის ახალი ეკლესიები, ქუთაისში მათი მეუფების თაოსნობით აშენდა მშვენიერი საკათედრო ტაძარი, წმიდა გიორგისა და საფიჩხიის ამაღლების ეკლესიები ვრცელი შენობა ქუთაისის სასულიერო ოთხკლასიანი

სასწავლებლისათვის. მათი მეუფების მეცადინეობის საფუძველზე გაიხსნა სამრევლო სკოლები, რომელთა დაარსების გამო მათ მეუფებას დიდი უსიამოვნება შეხვდა ამ სკოლების მოწინააღმდეგე პირებთან."

გაბრიელი უშურველად გასცემდა დახმარებებს შეჭირვებულებზე მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. იგი არც პატიმრებს ივიწყებდა, ხშირად აკითხავდა მათ, ქადაგებებს უკითხავდა და შემწეობას აძლევდა. ერთი გზას აცდენილის იმ ქვეყნიური კეთილი ცხოვრებისადმი შემობრუნება ი. გოგებაშვილმა თავის სახელმძღვანელოშიაც აღწერა.

გაბრიელ ეპისკოპოსს სდევნიდნენ. სიკვდილით ემუქრებოდნენ, მაგრამ მშობელი ერის მსახურება ყოველგვარ პირადულზე მაღლა იდგა. შეიძლება ვთქვათ, რომ ცოლშვილის უდროოდ გარდაცვალების შემდეგ გაბრიელს პირადული ცხოვრება არც კი ჰქონია. მისდამი დევნისა და შევიწროებას მღვდელმთავარი ერთ_ერთ თავის ქადაგებაშიაც კი მოიხსენიებს:

„22 წელი ვარ მე ამ სამწყსოში და ვგონებ ნამეტანი არ იქნება რომ ვთქვა ორასი მაინც, თუ არა მეტი დაბეზღება და შესმენა მოუვიდა ჩემზე უმაღლეს მთავრობას. რა ცოდვა და უსჯულოება არ მომაწერეს ამ დაბეზღებაში."

დიდია გაბრიელ ეპისკოპოსის ქველმოქმედების მასშტაბები. მაგრამ განსაკუთრებულია ის ღვაწლი, რომელიც მღვდელმთავარმა თავის მშობლიურ სოფელს დასდო. ამ მხრივაც განუმეორებელი და სამაგალითოა დიდი მამულიშვილის ქველმოქმედება. მიუხედავად გაბრიელ ეპისკოპოსის შორს გასტყორცნილი სახელისა, იგი ბასხველებისათვის კვლავ გერასიმე ქიქოძედ დარჩა რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უშურველად ილვწოდა მათ საკეთილდღეოდ.

გასული საუკუნის 60-იან წლებში სოფელ ბახვში ცხოვრობდნენ საუკუნეს მიტანებული ადამიანები, რომლებიც წმიდა მღვდელმთავარს მოესწრნენ, მისი ქადაგებები მოუსმენიათ და პირადადაც უსაუბრნიათ. მოხუცებს ამქვეყნიურ ღმერთად ჰყავდათ წარმოდგენილი. ისინი ქვეყანაში, სოფელსა თუ პირად ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს გაბრიელ ეპისკოპოსს უკავშირებდნენ: „გაბრიელმა რომ არხი გააჭრევინა იმ წელს გამათხოვეს." „გაბრიელი რომ გარდაიცვალა იმ წელს პირველი შვილი შემეძინა." „სალდათობა გაბრიელმა რომ სკოლა გახსნა, იმ წელს მომიწია" და ა. შ. იგონებდნენ მოხუცები. ბახვის თემში იშვიათად იყო გვარი სადაც ერთი ან რამდენიმე გერასიმე ან გაბრიელი არ ყოფილიყო_ გერასიმე ანდღულაძე, გერასიმე ნიკოლაიშვილი, გერასიმე დოლიძე, გერასიმე ქიქოძე, გერასიმე ნაჭყებია, გერასიმე ცეცხლაძე, გაბრიელ თენეიშვილი, გაბრიელ მაჭეიშვილი, გერასიმე ჩიტაიშვილი, გერასიმე ინწკირველი დღესაც ახსოვთ ბახველებს.

გაბრიელი თავად შედარებით ღარიბი ოჯახიდან გამოსული მხოლოდ და მხოლოდ პირადი ნიჭითა და გულისხმიერ ადამიანთა დახმარებით დაწინაურებული თავიდანვე შეუდგა მშობლიურ სოფელზე ზრუნვას. ეს საქმე უპირველესად ახლო ნათესავებისა და სოფლის ნიჭიერი ბავშვების სწავლა_აღზრდით დაიწყო.

ვინ და გაბრიელმა კარგად იცოდა, რომ ცალკეულ პირთათვის განათლების მიცემა თავისთავად დიდი საქმე ვერ უზრუნველყოფდა ერის სულიერ და გონებრივ ამაღლებას. ამიტომ მან სოფელში საკუთარი ხარჯებით ძველი ეკლესიის ნანგრევებზე ააშენა ულამაზესი ეკლესია.

ეკლესია თვით გაბრიელ ეპისკოპოსმა აკურთხა:

„მოვილოცავ, მართლმადიდებელნო ძმანო ქრისტიანენო, აწინდელსა დღესასწაულსა ამას. რომელი დღეს შეიქმნა თქვენთვის ას-წილ უდიდეს და აღსავსე სიხარულითა ახლისა ამის თქვენისა ტაძრის კურთხევითა. დარწმუნებული ვარ კიდეც ვხედავ თვალითა ჩემითა რომელ დღეს თქვენ ყოვლითა და უმეტესად ამ სოფლის მცხოვრებთა დიდი სიხარული და მხიარულება გაქვსთ გულთა შინა თქვენთა, რადგანაც ხედავთ რომელ გრძელ_ჟამიერი თქვენი შრომა ამ საყდრის აშენებაზე დღეს დაგვირგვინდა. მით, რომ ესმისეთ წირვის მოსმენის მას შინა. მეცა მონაწილე ვარ, საყვარელნო მემამულენო ჩემნო, გულწრფელისა ამა თქვენისა სიხარულისა, ვინაითგან ვიყავ მოზიარე მეცა შრომისაცა და მოღვაწეობისა თქვენისა აღშენებისა შინა მისსა. ჭეშმარიტად, დიდი სიხარული და მხიარულება გვმართებს ღვთის წინაშე დღეს ჩვენ ყოველთა. აღურაცხელი მადლობა უნდა შევწიროთ მოწყალესა ზეციერსა მამასა, რომელმაც მოგვცა ჩვენ ღონე და ძალა მოყვანებად სისრულესა შინა დიდისა ამის საქმისა. მრავალი წელიწადი გადიოდა, რაც თქვენ თვითონ ხედავდით, რა საჭირო იყო ამ სოფელში ნაცვლად დაძველებულისა და ვიწროისა უწინდელისა ეკლესიისა აღშენება ახლისა და ვრცელისა. გარნა სიღარიბე და სისაწყლე თქვენ დიდხანს გაშინებდათ და გიშლიდათ თქვენ დაწყებად ამ საქმისა. ბოლოს არა მომხედველნი თქვენისა სიღარიბისა და ყოველითა მხრით შეუწევნელობისა თქვენ კიდეც დაიწყეთ ერთი მცირე ეკლესიის შენობა. გარნა იგი უცბათ დაირღვა და დაგტოვა თქვენ უმეტესსა მწუხარებასა და სასოწარკვეთილებასა შინა. იქმნება მაშინ ზოგიერთი თქვენს შორის მხედველი ესრედისა სამწუხაროისა საქმისა, კიდეც ფიქრობდა თავის გულში_რისთვის და რა სახით დაგვემართა ეს უბედურება? ნუთუ ღმერთს არ სურს რომ აქ აშენდეს ახალი ეკლესიაო? გარნა ღმერთმან რომელი მომკალსა, ვითარცა აწინდელსა, წინადვე იცოდა რომელ ჟამთა ცვალებისაგან გამოსწდებიან ახალნი გარემოებანი, რომელნი შეგაძლებინებენ თქვენ აღგებად უმჯობესისა ეკლესიისა და აჰა-ესერა, შეწევნითა ღვთისათა, აღეგო ახალი ესე და უმშვენიერესი ეკლესია. აწ უკვე გულითადი მადლობა შევწიროთ მაცხოვარსა ჩვენსა, უფალსა იესო ქრისტესა და ყოვლად წმიდასა დედასა მისსა, რომლისა სახელი წოდებულს არს ტაძარსა ამას ზედა.

გარნა ძმანო, ჩემნო საყვარელნო, ღმერთს მადლობა მარტო ენით არ უნდა შევსწირვოდეთ, არამედ საქმითაც. როდის და რა სახით გამოჩნდება, რომ ახლა ღვთის მადლობელი ვართ? ეს გამოჩნდება მაშინ, როდესაც ჩვენ კეთილგონიერად ვისარგებლებთ ამ საყდრითა, როდესაც ეს საყდარი მოგვცემს ჩვენ სულიერსა სარგებლობასა. რისთვის აღაშენეთ თქვენ ეს საყდარი? რისთვის მიიღეთ ესოდენ შრომა და რად გიხაროდათ, როდესაც ხედვიდით წარმატებისა და აღსრულებასა მისსა. ნუთუ სასიქადულოთ და თავის საქებლად აღაშენეთ ეს საყდარი? ღმერთმან ნუ ქმნას! მაშასადამე რისთვის აღაშენეთ იგი? ვგონებ მისთვის,

რომ რომელსამე სიკეთესა და სარგებლობასა მოელოდეთ ამ საყდრისაგან. რა მადლი, რა სიკეთე მიეცემა კაცს ეკლესიისაგან ამაზე ახლა მოკლედ ვიფიქროთ.

პირველად კაცი რომელი ერთგულად და გულსმოდგინედ ივლის საყდარში და ისმენს წირვა_ლოცვასა, მხურვალებითა გულითადა სასოებითა ევედრება ღმერთსა, ყურადღებით და გონიერად ისმენს ყოველსა რასაც საყდარში წაიკითხვენ, რასაც გაიგონებს, სცდილობს, რომ ახსოვდეს და ისე მოიქცეს თავის სახლში, როგორც ეკლესიაში გაიგონა. ის კაცი ცოტ ცოტად სრულიად გამოიცვლება და უმჯობესი და უკეთესი კაცი შეიქმნება. ჭკუა და გონება მისი განათლდება, რადგანაც ყოველს წირვაზე ესმის საღმრთო წერილისაგან მრავალი ღვთიური აზრი და მცნება, რომელთა ისეთი ძალა და მადლი აქვთ რომ სრულიად შესცვლიან და გააკეთებენ კაცის ბუნებასა. გული და ხასიათი მისი გაკეთდება, რაც ცუდი ჩვეულება და ზნე სჭირს, იმას ცოტ-ცოტად დაივიწყებს და ნაცვლად ამისა მიიღებს პატიოსანსა და კეთილსა ხასიათსა. ადამიანს! ძმანო ჩემნო ისეთი ბუნება აქვს, რომელი თუ თავის თავს თვითონ არ უფრთხილდება. ანუ თუ ერთი ვინმე სხვა ყოველთვის არ აღვიძებს, არ შეაგონებს, არ ასწავლის, მაშინ იგი თანდათან ფუჭდება, ბოროტდება და ბოლოს შეიქმნება მონა ცოდვისა. ეკლესია მისთვის შენდება, მისთვის უნდა ვიაროთ წირვა_ლოცვაზე რომელ იქ საღმრთო წერილის მოსმენითა, წირვის და ლოცვის წესდებულებითა. ეკლესიაში წმიდანების და სიწმიდის ხედვითა გაიღვიძოს ჩვენს გულში ღვთის მადლმან, სიწმინდემან, სათნოებამან და დასუსტდეს და განქარდეს ყოველი ღვარძლი და საწინააღმდეგო ჩვეულება.

მრავალნი ბოროტნი ჩვეულებანი და ქრისტიანობის წინააღმდეგნი ზნეობანი გვაქვს ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო! ამ მცირე გურიის მაზრაში მცხოვრებთა იქნება კიდეც გაგიკვირდეთ თქვენ და გეწყინოსთ, მაგრამ მაინც ვიტყვი და ვგონებ ნამეტანი არ იქნება ეს თქმა: ჯერეთ არც კი გაჩენილა ჭეშმარიტი ქრისტიანობა გურიაში. ათასი წელიწადი მეტია რაც ეს ქვეყანა მოინათლა, მაგრამ ქრისტიანობა ჯერეც არ არის აქ დამყარებული. მართალია, პირჯვერის დაწერა კი ვიცით, საყდარში კი დავდივართ. მაგრამ ქრისტიანობა არ არის ჩვენში! ფიცხელია ეს სიტყვა. მაგრამ როდესაც დაუკვირდებით საზოგადოდ აქაურსა ზნეობითსა მდგომარეობასა, როდესაც ვიფიქრებთ ერთი მხრით როგორ უნდა იქცეოდეს ჭეშმარიტი ქრისტიანე და მეორე მხრით ვნახავთ რა სახით ცხოვრობენ აქაურნი ქრისტიანენი. მაშინ თითქმის არ იქნება ეს ნამეტანი სიტყვა. რით განირჩევა ჭეშმარიტი ქრისტიანულით საზოგადოება სხვათა ურწმუნოთა საზოგადოებისაგან? უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან უბრძანა მოწაფეთა თვისთა: ამით სცან ყოველთა, რამეთუ მოწაფენი ჩემნი ხართ, უკეთუ იყვარებდეთ ურთიერთას. აჰა ქრისტიანობის ნიშანი, რომელს ქვეყანაშიც ანუ სოფელშიაც არის ჭეშმარიტი ქრისტიანობა, იქ უნდა იყოს სიყვარული, ერთობა. ერთგულება, გარნა ნაცვლად ამისა ჩვენ ყველგან ვხედავთ შურსა, სიძულვილსა, განხეთქილებასა და შფოთსა. თუმცა ყოველნი მოსიბლული ვართ. ჩვენ ყოველნი ქრისტიანედ ვეწოდებთ ჩვენთა თავთა. გარნა სული და ბეჭედი ქრისტიანობისა, ესე იგი სიყვარული ღვთისა და მოყვასისა არ არის ჩვენში. ამასთანავე ერთი საშინელი თვისება გვაქვს ჩვენ გურულებს. გურული კაცი არის საშინლად გულფიცხელი

მოუთმენელი და გულფიცხელობითა თვისითა მრავალგზის შთავარდება საშინელთა ცოდვათა შინა. რამდენჯერ მომხდარა ამ ჩვენს მცირე ქვეყანაში, რომელ ერთი უბრალო სიტყვის თქმისთვის კაცს კაცი მოუკლავს.

ძმანო ჩემნო! რადგანაც ესრეთ დაცემულია ამ ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობა და კეთილზნეობა, ახლა მაინც გავიღვიძოთ მადლითა და შეეწევნითა ახლის ამის ტაძრისათა და ვითარცა იგი იქმნა დღეს განახლებული, ეგრეთცა ჩვენ განვახლდეთ ზნეობითა.

ღმერთო მაცხოვარო ჩვენო ვითარცა ცხოველმყოფელმან მადლმან შენმან აკურთხა და განაახლა საყდარი ესე, ეგრეთვე განაახლა ცხოვრებაცა ჩვენი მეოხებითა ყოვლადწმიდისა დიდისა შენისათა. ჰყავ რათა დღეს იქმნეს დასაბამი მოქცევისა ჩვენისა, განახლებისა და სული ერისა წარმატებისა, განწმინდე ზნეობა ჩვენი უფალო, რათა აღარა ვიქმნეთ ამიერითგან ბრმანი, ბოროტნი, ურთიერთისა დამჩაგვრელნი და მკვლელნი. არამედ შევიყვაროთ ერთობა, გვიყვარდეს ღმერთი და მოყვასი ჩვენი. დაამშვიდე და დაალბე ფიცხელი გული ჩვენი და მოგვეც ნაცვლად მისა სიმდაბლე და შემუსვრილება გულისა, რათა ვიყვნეთ ჩვენ ამიერითგან ჭეშმარიტნი ქრისტიანენი საქმითა და არა მხოლოდ საქმითა ამინ!"

გაბრიელის სიტყვაში ნათლად იკვეთება დიდი თავმდაბლობა, ჭეშმარიტი ქველმოქმედება და მშობელი ხალხისადმი სიყვარული:

„ნუთუ სასიქადულოდ და თავის საქებრად აღაშენეს საყდარი?"-კითხულობს მღვდელმთავარი და თვითონვე პასუხობს:

„ღმერთმა ნუ ქმნას." ამ სიტყვების შემდეგ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ადამიანის უსაზიზღრეს და უბოროტეს ნიშნად ფარისევლობა მიაჩნდა. გაბრიელი თავის სიტყვაში თითქმის არ ახსენებს იმ ამაგს, რომელიც მან ეკლესიის აგებას დასდო. პირიქით იგი ცდილობს ხალხში საკუთარი თავისადმი რწმენის, იმედისა და სულიერი აღორძინების ნერგი დანერგოს.

გაბრიელ ეპისკოპოსს ეკლესია, ლოცვა_ქადაგება არა მარტო იმქვეყნიური ცხოვრებისათვის, არამედ უპირველესად ამქვეყნიური, ყოველდღიური ცხოვრების გაკეთილშობილებისა და პიროვნების სრულყოფილებისათვის სჭირდებოდა. წარმოთქმული სიტყვა ნათლად გვიჩვენებს თუ რა ახლოს იყო გაბრიელი თანამოძმეებთან. ესმოდა მათი ავი და კარგი, მათი სიკეთე ახარებდა, გაჭირვება კი გულს უკლავდა. ღრმად მიწვენილ მეცნიერ მღვდელმთავარს არ სწამდა მოჩვენებითი ქრისტიანობა, რაც დღეს აგრერიგად გახშირდა ჩვენში. რაოდენ თანამედროვედ ჟღერს გაბრიელის მიერ დაახლოებით 140_წლის წინათ წარმოთქმული სიტყვები „თუმცა ყოველნი ქრისტიანედ ვუწოდებთ თავთა ჩვენთა, გარნა სული და ბედი ქრისტიანობისა ესე იგი სიყვარული ღვთისა და მოყვასისა არ არის ჩვენში."

ამიტომაც მოუწოდებდა იგი თანამოძმეებს. „ახლა მაინც გავიღვიძოთ მადლითა და შეეწევნითა ახლისა ამის ტაძრისათა და ვითარცა იგი იქმნა დღეს განახლებული ეგრეთცა ჩვენ განვახლდეთ ზნეობითა."

სულიერ განწმენდასთან ერთად ერისთვის აუცილებელი იყო განათლების შეძენაც. ამიტომ ეკლესიის აგებიდან 5წლის შემდეგ 1872 წელს საკუთარი

ხარჯებით გახსნა სკოლა, შეუძინა მიწის ნაკვეთი და მასწავლებელსაც თვითონვე უხდიდა ხელფასს. აღსანიშნავია, რომ სკოლის მასწავლებლები სახელგანთქმული სახალხო აღმზრდელები ნინო და გიგო შარაშიძეები გაბრიელის ძმისშვილი და სიძე იყვნენ.

გაბრიელმა ბახვის საზოგადოების მცხოვრებლებთან ერთად მოაწესრიგა და შედარებით ადვილი სავალი გახადა ბახმაროში სოფელ ვაკე-ჯვრის გავლით მიმავალი გზა.

გაბრიელმა სანახევრო წილობრივი მონაწილეობით ნატანებიდან გამოაყვანინა არხი, რომელიც ოზურგეთის მაზრის 24 სოფელს ემსახურებოდა და დღესაც ემსახურება. არხის გამოყვანამდე მდინარე ბახვისწყალზე ბოლქვაძეებსა და ქიქოძეებს წისქვილები ჰქონდათ გამართული და დიდ სარგებლობასაც ღებულობდნენ. ისინი წინ აღდგომიან წყლის გამოყვანას და უკეთური საქმეც უკისრიათ. მათ არხის ამგევმავი კომისიის წევრები მოუსყიდნიათ. კომისიას ისეთი დასკვნა გამოუტანია, რომ თითქოს წყლის გამოყვანა შეუძლებელი იყო. გაბრიელი კომისიის დასკვნას რომ გასცნობია, მიმხვდარა რაშიაც იყო საქმე და ახალი კომისიისთვის თავისი ძმისშვილი იოსებ ქიქოძე გამოუყოლებია. იოსებმა რა თქმა უნდა კარგად იცოდა ბახვის საზოგადოების ტერიტორიის ყოველი კუნჭული და კომისია სწორ გზაზე დააყენა. წყლის გამოყვანის დასრულებამდე იოსები გაბრიელის დავალებით მშენებლობის არაოფიციალური ზედამხედველი იყო.

გაბრიელმა ეს არ იკმარა მან სოფელ ბახვში დააარსა ფულის გამსესხებელი სალარო და სოფლის ღარიბი მოსახლეობა მევახშის კლანჭებს გამოსტაცა. მან ბახველებს შეუქმნა იმ დროისათვის მდიდარი ბიბლიოთეკა.

რამდენადაც მიუკარებელი იყო გაბრიელი მდიდარი თანამდებობითა და ტიტულებით დამძიმებული მოხელეებისადმი, იმდენად უშურველი იყო უბრალო, ღარიბი ადამიანებისადმი.

მოუცლელობის მიუხედავად, გაბრიელი შეძლებისდაგვარად ხშირად ჩადიოდა სოფელ ბახვში. თითოეული ჩასვლა სოფლისათვის დიდი ზეიმი იყო. წირვისა და ქადაგების შემდეგ მას შემოეხვეოდა მთელი სოფელი განურჩევლად ქონებისა, წოდებისა და გვიან ღამემდე, ზოგჯერ განთიადამდეც კი საუბრობდნენ.

გაბრიელს დილით ადრე ადგომა, მისი სახლისა და ეკლესიის უკან ჩამდინარე ღურღანის ჩხრიალისა და ჩიტების გალობის მოსმენა ჰყვარებია.

როგორც მისი ძმისშვილი მიხეილ ქიქოძე იგონებდა, ერთხელ გაბრიელი საკმაოდ სახალისო სიტუაციაში აღმოჩენილა. ადრე ამდგარი გაბრიელი მდინარე ღურღანას ნაპირებს აჰყოლია. ცოტა ზემოთ მის მეზობელს სტეფანე ბაღიშვილს საზამთრო და ნესვი ჰქონდა დათესილი. ხილის სურნელებას, დილის სიოსა და ჩიტების გალობას გაბრიელი მიუზიდავს და სტეფანეს ბოსტანში გადასულა. ნაყოფები აურჩევია და ბოსტნის კიდეზე გამოუტანია. ბუნების სიმშვენიერით მოჯადოებულ გაბრიელს საზამთრო და ნესვი ხელში დაუჭერია და ყვირილი დაუწყია: „არიქა სტეფანავ, არიქა დანა მომაშველეო!" დაფეთებული სანახეროდ მძინარე სტეფანე ბაღიშვილი საცვლების ამარა გამოვარდნილა გარეთ და იმასაც თავის მხრივ ყვირილი აუტეხია „არიქა მიშველეთ ყაჩაღები დამესხნენო." ახლა უკვე მეზობლებიც გამოცვენილან და ხელში ნახევრად შიშველი სტეფანე და

საზამთრო_ნესვიანი „სტეფანეს ქურდი" გაბრიელ ეპისკოპოსი შერჩენიათ. ატეხილა სიცილ_ხარხარი და სტეფანეს ეზოში ცვრიან ბალახზე სახელდახელო სუფრა გაუშლიათ, რომელსაც მასპინძლის ნესვი და საზამთრო ამშვენებდა. თამადას გაბრიელი შემდეგნაირად უდღეგრძელებია: „მადლობა ღმერთს საწყალ ბახვულებს ერთი სრულყოფილი, ყველაფრით შემკული დიდკაცი გვეღირსაო." გაბრიელს მიუგია: „დიდკაცობის რა მოგახსენო, სრულყოფილი მხოლოდ ღმერთია, ყველაფრით შემკული კი ბუნებაო."

ერთხელ მისთვის მის ძმას ათანასეს უთქვამს: „ბედნიერი კაცი ხარ, გაბრიელ, ქალაქში ნამდვილ მუსიკოსებსა და მომღერლებს უსმენ, ყურს ორღანო გიტკბობსო."

„ბედნიერი მე კი არა შენ ხარ, ვერანაირი მუსიკა ვერ შეცვლის შაშვის ჭახჭახს, ბულბულის სტვენას და ჩხარტას (ჩხართვის მოძახილსო:)_უპასუხნია გაბრიელს.

გაბრიელის ძმიშვილი იოსებ ქიქოძე ცნობილი ხალხოსანი, შემდგომში სოციალ_დემოკრატი (მენშევიკი) პოლიტიკურ დევნილთა დასაცავად ასეთ ზომებს მიმართავდა: მათ ტყის მცველებად ამუშავებდა. ამით ისინი კონსპირაციასაც იცავდნენ და რევოლუციურ მუშაობასაც შედარებით თავისუფლად ეწეოდნენ. ამასთან როგორც კარგი ვაჟკაცები ტყის დაცვასაც წარმატებით ახერხებდნენ. გაბრიელს უთქვამს, „რატომ ებრძვი უსამართლობას უსამართლობით, თავს რით იმართლებ. რომ ხელმწიფის მოწინააღმდეგე კაცები ხელმწიფის სამსახურში აგყავსო."

გაბრიელი აიძულებდა ირგვლივ მყოფთ, განსაკუთრებით ნათესავებსა და თანამშრომლებს ზომიერათ ეცხოვრათ და ჩაეცვათ_ „თქვენ ირგვლივ მყოფთ ბევრს შეძლება არა აქვს მდიდრულად ჩაცმულ_დახურულს რომ დაგინახავენ, გულში სიხარბე შეუვათ. მცდარ გზას დაადგებიან და უკეთურ საქმეს ეწევიანო." ზომიერების მაგალითს უპირველესად თვით გაბრიელი იძლეოდა.

1890_ წლის 11 აგვისტოს გაბრიელ ეპისკოპოსმა შეადგინა პირველი ანდერძი, რომელიც უმეტესად ეხება არა მატერიალურ, არამედ სულიერ ღირებულებებს. ანდერძში ეს სპეტაკი, ღვთისნიერი ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ღვთისა და ერის სამსახურში გაატარა იცხოვრა ლამის მოწამეობრივი ცხოვრებით. ის ირგვლივ მყოფთაგან შენდობას ითხოვს. ასეთია დიდი ადამიანების ხვედრი:

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. წყალობითა ღვთისათა მიეაღწიე რა ღრმა მოხუცებულობამდის. მაგრამ მყოფმა სრული მეხსიერებასა შინა, განვიზრახე დაწერა წინდაწინვე ამ ჩემი ანდერძისა.

პირველად ვსთხოვ ყველას ვინც მე მიცნობდა შენდობას რამიაც მე ისინი შევაწუხე ანუ შეიძლება ვისმე მივაყენე შეურაცხყოფა, ვუყავი უსამართლობა, ჩემი მხრით შევუნდობ ყველას, ვინც მე დამალონა, მაწყენინა, მომაყენა უსამართლობა. მეორედ ვმადლობ და ვლოცავ ყველას, ჩემს ყოფილ სამწყსოსა შინა, რომელიც გამოითხოვენ ღვთისაგან წყალობას, მშვიდობას და ცხონებას. სულით და გულით ვმადლობ ყველას ვინც მე მომაგო მოწყალება, შეწევნა და სიყვარული. ვმადლობ და ვლოცავ ყველას ჩემ ყოფილ თანამოსამსახურეთ საკურთხეველში და ეპარქიების

მართვაში. ჩემს მორჩილებაში მყოფ მოსამსახურეთა, რომელთაგან ბევრი თავდადებით და მოთმინებით შემიმსუბუქებდნენ მე უძლურებასა ჩემსა.

მესამედ ვევედრები ყველას ვისთანაც მიაღწევს ამბავი ჩემი გარდაცვალებისა, აღავლინოს ღვთისადმი ლოცვა ჩემი ცოდვილი სულისათვის. ხოლო ღვთისმსახურ პირებსა ზედა სასოება მომემთხვეს, რომ იგინი შეასრულებენ წირვასაც ჩემთვის, მომგონებელნი იმისა, რომ თითქმის მათ ყველას ჩემგან მიეცათ ხელდასხმა.

მეოთხედ ჩემ ხორციელ ნათესავთ ვუანდერძებ. მარადის სწავლობდნენ შრომობდნენ, პატიოსნად და წმინდად ემსახურებოდნენ ღმერთს. მეფეს და მოყვასთ, ერთიმეორეს. ახსოვდეთ, რომ მისი წინაპარნი უძველეს დროიდან იყვნენ საყდრთხევლის მოსამსახურენი და ცხოვრობდნენ შრომით. მეც რაც შემეძლო სიცოცხლეში ვეწეოდი მათ და ვთხოვ მათაც, რათა ყოველთვის ლოცულობდნენ სულისათვის ჩემისა.

ვთხოვ ვისაც შეეხება ჩემი ანდერძის ეს ნაწილი წაიკითხოს წმიდა ლიტურღიის დროს წესის აგების წინ.”

ცოტა ხნის შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსმა მეორე ანდერძი შეადგინა ანდერძი ქონებისა და ფულების შესახებ: რაც სიკვდილის შემდეგ დამრჩება

„არა რაი ჩემი ყოველივე ღვთისა არს.”

„წმიდა ხატებში ორი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის მოჭედილები დაიკიდოს ჩემი საფლავის თავზე კედელზე გაუქრობელი ლამპარით, რომელიც ახლაც წინ ანთია. სხვა ხატები აგრეთვე საეკლესიო წიგნებიც, როგორც სლავიანური, აგრეთვე ქართული გაგზავნილ იქნას სოფელ ბახვში, ეკლესიაში. ძვირფასი პანაგია, ხელმწიფე იმპერატორის მიერ ბოძებული ჩემზე, აგრეთვე ძვირფასი საარქიმანდრიტო ჯვარი, რომელსაც მე ღვთის მსახურებაზე ვატარებდი ბრილიანტებით შემკული, შეიწირავს ქუთაისის საკათედრო ტაძრისათვის. მეორე პანაგია, რომელიც უკეთესი იქნება, მიერთვას არქიელს, რომელიც დაესწრება ჩემს წესის აგებაზე, გარდა ფულით შესაფერი დაჯილდოებისა შრომისათვის. მეორე პანაგია მიერთვას მეორე მღვდელმთავარს, თუ ასეთი არ დაესწრება მეორე ეპისკოპოსი პანაგია გადაეცეს იმავე ქუთაისის საკრებულო ტაძარს. თუ ჩემს შემდეგ დარჩება გვარიანად ახალი ანაფორები და კაბები ებოძოს ისინი სასულიერო მსახურთ: არქიმანდრიტებს, დეკანოზებს და მთავარ დიაკვნებს ფულად საჩუქრებთან ერთად, დანარჩენ დაბალ წევრებს ეპარქიისას კი ფულადი საჩუქარი, დანარჩენი არა ძვირფასი სხვადასხვა სასწავლებლის ღარიბ მოწაფეებს.

მაგრამ ვგრძნობდი რა, რომ ასეთი დახმარება არის დროებითი და შემთხვევითი მე ვცდილობდი აგრეთვე შემედგინა თანხა, რათა იგი მუდამ მოხმარებოდა ღარიბებს.

აქედან ვუტოვებ ქვემორე აღნიშნულ სასწავლებლებს და საქველმოქმედო საზოგადოებებს:

1. შენახული ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკში 12200_ მან. გარეგნობით ფურცლებად ბახვის სასოფლო სკოლის შესანახად, რომლებიც დიდი ხანია რაც უკვე ინახება. ამ თანხის სარგებლით ვუტოვებ და ვუანდერძებ ამავე სკოლას საუკუნოდ.

2. იმერეთის ეპარქიის სასულიერო წოდების ქვრივთა და ობოლთა სამზრუნველოს „ 2000_ მანეთი.

3. ქუთაისის სამოქალაქო საქველმოქმედო საზოგადოებას ქალაქის ღარიბთათვის 1500_ მანეთი.

4. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ 3000 მანეთი.

5. თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ 3000 მანეთი.

6. იმერეთის საეპარქიო საქალებო ჩემი სახელობის სკოლას 5000 მანეთი.

შენიშვნა: თუ რამე მიზეზის გამო ეს სასწავლებელი არ გაიხსნება მაშინ ეს 5000 მანეთი გადაეცეს ზემორე დასახელებულ საეპარქიო სასწავლებელს.

7. ქუთაისის საქალებო სკოლას 2000 მანეთი.

შენიშვნა: ყველა ზემო აღნიშნული თანხა საუკუნოდ უნდა შენახულ იქნეს ხელუხლებლად პროცენტიან ქაღალდებად და მხოლოდ პროცენტები ხმარდებოდეს თანახმად ამ ანდერძისა.

8. გელათის მონასტერს ვუტოვებ 1000 მანეთს იმ პირობით რომ ჩემი სიკვდილის დღეს ძმები სწირავდნენ ჩემთვის მონასტრის ყველა ეკლესიებში და სარგებელი დაურიგდეს ყველა ძმებს.

9. ვუანდერძებ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობას უფლებას ჩემ თხზულებათა გამოცემისა იმ პირობით, რომ სარგებელი გამოცემიდან ხმარდებოდეს ამ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეებს. ვუანდერძებ იმავე სასწავლებელს 2500 მანეთს. დაურიგდეს ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემ მოსამსახურეებს 300 მანეთი საჩუქრად სამსახურში იმ ჯამაგირის ზევით რაც ერგებათ მათ. ამის გარდა ჩემი სიკვდილის შემდეგაც დარჩებიან ჩემ სახლში, აგრეთვე სხვა გარეშე შეგირდებიც სხვადასხვა სასწავლებლებისა, რომელთაც მე ვაძლევდი შემწეობას. თუ შესაძლო იქნება, თუ ზემო აღნიშნულ ხარჯებს შემდეგ გადარჩება რამე, ზემორე მოხსენებულ შეგირდებს, მიეცეს წმიდა გიორგის სასწავლებლის მასწავლებელს თუმც ამ დროის იგი იქნეს უზრუნველყოფილი სხვა მხრიდან.

1894 წლის 19 გიორგობისთვეს (ნოემბერი ეს ანდერძი ასე შეიცვალა: ბახვის სკოლა თუ დაიკეტოს მასზე შეწირული ფული გადაეცეს ბახვის ღვთისმშობლის ეკლესიას სამუდამოდ. მასვე გადაეცეს ის 600 მანეთიც, რომელიც შევწირე ბახვის შემნახველ გამსესხებელ კასას, თუ ეს კასა დაიკეტოს."

გაბრიელ ეპისკოპოსმა მის მიერ დატოვებულ ფულებს შემდეგი დანიშნულება მისცა: ეკლესიას შეეძლო ფული გამოეყენებინა თავისი საჭიროებისათვის. „უმთავრესად კი საბრძოლველად უვიცობასთან, სიღარიბესთან და მცხოვრებთ უზნეობასთან, რიგიანი სკოლის საშუალებით."

ანდერძის შედგენიდან რამდენიმე თვის შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსი მძიმედ დაავადდა და 1896 წლის იანვარში გარდაიცვალა. გაბრიელის სიკვდილმა მთელს საქართველოში დიდი გლოვა და მწუხარება გამოიწვია. კიდევ უფრო განსაკუთრებულად მძიმე აღმოჩნდა ამ მირონცხებული ადამიანის დაკარგვა მშობლიური

ბახვის მოსახლეობისათვის. დაკრძალვას გარდა ოფიციალური დელეგაციისა სოფლის მცხოვრებთა დიდი ნაწილი დასწრებია. ბახველთა სახელით განსვენებულს ალექსანდრე გორდელაძემ მიმართა:

-დღეს ჩვენი ქვეყანა სტირის და გლოვობს ჩვენი ბრწყინვალე ვარსკვლავის ხსენებას _შენს მოშორებას. სტირის დიდი და პატარა, სტირის თავადი და გლეხი, მდიდარი და გლახაკი, მეცნიერი და უმეცარი, სტირის სულ ყველა და მიზეზიც აქვს ტირილისა. მაგრამ ამ საერთო ტირილში უფრო საერთო ტირილი გვმართებს ჩვენ, შენი სოფლის შვილებს, შენს ბახველებს. შენს საწყალ სოფელს ახვედრა ღმერთმა ამ სამოცდაათი წლის წინათ ბედნიერება იმით, იგი აირჩიე შენს სამშობლო კუთხედ. ჩვენს სოფელში გაახილე შენ პირველად ბედნიერი და მადლიანი თვალები. პირველად შენ ჩვენი სოფლის ცას შეხედე. ამ სოფელში გაატარე შენ პირველი დღენი შენის პატარაობისა. აქ გაგიბრწყინდა გულში პირველად ნაპერწკალი სიმართლისა, სათნოებისა და სიყვარულისა. ამ ნაპერწკალმა აქ დაიწყო პირველად ზრდა და შეიქნა შემდეგში დიდ ბრწყინვალე ვარსკვლავად რომელიც გახდა მთელი ჩვენი ქვეყნის მანათობელი. მაგრამ პირველი სხივი ამ ბედნიერებისა ამ დიდი ვარსკვლავისა მაინც ჩვენს სოფელს მოხვდა და გაათბო იგი. პირველად აქედან დაიწყო შენი კაცთმოყვარეობითი ზრუნვა, საზოგადოდ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის და განსაკუთრებით შენი სოფლისათვის. ჯერ კიდევ სასწავლებელში იყავი როდესაც დაიწყე ზრუნვა ამ სოფელზე მით, რომ გააცნე პირველად შენს ნათესავებს სწავლის სიკეთე და დღეს გურიის ვერც ერთი სოფელი ვერ მოსთვლის იმდენ უმაღლეს სწავლა დასრულებულს შვილებს რამდენიცა გვყავს ბახველებს შენი წყალობით საქართველოს ყველა კუთხეში. ამ პირველ შენს სიკეთეს ჩვენ სოფელზე მოჰყვება მრავალი საზოგადო სიკეთე, რომელთა შორის აქ დავასახელებთ მხოლოდ უმთავრეს მათგანს.

ამ 25 წლის წინათ შენი სოფელი იყო ერთი უნაყოფო ღარიბი სოფელთაგანი გურიაში მას არც რიგიანი ეკლესია ჰქონდა, არც სკოლა და სასმარ წყალსაც თითქმის მოკლებული იყო. დღეს კი შენი წყალობით ჩვენი სოფელი ყოველის მხრივ დაწინაურებულ სოფლად ითვლება ჩვენში. მას აქვს შენი საკუთარი ხარჯით აგებული ტაძარი, აქვს ორკლასიანი სასწავლებელი ვრცელი ბაღითურთ, რომელიც სამუდამოდ უზრუნველყოფილია შენი წყალობით და რომელშიაც არა თუ მარტო ბახვის ახალთაობა იღებს პირველ დაწყებით სწავლასა _ მთელი გურიის სხვადასხვა სოფლის შვილებიც კი იზრდებიან. შენსავე უხვი შეწირულობით დაარსებულია ჩვენში სასოფლო გამსესხებელი შემნახველი ამხანაგობა, რომელიც აგერ 16 წელიწადია ხელს გვიწყობს და თავიდან გვაშორებს უდიერი სარგებლის გადახდას. შენივე შემწეობით მოირწყო და განაყოფიერდა ჩვენი უნაყოფო და მწირი მიწები. ერთი სიტყვით შენ იყავი მოწყალეო ბატონო წყარო ჩვენი კეთილდღეობისა.

მაგრამ ყველა ეს წყალობა რა არის იმ ზნეობით გავლენასთან იმ სულიერ საზრდოსთან რომელიც შენგან ჩვენ გვეძლეოდა. შენი მობრძანება ჩვენში ბრწყინვალე დღესასწაული იყო ჩვენთვის. ჩვენ კი შენი ბახველები, სწორედ ამ სახით წარმოვიდგენთ ქვეყნად მყოფ მაცხოვარს, რა სახითაც შენ გხედავდით ჩვენ წინ მდგომარეს საქადაგებლად გაბრწყინებულს! მადლითა და სიყვარულით სავსეს! შენი ანგელოზებრივი სახე, შენი ცხოველსმყოფელი დარიგება ამოუშლელად იბეჭდებოდა

ამ დროს ჩვენს გულში შენი სიტყვების მადლი და სათნოება გვაეიწყებდა ყოველ ქვეყნიურ ჭირსა და და ბოროტებას.

შენი სიახლოვე გვიამებდა გულს, გვიპატიოსნებდა სულს, რის გამოც ყოველი უბედური, ყოველი დამწუხრებული ჩვენი სოფლისა შენთან მოეშურეობდა ნუგეშის მისაღებად და ამიტომაც იყო რომ შენ ჩვენი ერთი საათი მოსვენებაც არ გქონდა. მუდამ გარს გესვეოდით და ვსარგებლობდით შენი ანგელოზებრივი გულკეთილობითა, შენი სიმდაბლითა, შენი კაცთმოყვარეობითა. ვაი, თუ ჩვენს გარდა სხვაც ასე გაწუხებდა, ჩვენო ძვირფასო ბატონო! და ამით თვითონ ჩვენ მოგისწრაფეთ დაუფასებელი სიცოცხლე!

თუ ეს ასეა, ამიტომაც დაგვსაჯა ღმერთმა ისე სასტიკად და წაგვართვა ის ძვირფასი საუნჯე, რომლის მოხმარება ჩვენ ვერ შევიძელით, ჩვენი უმეცრების გამო. მაგრამ შენ ხომ შენი საწყალი ბახველების აზრით უკვდავი იყავი და ვინ წარმოიდგენდა რომ სიკვდილი შეგაწუხებდა! შენს ბახველებს დღესაც არ სჯერათ ეს საშინელი თავზარდამცემი ამბავი. ჩვენში ვერავინ ახსენებს ამ ორს მოუწყობელს და ყოვლად შეუფერებელს სიტყვებს „გაბრიელი და სიკვდილი." ეს ხომ საშინელებაა თავზარდამცემია, გამაქვავებელია. ჩვენი ყოფნა და შენი არყოფნა, უშენობა საშინელია, აუტანელია! უზომო, გამოუთქმელია ჩვენი მწუხარება, მაგრამ რამდენადაც ეს მწუხარება დიდი, იმდენად სანუგეშებელი საბუთი ჩვენ სხვაზე მეტად მოგვეპოვება ამ საერთო უბედურებაში. ჩვენ სხვაზე მეტად ნუგეშცემული მით ვართ, რომ შენ ხარ ჩვენი საწყალი სოფლის შვილი, ჩვენი ბატონი გაბრიელი, ჩვენი საუნჯე, ჩვენი დიდება. ჩვენ ამ უბედურებაშიაც ბედნიერნი ვართ მით, რომ შენს დიდებულ უკვდავ სახელთან ჩვენი საწყალი სოფლის სახელიც უკვდავი ხდება. ამით ვამაყობთ ჩვენ და ჩვენი მომავალი შთამომავლობა, რომელიც რასაკვირველია ჩვენზე უფრო შეძლებს შენს დაფასებას, ჩვენი სოფლის უკვდავო და დიდებულო შვილო!

დიდია წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლი მშობელი ერის წინაშე. განსაკუთრებული გულმოდგინებით ეს ღვთითკურთხეული მადლით მოსილი ადამიანი ღარიბ ფენებში სწავლა_განათლების შეტანას. სიღარიბის შემცირებასა და უზნეობის აღმოფხვრას ცდილობდა. ეს ყოველივე გამოვლინდა მის მოწამეობრივ ცხოვრებაში და დაგვირგვინება ჰპოვა ანდერძში. მთელი თავისი ქონება მან უანდერძა სხვადასხვა სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეებს, სკოლებს, ქვრივ_ობლებსა და დავრდომილებს. ამ სიტყვითა და საქმით წმიდანმა მღვდელმთავარმა მხოლოდ მცირედი დაიტოვა შესანდობლად და სულის მოსახსენებლად. გაბრიელის მაღალი ზნეობა იქიდანაც ჩანს, რომ მას თავისი მრავალრიცხოვანი ნათესაობისათვის გარდა ლოცვა_კურთხევისა და ანდერძისა რომ „მხოლოდ შრომით მოიპოვონ პური არსობისა" არა დაუტოვებია_რა.

გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლითა და ამაგით ერთ დროს ჩამორჩენილი და ღატაკი სოფელ ბახვის საზოგადოებამ აღზარდა მრავალი ღირსეული ადამიანი, რომელთა შორის მრავლადაა შორს ქვეყნის გარეთ, ცნობილი პიროვნება. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, მხატვრები შალვა ქიქოძე და დიმიტრი შევარდნაძე, მომღერლები დავით და ნოდარ ანდღულაძეები, ბესონია ინწკირველი, სამეულ ჩავლეიშვილი, გოგი დოლიძე, ხათუნა დონდუა, სამი ძმები გურულები_აქსენტი,

ლადიკო და მანასე სალუქვაძეები, ძმები არომიძეები, ემ. დოლიძე_ქორეოგრაფი და მისი შვილი თათული დოლიძე, ვალ. დოლიძე_სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აფხაზეთის სახალხო არტისტი_ქს. დოლიძე, ავთანდილ მახარაძე, გიგოლა თალაკვაძე, გ. ნიკოლაიშვილი, ნ. და გ. ინწკირველი.

კინორეჟისორი დიომიდე ანთაძე და მისი ვაჟები: მსახიობი ლეო ანთაძე და რეჟისორი გია ანთაძე, კომპოზიტორი არტ. კვაჭანტირაძე, მ. კვაჭანტირაძე, დ. კვაჭანტირაძე, ტელერეჟისორები გ. გარაყანიძე, ე. დონდუა. ხელოვნების მოღვაწენი ა. ცქვიტინიძე, ო. ცქვიტინიძე, ავთ. ცქვიტინიძე, ან. ქიქოძე, პ. ინწკირველი. იუმორისტული ჟურნალის „ეშმაკის მათრახის" დამაარსებელი ნ. კალანდაძე.

საზოგადო მოღვაწეები: ისიდორე, იოსებ, ზაალ, ტიტე, ნატალია ქიქოძეები, დეკანოზი სიმონი, გაბრიელ ეპისკოპოსის ძმა რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა აჭარაში ქრისტიანობის აღდგენისა და ბათუმის მართლმადიდებლური ეკლესიის მშენებლობაში, ბოლშევიკი სტეპკო ინწკირველი (საქართველოს ცკ-ს ყოფილი პირველი მდივნის აკ. მგელაძის ბიძა, დედის ძმა, ნ. შავიშვილი_სოციალ_დემოკრატი (ჟენევაში ძეგლი დაუდგეს) მენშევიკური მთავრობის წევრი, ემიგრაციაში წასული შ. ინწკირველი, ალ. ლომთათიძე, მელ. მახარაძე, ალ. მგელაძე, არ. ბერეჟიანი, ა. მახარაძე.

მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ნინო ანთაძე_ნაკაშიძე, ვახტანგ ჭელიძე, შალვა შარაშიძე (თაგუნა) დავით შარაშიძე, პლატონ ქიქოძე (რეპრესირებული გასული საუკუნის 30_იან წლებში,) იაკობ ჩხაიძე (დაიღუპა დიდ სამამულო ომში,) გერონტი ქიქოძე, მოსე ქიქოძე, ნური ჩხაიძე.

მეცნიერები და პედაგოგები: პ. ყლენტი, ამბ. ინწკირველი, დ. ჭელიძე, ი. ჩხაიძე, ქრ. შარაშიძე, ნ. კანდელაკი, გ. სალუქვაძე, ბ. ქიქოძე, ს. ნიკოლაიშვილი, ნ. ნიკოლაიშვილი, თ. თენეიშვილი, პ. თენეიშვილი, ვლ. მახარაძე, ი. ნაკაიძე, გ. ანთაძე, თ. შუბლაძე, ზ. ქიქოძე, გ. ქიქოძე, ნ. ანდღულაძე (სახელმწიფო პრემიის ლაურეატი) ლ. ანდღულაძე (განათლების ყოფილი მინისტრი), ანგ. ნიკოლაიშვილი, ალ. ნიკოლაიშვილი, მარიამ ბურჭულაძე (განათლების ცნობილი მუშაკი), ზ. ნაკაიძე, გ. ნაკაიძე, ალ. მგელაძე (ცნობილი პედაგოგი), შ. ნაკაიძე, ჯ. ნაკაიძე, თ. ქიქოძე, მ. ქიქოძე, რ. ქიქოძე, ქ. ქიქოძე, ნ. ქიქოძე, კ. ნიკოლაიშვილი, თ. ჩიტაიშვილი, ვ. ჩხაიძე, რ. ჩხაიძე, დ. ცქვიტინიძე, ფ. ცქვიტინიძე, დ. ჭელიძე, თ. შავიშვილი, გ. ჭელიძე, ლ. და ვ. მეტრეველები, ბ. ბორჩხაძე, რ. კანდელაკი, თ. მგელაძე, ნ. სალუქვაძე, ეკ. ნიკოლაიშვილი, ლ. ქიქოძე, ვ. ქიქოძე, ნ. ჭანტურიშვილი, რ. ჭელიძე, გრ. ჭელიძე, თ. ანთაძე, ლ. ანთაძე.

სახელმოხვეჭილი სპორტსმენები: მეფის არმიის ოფიცრები_გენერალი კარპეზ ანთაძე, ივანე ბოლქვაძე, თეოდორე ანთაძე (დაიღუპა კოჯორთან ბოლშევიკების შემოსვლის დროს, ვ. მგალობლიშვილი, მოსე და ვიქტორ ინწკირველები (პარტიული მუშაკის აკ. მგელაძის ბიძები დედის ძმები, ვიქტორი გახლდათ 1924 წლის აჯანყების მონაწილე, ესტატე ანთაძე, (მისმა ნაწილებმა 1901 წელს დაარბია ბათუმში ი. სტალინის ხელმძღვანელობით მოწყობილი დემონსტრაცია. სოციალისტური შრომის გმირი ს. ქიქოძე, პოლკოვნიკები ბ. მამეიშვილი, ა. მეგრელიშვილი, ქ. ქიქოძე.

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მან. მამეიშვილი, შინაგანი სამსახურის გენერალ_მაიორი ზ. ჩხაიძე, პარლამენტის ყოფილი წევრები_ მ. ნიკოლაიშვილი, ზ. ცეცხლაძე, ზ. ანდღულაძე _ პირველი რანგის კაპიტანი უკრაინამ თავის ერთ ერთ გემს „კაპიტან ანდღულაძის" სახელი მიანიჭა.

უშიშროების სამსახურის ოფიცერი ი. ალასანია (დედა დოდო ანდღულაძე, ბახველებთან ნათესაური ურთიერთობით დაკავშირებულია ვანო სარაჯიშვილი, ვიქტორ დოლიძე, დ. მენაბდე, რ. ყიფიანი, სპ. ყურაშვილი, გ. ნათაძე, გ. ასათიანი, ნ. ზეიშვილი, ი. ქარცივაძე, რ. დონაძე და მრავალი სხვა ცნობილი ადამიანი.

სხვადასხვა დარგში საქართველოს დამსახურებული წოდებები მიიღეს ალ. დონაძემ, კ. ანდღულაძემ, მ. მამეიშვილმა, ქს. ნიკოლაიშვილმა, ნ. მელუამ, ნ. ჩხატარაშვილმა, ს. ხომერიკმა, დ. სხულუხიამ, გ. ჭელიძემ, მ. მღინარაძემ, ნ. ჭელიძემ, ვ. გობრონიძემ, ს. ხავთასმა, ტ. ტოლიძემ, შ. თავართქილაძემ, ვ. გობრონიძემ, გ. ბოლქვაძემ და სხვებმა.

აღარას ვამბობთ იმ 1000_ზე მეტ უმაღლეს დამთავრებულზე, რომლებიც არამარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, არამედ მის გარეთაც წარმატებით იღვწოდნენ და იღვწიან. მათ შორის მრავალმა დაიმსახურა ორდენები და მედლები, საპატიო წოდებები, სხვადასხვა ჯილდოები.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ გაბრიელ ეპისკოპოსის აღზრდილი თაობაა ის უმთავრესი ძალა, რომელმაც 1905 წელს შექმნა ფართოდ ცნობილი „ბახვის მანიფესტი." ჩვენ აქ მასზე დაწვრილებით არ შევჩერდებით, აღენიშნავთ მხოლოდ რომ აქ ჩამოყალიბებული მოთხოვნები ადამიანთა თანასწორობისა, ქონების, რელიგიის, ეროვნებისა თუ რასის მიუხედავად დღესაც კაცობრიობისათვის მიუღწეველ ოცნებად რჩება...

სოფელი ბახვი კიდევ ერთი ფაქტით შეიძლება იქნეს გამორჩეული. გასულ საუკუნეში საქართველომ დამოუკიდებლობის ორი აქტი მიიღო. პირველ აქტს ხელს აწერს ბახველი გერონტი ქიქოძე, ხოლო მეორეს სოფელ ბახვთან ნათესაობით დაკავშირებული აკადემიკოსები ანდრია აფაქიძე და როინ მეტრეველი.

რამდენადაც ტრაგიკული და მწარე იყო წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის პირადი ცხოვრება, იმდენად ბედნიერი და სხივმოსილი აღმოჩნდა მისი საზოგადოებრივი და სასულიერო მოღვაწეობა. მიუხედავად ცალკეული შეიწროებისა და დევნისა, მან სიცოცხლეშივე მოიმკო ქართველი ერის სიყვარული და პატივისცემა.

მოკრძალებითა და რუდუნებით განიმსჭვალა მარჯორი უორდროპი წმიდა გაბრიელ მღვდელმთავრისადმი, როდესაც იგი სიცოცხლის მიმწუხრში მყოფი იხილა.

„იმერეთის ახლანდელი ეპისკოპოსი თუმც მთლად თმადათოვლილი მოხუცია, მაგრამ მისი ძლიერი გავლენა არასოდეს განქარდება. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი ორ ტომად რომელიც გამოირჩევა ჰუმანურობით, ენის დახვეწილობითა და აზრის დიდებულებით თბილისში გამოქვეყნდა (1865 და მას შემდეგ მრავალჯერ გამოიცა (1884_85წწ. აწ განსვენებულმა მალანმა ქადაგებიდან ზოგიერთი ინგლისურად თარგმნა (1867წ. ოქსფორდი. არასოდეს დამავიწყდება ჩვენი სტუმრობა გაბრიელ ეპისკოპოსთან. ის თავის სამუშაო ოთახში იჯდა. მნახველი გულდამშვიდებით ვერ შეხედავდა მისი მშვენიერი ცხოვრების დაისს. თმა თოვლივით გათეთრებოდა,

თვალებსაც დაკარგვოდათ ახალგაზრდული ცეცხლი, მაგრამ მის დახვეწილ ნაკვთებში გამოსჭვიოდა კმაყოფილების მშვიდი გამომეტყველება, რაც იმ სიცოცხლის დასასრულზე მეტყველებდა, რომლის განმავლობაშიც ის ხალხს მხოლოდ სიკეთისაკენ მოუძღოდა."

გულის ამაჩუყებელი მძიმე განცდებითა და გაბრიელის დიდი მამულიშვილობის გამომხატველი სიტყვებით იყო აღსავსე ცნობილი მეცნიერების პეტრე მელიქიშვილისა და ვასილ პეტრიაშვილის მიერ ოდესიდან გამოგზავნილი სამძიმრის დეპეშა:

„შეწუხებული უეცარი ამბით ყოვლადსამღვდელო გაბრიელის გარდაცვალების შესახებ გთხოვთ მიიღოთ ჩვენი ულრმესი და წრფელი თანაგრძნობა მწუხარებაში, რომელიც მოევლინა სამწყსოს, მთელ ქართველ ერს. მისი სასარგებლო ღვაწლი და წმიდა ცხოვრება გექნესთ სანუგეშოდ და შესამსუბუქებლად თქვენი მწუხარებისა. ხსოვნა მისი იქნება უკუნისამდე მის თანამემამულეთა გულში."

მასწავლებლისა და თანამებრძოლის დატირების ნიმუშია გურია_სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლ დადიანის, გაბრიელის ცხედართან წარმოთქმული გამოსამშვიდობებელი სიტყვა:

„გმადლობს შენ ერი საქართველოსი რომელიცა განაშვენე შენ სახელითა შენითა. შენ იყავ სიქადული ქართველთა, პირველი ქართული ამა საუკუნისა, რომელმანაც დაანახე ქვეყანას ძალი საქართველოს შვილის გონებისა! რომლის სიბრძნის მოყვარეობას და ქადაგებას თანაბრად გეიქებდნენ ჩვენ ფრანგნი, გერმანელნი, ინგლისელნი, ესე იგი მთელი განათლებული ქვეყანა გმადლობს შენ. ენაცა მშობლიური, ენა რომელიცა მდიდარ ჰყავ შენ ქადაგებითა შენითა, რომლისთვისაცა ებრძოდი შენ მედგრად იმ განუსჯელთა პირთა, რომელთაც ენა პეტრიწისა, გიორგი მთაწმინდელისა და ამბროსი მქადაგებლისა უარყვეს, ვითარცა უვარგისი და გამოუსადეგარი მეცნიერებისათვის. შენ იყავ ერთადერთი მაღალი ხარისხის მქონი ქართველი, რომელიც გამოესარჩლე ჩვენს ენას. როდესაც ერთმა დიდმა პირმა უქადაგა ამ ენას სიკვდილი, შენმა სიტყვამ აღაფრთოვანა სული საქართველოსი და მტერ-მოყვარეც დაგიმორჩილა შენ. როდესაც იგი გწერდა თავის პასუხში „გულსა შინა შენსა არა არს ზაკვა." ქადაგება გაბრიელისა სძევს ჩვენს ეკლესიაში, იქ საცა ასვენია ქადაგება მოციქულთა, ამაზე ზევით არ წავა პატივი არა ქართველისა, არა ხორციელის კაცისა!

სიტყვით წმიდაო, საქმით წმიდაო, ცხოვრებით წმიდაო! შენ სიკვდილითაც დაამოწმე შენი კეთილი კაცობა მით, რომელ სხვათა და სხვათა კეთილთა საქმეთა შესწირე ყოველი შენი ქონება!"

მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ნიკო დადიანმა, შალვა დადიანის მამამ გაბრიელ ეპისკოპოსს საქართველოს ჭეშმარიტი ისტორიის შემქმნელი უწოდა, რომელმაც თავისი ქედით იტვირთა ქვეყნის გადარჩენის მძიმე ტვირთი. გაბრიელ ეპისკოპოსი მაშინ მოევლინა საქართველოს, როდესაც იგი იყო ისტორიულ უბედურებათა ქარგადახლილი, სულით დამძიმებული, ხორცით მოდუნებული. ქვეყნის გონებითი და ზნეობითი ძალღონე დაწვრილმანებული აღმოჩნდა. დავიწროებული, დაკნინებული ერი აქეთ_იქეთ კარგსა და ავს შორის ეხლებოდა. „და აი ამ დროს გაბრიელი

გამოჩნდა_როგორც ნიკო დადიანი აღნიშნავდა _ ზეგარდმომოვლენილი მოწამე და მოღვაწე, რომელმაც თავისი გონების ძალით, ხასიათის სიმტკიცითა და გრძნობის სიწმინდით ახოვნად გადააბა სინამდვილე წარსულის ჟამის მოძრაობის ამ დროის ცხოვრებას და თვით მხნედ ჩადგა დიდებულთა მოძღვართა კრებულში... ეს არის ზნეობის მწყემსი, წინამძღვარი, ჩვენი ქირისა და ლხინის ზიარი, ჩვენი სახელი, სიქადული, სიხარული ჩვენი დროისა."

ნიკო დადიანი ჩამოთვლის იმ დამსახურებას რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსს ერის „საყვარელსა და სანატრელ მამას" მიუძღვის სამშობლოს წინაშე. „მან განაღვიძა და გამოიწვია გულში მთვლემარე წმიდა გრძნობა კაცობისა და ქრისტიანობისა ჩვენს შორის: გაგვიცოცხლა და წინ დაგვიყენა დიდი სახე დიდთა მოძღვართა ჩვენის ეკლესიისა, ჩვენის ერისა, ჩვენი სულიერის ღონისა! ამოიგო მსოფლიო ისტორიაში სამშობლო ქვეყნის წილი გონების მოღვაწეობისა, პირი დაუყო უმეცარ მოჩუმართა! ასწია თავისი მხრებით ლოდი სამარისაგან მივიწყებულის საერთო ღვაწლისა და გამობრწყინვა მისი სახელით მთელი ქვეყნის წინაშე სახელი მშობლის ქვეყნისა! ღრმად გაავლო ნათელი კვალი წარსულსა და მომავალ შუა! გვიანდერძა სიყვარული, შრომა და სწავლა! გვიჩვენა გზა ნიჭთა და ღონეთა ხმარებისა! ურწმუნოსა სარწმუნოება ჩაუნერგა, იჭვნეულს ეჭვი ჩამოაცილა და მორწმუნე უმეტესად განამტკიცა! თავს შემოავლო სამწყემსოს და სამშობლოს ყოველი ღონე, თავისი საძრაობა, სიმრთელე, სიცოცხლე და ღვაწლმოსილი შეერთო დიდებულ მწყობრს სჯულისა და ქვეყნისათვის თავდადებულთა მამა_პაპათა!"

ნიკო დადიანი სავსებით მართებულად თვლის წმიდა მღვდელმთავრის გელათში დიდებულ ქართველთა დიდი დავით აღმაშენებლის მახლობლად განსვენებას. უფრო მეტიც, თვით სანიმუშო მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე, მწერალი გაბრიელს ერის ზნეობის ახალ („კვლავ" აღმაშენებელსა და განმაახლებელს უწოდებს და ამით ნებით თუ ნებლიეთ პარალელს დიდ დავით მეფესთან ავლებს_ „ამ დიდს ადგილს გელათს აღმაშენებლის შრომისა და განსვენებისას, აწ შეეწყნარება და განისვენებს კვლავ აღმაშენებელი და განმაახლებელი ჩვენი ზნეობისა, მადლით ზეცისა განგებულებისაგან მოვლინებული წინამორბედად ჩვენის სულიერის განახლებისა და აღშენებისა. თაყვანს ვცემ სიწმინდესა ამას, წარსულისა და აწმყოს შემკრელსა და შემუსრული გულით ვილოცავ, რათა მადლითა და ვედრებითა განსვენებულის მეუფისათა სიტყვითა და სწავლითა მისთა მორჩილებითა დავადგეთ მის კვალს და მივეგებოთ შრომითა და სწავლითა აღშენებულს მომავალს უკვდავსა და კურთხეულს, ძეგლსა და ნაყოფს მისის მოღვაწეობისა!"

სამუდამოდ დარჩა ქართული მჭერმეტყველების ისტორიაში დიდებული ქართველი ქალის დარია ფალავას სიტყვა წარმოთქმული დიდი მღვდელმთავრის კუბოსთან. დარია ფალავას შეფასებით გაბრიელი ბრძანდებოდა ის დიდებული ქართველი:

„ვინც მისის კეთილგონიერებით ქვეყანაზე მაღლა იდგა კაცთა შორის უმანკოდ და ღმერთთან კი ახლოს, რომელიც იყო უწარჩინებულესი მოძღვარი,

„ვინც მისის კეთილგონიერებით ქვეყანაზე მაღლა იდგა კაცთა შორის უმანკოდ და ღმერთთან კი ახლოს, რომელიც იყო უწარჩინებულესი მოძღვარი, სამაგალითო სულიერი მამა და მისის სიცოცხლის უკანასკნელ წერტილამდის განუზომელი მოღვაწე თავისი სამწყსოსათვის... ამისი ღირსება იყო ზეგარდამო შთაგონებითი ნიჭი, ამისი გონება იყო განათლება, ამისი ზრუნვა იყო საზოგადო „საკეთილდღეო მოღვაწეობა და ამისი მისწრაფება საყოველთაო მშვიდობა!"

„ეს იყო სამშობლოსათვის სასიქადულო ძე და აწიც უეჭველია სამარადისოდ არ გაცვდება მაგის სახელი საქართველოში! საკუთარ მოძმეთათვის არიან სახსოვარი და სასარგებლო ამისთანა პირები, არამედ სხვათა გარეშე ქვეყნისა და უცხო ხალხისათვის არიან ისეთნი, როგორიც არის დღეს ორთავე ძუძუმწოვარი ძისა გინა ასულისათვის. დიდებულო მწყემსმთავარო არ დაგივიწყებს შენ სამშობლო! ვიდრემდის ქვეყანას პირი შერჩება და საქართველოს მისი ღირსება... ყოველი შენი მოღვაწება ისტორიულად გარდაეცემა აწმყოს... შეუწყვეტელი შრომაა უკანასკნელი შენი ანდერძი და შეუწყვეტელი დაგრჩა ხსენებაც... შენ დგახარ დაურღვეველი სიმართლის ნიადაგზე და მაღლა გაყენებს თვით შენი საქმე! ჩვენ არ გაქებთ შენ, არამედ შენ აქებ იმ ხალხს, რომლის ნაყოფიც შენ ხარ... ვიცით მდიდარი ხარ და არ ეტრფი არვისაგან ქებას, ვიცით უხვი ხარ და არ ეტრფი არვისგან დიდებას, ვიცით შენ შეიწირავ მცირე წვლილსა!"

ქუთაისში საეპისკოპოსო მოღვაწეობის დასაწყისში გაბრიელ ეპისკოპოსის გამგებლობაში შედიოდა არა მხოლოდ იმერეთი, არამედ გურია_სამეგრელო, აფხაზეთი და ლეჩხუმ_რაჭა_სვანეთი. შემდეგ როდესაც ახალგაზრდა მღვდელმთავრის სასულიერო მოღვაწეობა ეროვნულ_განმათავისუფლებელ მოძრაობას შეერთო და მის ავანგარდშიაც კი აღმოჩნდა, მთავრობა იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში ცალკეული ეპარქიები გამოეყო. მიუხედავად ამისა გაბრიელ ეპისკოპოსი მთელი დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავრებისა და და მრევლისათვის მამად და მასწავლებლად დარჩა.

ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ქართველი საზოგადო მოღვაწეების უმეტესობა აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად კი თბილისში იყვნენ თავმოყრილნი7 გაბრიელ ეპისკოპოსის მნიშვნელობა კიდევ უფრო ცხადი გახდება. ამიტომაც იაკობ გოგებაშვილი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებულ სულიერ და ხორციელ ცვალებადობას უპირველესად გაბრიელ ეპისკოპოსის დამსახურებად მიიჩნევს. „რომელიც ღვიძლი მამაა შეკავშირებული ყველა ეროვნული სიმებით თავის ძვირფას სამწყსოსთან, დაუღალავად უქადაგებდა სიტყვით და საქმით მის მხნეობას, თავდაჭერილობას, მოთმინებას, წმიდა ზნეობას, მარტივს ცხოვრებას, სწავლის სიყვარულს და ყოველ ღონეს ხმარობდა თავის ღვიძლ სამწყსოში გაევრცელებინა სარწმუნოებაცა და ცოდნაცა... ხალხი დაემსგავსა მეტ_ნაკლებობით თავის მწყემსმთავარს, რომლის გამუდმებულის გავლენის ქვეშ იგი დიდხანს იმყოფებოდა." სწორედ ამიტომ მიმართა განსვენებულს გურია_სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლ დადიანმა შემდეგი სიტყვებით:

„სამოქალაქონი და სასულიერო სასწავლებელნი ზრდიდნენ და ზრდიან ახალთა თაობათა. შენ მეტი საქმე ჰქმენ მოძღვარო, შენ ხალხი აღზარდე! გიხაროდენ!"

ეპისკოპოსი გრიგოლი მაშინდელ საქართველოში ვერ ხედავდა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის შემცვლელს. რაც კიდევ უფრო უძლიერებდა ისედაც უზომო მწუხარებას.

„შენ სამშობლო ქვეყანას შენგან სულითა და გულით შეყვარებულ საქართველოს, სამწუხაროდ შენდა და ჩვენდა ჯერ კიდევ შორს აქვს ის დრო, როდესაც იმას ექმნება ძალა გაიგონოს ყოველ წამს ამ შენგან დაობლებულ კათედრიდან ხმა მეორე გაბრიელისა!"

მთელმა საქართველომ განურჩევლად სოციალური თუ პოლიტიკური კუთვნილებისა ერთნაირი ღრმა მწუხარებით გამოიგლოვა გაბრიელ ეპისკოპოსი. მიუხედავად ამისა, როგორც დიდი ილია, ასევე რიგითი მოკვდავი ბახველი გლეხი ალექსანდრე გორდელაძე მომავლისაგან მოელოდნენ ჩვენი სამშობლოს დიდებული შვილის ჯეროვან დაფასებას.

ეს ნაშრომიც წმიდა მღვდელმთავარ გაბრიელის ღვაწლის მოგონების მოკრძალებულ ცდას წარმოადგენს.

Revaz Nikolaishvili

## ST. BISHOP GABRIELLE

St. Bishop Gabrielle was an outstanding Georgian thinker, a pedagogue, and a psychologist of the XIXc.

The book deals with his relationship with Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Jacob Gogebashvili, Niko Nikoladze, David Kldiashvili. St. Gabrielle became one of the founders and the respected member of literate society, a professor of physics and mathematics, a creator of the first text-book in example psychology, a founder of physic cabinet at Tbilisi Spiritual Seminary, one of the splendid representatives of national and independent movement in Georgia.

Main attention is paid to his great contribution towards his native village Bakhvi ( Ozurgeti district) .

The cases that deal with the relationships between the human and nature and problems with human perfection in the greatest Bishop's sermons are studied for the first time as a separate subject.